საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№41 (132)
16 - 22 ნოემბერი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

8 როგორ შეტენა პრეზიდენტმა პედაგოგებს ღვინო

## პრეზიდენტების მენიუ და უპიჯაკოდ დარჩენილი სააკაშვილი 7



## სოსო თოფურიძე ტაძარს აშენებს? 5



## სააკაშვილისგან შეიძლება ბაბანგიდა გამოვიდეს



4

არ ჩამოშლილან, მაგრამ გაფარჩაკდნენ

## უკრაინელი ჟურნალისტის სააკაშვილთან შეხვედრის სკანდალური ანგარიში 2



## რატომ სძულს მიშას თბილისი?

დავით სოკოლოვი:

## ესენი ისევ მოაწყობენ 26 მაისს, 7 ნოემბერს და იქნება სასაკლაო! 13



ვაჟა აზარაშვილი:

## ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, გლინკა და კიდევ სხვები თუ ამოვიღეთ სასწავლო რეპერტუარიდან, ჩათვალეთ, რომ აღარაფერი დარჩება



16 «მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ იყო მსგავსი მარაზმი, მაშინ არ აკრძალულა სებასტიან ბახი საბჭოთა კავშირში»

15

## სააკაშვილის ხელისუფლებამ ზეევ ფრენკელის ქალიშვილსაც ინფარქტი დამართა

„რონი ფუქსს უკრძალავდნენ სიცოცხლისთვის საჭირო მედიკამენტების მიღებას, გასეირნებას და კოკაინის ჩადებით აშინებდნენ“



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გლებ გოლოვჩენკო სულაც არ იყო მოწადინებული, სააკაშვილი ბოროტ არსებად წარმოეჩინა. პირიქით, ის მასპინძლის მიმართ მეტად კეთილგანწყობილი გახლდათ, თუმცა მას არ გამოეპარვია სააკაშვილის ბოღმა, რომლის შესახებ მთელმა საქართველომ, სავარაუდოდ, ისედაც იცის. ამ, როგორც ჩანს, უკიდეგანო ბოღმის გათვალისწინებით, ალბათ, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი ოდესმე (თუ მანამდე კეთილი ნების ადამიანები არ გაკოჭავენ) ქალაქის ამ ნაწილს საარტილერიო ცეცხლს არ გაუხსნის.**



მიხეილ სააკაშვილი

# უკრაინელი ჟურნალისტის სააკაშვილთან შეხვედრის სკანდალური ანგარიში



გლებ გოლოვჩენკო

# ოქროს თევზის ცათამბჯენი, ანუ რატომ სძულს მიშას თბილისი?

**„ლამაზი შენობები მიყვარს. 200-სართულიან შენობას ვისურვებდი. ეგრევე 200 სართული და ყველაზე ლამაზი არქიტექტურა. მე მომწონს რაღაც ისეთი, არქიტექტურული, დიდი, ლამაზი. და, სხვათა შორის, არქიტექტურას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ლამაზი, გამჭირვალე შენობები სამყაროს აღქმას ცვლიან,“ — ძნელი ამოსაცნობი არ არის, თუ ვინ წარმოთქვა ყოველივე ეს, თუმცა სიზუსტისთვის აღვნიშნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს ერთ-ერთ უკრაინულ დელეგაციასთან შეხვედრაზე გააკეთა: „მინდა საქართველოში 300-სართულიანი შენობა ავაშენო,“ — დასძინა მან.**

ანგარიში სააკაშვილთან შეხვედრის შესახებ უკრაინის ჟურნალისტთა ეროვნული ფედერაციის მდივანმა გლებ გოლოვჩენკომ გამოაქვეყნა. ეს პუბლიკაცია ფართოდ არ გავრცელებულა, ის მხოლოდ თითო-ოროლა უკრაინულ საიტზე მოიპოვება, მათ შორის ქალაქ ნიკოლაევის (სადაც გოლოვჩენკო ცხოვრობს და მოღვაწეობს) „საინფორმაციო-ანალიტიკურ ინტერნეტ-გაზეთში“. არადა, ამ ტექსტში სააკაშვილის რიგი ფსიქოლოგიური თავისებურებები მთელი სიგრძე-სიგანით აისახა და მათზე დაკვირვება, თუნდაც პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე, ნამდვილად ღირს.

მაშ ასე, 200 თუ 300-სართულიანი შენობა, რომელმაც, როგორც ჩანს, უკან უნდა ჩამოიტოვოს დუბაიში ახლახან აშენებული 168-სართულიანი „ბურჯ-ჰალიფა“ და სპარსეთის ყურეს სანავთობო მონარქების ჯერ კიდევ პროექტის სტადიაში მყოფი თამამი ფანტაზიები („Kingdom Tower“ — საუდის არაბეთში, „Madinat al-Hareer“ — ქუვეითში და „Murjan Tower“ — ბაჰრეინში). ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს **სააკაშვილის მეგალომანიის მორიგი სეზონური გამწვავება და მას ყურადღება არ მივაქციოთ, რომ არა მონაკვეთი „სამყაროს აღქმის შეცვლაზე“, რომელსაც საკმაოდ ღრმა და ჩახლართული ფესვები აქვს. ვინაიდან სააკაშვილს, როგორც წესი, არ შეუძლია აზრის მწყობრი ჩამოყალიბება და ერთობ ბავშვურ სტილში („რაღაც ისეთი, არქიტექტურული, დიდი“) საუბრობს, ალბათ, აჯობებს, სხვა დიქტატორს დავესესხოთ, რომელსაც ანალოგიური გატაცება ჰქონდა.**

„არც ერთ ჩვენს ქალაქს არ გააჩნია ისეთი ძეგლები, რომლებიც მთელ ქალაქზე იბატონებდა და აღქმული იქნებოდა როგორც მთელი ეპოქის სიმბოლო... ანტიკური ქალაქი ისეთ მიმზიდველ საშუალებებს ფლობდა, რომლებზეც დღეს წარმოდგენაც კი არ გვაქვს. ამ ქალაქის მცხოვრებს თვალწინ ჰქონდა არა ცალკეული მეპატრონეების მეტნაკლებად საცოდავი სახლები, არამედ დიადი შენობები, რომლებიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ამ შესანიშნავ შენობებთან მიმართებაში მათი საკუთარი სახლები მხოლოდ დაქვემდებარებულ მნიშვნელობას იძენდა“ (ადოლფ ჰიტლერი; „Mein Kampf“). „რა თქმა უნდა, ახალ ეროვნულ ცნობიერებას მხოლოდ არქიტექტურით ვერ გააღვიძებ, მაგრამ, როდესაც გაჭირვების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, საჭიროა ეროვნული სიდიადის გრძნობის ხელახალი გაღვიძება, მაშინ წინაპრებისგან დარჩენილი ძეგლები წარუშლელ მოგონებად გვევლინება... ჩვენი ნაგებობები მომავლის გერმანიას უნდა მიმართავდნენ,“ — იხსენებდა ფიურერის სიტყვებს ალბერტ შპეერი. ნაცისტური პირველწყაროების უხვი ციტირებისთვის ბოდიში მომითხოვია, მაგრამ, შესაძლოა, მათ მიგვაახლოვონ იმასთან, რაც სააკაშვილის თავში ხდება, კერძოდ კი, მის იმ ნაწილში, სადაც მეგალომანიური არქიტექტურული გეგმები მწიფდება.

**სხვათა შორის, რაც უფრო ახლოვდება მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასასრული, ის არქიტექტურაზე სულ უფრო ხშირად საუბრობს. პარალელებს არ ვავლებთ, თუმცა ბერლინის რეკონსტრუქციის გეგმა ადოლფ ჰიტლერს განსაკუთრებით მაშინ იზიდავდა, როდესაც ამ ქალაქს საბჭოთა ჯარები მიუახლოვდნენ.** შესაძლოა, ამ დროს ფიურერის წარმოსახვაში ჩნდებოდა და ისევ ქრებოდა დიადი მონუმენტების სილუეტები და მათკენ გარბოდა რეალური გერმანიისგან, რომელსაც, ტოტალური ნგრევის, მსხვერპლის და საუკუნო სირცხვილის გარდა, არაფერს უტოვებდა. ასეთი სრაფვა ვირტუალურისკენ სააკაშვილის ბოლო გამოსვლებშიც შეინიშნება, მაგალითად, განხილულ შეხვედრაზე უკრაინელ სტუმრებთან, მან შემდეგი რამ თქვა: **„არაფერს ვაზვიადებ, ბათუმი 4 წლის შემდეგ სინგაპურს დაემსგავსება. იქ ახლა შენდება 500 შენობა, რომლებიც 50 სართულზე მაღალია. არის 70, 80-სართულიანიც“.** საერთოდ, ციფრებთან სააკაშვილს, როგორც ჩანს, უკვე სერიოზული პრობლემები დაეწყო. ამავე შეხვედრაზე მან თქვა: „როდესაც 2 წლის წინ თბილისის ცენტრს ბომბავდნენ...“. იქნებ ვინმე გულისხმიერმა პირაცეტამი (ნოოტროპილი) დაალევინოს, რათა გაიხსენოს, რომ თბილისს 3 წლის წინ ბომბავდნენ, ხოლო ბათუმში ხუთასი „50+“-სართულიანი შენობა არ შენდება, თორემ პროცესს უყურადღებოდ თუ დავტოვებთ, მალე, ალბათ, იტყვის, რომ ხუთი წლის წინ სტალინგრადი აიღო.

„ბაბილონის ახალი გოდოლის“ აშენება მილიარდობით დოლარი დაჯდებოდა. ამ ფულის ეფექტიანი გამოყენება საქართველოს ეკონომიკას დიდად წაადგებოდა, თუმცა, ის სააკაშვილის ხელთ რომ აღმოჩენილიყო, დიდი ალბათობით, სწორედ ამ მონუმენტური ცათამბჯენის მშენებლობაზე დახარჯავდა, რომელიც, ჰიტლერს თუ დავესესხებით, „მეტ-ნაკლებად საცოდავ სახლებზე“ „იბატონებდა“. აქ საქმე, შესაძლოა, არა მხოლოდ ქვეყანაზე დომინირების დაუკმაყოფილებელ (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ) სურვილთან, არამედ უფრო სიღრმისეულ მიზეზებთან გვაქვს. **ამერიკელმა ანთროპოლოგმა და ისტორიკოსმა ჯოზეფ ტეინტერმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „The Collapse of Complex Societies“ თვალნათლივ აჩვენა, რომ ლტოლვა გრანდიოზული მონუმენტების მშენებლობისკენ, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდისტული მნიშვნელობა ენიჭება, კოლაფსის მოახლოების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.** რომისა და მაიას იმპერიების მაგალითებზე ტეინტერი აღწერს, თუ როგორ ემთხვეოდა ერთმანეთს მონუმენტების მასირებული აღმართვისა და მოსახლეობის გაღატაკების, მისი გაუბედურების პერიოდები, რომელსაც სახელმწიფოსა და საზოგადოების სრული კრახი მოსდევდა. რესურსების ჩადება არა (ან ნაკლებად) პროდუქტიულ ნაგებობში, იმის ნაცლად რომ ინვესტირება ტექნოლოგიებში და წარმოების გაზრდაში მოხდეს, მოახლოებული ფინიშის ერთ-ერთი, არცთუ ურიგო ინდიკატორია. გაჭირვებულ ქვეყანაში სრულიად ფსიქოპატური და უმეტესწილად ძალზე ძვირადღირებული პროექტების გაჩენა (ამ მხრივ, საქართველოში საკმაოდ სახასიათოა „უშბის განათების პროექტი“, ანაკლიის ბედკრული ხიდი, „ოლვეის ულტრას ხიდი“ თბილისში, სააკაშვილის 300-სართულიანი ხილვები და ა.შ.) ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება და საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკუთარი თავის მოტყუებისკენ ისწრაფვის მაშინ, როდესაც ქვეყანა უფსკრულის პირას დგას; ეს მომენტი ჯოზეფ ტეინტერმა თავის წიგნში ძალიან მკაფიოდ დააფიქსირა.

ცხადია, **სააკაშვილს არ აქვს არანაირი რესურსი იმისათვის, რომ მსგავსი მშენებლობა წამოიწყოს. მონსტრუოზული ცათამბჯენი მან მხოლოდ მაშინ ახსენა, როდესაც უკრაინელმა სტუმრებმა ჰკითხეს, თუ რა სურვილის შესრულებას სთხოვდა იგი ოქროს თევზს. სააკაშვილმა ჯერ ლტოლვილების პრობლემებზე საუბარი დაიწყო, თუმცა შემდეგ, როგორც გლებ გოლოვჩენკო აღნიშნავს, „რათა მძიმე ფიქრებს დაშორდეს“, 200-300-სართულიან შენობებზე გადაერთო, რომელთა აშენება დღეს საქართველოში ოქროს თევზს თუ ძალუძს.** თუ გავიხსენებთ, როგორ მიისწრაფვოდა ბუნკერში გამოკეტილი ფიურერი ბერლინის რეკონსტრუქციის გეგმისკენ, ალბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს რეალობისგან გაქცევის ზუსტად ისეთივე დაუოკებელი სურვილი იყო.

გადავხედოთ ერთ უაღრესად საინტერესო მონაკვეთს გოლოვჩენკოს პუბლიკაციიდან: **„თუ მთელი საუბრის განმავლობაში ის, პრაქტიკულად, თავშეკავებული დიპლომატი გახლდათ, მომდევნო ფრაგმენტში პრეზიდენტს მისი გულისწუხილი მაინც აღმოხდა. „საქართველოს ყოველთვის მართავდნენ ადამიანები იქიდან!“ — პრეზიდენტმა ბრაზით მოიქნია ხელი უკვე განათებული თბილისის მიმართულებით. იმ მხარეს, სადაც ის მიუთითებდა, გახედვაც კი არ მოგინდებოდა. ჩანდა, რომ წყენა „საქართველოს ამ ნაწილზე“ წლების განმავლობაში გროვდებოდა და როგორც მოუშუშებელი ჭრილობა დღესაც სტკივა (თუმცა, შესაძლოა, ეს მომეჩვენა). პრეზიდენტმა ცოტა ხნით თავი დაანება მთავარ თემას და განაგრძო: „თბილისის ცენტრი — აი აქედან იშლება ჩრდილოეთით და ჩრდილოეთიდან — დასავლეთით. ერთი და იგივე ადამიანები. იქ 150 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ყოველთვის, ბოლო 100 წლის განმავლობაში მხოლოდ მათ ჰქონდათ ფული, მხოლოდ მათ ჰქონდათ ყველაფერი“.** ხსენებულ 150 ათას ადამიანზე საუბრის დასასრულს სააკაშვილმა, გოლოვჩენკოს თქმით, „განაწყენებულმა გადახედა თბილისის იმ ნაწილს, რომელიც „ყოველთვის კარგად ცხოვრობდა“. „ჩვენ მათ, რა თქმა უნდა, არსად გადავასახლებთ, ჩვენ ციმბირი არ გვაქვს, რომ გადავასახლოთ და ბანაკებიც არ აგვიშენებია“.

ზოგადად, **გლებ გოლოვჩენკო სულაც არ იყო მოწადინებული, სააკაშვილი ბოროტ არსებად წარმოეჩინა. პირიქით, ის მასპინძლის მიმართ მეტად კეთილგანწყობილი გახლდათ, თუმცა მას არ გამოჰპარვია სააკაშვილის ბოღმა, რომლის შესახებ მთელმა საქართველომ, სავარაუდოდ, ისედაც იცის. ამ, როგორც ჩანს, უკიდეგანო ბოღმის გათვალისწინებით, ალბათ, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი ოდესმე (თუ მანამდე კეთილი ნების ადამიანები არ გაკოჭავენ) ქალაქის ამ ნაწილს საარტილერიო ცეცხლს არ გაუხსნის.**

პრობლემა, რომლის წარმოჩენას სააკაშვილი პოლიტიკურ (სოციალურ) ჭრილში ცდილობდა, სინამდვილეში შესაძლოა, პიროვნულ, ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებდეს. **საქმე, სავარაუდოდ, ისაა, რომ სააკაშვილი თბილისის ცენტრში კი დაიბადა და გაიზარდა, თუმცა თბილისური საზოგადოების წევრი ვერ გახდა; მასში ვერ დამკვიდრდა. ფორმალური თვალსაზრისით, ის თბილისელია, თუმცა, ამავე დროს და პარადოქსულად, თბილისელად, ალბათ, ვერ ჩაითვლება. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ ეყო ნიჭი, განათლებულობა, ზრდილობა, გამბედაობა ან ყოველივე ეს ერთად, იმისთვის, რომ თბილისელებმა თავისიანად აღიქვან და სათანადო პატივისცემით მოეკიდონ. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მაღალ თანამდებობას იკავებს სააკაშვილი, დედაქალაქის ამ ნაწილში (და, სავარაუდოდ, არა მხოლოდ მასში) მას, როგორც წესი, „უცხო სხეულად“ აღიქვამენ, მეტიც, ხშირად ზემოდან უყურებენ და დასცინიან.** ადამიანი, ზოგადად, ყოველთვის ცდილობს, მოიპოვოს აღიარება და პატივისცემა იმ გარემოში, რომელშიც გაიზარდა და, შესაძლოა, სააკაშვილის შემთხვევაში, ადგილი სწორედ თვითდამკვიდრების უნაყოფო, გაწელილ მცდელობასთან გვაქვს, რომლის დროს გამორიცხული არაა, ის ისეთ ფანტაზიებამდე მიდის (გადასახლება და ბანაკები დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის), რომელიც რეალობად პოლ პოტმა აქცია. თუმცა, ალბათ, ისიც ესმის (თუ ჯერ კიდევ არა?) რომ ტერორით ესოდენ სანატრელ პატივისცემას ვერ მოიპოვებს.

სავარაუდოდ, სწორედ თბილისის ცენტრის თავზე სურს სააკაშვილს 300-სართულიანი ცათამბჯენის აღმართვა, რათა ისევ სცადოს, ქალაქს დაუმტკიცოს, რომ მასზე „ბატონობს“ (იქნებ მაშინ აღიქვან სერიოზულად?). თუ რატომ მაინც და მაინც ცათამბჯენის, ამაზე ზიგმუნდ ფროიდი წერდა კარგად და ამ თემას ახლა არ ჩავუღრმავდებით. თუმცა სააკაშვილის ამ წამოწყებიდანაც, ცხადია, არაფერი გამოვა — ის ვერაფერს ვერ აღმართავს (სადღა აქვს ამის შესაძლებლობა) და, რომც აღმართოს, თბილისის დამოკიდებულება მისდამი, სავარაუდოდ, არ შეიცვლება; ქალაქი და მისი მცხოვრებლები თავის „დაქვემდებარებულ მნიშვნელობას“ (იხ. ჰიტლერის ციტატა) სააკაშვილისა და მისი მეგალომანიური შენობების წინაშე მაინც არ (ვერ) შეიგრძნობენ. ამასთანავე, **გადამწყვეტ როლს სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასრულებაში, ალბათ, თბილისის სწორედ ის ნაწილი შეასრულებს, რომლის მიმართულებით ის უცხოელი სტუმრების წინაშე „ბრაზით ხელებს იქნევს“. კაცმა რომ თქვას, იქნიოს რამდენიც უნდა, ბოლო მაინც ერთი იქნება.**

**P.S. გლებ გოლოვჩენკოს პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე mk.mk.ua/rubric/articles/2011/11/12/05416/**

სააკაშვილს ერთ წელიწადზე მეტხანს არსად უმუშავია, სწავლა რომ სწავლაა, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეპიზოდებად არის მის ბიოგრაფიაში. ერთადერთი, სადაც იგი, თითქმის რვა წელია, მუშაობს, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაა. ვერავინ აგდებს, თავის ნებით კი არ მიდის!

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის ოსტატის ბოლო სიტყვა ლონდონის ტაუერში

**როგორც ირკვევა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი პულტზე თითის დაჭერისთვის ვერ იცლის. მას პარლამენტის სხდომათა დარბაზში „დედოვშჩინა“ აქვს გაჩაღებული. ეს ტერმინი რუსის ჯარში გავრცელებულ ურთიერთობებს ასახავს; „დედები“, წელიწადზე მეტი რომ იმსახურეს და დემობილიზაციისთვის ემზადებიან, ახალწვეულებს ყველანაირად ჩაგრავენ. მაგალითად, საპირფარეშოებს ალაგებინებენ ან წინდებს არეცხინებენ.**
**უცნობია, ურეცხავს თუ არა დეპუტატი გიორგი იმნაძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს წინდებს, მაგრამ ხმას ცისკარიშვილის მაგივრად რომ აძლევს, ეს ფაქტია.**

ჟურნალისტებმა ეს ფაქტი ფირზეც აღბეჭდეს, მაგრამ სინამდვილეში დიდად არავინ გაოცებულა. პარლამენტის სხდომათა დარბაზს ამაზე უარესებიც ახსოვს. თვით პარლამენტის თავმჯდომარე – ნინო ბურჯანაძე რომ გაყალბებით აირჩიეს დეპუტატებმა, ამაზე თავის დროზე დიდი ხმაურიც იყო ატეხილი, მაგრამ სკანდალი ისე ჩაფარცხეს, რომ ხათუნა გოგორიშვილის მიერ დანომრილ-დანიშნული ბიულეტენები აღარავის გადაუთვლია.

**დღეს ხათუნა გოგორიშვილი საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარეა და სხვებს უმოწმებს ინიციატივებს. ეს ის ხათუნა გოგორიშვილია, რომელიც 1992 წლიდან 2002 წლის ჩათვლით ყოველთვის ისეთ შედეგებს დებდა, რომ არჩევნები ჯერ „მოქალაქეთა კავშირს“, მერე კი „ნაციონალურ მოძრაობას“ მოეგო. ერთადერთხელ ვერ დათვალა ხათუნამ არჩევნების შედეგები და ამას რევოლუცია მოჰყვა.**

**ნუ იტყვით და, არჩევნები იმდენად გაყალბდა, რომ პარლამენტში 6 პარტია მოხვდა, თან ისე, რომ 22 პროცენტზე მეტი არავის ჰქონდა. დაწყებითი სკოლის არითმეტიკის მცოდნეც კი მიხვდება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას ორი პარტიაც კი ვერ შექმნიდა. ახლა ვიანგარიშოთ, როდის გაყალბდა არჩევნები: 2003 წელს თუ 2004 და 2008 წლებში, როცა „ნაციონალური მოძრაობა სულ უფრო და უფრო მტკიცე საკონსტიტუციო უმრავლესობას უწერდა საკუთარ თავს არჩევნების შედეგად?**

თუმცა ეს ამბავი დღევანდელმა ოპოზიციამ იდარდოს, რომელმაც იმდენად ვერ ივარგა, რომ აშკარად გაყალბებული შედეგების გამო ხელისუფლებისთვის და მის მიერ დანიშნული ოპოზიციისთვისაც თავზე ჩამოემხო პარლამენტის სხდომათა დარბაზი, ჩვენ კი კვლავ იმ სხდომათა დარბაზში შევბრუნდეთ, რომელშიც „გაყალბებული“ არჩევნების შედეგად არჩეული დეპუტატები დღესაც სხედან. ვიდრე პროპორციული არჩევნების შედეგებს არაუფლებამოსილი სასამართლო (უზენაესი – საკონსტიტუციოს ნაცვლად) აუქმებდა, **მაჟორიტარულ მანდატებს ამაყად და ღირსეულად ინარჩუნებდნენ გიგი წერეთელი, გია ბარამიძე, კობა დავითაშვილი, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ მაჭავარიანი, გივი თარგამაძე, ბეჟან ხურციძე და სხვა მრავალი, რადგან 2003 წელს ყველა მაჟორიტარი პატიოსნად იყო არჩეული, პარტიები კი – არა (?).**

პრინციპულობით განთქმული „რესპუბლიკელები“ მაჟორიტარებად ვერასოდეს გადიოდნენ და „ნაციონალური მოძრაობის“ სიით შევიდნენ პარლამენტში, ოღონდ ოთხი თვის დაგვიანებით, მარტის არჩევნების შემდეგ. პრინციპულობას და სიმართლისმოყვარეობას მათთვის ხელი არ შეუშლია, იმავე სიაში ჩაწერილიყვნენ, რომლითაც „ყველა დროის გამყალბებელი“ ხათუნა გოგორიშვილი იყრიდა კენჭს! თუმცა პიროვნებებზე მაღლა დავდგეთ და იმას უფრო მივაქციოთ ყურადღება, რომ იმ პარლამენტში, კონსტიტუციის დარღვევით მაჟორიტარები ოთხი თვით მეტ ხანს აძლევდნენ ხმას სხვისი პულტებით, ვიდრე პარტიული სიით გასულები!

**თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, როცა რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი თავის „რესტავრაცია“ გამოაცხადა და ვადაგასულ, 1999 წლის მოწვევის პარლამენტს ზარ-ზეიმით მიაღებინა ცვლილებები კონსტიტუციაში.**




## სააკაშვილი კუთხეში მიმწყვდეული ცხოველივით გრძნობს საფრთხეს და ეს ალაპარაკებს ამ «ბოლო» და «არაუკანასკნელ» გამოსვლებზე

ბურბონებისგან განსხვავებით, მისმა „რესტავრირებულმა“ დედოფლობამ ოთხ წელიწადს ძლივს გაქაჩა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ორჯერ შეასრულა პრეზიდენტის მოვალეობა და თვითონაც დაიჯერა, რომ გასამდებოდა. ორჯერ ერთი და იგივე ფოკუსი ჩაუტარეს ყოფილმა მეგობრებმა: ჯერ ჟვანიას გუნდმა არ ჩაასმევინა სიაში თავისი ხალხი, მერე კი „ნაციონალებმა“ ისე გამოუცვალეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სიები, რომ, როცა მიხვდა, გვიანი იყო.

ბურბონებისა და ალექსანდრე პირველი რუსის არ იყოს, მანაც ბევრი „იპაკიპუკა“ (სააკაშვილის ნათქვამია ბურჯანაძეზე 2003 წლის დრამატულ დღეებში) მოსკოვში, არც პარადებზე თხელძირიანი ფეხსაცმლით დგომა დაუკლია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ძველი აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, რომ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ეს სიბრძნე ყველაზე ჭრის, ქართველი პოლიტიკოსების გარდა. ზემოთ აღწერილ, ერთ პარლამენტში ორ-ორჯერ შესულ დეპუტატთა საეჭვო ამბავს რომ აღარ მივუბრუნდეთ, სააკაშვილის უეჭველი მაგალითი მოვიხმოთ: **1999 წელს სააკაშვილი ვაკის რაიონის მაჟორიტარი გახდა, მისი შტაბის წევრებმა კი ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ბიულეტენების დასტა თავზე გადაახიეს დავით სალარიძეს, რომელსაც ცხვირწინ გაუყალბეს მოგებული არჩევნები. 2000 წელს სააკაშვილი შევარდნაძის მთავრობის იუსტიციის მინისტრი გახდა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ „კორუფცია გააპროტესტა“ და გადადგა. დაუჯერებელია, მაგრამ კენჭი იმავე ვაკის ოლქში იყარა და ერთი მოწვევის პარლამენტში მეორედ შევიდა!**

ერთი სიტყვით, ორ წელიწადში მან სამი უმაღლესი თანამდებობა გამოიცვალა. კიდევ ერთ წელიწადში ადგილობრივ არჩევნებში სცადა ბედი და, შალვა ნათელაშვილის წყალობით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეც გახდა. კიდევ ერთ წელიწადში კი საპარლამენტო არჩევნებში პირველი ადგილის გაფორმება მოითხოვა, არ გაუფორმეს და რევოლუციაც მოახდინა. **სააკაშვილს ერთ წელიწადზე მეტხანს არსად უმუშავია, სწავლა რომ სწავლაა, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეპიზოდებად არის მის ბიოგრაფიაში. ერთადერთი, სადაც იგი, თითქმის რვა წელია, მუშაობს, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაა. ვერავინ აგდებს, თავის ნებით კი არ მიდის!**

თუმცა გასულ კვირას ლონდონის ტაუერში გამოსვლისას რაღაც ისეთი თქვა, რასაც ფსიქოანალიზი სჭირდება: **„იმედი მაქვს, ეს ჩემი ბოლო გამოსვლა არ იქნება“** და იქვე დაამატა: **„ამ სიტყვას ისე წარმოვთქვამ, როგორც უკანასკნელს“.**

აბა, გამოიცანით, რა იგულისხმა? მისი ბიოგრაფიისა და უნიკალური უნარის გათვალისწინებით, ორჯერ შესცუროს ერთსა და იმავე მდინარეში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლაა პრეზიდენტის რანგში, მაგრამ უკანასკნელი არ იქნება, რადგან პრემიერმინისტრობას აპირებს!

იქვე სააკაშვილმა კიდევ ერთი ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა: **„არ ვიცი, რა იყო ლონდონის ტაუერში სიტყვით გამოსვლის ჩვეული პროცედურა ან რა ვითარებაში გამოდიოდნენ აქ სიტყვით, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ეს მათი ბოლო სიტყვა იყო ცხოვრებაში“.** რა გასაკვირია, სააკაშვილმა ეს არ იცოდეს, — ლონდონის ტაუერი კი არა, ილორი და სულორი ვერ გაურჩევია ერთმანეთისგან. ტაუერში მოკლეს მეფე ჰენრიხ მეექვსე, პრინცები — 12 წლის ედუარდ მეხუთე (აქაც ედუარდი!) და მისი უმცროსი ძმა რიჩარდი. ათეულობით წლის განმავლობაში იყვნენ ტაუერის ტყვეები ინგლისისა და სხვა ქვეყნების ელიტის წარმომადგენლები.

ტაუერში თავი მოჰკვეთეს მეფე ჰენრიხ მერვეს ცოლს, დედოფალ ანა ბოლეინს, მისსავე მეხუთე ცოლს – კეტრინ ჰოვარდს, ჯეინ გრეის, გილფორდ დადლის და სხვა არაერთ „მაღალ პერსონას“. მოკვეთილ თავს ლონდონის ხიდზე გამოფენდნენ ხოლმე სხვათა ჭკუის სასწავლებლად, გვამებს კი ტაუერის სარდაფებში მარხავდნენ. იქ 1500-ზე მეტი ნეშტი აღმოჩნდა. **არ ვიცი, რა იყო ტაუერში სიტყვით გამოსვლის ჩვეული პროცედურაო, — ამბობს სააკაშვილი, მაგრამ ის კი იცის, რომ ეს მათი ბოლო სიტყვა იყო ცხოვრებაში. სინამდვილეში იქ სიტყვით არავინ გამოდიოდა. თუმცა ეს ყველაფერი ან წიგნებიდან უნდა იცოდეს, ან რობერტ სტურუას სპექტაკლებიდან, მაგრამ არც ერთისთვის ჰყოფნიდა ოდესმე მოთმინება და არც მეორისთვის — განათლების მარაგი. ერთი, რაც მას დანამდვილებით აქვს, გამახვილებული ინტუიციაა; იგი კუთხეში მიმწყვდეული ცხოველივით გრძნობს საფრთხეს და ეს ალაპარაკებს ამ „ბოლო“ და „არაუკანასკნელ“ გამოსვლებზე.**

სააკაშვილს არც რიჩარდ მესამეს ისტორია გაუგია. არადა, პატარა პრინცები — ედუარდი და რიჩარდი სწორედ მან მოაკვლევინა ტაუერში. რობერტ სტურუას სპექტაკლი მაინც რომ ენახა, მისი ბოლო რეპლიკაც ეცოდინებოდა: **„ცხენი, ცხენი, მთელ სამეფოს ერთ ცხენში გავცვლი!“.** სხვათა შორის, რუსულ თარგმანში ეს რეპლიკა უფრო მსუბუქად ჟღერს: **„Коня, коня, полцарства за коня!“**, ანუ ცხენში ნახევარ სამეფოს ვიძლევიო. **მაგრამ, ქართული თეატრალური ტრადიციის თანახმად, მას მთელი სამეფოს გაღება მოუწევს იმ ცხენისთვის, რომელსაც აღარავინ შეაშველებს. სააკაშვილმა არა, მაგრამ მისმა დასავლელმა მეგობრებმა ძალიან კარგად იციან, რით მთავრდება ტაუერში სიტყვით გამოსვლის მცდელობა!**

**თამარ დავითულიანი**

მოკლედ

## პატიმართა მორიგი შეწყალება გიორგობის დღესასწაულზე

**კომისიის სხდომა პრეზიდენტის რეზიდენციაში 18 ნოემბერს გაიმართება და სწორედ ამ დღეს გახდება ცნობილი, თუ რამდენი პატიმარი შეხვდება გიორგობის დღესასწაულს საკუთარ სახლში.** განსახილველ საქმეთა ნუსხაში 250-დან 300-მდე განაცხადია. მათ შორისაა როგორც არასრულწლოვნების, ასევე ქალ პატიმართა საქმეები. კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძის განცხადებით, რეკომენდაციას მხოლოდ ის მსჯავრდებულები მიიღებენ, რომლებიც სასჯელს მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დანაშაულებისთვის იხდიან. უპირატესობა იმ პატიმრებს მიენიჭებათ, რომლებიც ციხეში ყოფნის პერიოდში დადებითი დახასიათებითა და კარგი ყოფაქცევით გამოირჩეოდნენ.

## თელავში მამა ილია ჩიკვაიძის მშობლების საფლავი დაარბიეს

**თელავში, ე.წ. ძველ სასაფლაოზე ვანდალური ფაქტი მოხდა. უცნობმა პირებმა მამა ილია ჩიკვაიძის მშობლების საფლავი დაარბიეს. საფლავის ქვა გადმოგდებულია, სასაფლაოზე აღმართული მარმარილოს ჯვარი კი დამტვრეული.** „ინციდენტი გუშინ ღამით მოხდა. რთულია ვინმეს დადანაშაულება, თუმცა საფლავის ქვა ხომ თავისით არ გადმოვარდებოდა და ჯვარი თავისით არ დაიმტვრეოდა. თუ ვინმემ საგანგებოდ გააკეთა, ღმერთმა შეუნდოს და აპატიოს“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მამა ილია ჩიკვაიძემ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნების მოგება, რომელიც დიქტატურის პირობებში ძალთა არნახულ კონცენტრაციას მოითხოვს, ავტომატურად ხელისუფლებაში მოსვლას როდი ნიშნავს, რადგან რეჟიმმა არჩევნების შედეგები შეიძლება საზოგადოებას თავზე გადაახიოს, ხოლო პოლიტიკურ ოპონენტს თამაშის ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე გაუსწორდეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ხალხის ნდობის მანდატი აქვს და უცხოელი პარტნიორებიც პატივისცემით ეკიდებიან.**

# სააკაშვილისგან შეიძლება ბაბანგიდა გამოვიდეს

**„დღეს ბევრი საუბარია იმასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რა თქმა უნდა, რადგან ის ქართველია. ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, დაბადებული საქართველოში თუ უცხოეთში, რომელსაც ქართული სული და ხორცი აქვს, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. მე მაწუხებს, რომ ასეთმა უბრალო საკითხმა გამოიწვია ასეთი არასასურველი კამათი. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მას საქართველოს მოქალაქეობას მიანიჭებს," — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძრაში საკვირაო ქადაგებისას. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქის განცხადება, როგორც ყოველთვის, საკმაოდ რბილი და დიპლომატიური იყო, ის ძალიან მკაფიო გზავნილს შეიცავდა; მის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხში რეჟიმმა თავი მძიმე, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიგდო.**





**ნიგერიის მმართველმა, გენერალმა იბრაჰიმ ბაბანგიდამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც არჩევნების შედეგები გააუქმა. ქვეყანაში არეულობა დაიწყო, მის ფონზე ხელისუფლების სათავეში ბაბანგიდაზე უარესი მონსტრი, გენერალი სანი აბაჩა მოვიდა**

### არ ჩამოუშლილან, მაგრამ გაფარჩაკდნენ

განწყობა, რომელიც საზოგადოებაში ამ პრობლემასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა და ნათლად აისახა ადგილობრივ და უცხოურ მედიაში, მარტივი და კონკრეტულია — **ივანიშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ისე უცხოელი დამკვირვებლების თვალში, ძალიან დიდი ალბათობით, შეუგნებელ, ოდიოზურ აფრიკულ დიქტატურას დაემსგავსება.** პოლიტიკური ოპონენტისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეუწყნარებელი ნონსენსი ჯერ კიდევ XX საუკუნეში იყო, XXI-ზე რომ არაფერი ვთქვათ. თანაც ეს დამოკიდებულება, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდება იმისდა მიუხედავად, თუ რა იურიდიულ კაზუისტიკას მიმართავს ხელისუფლება საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, რადგან საერთო საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ფონზე მისი არგუმენტები ფერმკრთალდება და თავის მართლების მცდელობას ემსგავსება. რაც შეეხება წმინდა იურიდიულ ასპექტს, კომენტატორების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ხელისუფლების არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელი და მეტწილად ყურით მოთრეულია.

ბოდიში არასაპარლამენტო ლექსიკისთვის, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, **არიან ამქვეყნად ადამიანები, რომლებიც საკუთარი წინდაუხედაობის გამო ნეხვით სავსე ორმოში ვარდებიან (იყო ემირ კუსტურიცას ერთ-ერთ ფილმში ასეთი დაუვიწყარი სცენა) და იქიდან ამტკიცებენ, რომ დიდების მწვერვალზე დგანან,** თანაც ორმოდან ამოსვლა ისე უნდათ, რომ „სახე შეინარჩუნონ". ამასობაში კი დრო გადის, ორმოსთან სულ უფრო მეტი ხალხი გროვდება და სიცილი სულ უფრო ხმამაღალი ხდება. იმის ნაცვლად, რომ ორმოდან სასწრაფოდ ამოძვრეს, სადმე განმარტოვდეს და თავი მოიწესრიგოს, ფიგურანტი გარშემომყოფებთან პოლემიკაში ებმება და რაღაცას უმტკიცებს, მაგალითად, იმას, რომ სინამდვილეში არ დამარცხებულა, სახელისუფლო ჟარგონი რომ ვიხმაროთ, „არ ჩამოიშალა და არ გაფარჩაკდა". თუმცა, რაც უფრო მეტ დროს გაატარებს ორმოში, მისი მდგომარეობა მით უფრო სავალალო გახდება.

**რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებული გაუგებრობა, სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, სულ უფრო დაემსგავსება დადან კარამბოლოს კუსტურიცას ცნობილი ფილმიდან, რომელიც ზემოთაღწერილ ორმოში ჩავარდა. ილია II-მ სააკაშვილს შექმნილი მდგომარეობიდან პრაქტიკულად ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი შესთავაზა, რომელიც შედარებით უმტკივნეულო და ნაკლებად სამარცხვინო იქნება. საინტერესოა, შეისმენს რეჟიმი მის მოწოდებას თუ ისევ ფართხალს განაგრძობს?** (თუ სად, ალბათ, დაწვრილებით აღვწერეთ).

ეს ეპიზოდი ივანიშვილისთვის აშკარად მომგებიანია, თუმცა მისი პოზიციები დღეს ისედაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. მართალია, პოლიტიკურ ავანსცენაზე მისი გამოჩენის შემდეგ, სრულყოფილი გამოკითხვა არ ჩატარებულა, თუმცა **იმ გამოკითხვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც ქართულ ინტერნეტ-სივრცეში, მართლაც რომ „ყოველ ფეხის ნაბიჯზე" ტარდება, ივანიშვილს მხარს გამოკითხულთა დაახლოებით 65-75% უჭერს, სააკაშვილს კი 15-25%, „მიუმხრობლები" სადღაც 5-15%-ს შეადგენენ, მათ რიცხვს, ალბათ, უნდა მივაკუთვნოთ სხვა პოლიტიკური ძალების „ტრადიციული მომხრეები" და ის ამომრჩევლები, რომლებიც „ყველას წინააღმდეგ" გამოდიან.**

**არიან ამქვეყნად ადამიანები, რომლებიც საკუთარი წინდაუხედაობის გამო ნეხვით სავსე ორმოში ვარდებიან (იყო ემირ კუსტურიცას ერთ-ერთ ფილმში ასეთი დაუვიწყარი სცენა) და იქიდან ამტკიცებენ, რომ დიდების მწვერვალზე დგანან**

### ძია სემის ბუღალტერია

**ცხადია, მსგავსი ინტერნეტ-გამოკითხვები გლობალური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას არ გვაძლევს, თუმცა მათი შედეგები რეალობასთან, სავარაუდოდ, საკმაოდ ახლოს დგას. ალბათ, თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურ საუბრებში სხვადასხვა ადამიანებთან რწმუნდება იმაში, რომ ეს ციფრები საზოგადოების განწყობას ასე თუ ისე ადეკვატურად ასახავს.**

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბოლო თვის განმავლობაში მმართველმა ჯგუფმა, სავარაუდოდ, მხარდამჭერების ერთგვარი „ინტერნეტ-მობილიზაცია" მოახდინა; ისინი სოციალურ ქსელებში ჯერაც არნახული მონადინებით აქტიურობენ (არსებობს კონსპიროლოგიური, თუმცა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ვერსიები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ აქტიურობის კოორდინირება აღმასრულებელი ხელისუფლების რიგი სტრუქტურების მეშვეობით ხდება).

მალე, ბუნებრივია, „რეიტინგების ომი" დაიწყება, რომლის დროსაც ორივე მხარე ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს გამოაქვეყნებს. ყველაზე საინტერესო კი ოდნავ მოგვიანებით მოხდება, როდესაც ქართული საზოგადოების წინაშე ამერიკელი მკვლევარები წარსდგებიან. აქ კერძო ფირმები კი არ იგულისხმება, არამედ ის ორგანიზაციები, რომლებიც (მათი თქმით) დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში გვეხმარებიან და მიუკერძოებლობის მკაფიოდ გამოკვეთილი პრეტენზია აქვთ. ზოგი, შესაძლოა, მათ მონაცემებს ობიექტურობის უმაღლეს გამოვლინებად თვლის, თუმცა საზოგადოების საკმაოდ მოცულობითი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ციფრების მთავარ დანიშნულებას საზოგადოებრივ აზრზე მიზანმიმართული ზემოქმედების მოხდენა წარმოადგენს. ცხადია, ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობთ გამოკითხვის უხეშ გაყალბებაზე, თუმცა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ სოციოლოგიის თანამედროვე ინსტრუმენტარი სასურველი შედეგის მიღების საკმაოდ მრავალფეროვან შესაძლებლობებს იძლევა. ამასთანავე, ზოგიერთი კომენტატორი განიხილავს ამ მონა- ▶

მოკლედ

### ბიუჯეტში სოფლის დაფინანსება და პენსიონერთა დაზღვევა «გამორჩათ»

**საპარლამენტო ოპოზიციამ პენსიონერების დაზღვევის თანხები ბიუჯეტის პროექტში ვერ აღმოაჩინა. პენსიონერების საყოველთაო დაზღვევის იდეა მხოლოდ ქაღალდზეა – ამ განცხადებას საპარლამენტო ოპოზიცია საბიუჯეტო განხილვების წინ აკეთებს.**

მათი განცხადებით, ბიუჯეტის პროექტში, რომელიც პარლამენტში მთავრობიდან გადამუშავებული სახით შევიდა, არაფერია ნათქვამი პენსიონერთა საყოველთაო დაზღვევისთვის საჭირო ფინანსურ რესურსზე. მთავრობამ პარლამენტს სოფლის პროგრამის დაფინანსების გაზრდაზეც უარი უთხრა. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის გადასამუშავებლად საკანონმდებლო ორგანომ სოფლის დახმარების პროგრამის დაფინანსების გაზრდა მოითხოვა. თუმცა, ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებისას მთავრობამ შენიშვნა არ გაითვალისწინა და პროგრამის დაფინანსების თანხად კვლავ 40 მილიონი დატოვა. მთავრობამ ასევე განუმარტა პარლამენტს, რომ „2010-2012 წლებში ამ პროგრამის ფარგლებში სულ გამოიყოფა 120 მილიონი ლარი".



პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო დროს საქართველოში უცნაური ეიფორია სუფევს, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეა განწყობილი, თითქოსდა ხელისუფლება უკვე შეიცვალა და სააკაშვილი ჩემოდნებს ალაგებს. რამაზ საყვარელიძე, პრაქტიკულად, ერთადერთი ექსპერტი იყო, რომელმაც მკაფიოდ მიუთითა ძალადობის საფრთხეზე და თქვა, რომ ხელისუფლება ბოლომდე, თუნდაც მიუღებელი მეთოდების გამოყენებით, იბრძოლებს.**

◀ცემებს, როგორც ერთგვარ ინდიკატორს, რომელიც ირიბად მიანიშნებს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ვაშინგტონს სააკაშვილის რეჟიმის მიმართ.

გამორიცხული არაა, რომ ამ გამოკითხვებში საყაიმოსთან მიახლოებული შედეგი დაფიქსირდეს და ამას შეიძლება შემდეგი მიზეზები განაპირობებდეს: ერთის მხრივ, სააკაშვილისთვის აბსოლუტური უპირატესობის მინიჭება რეალობას და საზოგადოების განწყობას მეტისმეტად აცდენილი იქნება, რამაც შეიძლება ძლიერი ანტიამერიკული განწყობა გააღვივოს. სავარაუდოდ, ვაშინგტონს ასევე არ სურს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აიღოს, სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩეს და დიქტატურა „ჩააბეტონოს“. მაგრამ, თუ ამ მონაცემებში ივანიშვილის აშკარა უპირატესობა დაფიქსირდება, რეჟიმის თავკაცებს შეიძლება კიდევ უფრო გაუმძაფრდეთ იმის შეგრძნება, რომ კუთხეში არიან მიმწყვდეულნი და აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, რაღაც სრულიად არანორმალური ჩაიდინონ. **შესაძლოა, საყაიმო შედეგი, ერთი ან მეორე მხარის მცირე უპირატესობით, ამერიკელებისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნეს, რადგან ამ შემთხვევაში რეჟიმის თანდათანობითი დემონტაჟი მაინც დაიწყება, ოღონდ ამას განსაკუთრებული რყევები და დესტაბილიზაცია, სავარაუდოდ, არ მოჰყვება. თანაც ამ სიტუაციაში, ამერიკელ პარტნიორებს ლათინურ ამერიკაში კარგად ნაცადი ორპარტიული მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობა მიეცემათ, რომლის ორივე პოლუსი, ასე თუ ისე, მათზე დამოკიდებული იქნება.**

ცხადია, თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელების ჭკუაზე უნდა გავიაროთ ან მათ მიერ გაჟღერებული ციფრები აღვიქვათ „ჭეშმარიტებად უკანასკნელ ინსტანციაში“. ამასთანავე, აღწერილი აზარტული თამაშები პოლიტიკურ სივრცეში შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ სააკაშვილი (და მისი გარემოცვა) ადეკვატურობას შეინარჩუნებს და ხელისუფლების ეტაპობრივ შეზღუდვას, საბოლოოდ კი მის დათმობას შეეგუება.

**შესაძლოა, საყაიმო შედეგი, ერთი ან მეორე მხარის მცირე უპირატესობით, ამერიკელებისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნეს, რადგან ამ შემთხვევაში რეჟიმის თანდათანობითი დემონტაჟი მაინც დაიწყება, ოღონდ ამას განსაკუთრებული რყევები და დესტაბილიზაცია, სავარაუდოდ, არ მოჰყვება. თანაც ამ სიტუაციაში, ამერიკელ პარტნიორებს ლათინურ ამერიკაში კარგად ნაცადი ორპარტიული მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობა მიეცემათ, რომლის ორივე პოლუსი, ასე თუ ისე, მათზე დამოკიდებული იქნება**

## ნიგერია და იბერია

**თუ სიტუაციას ობიექტურად, ზედმეტი ემოციების გარეშე შევაფასებთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ხელისუფლების გამოხტომები «ნიგერიულ სტილში» პრაქტიკულად გარანტირებული გვაქვს**

არცთუ დიდი ხნის წინ სააკაშვილმა „EurActiv“-თან საუბარში განაცხადა, რომ პრემიერის პოსტი ნაკლებად აინტერესებს, შემდეგ ლონდონში უცნაურად იხუმრა „ბოლო სიტყვასა და ბოლო გამოსვლაზე“, რაც ზოგმა იმის ირიბ დადასტურებად ჩათვალა, რომ სააკაშვილი შეგუებულია, რომ ხელისუფლებას უნდა დაემშვიდობოს, რაც, ქართული საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორების სურვილებსა და მოლოდინებს, ალბათ, სავსებით შეესაბამება. თუმცა ყოვლისმომცველი დასკვნების გაკეთება ამ ორაზროვან, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ფრაზებზე დაყრდნობით მაინცდამაინც სასურველი არ არის. ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ, როდესაც სააკაშვილი თავს იკანტუნებს, მოულოდნელად შეიძლება დიდი უბედურება მოხდეს.

იყო ნიგერიაში ასეთი კაცი — მოშუდ აბიოლა, რომელიც ღარიბ ოჯახში დაიბადა. ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა, როდესაც შეშის გაყიდვა დაიწყო იმისთვის, რათა ოჯახს ოდნავ მაინც დახმარებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდა ის ცხოვრების გზას და ბოლოს საკუთარი შრომისმოყვარეობისა და ნებისყოფის წყალობით, ძალიან მდიდარი ადამიანი გახდა. აბიოლა ცნობილი ქველმოქმედი იყო, მან 121 ეკლესია და მეჩეთი, 63 სკოლა, 41 ბიბლიოთეკა ააშენა და ნიგერიის სხვადასხვა რეგიონში წყლით მომარაგების 21 პროექტი დააფინანსა. როდესაც აბიოლა პოლიტიკაში წავიდა, მას მხარი უამრავმა ნიგერიელმა დაუჭირა, რომელიც იმედოვნებდა, რომ ეს ღირსეული ადამიანი შეძლებდა ქვეყანაში სიღარიბე დაემარცხებინა და ნიგერიის ყოვლად ამაზრზენი ხელისუფლება ისტორიის სანაგვეზე მოესროლა; უცხოელი პარტნიორები მას ინტერესითა და კეთილგანწყობით უყურებდნენ. შემდეგ იყო 1993 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც აბიოლამ ყველა ნეგატიური ფაქტორის მიუხედავად მოიგო (ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს არჩევნების მოგება აღვირახსნილი ნიგერიული დიქტატურის პირობებში?). მილიონობით ადამიანმა ირწმუნა, რომ სულ მალე მათი ოცნება ახდებოდა, მწვერვალამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა.

შემდეგ კი **ნიგერიის მმართველმა, გენერალმა იბრაჰიმ ბაბანგიდამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც არჩევნების შედეგები გააუქმა.** ქვეყანაში არეულობა დაიწყო, მის ფონზე ხელისუფლების სათავეში ბაბანგიდაზე უარესი მონსტრი, გენერალი სანი აბაჩა მოვიდა. ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მოშუდ აბიოლა დააპატიმრეს. მისი მეუღლე, კუდირატ აბიოლა, რომელიც აქტიურად ჩაება დემოკრატიული ძალები ბრძოლაში ხელისუფლებამ 1995-ში მოკლა.

1998-ში, როდესაც სანი აბაჩა გარდაიცვალა, საერთაშორისო ზეწოლა ნიგერიის ხელისუფლებაზე გაძლიერდა, ის იძულებული გახდა, აბიოლას გათავისუფლების გადაწყვეტილება მიეღო, თუმცა გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე ის მოულოდნელად გარდაიცვალა. იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა სინამდვილეში იმ დღეს ციხეში, რამდენიმე ძალიან საინტერესო ვერსია არსებობს, თუმცა მათი დეტალური განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ჩვენთვის მთავარი ამ ისტორიაში სულ სხვა რამ არის.

**არჩევნების მოგება, რომელიც დიქტატურის პირობებში ძალთა არნახულ კონცენტრაციას მოითხოვს, ავტომატურად ხელისუფლებაში მოსვლას როდი ნიშნავს, რადგან რეჟიმმა არჩევნების შედეგები შეიძლება საზოგადოებას თავზე გადაახიოს, ხოლო პოლიტიკურ ოპონენტს თამაშის ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე გაუსწორდეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ხალხის ნდობის მანდატი აქვს და უცხოელი პარტნიორებიც პატივისცემით ეკიდებიან.**

ბოლო დროს საქართველოში უცნაური ეიფორია სუფევს, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეა განწყობილი, თითქოსდა ხელისუფლება უკვე შეიცვალა და სააკაშვილი ჩემოდნებს ალაგებს. **რამაზ საყვარელიძე, პრაქტიკულად, ერთადერთი ექსპერტი იყო, რომელმაც მკაფიოდ მიუთითა ძალადობის საფრთხეზე და თქვა, რომ ხელისუფლება ბოლომდე, თუნდაც მიუღებელი მეთოდების გამოყენებით, იბრძოლებს.** მის განცხადებას საზოგადოებამ, შესაძლოა, იმაზე ნაკლები ყურადღება დაუთმო, ვიდრე ის იმსახურებდა. გამორიცხული არაა, რომ ის მეტისმეტად ალარმისტულად ჩათვალეს ან არ ჩაუღრმავდნენ იმის გამო, რომ ის საერთო ემოციურ ფონს ნაკლებად შეესაბამებოდა. არადა, საყვარელიძე ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სავსებით რეალურ საფრთხეზე საუბრობდა. **თუ სიტუაციას ობიექტურად, ზედმეტი ემოციების გარეშე შევაფასებთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ხელისუფლების გამოხტომები „ნიგერიულ სტილში“ პრაქტიკულად გარანტირებული გვაქვს.**

**ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად შეუძლია საპარლამენტო არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგოს; ამისთვის თითქმის ყველა აუცილებელი წინაპირობა არსებობს. უამრავი ადამიანი, სხვადასხვა ფორმით, მას რჩევებს აძლევს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გახადოს ეს გამარჯვება გარდაუვალი, უფრო დამაჯერებელი და ა.შ. ამ ტენდენციას გვერდს, ალბათ, ვერ ავუვლით. წერილის ავტორს შეუძლია ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ ერთი რამ ურჩიოს: თვალი გადაავლოს ნიგერიის „უგვირგვინო პრეზიდენტის“ — მოშუდ აბიოლას ბიოგრაფიას; არასოდეს, წარმატების მწვერვალზეც კი, არ დაავიწყდეს, თუ რა ტიპის ადამიანები იმყოფებიან დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში, და ის, რომ მათ შეუძლიათ წარმოუდგენელი (Unthinkable), აბსოლუტურად მიუღებელი რამ მოიმოქმედონ. სულ ეს არის. „გამარჯვების ფორმულა“ კი ივანიშვილმა, სავარაუდოდ, უჩემოდაც მშვენივრად იცის.**

**დიმიტრი მონიავა**

# სოსო თოფურიძე ტაძარს აშენებს?

**თბილისთან ახლოს, კრწანისში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სამონასტრო კომპლექსი შენდება. შეჭირვებულთა მფარველი წმინდანის სახელობის მონასტერს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, ე. წ. კუდის უფროსი სოსო თოფურიძე აშენებს. აღნიშნულ მშენებლობაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, მანამდე კი თოფურიძის თვალშისაცემ კავშირებზე გადავიტანოთ ყურადღება, რომელიც მან ეკლესიასთან დაამყარა.**

ლეიბორისტების მიერ რეფორმირებული პოლიციის „დოქსოპულოდ“ მონათლულმა თოფურიძემ საზოგადოებას თავი „კუდის“ ხმაურიანი ოპერაციებით გააცნო და ნაციონალური არხების სახე გახდა. თოფურიძის ბრიფინგები, ბევრს 30-იან წლებს ახსენებდა. ასეთი იმიჯის მქონე თოფურიძე მოგვიანებით გასართობი შოუ-პროგრამების სახედ იქცა, ამაზე ვანო ჯავახიშვილმა იზრუნა. უკანასკნელად კი პოპულარულმა სოსომ ჰოლივუდის კინოვარსკვლავებთან ერთად იპოზიორა. საუბარია პროექტზე „შერონ სტოუნი გადაარჩენს საქართველოს“. გახსოვთ, ალბათ, თბილისში ჩამოსულ მეგავარსკვლავს თოფურიძე ორი დღის მანძილზე გვერდიდან არ მოშორებია. დაბოლოს, სოსო ჰოლივუდის სექსსიმბოლოს საპატრიარქოში შეუძლვა და მის უწმინდესობას შეახვედრა. შერონ სტოუნის ვიზიტმა საპატრიარქოში მართლმადიდებელი მრევლის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. აქვე იმ შემთხვევასაც გავიხსენებ, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებულ პირებს რომ შეუძლვა თოფურიძე სამებაში და პატრიარქს დაალოცვინა. ამ კადრებმა მაშინ საზოგადოება შოკში ჩააგდო. ეს ის ფაქტებია, რაც გაცხადდა და ყველამ იცის.

**ახლა კი იმაზე, რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი კრწანისში მშენებარე მონასტერთან დაკავშირებით. ამის შესახებ იმ სასულიერო პირს ვესაუბრეთ, რომელიც აღნიშნულ მშენებლობაში მონაწილეობდა. მის სახელს და გვარს მისივე თხოვნით არ ვახმაურებთ.**

— წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის მონასტერი ბატონი სოსო თოფურიძის ფინანსური და ფიზიკური ძალისხმევით შენდება. მე როგორც ვიცი, ამ კაცს ახლო ურთიერთობა აქვს სასულიერო პირებთან, ათონის მთასაც ხშირად სტუმრობს.

**— რა ეტაპზეა ეკლესიის მშენებლობა და რამდენად მასშტაბურია?**

— ეს სამონასტრო კომპლექსია და საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე შენდება. ღვთისმსახურება უკვე მიმდინარებს და კელიებიც გაკეთდა, სადაც ბერები ცხოვრობენ.

**— ტერიტორიულად სად არის ეს მონასტერი?**

— თბილისთან ახლოს, კრწანისის თავზე.

ერთი სიტყვით ეს ის ოფიციალური ინფორმაციაა, რომელიც ფაქტებით დასტურდება, **არაოფიციალურად კი ჩვენთვის ცნობილი ხდება სინოდის წევრებთან ერთად თოფურიძის ხშირი მიმოსვლა ათონის მთაზე. სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა თითქმის დასრულებულია და, როგორც სასულიერო პირი გვეუბნება, იქ რამდენიმე კელია უკვე აშენდა და ბერებიც იმყოფებიან, ღვთისმსახურებაც მიმდინარეობს და მალე სოსო თოფურიძის ფინანსური ძალისხმევით მთლიანად დასრულდება.**

მამაო პირად საუბარში იმასაც გვეუბნება, რომ მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია იგეგმება და ესეც თოფურიძეს მოუგვარებია მთავრობასთან. რა ფინანსები გაიღო სოსო თოფურიძემ მონასტრის ასაშენებლად, ეს ინფორმაცია მამაომ არ გაახმაურა. თუ ბატონი სოსო ამის გახმაურებას გადაწყვეტს, სიამოვნებით მოვუსმენთ. თან ახლა უანგარო ქველმოქმედების გასაჯაროება მოდაში შემოვიდა.

რაც შეეხება ფინანსურ სახსრებს, ეკლესიის დახმარებაში დასაძრახი არაფერია, პირიქით, ბატონ სოსოს წარმატებას ვუსურვებთ ამ საქმეში, უბრალოდ, ერთი საეჭვო გარემობაა, კერძოდ ის, რომ მედიასაშუალებებში პერიოდულად ვრცელდება ინფორმაციები თოფურიძის საეჭვო კავშირებზე საბანკო ანგარიშებთან. **როგორც ამბობენ, „კუდი“ საეკლესიო ანგარიშებს გაურკვეველი წარმომავლობის ფულისთვის იყენებს. ერთი ასეთი გადარიცხვის შესახებ ფარული სატელეფონო ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის.**

საუბარია, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოგონილ „კოკაინის“ საქმეზე, რომლის შესახებაც სტუდია „ჯიენესმა“ რამდენიმეჯერ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება. **ფარულ სატელეფონო ჩანაწერში „კუდის“ თანამშრომელი სოსოს სახელით ძებნილ ნუგზარ ბოჭორიშვილს 3 მილიონი ევროს ჩარიცხვას სთხოვს და ძებნილის სტატუსის მოხსნას ჰპირდება.**

ამ მძიმე ბრალდებებისთვის სოსო თოფურიძეს პასუხი დღემდე არ გაუცია. შესაბამისად, მისი პერსონის ირგვლივ კითხვის ნიშნები გროვდება.

**ირაკლი მამალაძე**

# ნაურუში ერთ კვირაში უკვე მესამე პრეზიდენტს ცვლიან

**ჯუჯა სახელმწიფო ნაურუმ, რომელიც წყნარი ოკეანის ქვეყანაა, ახალი პრეზიდენტი აირჩია მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ფრედი პიტჩერის უნდობლობას კენჭი უყარა.** თავის მხრივ, პიტჩერი ამ თანამდებობაზე მისი წინამორბედის, მარკუს სტივენის გადადგომიდან 6 დღის შემდეგ დაინიშნა. ყოფილი პრეზიდენტი კორუფციაში ამხილეს. ახალი პრეზიდენტი სპრეტ დაბვიდო მანამდე ტელეკომუნიკაციების მინისტრი იყო. აღსანიშნავია, რომ ნაურუს რესპუბლიკამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა 2009 წელს რუსეთის, ვენესუელასა და ნიკარაგუას შემდეგ აღიარა.



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

...net
...ტელ: 234-32-95



დღეს მსოფლიოში, როგორც წესი, სწორედ უმცირესობა მართავს პროცესებს. მათ ხელშია მსოფლიო სიმდიდრის უდიდესი ნაწილი, ისინი წყვეტენ, ვინ გადარჩეს და ვინ შეეწიროს „დემოკრატიის იდეალებს“, მათი განაჩენით ილუპებიან ადამიანები უცხო ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიო ბატონობის მათეულ მონოპოლიას უქმნიან საფრთხეს.



# ტიტანებიდან ტაკიმასხარებამდე

**ჩვენი პრობლემა სააკაშვილის ხელისუფლება არ არის. იგი ერთი დიდი, ჭრელი საბნის პატარა საკერებელია. ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ ამ საბნის უფრო დიდ საკერებლებს და გვგონია, რომ ვიცით, რა ხდება. სინამდვილეში, ეს ძაფზე დაკიდებული მარიონეტების თეატრია და სხვა არაფერი. რეალური მოვლენები კი მანჰეტენზე, დიდი ოცეულის სამიტებზე, სხვადასხვა ფორმატის შეკრებებზე ხდება.**

**ოდესღაც მსოფლიო პოლიტიკაში ტიტანების ეპოქა იყო, თუმცა უფროს-უმცროსობა მათ შორისაც არსებობდა. უინსტონ ჩერჩილმა სტალინის საჯაროდ ძაგება მხოლოდ მას შემდეგ გაბედა, რაც დარწმუნდა, რომ „ძია ჯოს“ ტახტს ტაკიმასხარა ნიკიტუშკა დაეპატრონა. წავიდა რუზველტიც, ჩერჩილიც, ბროზ ტიტოც, დე გოლიც... მოვიდნენ ტაკიმასხარები. თანაც ისეთები, რომელთა ფონზე ხრუშჩოვი თითქმის ბრძენკაცად გამოიყურება.**

ისინი ერთმანეთს ჰგვანან. მერე რა, რომ ზოგი ქალია, ზოგი — ფერადკანიანი, ზოგს კი არ ერცხვინება, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის მერი იყოს და შეთავსებით — ჰომოსექსუალი. ისინი ერთნაირად ლაპარაკობენ, ერთნაირად იღიმიან, ერთსა და იმავე „საფრთხეებზე და გამოწვევებზე“ საუბრობენ.

**ერთ-ერთი მათგანი, ჩვენი მეგობარი ანდერს ფოგ რასმუსენი ორიოდე დღის წინ ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. დღევანდელი მსოფლიოს ლიდერები ამაშიც ჰგვანან ერთმანეთს. ეს კეთილმოწყობილი კლასი ისეთივე მარცხიანია, როგორც „ჩვენი მაღალი“. მასავით ხან ველოსიპედიდან ვარდება, ხან მანქანით რაიმეს შეასკდება, ხანაც ციგურებზე ან თხილამურებზე სრიალისას შავდება.**

„ველოსიპედი ევროპული ცხოვრების წესია,“ — ამტკიცებს სააკაშვილი. ხელმოტეხილი რასმუსენიც უდასტურებს. სხვათა შორის, ერთხელ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი ველოსიპედით პოლიციელს დაეჯახა და ველოსიპედი დაამტვრია. **ველოსიპედის არა, მაგრამ თვითმფრინავის მართვისას მარცხიანობის რეკორდსმენი „ჩვენი მაღალის“ კიდევ ერთი მეგობარი ჯონ მაკეინია. ახალგაზრდობაში, ტეხასში სამსახურისას, თვითმფრინავიანად ჩამოვარდა, მაგრამ გადარჩა; 60-იან წლებში ესპანეთში თვითმფრინავით ელექტროგადამცემ ხაზებს გამოედო და მისისიპიში დააბრუნეს ინსტრუქტორად. ვიეტნამის ომის დროს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, კატაპულტირებისას ტბაში ჩავარდა და კინაღამ დაიხრჩო, მოიტეხა ორივე ფეხი და ხელი.**

ყოველგვარი ტექნიკური საშუალებების გარეშე „იმარჯვეს“ რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. **ბორის ელცინს სარდინიაში დასვენებისას ტუალეტში ფეხი დაუცდა და ბარძაყი მოიტეხა.** როცა ვილას „ილ ტარტარუჯინო“, ანუ ტარტაროზი ჰქვია, სხვას რას უნდა ელოდე! **ჰილარი კლინტონს ისე ეჩქარებოდა თეთრ სახლში მისვლა, რომ ფეხი დაუცდა და ხელი მოიტეხა. 83 წლის მარგარეტ ტეტჩერს კი არსად აგვიანდებოდა, მაგრამ ლონდონში, საკუთარ სახლში, დაეცა და მანაც ხელი მოიტეხა.**

სამაგიეროდ, იტალიის სკანდალურად ცნობილ აწ უკვე ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის ვიღაც მილანელი მიეჭრა და ლითონის სტატუეტით ცხვირი და ორი კბილი ჩაუმტვრია.

**ერთი სიტყვით, ჩვენ მარცხიანი ტაკიმასხარების ეპოქაში ვცხოვრობთ. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან, ხვდებიან, აცილებენ, იკრიბებიან, დასციინიან, ალალი გამომეტყველებით ცრუობენ, ჩვენ კი ჩვენი პრობლემების ამარა ვართ დარჩენილი და ვერ გაგვიგია, რატომ იღებს პარლამენტარი თვეში 3000 ლარზე მეტ გასამრჯელოს, როცა ერთი ზრდასრული ადამიანის საარსებო მინიმუმად 155 ლარს და 60 თეთრს გვიწესებენ?**

ვერც იმას ხსნის უჩინო მოქალაქე, რაში გამოიხატება ჩვენი ეკონომიკური ზრდა და „ნომერ პირველი რეფორმატორობა“, ვერც იმას, რომ ამ ზრდისა და წინსვლის კვალობაზე სულ უფრო და უფრო ჭირს ცხოვრება. ომი მოვიგეთ, მაგრამ ომი არ დაგვიმთავრებია. ტერიტორიები დავკარგეთ, მაგრამ ყველაზე ეფექტური მთავრობა გვყავს, ეკონომიკა არ გვაქვს, სამაგიეროდ, მდგრადი მინისტრი გვყავს. ელექტროენერგია 2003 წლის მერე ვნახეთ პირველად (ასეთ ინფორმაციას აწვდიან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლელ მეგობრებს), მაგრამ ანთებას ვერიდებით, რადგან „ნაგავს წერს“.

**ჩვენ ვართ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მაგრები, იმიტომ, რომ მიშა მაგარია! მიშას სიმაგრე კი იმ შელოცვაშია, რომელსაც ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებენ მისი მორჩილი სატელევიზიო ზონდერბრიგადები:**

რევოლუციამდე საქართველო მხოლოდ ფორმალურად იყო დამოუკიდებელი; „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველომ ევროპისკენ სვლა დაიწყო; საქართველომ უპირატესობა კანონის უზენაესობას მიანიჭა; საქართველომ დაძლია კორუფცია; საქართველომ შეძლო ფართომასშტაბიანი დეცენტრალიზაცია; „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მიღწევა ის არის, რომ სახელმწიფო შედგა; საქართველო სიახლის, უკეთესის შექმნის, ცივილიზებულ გარემოში ცხოვრების გზაზეა შემდგარი; რეფორმების მიზანია ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება; ჩვენი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის ამოქმედება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ყოველი ადამიანის დაცვა, მისი განვითარებისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა; ყველაზე მთავარი, რაც ქვეყანამ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მიიღო, არის სოციალური ტრანსფორმაცია; ჩვენ ვაჩვენეთ, რომ შესაძლებელია ერთდროულად გქონდეს თავისუფლებაც და წესრიგიც; „ვარდების რევოლუცია“ დაიწყო 7 წლის წინ და დღესაც გრძელდება. იგი ემსახურება სწორედ იმას, რომ ძალაუფლება ხალხმა აიღოს საკუთარ ხელში და საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდეს;

„ვარდების რევოლუციის“ მთავარი მიღწევა ისაა, რომ ჩვენ ღირსება დავიბრუნეთ; ჩვენ გვერჩიან იმიტომ, რომ საქართველო ყველაზე განვითარებული ქვეყანაა რეგიონში; გაძლიერდა პარლამენტის როლი უსაფრთხოების სფეროს დემოკრატიულ ზედამხედველობაში; „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოგვარდა ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა; განვითარდა სპორტის ყველა სახეობა. სპორტული ფედერაციები ეფექტური გახდა; ქართული მედიის ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ საზოგადოებამ არ იცის მათი მფლობელების ვინაობა.

სასამართლოს ნდობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა — გამოკითხულთა 72% ენდობა.

საქართველოს მოსახლეობის 77% ნატოში შესვლას უჭერს მხარს.

გამოკითხულთა 68% მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას დადებითად აფასებს.

ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტს 62% ქვეყნის უსაფრთხოებისთვის დადებით ნაბიჯად მიიჩნევს.

გიორგი თარგამაძეს საქართველოს მასშტაბით 62%-იანი ნდობა აქვს.

სააკაშვილის თქმით, მისი რეიტინგი 76%-ს შეადგენს.

**რეიტინგები, როგორც ცნობილია, ეშმაკის გამოგონებაა. ჩვენი ხელისუფლებაც, სხვა ეშმაკობებთან ერთად, ამ გამოგონებით სრულად სარგებლობს. მთავარი ის კი არ არის, რას ფიქრობთ თქვენ, არამედ ის, თუ რას გამოგიცხადებთ, მაგალითად, ლუის ნავარო. თუ არ მოგწონთ, თავი იმ უმცირესობაში იგულეთ, რომელიც ნავარომ შემოგიხაზათ.**

ზოგადად, ჩვენი ეპოქა მხოლოდ ტაკიმასხარებით არ გამოირჩევა; **დღეს მსოფლიოში, როგორც წესი, სწორედ უმცირესობა მართავს პროცესებს. მათ ხელშია მსოფლიო სიმდიდრის უდიდესი ნაწილი, ისინი წყვეტენ, ვინ გადარჩეს და ვინ შეეწიროს „დემოკრატიის იდეალებს“, მათი განაჩენით ილუპებიან ადამიანები უცხო ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიო ბატონობის მათეულ მონოპოლიას უქმნიან საფრთხეს.**

მასონებზე არ მოგახსენებთ. ეს მცირე ჯგუფი იმ ქაღალდების მონოპოლისტია, რომელზეც ჩვენნაირი ქვეყნების სიმდიდრე იყიდება. იმ ქაღალდების, რომლის უკანაც არაფერი დგას მათ მიმართ მონური ნდობის გარდა. ჩვენ კი, ბრჭყვიალა ქაღალდებით მოხიბლული პაპუასებივით, ღიმილით ვასხვისებთ იმას, რამაც ჩვენ და ჩვენი შვილები უნდა გვარჩინოს, შვილებს კი ინგლისურს ისე მონდომებით ვასწავლით, თითქოს მათხოვარი ამერიკელი არ გვენახოს!

**ჩვენი პრობლემა სააკაშვილის ხელისუფლება არ არის. იგი ერთი დიდი, ჭრელი საბნის პატარა საკერებელია. ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ ამ საბნის უფრო დიდ საკერებლებს და გვგონია, რომ ვიცით, რა ხდება. სინამდვილეში, ეს ძაფზე დაკიდებული მარიონეტების თეატრია და სხვა არაფერი. რეალური მოვლენები კი მანჰეტენზე, დიდი ოცეულის სამიტებზე, სხვადასხვა ფორმატის შეკრებებზე ხდება. მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რომ „შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს არჩეული კურსის ერთგულება“.**

პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაშიც კი იმ დიდ საბანზე მხოლოდ საკერებელი შეიცვლება, თუ, რა თქმა უნდა, თვალს არ გავახელთ და საკუთარ თავს არ ვკითხავთ: **ღირდა კია ერთი — საბჭოთა ტყუილიდან მეორე — ლიბერალურ ტყუილში გადახტომა, რომელიც, ყველაფერთან ერთად, არც ხორცს იძლევა, არც კვერცხს და არც ბუნდღას?!**

ბიზნესი

## არც ერთი ტანსაცმლის მაღაზია ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი არაა

**საქართველოში გაურკვეველი წარმომავლობის კომპანიები მომრავლდა, რომლებიც, როგორც თავად აცხადებენ, „მაღალხარისხიან პატენტ პროდუქციას“ ყიდიან. რეალურად კი მათი პროდუქცია ყალბია. ამის შესახებ კომპანია „თრეიდლაინის“ mybrand.ge-ს წარმომადგენლის განცხადების საპასუხოდ აცხადებს.** შეგახსენებთ: mybrand.ge-ს წარმომადგენელმა ლევან ნიკოლეიშვილმა commersant.ge-სთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული ტანსაცმლის არც ერთი მაღაზია ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი არ არის. მისი თქმით, ლუქს კლასის ბრენდების ორიგინალი პროდუქციის ღირებულება იმდენად მაღალია, რომ საქართველოში მათი გაყიდვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.



**რადგან სიტყვამ მენიუ მოიტანა, აქვე უნდა ითქვას რომ ბატონი მიხეილი ანგარიშგასაწევი ლიდერებისაგან პირადი მენიუთიც განსხვავდება და, სანამ რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ჰამბურგერს მიირთმევენ, თან „ჯექსონ-ვენიკის“ შესწორების გაუქმებაზე თანხმდებიან, თავზარდაცემული ლოღნის მეწამულ ჰალსტუხს, რადგან მშვენივრად იცის რომ მალე, თვითონაც ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის მენიუს მორიგ „კერძად“ იქცევა.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტების მენიუ და უპიჯაკოდ დარჩენილი სააკაშვილი

**გასულ კვირას საქართველოში ვიზიტორთა ცვენა იყო. ხუმრობა ხომ არ არის თვით ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი გვსტუმრობდა თავისი ამალითურთ. მართალია, ახალი და მნიშვნელოვანი არც არაფერი თქმულა და არც არაფერი მომხდარა, მაგრამ „ნაციონალური“ საზომით ეს ვიზიტი უკიდურესად „ისტორიული“ იყო. არადა, როგორც ნატოს გენმდივანმა განაცხადა, ვიზიტი „ჩიკაგოს სამიტისთვის მოსამზადებელი პერიოდის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ეს მოსამზადებელი პერიოდი ჯერ არ დაგვისრულებია.**
**იქამდე 6 თვეა და შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ჯერჯერობით პროგრამაზე მუშაობა არ დაგვისრულებია, არავითარი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ნატოს მოკავშირეები, რასაკვირველია, საქართველოს საკითხს განიხილავენ. აქ, უბრალოდ, იმაზეა ლაპარაკი, რა და როგორი ფორმით მოხდება. ჩვენ დიალოგს სამიტამდე გავაგრძელებთ“.**



იბადება კითხვა: რა მოხდება ჩიკაგოს სამიტზე და რა გადაწყვეტილებას მიიღებენ საქართველოსთან დაკავშირებით? — ჩვენი მხრიდან იმაზე თვალის დახუჭვა უვიცობა იქნებოდა, რომ ობამას ხელისუფლება, რომელიც რუსეთთან წარმატებულ გადატვირთვაზე დიდ იმედებს ამყარებს, საქართველოს გამო რუსეთთან კონფრონტაციის გზას არ დაადგება. **და ყველაზე კარგი, რასაც ჩიკაგოს სამიტზე მივიღებთ იქნება მორიგი მაპში გრძელი ან მაპზე უკეთესი. ეს ნათლად გამოჩნდა ჰონოლულუში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტის პარალელურად გამართულ ობამა-მედვედევის შეხვედრიდანაც, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტმა თანამშრომლობისა და გადატვირთვის პოლიტიკის შესახებ ისაუბრეს. ეს კიდევ, ერთხელ მეტყველებს იმაზე რომ ამერიკა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს. ამიტომ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ რეალ-პოლიტიკა არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვაწყობს და არც ერთი სახელმწიფო ჩვენ გამო საკუთარ სახელმწიფო ინტერესებს მსხვერპლად არ შესწირავს, თუნდაც ამისთვის რუსეთის შიშით თავზარდაცემულმა სააკაშვილმა მეწამული ჰალსტუხების მთელი კოლექცია შესანსლოს და კუბოკრული პერანგიც ზედ დესერტად დააყოლოს.**

სააკაშვილისათვის საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ადგილი დღითიდღე ვიწროვდება, მისთვის დღეს მომაკვდინებლად სახიფათოა არა იმდენად საგარეო საფრთხეები, რამდენადაც შიდაპოლიტიკური ვითარება და ამაზე ფრიად საყურადღებო აქცენტი გააკეთა რასმუსენმა: **„მომავალ წელს საქართველოს მოქალაქეები აირჩევენ ახალ პარლამენტს. ეს არჩევნები იქნება საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და ინდიკატორი. საქართველო უკვე არის ძლიერი პარტნიორი და მე მოველი იმ დღეს, როცა თქვენ იქნებით ძლიერი წევრი ჩვენი ალიანსისა, როგორც ამაზე ბუქარესტის სამიტზე შევთანხმდით 2008 წელს“.**

დიახ, არჩევნების სამართლიანად ჩატარება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ მანამდე ხომ ჩიკაგოს სამიტია, სადაც უნდა მოხდეს საქართველოს საკითხის განხილვა და დიდი ალბათობით სააკაშვილს გულს არ დასწყვეტენ და ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების ტექსტს „შპარგალკად“ გამოიყენებენ, ანუ არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩიკაგოში არ იქნება მიღებული. ხოლო ამ სამიტისადმი ნაცპროპაგანდისტების მიერ ქართულ საზოგადოებაში ზედმეტი მოლოდინების გაჩენა მხოლოდ მოკლევადიან პიარს ემსახურება და სხვა არაფერს.

## „მაპი“ თუ პიჯაკი

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა დუღილის ნიშნულამდე ასწია, მალალ მიხეილს, როგორც ჩანს, ამაზე უფრო მეტად კარსმომდგარი ზამთრის სუსხი აშინებს და რასმუსენს არა თუ ნატოში გაწევრიანებას, არამედ უკანასკნელი საჩუქრის სახით სამახსოვროდ პიჯაკსაც კი სთხოვს: **„თქვენმა წინამორბედმა, როდესაც ჩამოვიდა აქ 2007 წლამდე, მე მაჩუქა ნატოს ჰალსტუხი და იმედი მქონდა, რომ თქვენ ნატოს პიჯაკს მომცემდით და იმედი მქონდა, არ გავიყინებოდი ნატოს პიჯაკის გარეშე. მე მეგონა, მივიღებდი ამ პიჯაკს, რომელიც ამ ჰალსტუხს ძალიან მოუხდებოდა“.**

მაგრამ ყველაზე სავალალო ის არის, რომ სააკაშვილს სხვა უკეთურ თვისებებთან ერთად, ამ ბოლო დროს სკლეროზიც დასჩემდა, რადგან სხვა შემთხვევაში შეუძლებელია ასე მალე დავიწყებოდა ის ჰალსტუხი, რომელიც სხეფერმა (რასმუსენის წინამორბედმა) აჩუქა, რუსული ტანკების გრუხუნისგან დამფრთხალსა და შეშინებულს მსოფლიოს დასანახად 2008 წლის აგვისტოს ერთ ტრაგიკულ დღეს ტელეკამერების წინ რომ შემოეჭამა?!

## „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები...“

მართალია, მალალი მიხეილი ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება მისი უმთავრესი პრიორიტეტია და, რომ ეს არც ისე შორეულ მომავალში მოხდება, თუმცა ნატოს „ღია კარში“ საქართველოს „შეძრომის“ უპერსპექტივობას ისიც კი ვერ გაურბის: **„მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან საქართველოც და უკრაინაც შევლენ ნატოში, და მე ვფიქრობ, რომ გაცილებით ადრე, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია. მე ერთდროულად რეალისტურად და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ცხოვრებამ მასწავლა, რომ არ გადავეშვე ზედმეტ ოპტიმიზმში, მაგრამ რეალურად ძალიან კარგი შანსი არსებობს. რაღა თქმა უნდა, რომ ბევრი რამ დაკავშირებულია მსოფლიო პროცესებთან... მე მაქვს ძალიან ოპტიმისტური და ძალიან პესიმისტური სცენარები. მაგრამ, მე, როგორც ყოველთვის, ვცდილობ, კონცენტრირება პოზიტივზე მოვახდინო“.**

## ნატო ჩვენს ფანჯრებში?!

**სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, ერთადერთი პროდასავლური პოლიტიკური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა, „ნაციონალური მოძრაობაა“, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ სააკაშვილის მმართველობის რვა წლის მანძილზე სწორედ მისმა არარაციონალურმა პოლიტიკამ ააცდინა საქართველო ნატოსკენ მიმავალ გზას.**

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი საგარეო ორიენტირად ნატოს მიიჩნევს და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მასთან თანამშრომლობის გაღრმავებას აპირებს, „ნაცპროპაგანდისტებს“ ეს განცხადება მისი „პროდასავლურობის“ არგუმენტად არ მიაჩნიათ. **საინტერესოა, ნატოსთან მიმართებაში ისეთი „გაუგონარი“ რა თქვა ივანიშვილმა, რაც „ნაცპროპაგანდამ“ მისი „რუსეთის პროექტობის“ მორიგ „არგუმენტად“ დაგვისახელა?** — არც არაფერი უთქვამს ისეთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული, როგორიც აქამდე არ თქმულა და არ დაწერილა („ნაცპროპაგანდას“ ეს არ ეხება). კერძოდ, ივანიშვილმა განაცხადა, რომ: **„ნატოსთან თანამშრომლობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ძალიან შორს გადასწია. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოსთან არამხოლოდ სამხედრო პარტნიორობა, არამედ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მათი გაძლიერების შეუქცევადი პროცესი მიაჩნდა ჩვენი პარტნიორობის ქვაკუთხედად. საქართველომ კი უკან გადადგა ნაბიჯები. ასე რომ, ამ ეტაპზე საქართველოს ნატოში გაწევრიანებას სწორედ მიხეილ სააკაშვილმა დაგვაშორა... ჩვენ ვიმუშავებთ და ვიმუშავებთ ძალიან აქტიურად ნატოში გაწევრიანებისთვის, რადგან მას ალტერნატივა არ აქვს“.**

აი თურმე რა! ნატოში გაუწევრიანებლობის სააკაშვილისთვის „დაბრალება“ მხოლოდ რუსეთის უშიშროების მიერ „მართულ“ ადამიანებს შეუძლია, მაგრამ „ნაცმოელებმა“ უნდა იცოდნენ, რომ ეს „ფანდი“ ახლა აღარ ჭრის და ქართული საზოგადოება ამით აღარ მოტყუვდება, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, ქვეყანას, რომლის ხელისუფლება ფეხქვეშ თელავს კონსტიტუციას და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას იგნორირებას უკეთებს, ნატოში გაწევრიანების იმედი არ უნდა ჰქონდეს და რუსული „ორთავიანი არწივი“ აქ არაფერ შუაშია.

**ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ავტორიტარ სააკაშვილს სულაც არ აწყობს ნებისმიერ დემოკრატიულ ბლოკში, გნებავთ ნატოში საქართველოს გაწევრიანება, თუკი ამისთვის პოლიტიკურ საფასურს გადაახდევინებენ და, როგორც დიქტატორს, კარისკენ მიუთითებენ, „ნატო-ნატოს“ ისტერიული ძახილი სააკაშვილის რეჟიმისთვის არის მხოლოდ ინსტრუმენტი, სპეკულაციის საგანი მფარველისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად.**

მოკლედ, თანამედროვე რეალობაში ანგარისგასაწევ ლიდერტა შორის საკაშვილის ადგილი ისევე არ არის, როგორც ღორის მწვადისა ვეგეტარიანული სასადილოს მენიუში. და რადგან სიტყვამ მენიუ მოიტანა, აქვე უნდა ითქვას რომ ბატონი მიხეილი ანგარიშგასაწევი ლიდერებისაგან პირადი მენიუთიც განსხვავდება და, სანამ რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ჰამბურგერს მიირთმევენ, თან „ჯექსონ-ვენიკის“ შესწორების გაუქმებაზე თანხმდებიან, თავზარდაცემული ლოღნის მეწამულ ჰალსტუხს, რადგან მშვენივრად იცის რომ მალე, თვითონაც ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის მენიუს მორიგ „კერძად“ იქცევა.

**ზურაბ ჯამბურია**

**ყველამ კარგად იცის, ქვეყანას, რომლის ხელისუფლება ფეხქვეშ თელავს კონსტიტუციას და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას იგნორირებას უკეთებს, ნატოში გაწევრიანების იმედი არ უნდა ჰქონდეს და რუსული „ორთავიანი არწივი“ აქ არაფერ შუაშია**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხელისუფლება მოსაჭრელად იმ ტოტს მიადგა, რომელზეც თვითონვეა შემომჯდარი. თუკი „ვარდოსანთა მამამთავარი“ გონს არ მოვა და თუნდაც ძალოვანებისთვის მაინც ღვინისა და ყურძნის შეტენვას თავს არ დაანებებს, მალე „მისმა უდიდებულესობამ“ შეიძლება ქუჩაში ათასობით უკმაყოფილო პოლიციელიც იხილოს; თუ რა შედეგით დამთავრდება ეს ყველაფერი რეჟიმისთვის, რომლის ერთადერთი დასაყრდენიც სწორედ ძალოვანებია, თავადვე შეგიძლიათ ცხადად წარმოიდგინოთ უახლესი ისტორიის დიქტატორთა სამარცხვინოდ დამხობის მაგალითებზე...

## საბერძნეთის ახალი პრემიერი

**ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ლუკას პაპადიმოსი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.** იგი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე კოალიციურ მთავრობას ჩაუდგება სათავეში. ახალ კოალიციურ მთავრობას ევროკავშირის 130-მილიარდიანი დახმარების პროგრამის დამტკიცება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ექს-პრემიერმინისტრი გეორგეუს პაპანდრეუსი თანამდებობიდან ოპოზიციის მოთხოვნისა და სახალხო გამოსვლების შემდეგ გადადგა.



## იტალია — საფრთხე ევროზონისთვის

**იტალია ევროზონისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.** ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა განაცხადა. მისი თქმით, ევროზონაში შემავალი ქვეყნების მთავრობებმა დაუყონებლივ უნდა გაატარონ ვითარების გამოსასწორებელი ზომები. „იტალიამ დაჩქარებულად უნდა მიიღოს კრიზისიდან გამოსვლის გეგმა და მკაცრად დაიცვას მისი შესრულების ვალდებულება“, — აცხადებს დიდი ბრიტანეთის პრემიერი.

## კლინტონი პრეზიდენტობის ვადის გაზრდას ემხრობა

**აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი ბილ კლინტონი მიიჩნევს, რომ აშშ-ში ქვეყნის პრეზიდენტს, რომელმაც პოსტზე ორი ვადა გაატარა, შესვენების შემდეგ კვლავ უნდა ჰქონდეს პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება.** „მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს უნდა იყოს წესი. მიმაჩნია, რომ პრაქტიკულად ამ წესის გამოყენება არ შეიძლება იმათთვის, ვინც უკვე იყო აშშ-ის პრეზიდენტი, თუმცა მივიჩნევ, რომ ამ წესის გამოყენება შესაძლებელია მომავალში“, — განაცხადა აშშ-ის ექს-პრეზიდენტმა, რომელიც ქვეყნის სათავეში 1993-2001 წლებში იდგა.

# «შენ თუ ამ ჯამს დალევ...»

**საკაშვილის ხელისუფლების მიერ უპრეცედენტოდ წარმატებულად გამოცხადებული „რთველი-2011“ რომ სრული კრახით დასრულდა და გლეხების უდიდეს ნაწილს მოსავალი სახლებშივე დაულპათ, ყველასთვის ცნობილია, თუმცა ,,ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა კვლავინდებურად ცდილობს, მოსახლეობა „სეთურის ორმოში“ ამყოფოს და საზოგადოება დაარწმუნოს, რომ კახეთში არც ერთი მტევანი ყურძენი, ფაქტობრივად, გაუყიდავი არ დარჩენილა. მეტიც, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იმ თხუთმეტთეთრიანი სამათხოვრო სუბსიდიის მიუხედავად, რომელიც „ბელადმა“ გლეხებისთვის გაილო, ყურძნის ფასი რეალურად ტუალეტის ქაღალდის ფასსაც ვერ გაუტოლდა.**



# როგორ შეტენა პრეზიდენტმა პედაგოგებს ღვინო

**საკაშვილმა ჯერ იყო და ბიზნესმენების გატყავების ნაცად ხერხს მიმართა, ხოლო როცა ამანაც ვერ გამოიღო შედეგი, საჯარო სამსახურებში მომუშავე რიგითი მოქალაქეების დატერორება დაიწყო; სამიზნე კი აღმოჩნდა ყველა — დაწყებული ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებიდან, დამთავრებული პედაგოგებითა და დამლაგებლებით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიჯაჭვულია ხელისუფლებას და რომელსაც საკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მარწუხები პირდაპირ კისერში აქვს წაჭერილი.**

გასულ კვირას დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიდან პედაგოგი დამიკავშირდა და უკიდურესად შეწუხებულმა მითხრა, **შარშანდელი რთველის დროს ყურძენი ჩამოიტანეს და ძალით შემოგვასაღეს, ახლა კიდევ ღვინოს გვტენიან, გინდა თუ არა, იყიდეთ, თორემ ასე და ისე... ერთი სიტყვით, სამსახურიდან დათხოვნით გვემუქრებიანო. ამ დროს, როგორც თვითონ აღნიშნა, იმ პედაგოგის ხელფასი სულ ას სამოცი ლარია და, თუ კიდევ არ შეუმცირეს, მომატებას არც არავინ ჰპირდება.**

იმავე პედაგოგმა საუბრის ბოლოს დაჟინებით მთხოვა, ჩემს ვინაობას ნუ გაამხელთ, თორემ მარტო სამსახურიდან დათხოვნას ვინ ჩივის, რამე უარესსაც გადავეყრები, ის კი არა, ახლა რომ გელაპარაკებით, მეშინია, ტელეფონიც არ ისმინებოდესო...

მოკლედ, საკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა იმხელა „მასშტაბებს“ მიაღწია, რომ, ადრე თუ მხოლოდ მსხვილი ბიზნესის დატერორებით იყო დაკავებული, დღეს უკვე უკლებლივ ყველა სფეროს მოედო ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზებივით და ისედაც გასაცოდავებულ პედაგოგებს პირიდან უკანასკნელ ლუკმას აცლის. ამას ხელისუფლება იმ ნამუსგარეცხილი ლაქიების მეშვეობით აკეთებს, რომლებიც ახლა სოფელ-სოფელ დაძრწიან და „კაპიკებზე“ მომუშავე პედაგოგებს ხან ყურძენს სტენიან, ხანაც — ღვინოს. ცხადია, ამის შემდეგ **არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ თითოეული პედაგოგი, რომელსაც ხელისუფლებამ ღვინო შეასაღა, მომავალ არჩევნებზე ხმას ისევ „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ მისცემს, ვინაიდან საკაშვილის რეჟიმმა, დიდი ხანია, ამ ადამიანებს საბოლოოდ დაუკარგა თავისუფალი მოქალაქეობის შეგრძნება და „ბელადის“ მუდმივ, „უერთგულეს“ ელექტორატად აქცია.**

**მავანში შეიძლება ერთგვარი აგრესიაც კი გამოიწვიოს იმან, რომ, თავის მხრივ, პედაგოგები დღემდე უჩუმრად ითმენენ ხელისუფლების მხრიდან მუდმივ წნეხსა და ტერორს. რა თქმა უნდა, არის ამ აგრესიაში გარკვეული ლოგიკა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ თითოეული პედაგოგის უკან მათი ოჯახები, შვილები და ნათესავები დგანან; იმ პირობებში კი, როცა ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეების ბედი ჩალის ფასადაც არ ულირს, რაშიც დღემდე არაერთხელ დავრწმუნდით, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ადამიანისთვის რეჟიმის წინააღმდეგ რაიმე სახით გალაშქრება.**

დასაწყისში ძალოვანი სტრუქტურა ვახსენე და დასასრულს ორიოდე სიტყვით ამაზეც მოგახსენებთ. იმ პედაგოგს, რომელიც გასულ კვირას რეგიონიდან დამიკავშირდა, ვკითხე, კონკრეტულად ვინ გაძალებთ ღვინის ყიდვას, პოლიცია ხომ არ გემუქრებათ-მეთქი; პოლიცია ჩვენზე უარეს დღეშია, თვე ისე არ გავა, მათაც რამე არ შეასაღონო, — მიპასუხა. მოკლედ, **საკაშვილის რეჟიმი, როგორც ჩანს, უკვე იმდენად ღრმად ჩაიძირა ავტორიტარიზმის მორევში, თვითდინებაზე მიშვებულმა „ბელადმა“ მთლიანად დაკარგა იმის შეგრძნება, თუ ვინ წარმოადგენს მისთვის რეალურ „საფრთხეს“ და ვინაა დასაყრდენი.** ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მოსაჭრელად იმ ტოტს მიადგა, რომელზეც თვითონვეა შემომჯდარი. ამდენად, უკვე ამთავითვე შეიძლება ვივარაუდოთ ის, რომ, **თუკი „ვარდოსანთა მამამთავარი“ გონს არ მოვა და თუნდაც ძალოვანებისთვის მაინც ღვინისა და ყურძნის შეტენვას თავს არ დაანებებს, მალე „მისმა უდიდებულესობამ“ შეიძლება ქუჩაში ათასობით უკმაყოფილო პოლიციელიც იხილოს;** თუ რა შედეგით დამთავრდება ეს ყველაფერი რეჟიმისთვის, რომლის ერთადერთი დასაყრდენიც სწორედ ძალოვანებია, თავადვე შეგიძლიათ ცხადად წარმოიდგინოთ უახლესი ისტორიის დიქტატორთა სამარცხვინოდ დამხობის მაგალითებზე...

მოკლედ, ბევრი რაღა გავაგრძელო და, რაც დრო გადის, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მიხეილ საკაშვილს ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა არ უწერია. საკითხავი კი ის არის, მისი დიდება იმ ფორმით თუ დასრულდება, რომ თამამად შეიძლებოდეს ამ დასასრულის თვით „ბელადის“ საყვარელი სიტყვებით შეფასება: **„პირველად საქართველოში“.** ისე კი, **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკაშვილისთვის მთავარია, ყურადღების ცენტრში მოექცეს და მნიშვნელობა არ აქვს, პირში ჰალსტუხი ექნება გაჩრილი თუ „ტელეგრეიკა“. გამორიცხული არც ისაა, ხელისუფლების შეცვლა ისე მოგვიხდეს, რომ თაობებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ეთქმოდეთ ამ მოვლენაზე: „პირველად მსოფლიოში“.**

ვაღიაროთ, რომ, თუ ეს მოხდება, ჩვენთვის ერთგვარი პატივიც კი იქნება ამ ურთულეს პერიოდში...

**ჯაბა ჟვანია**

**როცა ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეების ბედი ჩალის ფასადაც არ ულირს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ადამიანისთვის რეჟიმის წინააღმდეგ რაიმე სახით გალაშქრება**

**P.S. რამდენიმე დღის წინათ თბილისის ფორუმზე დაიდო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გასულ კვირას ორასამდე ოფიცერი სამსახურიდან დაითხოვეს. მიზეზი კი, როგორც ირკვევა, ის ყოფილა, რომ მათ საბჭოთა სამხედრო განათლება ჰქონიათ მიღებული. ერთ-ერთი ოფიცერი წერდა, რომ ეს ყველაფერი მათ პირადად ბაჩო ახალაიამ გამოუცხადა, — იმის გამო, რომ საბჭოთა განათლება გაქვთ, ჩვენთვის არასანდო და არასაიმედო ხართო.**

**ინფორმაციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში ტექსტი საიტიდან გაქრა...**

**ვფიქრობ, ეს ერთი კონკრეტული ფაქტიც ცხადყოფს იმას, რომ საკაშვილის რეჟიმი სრულ აგონიაშია და პოლიტიკური აღსასრულის მოახლოებას, როგორც არასდროს, ისე გრძნობს...**

მოკლედ

## კადაფის იარაღი «ალ ქაიდას» დარჩა

**„ალ ქაიდას“ ჩრდილოაფრიკულმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ შეძლო ხელში ჩაეგდო ლიბიის ექს-ლიდერ, პოლკოვნიკ მუამარ კადაფის ძალების კუთვნილი იარაღი.** ინფორმაცია იარაღის სახეობის ან რაოდენობის შესახებ არ ვრცელდება. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ხნის წინ ექსპერტები საფუძვლიან შიშს გამოთქვამდნენ, რომ კადაფის იარაღი შეიძლებოდა „ალ ქაიდას“ დაჯგუფების ხელში აღმოჩენილიყო.

## მედვედევი არალეგალების დამსაქმებელთა დასჯას მოითხოვს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იმ დამსაქმებლების მკაცრად დასჯას ითხოვს, რომლებიც არალეგალური მიგრანტების შრომას უკანონოდ იყენებენ. „მიმაჩნია, რომ უნდა გატარდეს უფრო მეტად მკაცრი ზომები იმ დამსაქმებლების წინააღმდეგ, რომელთათვისაც სარფიანია ადამიანების დაქირავება, მაგალითად მათი, რომლებიც უცხოეთიდან არალეგალურად ჩამოდიან“**, — განაცხადა მედვედევმა შს სამინისტროს მოსკოვის აკადემიის რაიონული განყოფილების პირად შემადგენლობასთან შეხვედრისას. მან ასევე მოითხოვა იმ პირების დასჯა, რომლებიც მუშახელს რეგიონებიდან ქირაობენ და დაქირავებული არ იმყოფება შესაბამის დასახლებაში კანონით განსაზღვრულ აღრიცხვაზე.

**რასმუსენის აზრით, პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა გამოავლინონ შემდგომი რეფორმების ნება. თუმცა მორიგი დემოკრატიული რიტორიკის მიღმა კარგად იკითხება მინიშნებები იმის შესახებ, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. ცვლილებებში ახალგაზრდობა უნდა ჩაერთოს და „შემართება გამოიჩინოს, როგორც 8 წლის წინ“. 8 წლის წინ კი საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა.**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რასმუსენი სტუდენტებს რევოლუციაზე მიანიშნებს

**დღეს ქართული ისტებლიშმენტი ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტით ცოცხლობს. ნატომდე ვერმისული ხელისუფალნი მის გენერალურ მდივანს ეფერებიან და საქართველოს მოსახლეობას მის კეთილგანწყობას უჩვენებს, — აქაოდა, ნახეთ რა მაპზე უკეთესი მივიღეთ და იმაზე უკეთესსაც გვპირდებიანო! თუმცა რასმუსენი ფრთხილად შეახსენებს მათ, რომ ნატოში გაწევრიანებას ნებისმიერი ქვეყნისგან ძალისხმევა სჭირდება. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, დავით ბაქრაძესთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**




**„გაწევრიანება ნებისმიერი ქვეყნისგან საჭიროებს ძალისხმევას, მუშაობას, რეფორმებს, მზაობას და პარლამენტი აგრძელებს ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. მოთმინებითა და თანმიმდევრული მუშაობით ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. საქართველოს სურს ამის გაკეთება და ნატო ამის გაკეთებაში დაგეხმარებათ,“** — განაცხადა რასმუსენმა. ოღონდ — როდის, ეს რასმუსენს არ დაუზუსტებია. **„დემოკრატია არის საფუძველი საქართველოს წარმატებისა. საქართველოს სურს, იცხოვროს თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიაში, ისევე, როგორც ალიანსი ცხოვრობს. ეს ალიანსი დაფუძნებულია ამ ფასეულობებსა და ღირებულებებზე,“** — განაცხადა რასმუსენმა. მისივე თქმით, საქართველოს ჯერ კიდევ ელის გამოწვევები.

**„მომავალ წელს საქართველოს მოქალაქეები აირჩევენ ახალ პარლამენტს. ეს არჩევნები იქნება საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და ინდიკატორი. საქართველო უკვე არის ძლიერი პარტნიორი და მე მოველი იმ დღეს, როცა თქვენ იქნებით ძლიერი წევრი ჩვენი ალიანსისა, როგორც ამაზე ბუქარესტის სამიტზე შევთანხმდით 2008 წელს,“** — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

დავით ბაქრაძე, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ნატოში შესვლა კარგა ხანს არ „გვემუქრება“ და ამიტომ უფრო ფრთხილ გამოთქმებს არჩევს: **„იმედი გვაქვს, რომ ჩიკაგოს სამიტზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება წინ საქართველოს ნატოსთან კიდევ უფრო დასაახლოებლად. გვესმის ისიც, რომ ეს არ არის ცალმხრივი გზა და საქართველომ ამ პროცესთან დაახლოებისთვის ბევრი რამ უნდა გააკეთოს. ამიტომ, საქართველოს განვითარება და დემოკრატიულ, ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, დემოკრატიის, ეკონომიკური რეფორმების გაძლიერება შექმნის წინაპირობას, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია იყოს წარმატებული პროცესი. ვფიქრობ, ეს ნატოს ინტერესშიც შედის და იმედი მაქვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით მის განხორციელებას მოვახერხებთ“.**

ცხადია, ხელისუფლება მიხვდა, რომ ნატოში შესვლაზე გაუთავებელ ლაპარაკს, მოსახლეობის გაღიზიანების გარდა, არაფერი მოაქვს და ამიტომ, აქცენტს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის გამართვის მნიშვნელობაზე აკეთებს. ისევ გაისმის შეფასებები: **„ეს იმ განსაკუთრებულ ურთიერთობას ასახავს, რომელიც ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოს შორის არსებობს“; „ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბუქარესტის სამიტის შემდეგ საქართველო უფრო ახლოს არის ნატოსთან, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა“; „დღეს უფრო ახლოსა ვართ ნატოსთან, ვიდრე თუნდაც ბუქარესტის სამიტის დროს, სამი წლის წინ“; „ჩვენთვის უაღესად მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს დაახლოების პროცესი, გაგრძელდეს თანამშრომლობის პროცესი, რომლის საბოლოო ამოცანაც საქართველოს ნატოში გაწევრიანებაა“.** ამასთან, არც ის ავიწყდებათ, რომ ნატოს გენერალურ მდივანს საქართველოსადმი მხარდამჭერი განცხადებების გამო მადლობა გადაუხადონ.

თავად რასმუსენი კი ავღანეთიდან დაბრუნებულ ქართველ სამხედროებს სამშვიდობო მისიაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის. იგი 33-ე ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცებს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე შეხვდა, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობის, წვლილისა და მასშტაბების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ძირითადი წვლილის შემტანია იმ საქმეში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ავღანეთი ტერორისტებისა და ექსტრემისტების თავშესაფარი აღარ იყოს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის შეფასებით, ათასამდე ქართველი სამხედრო, რომელიც ISAF-ის ურთულეს სამშვიდობო ოპერაციაშია ჩართული, თავის საქმეს ბრწყინვალედ ასრულებს.

**„თქვენი სამსახური ჰელმანდის პროვინციაში განსაკუთრებით მძიმე იყო, მაგრამ ამ გამოწვევას ღირსეულად გაუძელით და სიმამაცის ძალიან მაღალი ნიმუში გვაჩვენეთ. თქვენით არა მხოლოდ თქვენი ბატალიონი, არა მხოლოდ თქვენი დანაყოფები, არამედ მთელი ქვეყანა უნდა ამაყობდეს,“** — აღნიშნა რასმუსენმა. იქვე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შემდეგ საქართველო მისიაში ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ქვეყანა გახდება, რომელიც ამავე დროს ალიანსის წევრი არ არის. ეს არის უდიდესი წვლილი, რომლის გამოც ნატოს წევრი ქვეყნები საქართველოს მადლიერი არიან“.

**ერთი სიტყვით, ჩვენი მადლიერნი არიან, როცა მათი საქმე ჩვენი ჯარისკაცების სისხლის ხარჯზე კეთდება, მაგრამ ეს მადლიერება იმხელა მაინც არ არის, რომ საკუთარ ოჯახში შეგვიპატიჟონ!**

სიტყვით გამოსვლის დასასრულს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ავღანეთის სამშვიდობო მისიის შესრულებისას დაღუპულ ქართველ სამხედროებს მიაგო პატივი და იმედი გამოთქვა, რომ მათ მიერ გაღებული მსხვერპლი ფუჭად არ ჩაივლის.

თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც რასმუსენის მიერ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხრა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებები აღმოჩნდა. **ნატოს გენერალური მდივნის აზრით, ქართველმა სტუდენტებმა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ისეთივე შემართება უნდა გამოიჩინონ, როგორიც — მათმა თანატოლებმა 8 წლის წინ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, გამოიჩინეს.**

რასმუსენის შეფასებით, ქართული დემოკრატიის ხარისხი მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდება. მისივე თქმით, საამისოდ ქართველ ახალგაზრდებს შთაგონება დასჭირდებათ და მან მაგალითად ილია ჭავჭავაძე დაასახელა. რასმუსენის აზრით, ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლო.

**„მისი „მგზავრის წერილები“ 150 წლის წინ დაიწერა, მაგრამ ის იდეები დღეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ იყო,“** — აღნიშნა რასმუსენმა. მისივე თქმით, საქართველომ დიდი გზა გაიარა, მაგრამ გზა ჯერ არ დასრულებულა, დემოკრატიის შენება და თავისუფლების დაცვა არასოდეს დასრულდება. „წინ გელით საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მკაფიო საარჩევნო კოდექსს საჭიროებს, რათა ყველა კანდიდატმა დაუბრკოლებლად მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ დემოკრატია მხოლოდ საარჩევნო ყუთი არ არის. ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ყველა შრე უნდა იყოს ჩართული, პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკოსებს არ უნდა მივუტოვოთ,“ — განაცხადა რასმუსენმა და დასძინა, რომ საქართველომ დაწყებული რეფორმები უნდა გააგრძელოს.

**რასმუსენის აზრით, პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა გამოავლინონ შემდგომი რეფორმების ნება. თუმცა მორიგი დემოკრატიული რიტორიკის მიღმა კარგად იკითხება მინიშნებები იმის შესახებ, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. ცვლილებებში ახალგაზრდობა უნდა ჩაერთოს და „შემართება გამოიჩინოს, როგორც 8 წლის წინ“. 8 წლის წინ კი საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. ერთი სიტყვით, ემზადეთ რევოლუციისთვის, ოღონდ დასავლეთიდან დაფინანსებას ნუ ელით – იქ კრიზისია! ხოლო, რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის ხსენებას, არც ეს არის შემთხვევითი: როგორც ჰილარი კლინტონმა იცოდა რაიმე თამარ მეფეზე, ისევე აქვს წაკითხული რასმუსენს „მგზავრის წერილები“. ან იქნებ მან იმაზე მიანიშნა, რომ, დღეს ილია ჭავჭავაძე ლარსს რომ მოსდგომოდა, შესაძლოა, საქართველოში არც შემოეშვათ, – ცარიზმის აგენტი ხარო!**

ასეა თუ ისე, იქნებ ქართველმა სტუდენტებმა მას შემდეგ მაინც წაიკითხონ ყურადღებით ილია ჭავჭავაძის თხზულებები, როცა თვით ნატოს გენერალურმა მდივანმა ინება მისი ხსენება და ისიც დააყოლა, რომ ილიას იდეები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც 150 წლის წინ იყო.

## ეკონომია პრეზიდენტის ბრძანებით

**პრეზიდნეტი ბარაკ ობამა აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით უჩვეულო ზომებს მიმართავს. პრეზიდენტმა სახელმწიფო უწყებებს ყავის ძვირფასი ჭიქების, მაისურებისა და სახელმწიფო დაწესებულების ლოგოტიპით დამშვენებული სუვენირების შეძენა აუკრძალა.** ამ სუვენირების შესაძენი ხარჯების ანაზღაურება გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე ხდებოდა. სახელმწიფო უწყებებმა ასევე უნდა შეზღუდონ ელექტრონული მოწყობილობების, მაგალითად, სმარტფონების და პლანშეტების რაოდენობა, რომლებსაც სახელმწიფო მოხელეებს ურიგებენ. 2013 წლამდე ამ სფეროში თეთრი სახლი მილიარდობით დოლარის დაზოგვას აპირებს.

## უფასო ექსკურსია ფოკუსიმაზე

**იაპონია უფასო ვიზებს გადასცემს იმ უცხოელ ტურისტებს, რომლებიც მზად არიან ცუნამის შედეგად დაზარალებული იაპონური პრეფექტურები მოინახულონ.** იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ეს შეთავაზება ძალაში 5 წლით დარჩება. ამით ქვეყნის ხელისუფლება ტურისტების ნაკადის ზრდას შეუწყობს ხელს, რაც სტიქიური კატასტროფის შემდეგ 30%-ით შეცირდა. იაპონია მზადაა, 10 000 უცხოელი ტურისტი უფასო ავიაბილეთებითაც უზრუნველყოს. მიაგის, ივატესა და ფუკუშიმას რაიონებში წასვლის მსურველები ამ შეთავაზებით 2012 წლის 31 მარტიდან 2013 წლამდე ისარგებლებენ. ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განახლებისთვის იაპონია 14 მლრდ დოლარს დახარჯავს.

## იუნესკოს დაფინანსებას შეუწყვეტენ?!

იუნესკომ საკუთარ რიგებში მიიღო პალესტინის ავტონომია, რის შემდეგაც აშშ-მა და ისრაელმა განაცხადეს, რომ ორგანიზაციის დაფინასებას შეწყვეტენ. აშშ ორგანიზაციის უმსხვილესი დონორია. 11 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭო პალესტინის ავტონომიის გაეროს სრულუფლებიანი წევრობის შესაძლებლობის საკითხზე მსჯელობდა, მაგრამ პალესტინამ ვერ შეძლო იმ ცხრა ქვეყნის მხარდაჭერის მოპოვება, რომელთა ხმებიც აუცილებელია გაეროში მიღების რეზოლუციის დამტკიცებისათვის.

მოკლედ

## ტიმოშენკოს ახალი ბრალდებები წაუყენეს

**უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს ახალი ბრალდებები წაუყენეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მას ბრალი 165 მილიონი დოლარის დამალვაში ედება.** პროკურატურა ტიმოშენკოს ბიუჯეტიდან თანხის მითვისებასა და 5,8 მილიონი დოლარის გადაუხდელობაშიც ადანაშაულებს. ზემოხსენებული ბრალდებები იმ დროს ეხება, როდესაც ტიმოშენკო ქვეყნის ხელისუფლებაში არ იყო და კორპორაციის „უკრაინის ერთიანი ენერგოსისტემია“ პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა.



## ამერიკა მოკავშირეებს შეაიარაღებს

**ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია სპარსეთის ყურეში თავისი ძირითადი მოკავშირეებისთვის ბომბებისა და სხვა სახის იარაღის მიწოდებას აპირებს.** ეს წარმოადგენს ამერიკის იმ აქტიური ძალისხმევის ნაწილს, რომელიც მიმართულია ირანის წინააღმდეგ რეგიონული კოალიციის შესაქმნელად. ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს 4.9 ათასი მაღალი სიზუსტის საავიაციო ნაღმი და სხვა შეიარაღება მიაწოდოს. როგორც მოსალოდნელია, ამასთან დაკავშირებით შესაბამისი გეგმა ამერიკის კონგრესს წარედგინება. ამერიკა, ასევე, გეგმავს რეგიონში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებას ირანის ბალისტიკური რაკეტებისგან დასაცავად.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევრაზიული კავშირის“ შექმნა და მასში საქართველოს გაერთიანება ერთადერთი შანსია, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს, სხვა შანსი საქართველოს არ აქვს. წურავის ექნება იმის მოლოდინი, რომ ამერიკელები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბირთვულ ომს გააჩაღებენ რუსეთთან ან ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოს რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაუთმობს.**

# ევრაზიული კავშირი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი შანსი

**გასული თვის დასაწყისში გამოქვეყნებული სტატიით ვლადიმერ პუტინმა, რომელიც მესამე ვადით პრეზიდენტობას აპირებს, პოსტსაბჭოთა სივრცის რეკონსტრუქციის ახალი გეოპოლიტიკური გეგმა წარმოადგინა და „ევრაზიული კავშირის“ შექმნის იდეით გამოვიდა.**

სახელისუფლო პოლიტიკურ ელიტაში ამ სტატიამ არც თუ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რაც, ალბათ, გამოწვეული იყო ობიექტური პოლიტიკური რეალობით. იგი ხომ საფრანგეთის პრეზიდენტის — ნიკოლა სარკოზის ვიზიტსა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას დაემთხვა. მაგრამ ეს ფაქტი კომენტარის გარეშე არ დაუტოვებიათ ქვეყნის პირველ და მეორე პირებს. მათ რატომღაც ვლადიმერ პუტინის ამ ახალ წამოწყებას საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა უწოდეს: **„ევრაზიული გაერთიანების შექმნის შესახებ გაკეთებული განცხადება ნიშნავს, რომ ხელისუფლების პირველ პირად დაბრუნების შემდეგ პუტინი საბჭოთა კავშირს პრაქტიკულად აღადგენს. ასეთ პირობებში საქართველოს ევროპასთან დაახლოება ჩვენთვის არჩევანი და ფუფუნება კი არა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია...“** (დ. ბაქრაძე).

ჯერ ერთი, როდესაც ევროპის მხარდაჭერაზე საუბრობს, თითქოს ევროპელები ძალით მიგვათრევდნენ ევრო სტრუქტურებისკენ და მეორე, ვინც ეს სტატია წაიკითხა, დამეთანხმება, ალბათ, რომ ვ.პუტინი არავითარი საბჭოთა კავშირის აღდგენას არ აპირებს.

**ევრაზიული კავშირი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნას. იგი ეფუძნება სამი უმთავრესი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების კომპლექსს, რაც განასხვავებს მას საბჭოთა კავშირისგან. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იგი გულისხმობს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნას, სადაც ევრაზიული სივრცე წარმოდგენილი იქნება როგორც ერთ-ერთი პოლუსი.**

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს კი მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ორპოლუსიანი იყო, სადაც ორი პოლუსი ებრძოდა ერთმანეთს მსოფლიოში გაბატონებისათვის. რაც შეეხება იდეოლოგიურ განსხვავებას, ორპოლუსიანი მსოფლიო გულისხმობდა ორი მოდერნისტული, გლობალისტური იდეოლოგიის დაპირისპირებას. დასავლური სამყარო თუ იცავდა ინდივიდის უფლებებს, კომუნისტური იდეოლოგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, მუშათა კლასის, ანუ პროლეტარიატის ინტერესების დაცვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საფუძველშივე ორივე იდეოლოგია უარყოფდა ერების, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, არსებობას.

**ევრაზიული იდეოლოგია კი არის ანტიმოდერნისტული, ანტიმატერიალისტური ფილოსოფია, რომელიც ტრადიციული ერების, როგორც კოლექტიური ერთობის, პრიმატს აღიარებს ინდივიდებთან და მუშათა კლასთან მიმართებაში. ეს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები არის ის, რაც განასხვავებს მას საბჭოთა კავშირისგან.**

არ შევუდგები მთლიანი სტატიის განხილვას, მაგრამ ყურადღება მინდა გავამახვილო რამდენიმე დეტალზე, რაც, ჩემი აზრით, გარკვეულ გზავნილებს იძლევა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად და ძალიან საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის. პირველ რიგში, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ იმ კონფლიქტებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა, განსაკუთრებით — აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შანსებზე.



**გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ევრაზიული კავშირი გულისხმობს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნას, სადაც ევრაზიული სივრცე წარმოდგენილი იქნება როგორც ერთ-ერთი პოლუსი**

**„ევრაზიული კავშირის“ შექმნა და მასში საქართველოს გაერთიანება, ჩემი აზრით, ერთადერთი შანსია, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს, სხვა შანსი საქართველოს არ აქვს. წურავის ექნება იმის მოლოდინი, რომ ამერიკელები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბირთვულ ომს გააჩაღებენ რუსეთთან ან ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოს რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაუთმობს.**

საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს და ნაციონალური იდეის რანგში უნდა იყოს აყვანილი დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა და არა ევროატლანტიკური სტრუქტურების ჰიპოთეტური წევრობა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების არავითარი შანსი არ აქვს. დღევანდელი ეკონომიკური ვითარებისა (ევროკავშირში არსებული ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ამ გაერთიანებამ კიდე ერთი ლატაკი ქვეყანა მიიღოს) და ჩვენი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. ჩვენი მეზობელი ქვეყანა თურქეთია, რომელსაც, რამდენიმეწლიანი მცდელობის მიუხედავად, არ იღებენ ამ ევროპულ გაერთიანებაში, საქართველოს კი ადგილს ვერ შეუცვლიან.

ახლა დავუბრუნდეთ უშუალოდ სტატიის ანალიზს, საიდანაც რუსეთის პრემიერ-მინისტრის სიტყვებიდან რამდენიმე პასაჟს გამოვიყენებ და შევეცდები იმის ახსნას, თუ რა კავშირშია „ევრაზიული კავშირის“ იდეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

ვლადიმერ პუტინის სტატიას თუ გადავხედავთ, ირკვევა, რომ იგი პოსტსაბჭოთა სივრცეში ეცდება ევროკავშირის ტიპის ორგანიზაციის შექმნასზე ნაციონალური სტრუქტურებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შენგენის ხელშეკრულების ტიპის გამოცდილების გამოყენებას, რაც ერთიანი ევრაზიული მოქალაქეობისა და ერთიანი ეკონომიკური-პოლიტიკური და კულტურული სივრცის შექმნას გულისხმობს. ეს კი თავისთავად ნიშნავს ამ კავშირში მცხოვრები მოქალაქეების მიერ ამ სივრცის ფარგლებში თავისუფალ გადაადგილებასა და მათ მიერ საკუთარი ნების შესაბამისად საკუთარი საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობას: **„მოქალაქეებისათვის მიგრაციული, სასაზღვრო და სხვა ბარიერების მოხსნა... ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აირჩიონ, სად იცხოვრონ, სად მიიღონ განათლება და იმუშაონ“** (ვ. პუტინი).

თუ ვლადიმერ პუტინის სტატიიდან ამ სიტყვებს თანამედროვე ქართულ რეალობას მოვარგებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ, საქართველოს ამ გაერთიანებაში გაწევრიანების შემთხვევაში, ნებისმიერ ქართველს შესაძლებლობა ექნება (საუბარია უპირატესად დევნილებზე), ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, დაუბრუნდნენ მშობლიურ რეგიონს და დაიკავონ ის გამოთავისუფლებული ადგილები, რომლებიც მრავლადაა კონფლიქტურ რეგიონებში სეპარატისტული რეჟიმების მიერ ქართველების გამოდევნის შემდეგ. **საერთოდ, ქართველებს თუ გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს განდგომილ რეგიონებში დღეს არსებული ეთნიკური ბალანსის შეცვლა ეთნიკურად ქართველების სასარგებლოდ.**

დემოგრაფიული სურათის შეცვლა კი ჩვენს თანამოქალაქეებს შეუქმნის ნორმალურ საარსებო პირობებს და შესაძლებლობას მისცემს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვით, უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, მოხდეს ქართველებით დაკომპლექტებული და საქართველოსთვის მისაღები პოლიტიკური ელიტის ფორმირება, რაც, დიდი ალბათობით, კონფლიქტურ რეგიონებში ცენტრისკენული ტენდენციების გაძლიერებას გამოიწვევს, რაც დააჩქარებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესსაც.

აფხაზეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდგომი დე ფაქტო მმართველები შიშით უყურებდნენ ყოველთვის დემოგრაფიულ ცვლილებებს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, XIX საუკუნეში თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავლების რეპატრიაციისათვის სამართლებრი- ▶

## პანეტა სამხედრო ჩარევის წინააღმდეგია

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სკანდალური ანგარიშისა და ისრაელის მიერ ირანისთვის უკვე საშობაოდ დარტყმის მიყენების შესაძლებლობის ფონზე, აშშ-ში ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას უჭერენ მხარს, რუსეთში კი ამ ზომებს ირანის მმართველი რეჟიმის დამხობის მცდელობად აფასებენ.** „სამხედრო დარტყმის გაუთვლელი შედეგების უნდა გვეშინოდეს“, — აცხადებს პენტაგონის მეთაური ლეონ პანეტა. მისი რწმენით, სამხედრო ჩარევა ვერ აიძულებს ირანელებს, ხელი აიღონ თავიანთი განზრახვაზე ჰქონდეთ ბირთვიული იარაღი. გარდა ამისა, სამხედრო აქციას სერიოზული გავლენა ექნება მთელ ახლო აღმოსავლეთზე და ამიტომაც ყოველივე ეს დეტალურად უნდა შეფასდეს. მანამდე კი ირანის წინააღმდეგ ყველაზე ხისტი სანქციები უნდა დაწესდეს.

## NASA-მ კოსმოსური რეგლამენტი შეადგინა

**მიუხედავად იმისა, რომ კოსმოსში ტურისტების გაშვებამდე დრო ჯერ კიდევ დიდია, NASA უკვე შიშობს, რომ მათ, შესაძლოა, გალაქტიკას ისეთი ზიანი მიაყენონ, როგორიც ამერიკელებმა მიაყენეს მთვარეს 60-70-იან წლებში.** ამიტომაც NASA-ს გადაწყვეტილებით, შემუშავდა მთვარეზე მოქცევის რეგლამენტი. ამ დროისათვის კოსმოსის დაპყრობას და შესაბამისი ხომალდების წარმოებას 20-მდე კომპანია გეგმავს. ჯერჯერობით უცნობია, როგორი იქნება სასჯელი მთვარეზე ქცევის კოდექსის დამრღვევთათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სააკაშვილისთვის მთავარია, ყურადღების ცენტრში მოექცეს და მნიშვნელობა არ აქვს, პირში ჰალსტუხი ექნება გაჩრილი თუ „ტელეგრეიკა“, გამორიცხული არც ისაა, ხელისუფლების შეცვლა ისე მოგვიხდეს, რომ თაობებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ეთქმოდეთ ამ მოვლენაზე: „პირველად მსოფლიოში“.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვი ფონის შექმნას. ამ მიზნით აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა 1997 წელს მიიღო კანონი „აქტი დეპორტაციის შესახებ — აფხაზები XIX საუკუნეში.

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ყოველ მოლაპარაკებაზე წინა პლანზე აყენებდა აფხაზი რეპატრიანტების დაბრუნების საკითხს. მათი უმთავრესი მიზანი იყო და არის დღეს არსებული სიტუაციის შენარჩუნება, როცა ქართველები უმცირესობაში არიან, ხოლო აფხაზები და მათი მხარდამჭერი ეთნიკური ჯგუფები კი – უმრავლესობაში. ეს მათ ხელ-ფეხს უხსნის დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესანარჩუნებლად. დევნილი ქართველების დაბრუნება კი (ომამდე არსებული რაოდენობა, რომელიც 240 ათასი იყო, 1989 წლის აღწერით) მკვეთრად შეცვლიდა პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციას აფხაზეთში ქართველების სასარგებლოდ, რაც დააჩქარებდა ამ რეგიონის ინტეგრაციას ერთიან ქართულ სახელმწიფოში.

უნდა აღინიშნოს, რომ **აფხაზი რეპატრიანტების აფხაზეთში დაბრუნებას ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციაც. მას არ სურს ისლამური ფაქტორის გაძლიერება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამაზე თვითონ აფხაზებიც კი ამახვილებენ ყურადღებას. „საერთოდ რუსები ტრადიციულად ნეგატიურად არიან განწყობილნი რეპატრიაციასთან დაკავშირებით,ვინაიდან მათ არ სურთ ისლამური და ანტირუსული კომპონენტების გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“** (აფხაზი პოლიტოლოგი ირაკლი ხინთბა). **რუსეთის წინააღმდეგობა რეპატრიანტების დაბრუნებასთან დაკავშირებით, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, „ევრაზიული კავშირის“ იდეა, ჩვენ ხელსაყრელ სიტუაციას გვიქმნის დემოგრაფიული ცვლილებების განსახორციელებლად კონფლიქტურ რეგიონებში.**

როდესაც საუბარია ასეთი მასშტაბური გაერთიანების შექმნაზე,შეუძლებელია მისი არსებობა ერთიანი უსაფრთხოების სისტემის გარეშე. მართალია, ამ სტატიაში არაფერია ნათქვამი ამ საკითხზე, მაგრამ ნებისმიერი გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც მიმართულია მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში დამოუკიდებელი პოლუსის შექმნისაკენ, თავისთავში მოიცავს ამდაგვარი სისტემის არსებობას. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ჩვენს თემასთან ერთიანი უსაფრთხოების სისტემას? ამ შემთხვევაში ყურადღება გასამახვილებელია იმაზე, რომ **უსაფრთხოების ერთიანი არეალის შექმნის შემდეგ, რომელმაც შეიძლება მოიცვას მთლიან ევრაზიული სივრცესთან ერთად სამხრეთ კავკასია** (საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში), **აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთისათვის დაკარგავს იმ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელიც დღეს აქვს** (ბუფერის ფუნქციას მისი საზღვრებისაკენ მომავალი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის შესაკავებლად). ამ შემთხვევაში, რუსეთი ხელს არ შეუშლის იმ შესაძლო მიგრაციულ პროცესებს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, ამ სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში, დღეს არსებული გავლენის სფეროების დამაფიქსირებელი საზღვრები მოიშლება, რაც ხელს შეუწყობს ამ სივრცის შიგნით მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას.

არავისთვის არ უნდა იყოს დასამალი, რომ ევრაზიული კავშირის მსგავს ორგანიზაციებში გაწევრიანებული პოლიტიკური სუბიექტის სუვერენიტეტი იზღუდება ზემდგომი ზე ნაციონალური სტრუქტურების სასარგებლოდ, თუნდაც ეს იყოს ევროკავშირი. მოდით, საკითხს შევხედოთ რეალურად და დავუსვათ ჩვენს თავს შეკითხვა: არის კი დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო? საქართველოში ბევრი ერთმანეთისგან ვერ არჩევს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტისაგან. **საქართველო არის ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არის დაფიქსირებული, რომელსაც სრულად და ტოტალურად აკონტროლებენ ამერიკელები. შეიძლება, თვალიც დაგვეხუჭა ამაზე, თუ ამერიკელები დაგვეხმარებოდნენ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ყველას დაგვანახა, რომ ამერიკელებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა.** დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ლოგიკა შემდეგნაირია, სხვათა შორის არამარტო ხელისუფლების: არც — დამოუკიდებლობა და არც — ტერიტორიული მთლიანობა.

აქედან გამომდინარე, **შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს აქვს ორი გზა: ან ვუერთდებით ახალ პროექტს, რითაც, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტებიდან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი იზრდება, ან ვაგრძელებთ დღევანდელ საგარეო პოლიტიკას და ამ შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი ნულამდე დავა, მაგრამ ამავე დროს საქართველო გააგრძელებს კოლონიურ მდგომარეობაში არსებობას, რომელსაც ამერიკულ-თურქული ტანდემი გააკონტროლებს.**

**ირაკლი უბილავა**

# სააკაშვილის ხელისუფლებამ ზეევ ფრენკელის ქალიშვილსაც ინფარქტი დამართა

**დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის მძიმე მდგომარეობა ქართულ საპატიმროებში, ალბათ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. „საქართველო და მსოფლიოს“ ბიზნესმენების ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ესაუბრა.**


არჩილ კბილაშვილი

**— ებრაელ ბიზნესმენებს, რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს დაპატიმრების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ. ერთ-ერთმა ციხეში ინფარქტიც გადაიტანა, ეს ყველაფერი — იმ ფონზე, როდესაც ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობენ. ფუქსის თქმით, საქართველოს სახელმწიფომ მისთვის ხაფანგის დაგება განიზრახა, იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდებები წაეყენებინა და საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილები, რომლებიც მათთვის ფულის გადახდას ითვალისწინებდა, არ შესრულებულიყო.**

— ის პრობლემები, რაც ებრაელ ბიზნესმენებს სექტემბერში შეექმნათ, მოგვარებულია. გაუმჯობესებული არ ეთქმის მათ მდგომარეობას, მაგრამ შედარებით ნორმალურია. ამ მხრივ პრეტენზიები აღარ გვაქვს. ერთი მათგანი ქსნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაშია, ხოლო მეორე, რომელმაც ინფარქტი გადაიტანა, ზეევ ფრენკელი, მას ქუთაისის ერთ-ერთ ახალგახსნილ კლინიკაში შუნტირების ოპერაცია გაუკეთეს, რეაბილიტაციის კურსს გადის გლდანში, მე-18 დაწესებულებაში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

**— მეორე ბიზნესმენსაც არანაკლები პრობლემები შეექმნა. თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ კიდეც, რომ მას სიცოცხლისთვის საჭირო მედიკამენტების მიღებას უკრძალავდნენ და ნარკოტიკების ჩადებით აშინებდნენ. ახლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— მეორე ბიზნესმენს, რონი ფუქსს უკრძალავდნენ სიცოცხლისთვის საჭირო მედიკამენტების მიღებას, გასეირნებას და კოკაინის ჩადებით აშინებდნენ. ვინაიდან რონი ფუქსი იმ საარბიტრაჟო დავის მონაწილეა, რომელიც შეეხება იმ 100 მილიონს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელისუფლებას ებრაელი ბიზნესმენების მართებს. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით 30 ნოემბერს ლონდონში დანიშნულია სასამართლო პროცესი. აქედან გამომდინარე, ბიზნესმენს სპეციალური უფლებები მიენიჭა და მას ექნება საკუთარი სამუშაო კაბინეტი ციხეში, რომელიც აღჭურვილი იქნება კომპიუტერული სისტემით. მე მასთან მიმოწერის საშუალება მექნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასეთი რეჟიმი დაუწესდა მას, ვიდრე სასამართლო საბოლოო განაჩენს გამოიტანს.



**— იყო საუბარი იმაზე, რომ ისრაელის პოლიტიკური და საქმიანი წრეების მხრიდან საქართველოზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, შესაძლოა, ზეევ ფრენკელი და რონი ფუქსი პრეზიდენტმა შეიწყალოს. თუ ეს თავად მსჯავრდებულების მოთხოვნით მოხდება, მათი მხრიდან საკუთარი ბრალეულობის აღიარებას ნიშნავს, რაც ბუნებრივია, მათ პრეტენზიებს, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფოსგან 100 მილიონი დოლარის მიღების თაობაზე, მნიშვნელოვნად ამცირებს.**

— არაფერი მსგავსი ჩემთვის ცნობილი არაა. ასეთი საუბრები მსმენია, მაგრამ ოფიციალური პირებისგან – არა. აპრილში მათი ოჯახის წევრებმა უკვე მიმართეს პრეზიდენტს შეწყალების თაობაზე, რაც უპასუხოდ დარჩა. ახლახან ფრენკელის ქალიშვილმა, რომელმაც მამის გამო ინფარქტი გადაიტანა, კიდევ ერთხელ მიმართა პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით, თუმცა ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ზეევ ფრენკელის ქალიშვილი ისრაელში ცხოვრობს. ის დაახლოებით 35 წლისაა. ჰყავს ოჯახი.

**— ისრაელის გამოცემა „მაარივის“ ცნობით, ბიზნესმენებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ღორის ხორცის ჭამას აიძულებდნენ. გამოცემის მტკიცებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ზეევ ფრენკელსა და რონი ფუქსზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას ახდენდნენ, რათა ამ გზით მათი აღიარებითი ჩვენებები მოეპოვებინათ.**

— იმის თქმა, რომ აიძულებდნენ, ღორის ხორცი ეჭამათ, არ შეიძლება, თუმცა სექტემბრის მეორე ნახევარში, როდესაც მათდამი დამოკიდებულება კრიტიკული გახდა, მოუხსნეს ის შეღავათები, რომლებიც საკვების შერჩევასთან დაკავშირებით ჰქონდათ. მათ ეძლეოდათ ღორის ხორცისგან დამზადებული საკვების შეცვლის საშუალება კვერცხის ან რძის პროდუქტებით. სექტემბრიდან კი ეს შემცვლელი საკვები მოეხსნათ.

**— ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ იძულებულნი გახდებოდნენ, ღორის ხორცი ეჭამათ?**

— ეს იძულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ახლა ყველაფერი მოგვარდა და მათ ეს პრობლემები აღარ აწუხებთ.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

## «რონი ფუქსს უკრძალავდნენ სიცოცხლისთვის საჭირო მედიკამენტების მიღებას, გასეირნებას და კოკაინის ჩადებით აშინებდნენ»

მსოფლიო

## ისრაელის არსებობას ემუქრებიან

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენება, რომლის მიხედვითაც ირანის ბირთვულ პროგრამას სამხედრო შემადგენელი აქვს, პოლიტიზირებულია და ეფუძნება ფალსიფიკაციას, ხოლო თუ ისრაელი გადაწყვეტს ირანისათვის დარტყმის მიყენებას, საკუთარ არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.** ამის შესახებ მოსკოვში ვიზიტად მყოფმა ირანის უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის მოადგილემ ალი ბაგერი-კიანმა განაცხადა. მანვე განმარტა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენება ეფუძნება ყალბ დოკუმენტებს, რომელთა უმეტესი ნაწილი სააგენტოს აშშ-მა მიაწოდა.



## ირანი ნებისმიერ თავდასხმას უპასუხებს

**ირანი „მთელი ძალით უპასუხებს“ ნებისმიერ თავდასხმას ან თუნდაც სამხედრო მოქმედებების საფრთხეს.** ამის შესახებ ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა ალი ჰამეინმა განაცხადა. „მტრებმა — ამერიკამ, მისმა მოკავშირეებმა და სიონისტურმა რეჟიმმა — უნდა იცოდნენ, რომ ირანის წესებში არ არის სხვა ქვეყნებში შეჭრა, მაგრამ ის მთელი ძალით უპასუხებს ნებისმიერ აგრესიას და მუქარას“, — წერია ალი ჰამეინის ოფიციალურ საიტზე. ირანის სულიერი ლიდერი პირობას დებს, რომ ისლამური რევოლუციის დამცველები და არმია საპასუხოდ გამოიყენებენ ძლიერ დარტყმებს და „რკინის მუშტს“.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2008 წლის აგვისტოს შემდეგ არც ერთი პასუხისმგებელი პირი სააკაშვილს ჰალსტუხს რომ აღარ აჩუქებს, ცხადია. მანტიას, მოსასხამსა და ლაბადას კიდევ რა უჭირს, მაგრამ ქოლგის გადაყლაპვა თუ დააპირა, მერე ნახეთ თქვენ არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში!**

# ნატოს ქოლგა ცირკის თავზე

**საქართველოს ერთპარტიული პარლამენტი ჩვეულებას არ ღალატობს და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტს დაჩქარებული წესით განიხილავს. ეჩქარებათ სადეპუტატო სავარძლების რაოდენობის გაზრდა, ასე ხომ პარლამენტში კვლავ მოხვედრის შანსი იზრდება! ხელისუფლებასთან ასეთივე დაჩქარებული წესით „დამეგობრებული“ ოპოზიციაც სწორედ ამას ელის: დამატებითი 40 მანდატი მათ უკვე სათავისოდ იგულეს.**



**სააკაშვილს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი სადღაც კუთხეში მიუმწყვდევია. ჩასვლის მიზანი სწორედ საკუთარი თავის დაფიქსირება და სასარგებლო კონტაქტების გაღრმავებაა**

ამასობაში სააკაშვილი და გამყრელიძე ბრიტანეთში, IDU-ს (ეს აბრევიატურა „საერთაშორისო დემოკრატიულ კავშირს“ ნიშნავს, მაგრამ მეტისმეტად რუსულად ჟღერს: – Иду, иду! ანუ, „მოვდივარო“, როგორც გრეჩიხა ამბობდა) ტრადიციულ თავყრილობაზე გაემგზავრნენ, ოღონდ ცალ-ცალკე. იქ კი ერთად იქნებიან და, ალბათ, კიდევ რამეზე შეთანხმდებიან. ამ IDU-ს დამფუძნებლები მარგარეტ ტეტჩერი, ჯორჯ ბუში-მამა და ჰელმუტ კოლი არიან და, სააკაშვილს, ალბათ, თავისი მასწავლებელი და მათი მეგობარი – შევარდნაძე რომ გაეგზავნა, აჯობებდა. თუმცა ახლა არც მამაშვილობის დროა და არც უფროს-უმცროსობის – ყველას თავისი გასჭირვებია. მაღალი დონის შეხვედრებს მონატრებული სააკაშვილი ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა! **IPN-ის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ სააკაშვილს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი სადღაც კუთხეში მიუმწყვდევია. ჩასვლის მიზანი სწორედ საკუთარი თავის დაფიქსირება და სასარგებლო კონტაქტების გაღრმავებაა. ამ მხრივ დავით გამყრელიძის წარმატებებზე ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ჩამოვა და გვაუწყებს, ალბათ. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილთან კონტაქტის გაღრმავების სრული შანსი აქვს.**

თავად სააკაშვილი კი, თურქეთის პრემიერთან სასაუბროდ მიზეზს პოულობს: სომალელი მეკობრეების მიერ შარშან გატაცებული 15 ქართველი მეზღვაურის დახსნაში დახმარებას თხოვს. მანამდე საბერძნეთის მთავრობას სთხოვა, მაგრამ რად გინდა, – უშედეგოდ. იმათაც თავიანთი პრობლემები აქვთ და შეიძლება, ევროკავშირიდან სულაც გარიცხონ. აფსუს, რა დროს განუდგა ბიძინა ივანიშვილი, თორემ გადაუხდიდა სააკაშვილი მეკობრეებს მოთხოვნილ 9 მილიონ დოლარს და საკუთარ მოქალაქეებზე გადამკვდარი პრეზიდენტის მანტიასაც მოირგებდა.

მანტია (სხვადასხვა ვარიანტებში — პიჯაკი, მოსასხამი, ლაბადა და ა.შ.) სააკაშვილმა რასმუსენსაც სთხოვა, მაგრამ იმან წაუყრუა. **„ბოლოს აქ თქვენი წინამორბედი 2007 წელს იყო და მან მაჩუქა ჰალსტუხი (ნატოს ჰალსტუხი), რომელიც ახლა მიკეთია. ვიმედოვნებდი, რომ თქვენ, სულ ცოტა, ნატოს მოსასხამს ჩამომიტანდით, რათა სიცივეში, გარეთ, ნატოს მოსასხამის გარეშე არ დავრჩენილიყავი. ჩვენ ჯერ არ გთხოვთ ნატოს ქოლგას და ამჯერად მისი მოსასხამიც საკმარისი იქნებოდა,“** — შესჩივლა სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს.

**2008 წლის აგვისტოს შემდეგ არც ერთი პასუხისმგებელი პირი სააკაშვილს ჰალსტუხს რომ აღარ აჩუქებს, ცხადია. მანტიას, მოსასხამსა და ლაბადას კიდევ რა უჭირს, მაგრამ ქოლგის გადაყლაპვა თუ დააპირა, მერე ნახეთ თქვენ არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში!**

არასტაბილურია საინფორმაციო ველიც. იმ სიის საქვეყნოდ გამომზეურება, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის მიერ დახმარებაგაწეული არაერთი ცნობილი ადამიანია, უკვე უარყო ფონდმა „ქართუმ“.

**სიის გასაჯაროება ფონდ „ქართუს“ ინიციატივით არ მომხდარა. მათივე ინფორმაციით, გამოქვეყნებული სია არაზუსტი და ფრაგმენტულია. სიის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, თუ რა ნიშნით იღებდნენ სიაში მოყვანილი ადამიანები დახმარებას.**

**„კანონმდებლობის მიხედვით, ფონდის საქმიანობა საჯაროა და მედიის წარმომადგენლებს წლების განმავლობაში შეეძლოთ გაცნობოდნენ ფონდის საქმიანობას, თუმცა ამ ინფორმაციით დღემდე არც ერთი მედიასაშუალება არ დაინტერესებულა, რათა მიეღო სწორი და ამომწურავი ინფორმაცია. ფონდი „ქართუ“, საზოგადოებაში გაჩენილი კითხვების საპასუხოდ, თავს ვალდებულად თვლის, მეტი სიცხადე შეიტანოს საკითხში: ფონდი „ქართუ“ დახმარების თანხებს ანაწილებს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმის მიხედვით, რომლის ამოსავალიც არის ამ ადამიანთა ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე“.**

შემდეგ ფონდი ერთგვარად თავს იმართლებს, რომ თეატრებში, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებში გადარიცხული თანხის თანამშრომლებზე გადანაწილებაში ფონდი არანაირ მონაწილეობას არ იღებს. რაც შეეხება გამოთქმულ აზრს, რომ ფონდი „ქართუ“ არ აფინანსებდა ხელმოკლე და სოციალურად დაუცველ პირებს და დაკავებული იყო ცნობადი სახეების დახმარებით, ფონდი თავს მოვალედ მიიჩნევს, მხოლოდ რამდენიმე ასეთ პროექტზე გაამახვილოს ყურადღება — **„წლების განმავლობაში ფონდის მიერ ფინანსდება რამდენიმე მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლი, თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი; ფონდის დაფინანსებით ათი ათასობით ხელმოკლე ადამიანს ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; ათასობით ადამიანი იღებს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას. ეს არის მხოლოდ მცირედი ჩამონათვალი იმ სოციალური პროექტებისა, რომელთაც ფონდი „ქართუ“ ახორციელებს და რომლებშიც ბოლო 10 წლის განმავლობაში 120 მილიონი ლარი აქვს დახარჯული,“** — ნათქვამია ფონდ „ქართუს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში სიაში მოხსენიებული ადამიანები ერთ ამბავს ატეხდნენ იმის გამო, რომ მათი პირადი მონაცემები და შემოსავლები მესამე პირმა გამოაქვეყნა, აქ კი – ვითომც არაფერი! სამაგიეროდ, ყველაზე მეტად ისინი აქტიურობენ, ვისაც სხვის ჯიბეში ხელის ფათური წესად ექცა.

სამაგიეროდ, **იუნესკოს მიერ მეცნიერების დღედ გამოცხადებულ 10 ნოემბერს ათი კვლევითი ინსტიტუტის და 17 აკადემიკოსისთვის გადაცემული ფულადი ჯილდოებით და პრემიებით, მათ შორის 3-ათასიანი და 5-ათასლარიანი ფულადი ჯილდოებით თითქმის არავინ დაინტერესებულა. არც ის უკითხავთ, ვინ და რისთვის მიიღო ეს პრემიები. არც იმაზე განსჯით შეუწუხებიათ თავი, რომ ერთჯერადად გაცემულ თითქოს სოლიდურ პრემიებს ივანიშვილის მიერ გაცემული დახმარება მრავალჯერ აჭარბებს.**

მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ იმ შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა, რომ მოსკოვში წასასვლელად ემზადება. იგი მოსკოვში შეხვდება რუსეთის პატრიარქ კირილს და სხვა პასუხისმგებელ პირებს. საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, რომ ეს იქნება მნიშვნელოვანი შეხვედრები.

სავარაუდოა, რომ ამ განცხადების შემდეგ მიჩუმებული თეა თუთბერიძე კვლავ თავით გადაეშვას „კრემლის აგენტების“ ძიებაში.

**ვიდრე ივანიშვილი „კრემლის უკანასკნელი იმედის“ მაღალი წოდებით სარგებლობს, მის პრესკონფერენციაზე უხამსი ქცევით გამორჩეული ჟურნალისტები ნატოს გენერალურ მდივანთან „კონსტრუქციული“ შეკითხვებით იწონებენ თავს: „მოგესალმებით. გვსურს, ორივე მხარის პოზიცია მოვისმინოთ, თუმცა, უპირველესად, გენერალურ მდივანს მივმართავ. საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ინტეგრაციის თვალსაზრისით, როგორ არის გადანაწილებული პოზიციები თავად ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის“?**

ეს „შინაარსიანი“ შეკითხვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს – ნინო გომართელს ეკუთვნის. აი, იმ გომართელს, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ასე მიმართავდა: **„ბატონო ბიძინა, თქვენზე საზოგადოებამ ბევრი რამ არ იცის, საზოგადოებამ იცის, რომ თქვენ მდიდარი ადამიანი ხართ და ბევრი ფული გაქვთ. აქ, ალბათ, ბევრი შეკითხვა დაისმება, მაგრამ მე მინდა დავიწყო თქვენი მედიასთან ურთიერთობებით. თქვენ პირველ წერილში თავს დაესხით ჟურნალისტებს, უკლებლივ ყველა ტელეკომპანიას და უარი თქვით მედიასთან თანამშრომლობაზე, თქვენ უარი თქვით, მიგეღოთ მონაწილეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ნებისმიერ თოქშოუში. ამის შემდეგ თქვენ სახლში მოიწვიეთ და ინტერვიუ მიეცით თქვენ მიერ შერჩეულ კონკრეტულ ჟურნალისტებს. ჩვენ ვნახეთ, როგორ ღიზიანდებოდით თქვენ თქვენთვის არასასურველი კითხვების მოსმენისას, როგორც ეს ხდებოდა ნინო ჟიჟილაშვილთან ინტერვიუს დროს. ამის შემდეგ თქვენი წარმომადგენლები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ევაჭრებოდნენ საზოგადოებრივ მაუწყებელს და წამოგვიყენეს ბევრი წინაპირობა და მოგვთხოვეს ძალიან დეტალური საბუთების წარმოდგენა, რომელიც ნატოსა და ევროკავშირის სამიტებზეც არ ხდება ხოლმე. აქ მოსვლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ მკაცრი ინსტრუქციები თქვენი დაცვის თანამშრომლების მხრიდან, იყო მითითებები და გავიარეთ შემოწმების უპრეცედენტო ნორმები. არ მახსენდება სხვა რომელიმე ბრიფინგზე მომხდარიყო ეს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ აქ დაგვირიგეს წიგნი „ანტიჟურნალისტიკა და ქრონიკული ალიაქოთი“. ამ ქრონოლოგიური მოვლენების ჩამოთვლის შემდეგ მინდა გკითხოთ...”...**

როგორია? იპოვეთ ათი მსგავსება ამ ორ კითხვაში!

თავის დროზე ასევე „ყურადღებიანად“ მოექცნენ საკუთარი ჟურნალისტები ბადრი პატარკაციშვილსაც. ასევე ესხმოდნენ მას თავს ხელისუფლების ჯიბეში ჩამსხდარი ჟურნალისტებიც და ხელისუფლების სახეებიც. მისი გადაცვალების შემდეგ კი ქონების წართმევა-დაყაჩაღებას მიჰყვეს ხელი. **2007 წელს ცირკი ისევე დალუქეს, როგორც პატარკაციშვილის სხვა მრავალი ობიექტი. ოთხი წლის შემდეგ, როგორც ბადრის და – ნანა პატარკაციშვილი აცხადებს, თბილისის ცირკი წარმოდგენებს განაახლებს. ამ ეტაპზე ცირკში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**„მსახიობებისა და აკრობატების შესარჩევად ქასთინგი უკვე ჩავატარეთ და ძირითადი ბირთვი უკვე შერჩეული გვყავს. ჩვენი დიდი სურვილია, საცირკო წარმოდგენები რაც შეიძლება, მალე განვაახლოთ. თუ არაფერმა შეგვიშალა ხელი, ცირკი ფუნქციონირებას ახალი წლის პერიოდში დაიწყებს“,** — განაცხადა ნანა პატარკაციშვილმა და კატეგორიულად უარყო მედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს პატარკაციშვილების ოჯახი ცირკის გაყიდვასა და მის ადგილზე მეჩეთის აშენებას აპირებს.

**მეჩეთის რა მოგახსენოთ, მაგრამ ის, რაც საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხდება, სწორედ ცირკია და სხვა არაფერი, — თავის მთავრობიან-ოპოზიციანად და დამშეული ხალხიანად, რომელიც თავის გადასარჩენად ისეთ აკრობატულ ნომრებსა და ფოკუსებს ატარებს, როგორსაც ვერც ერთ ცირკში ვერ ნახავ. ეგ არის, ოღონდ ბავშვები ამით ვერ ერთობიან!**

**ყველა ნორმალურ ქვეყანაში სიაში მოხსენიებული ადამიანები ერთ ამბავს ატეხდნენ იმის გამო, რომ მათი პირადი მონაცემები და შემოსავლები მესამე პირმა გამოაქვეყნა, აქ კი — ვითომც არაფერი! სამაგიეროდ, ყველაზე მეტად ისინი აქტიურობენ, ვისაც სხვის ჯიბეში ხელის ფათური წესად ექცა**

„თუ ეს არის დემოკრატია, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ ამას ჰქვია დასავლური ღირებულებები და ფასეულობები, მაშინ კისერიც უტეხია დემოკრატიას, არ გვჭირდება არაფერში; ხალხს სიღარიბეში ხდება სული და მარტო მაღალფარდოვანი სიტყვების ფრქვევა ან ხელების ქნევა ხომ არ არის დემოკრატია?!“

თბილისი, დ. ბაქ...



**დავით სოკოლოვი:**

# ესენი ისევ მოაწყობენ 26 მაისს, 7 ნოემბერს და იქნება სასაკლაო!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი ტელეწამყვანი დავით სოკოლოვი.**

**— ბატონო დავით, გასულ კვირას, ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე, სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლა ასე დაიწყო: მოგესალმებით საქართველოში, როგორც შემდგარ, დემოკრატიულ, სწრაფად განვითარებად სახელმწიფოში. თქვენი აზრით, რამდენად შემდგარ და სწრაფად განვითარებადია დღესდღეობით ჩვენი ქვეყანა? დემოკრატიაზე არაფერს გეკითხებით.**

— იმის გარდა, რომ სრული აბსურდია, რაც იმ დღეს სააკაშვილმა ილაპარაკა, ეგ არის დაცინვა, ვინაიდან, რამდენად დემოკრატიულ და სწრაფად განვითარებად ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამას მთელი მსოფლიო კარგად ხედავს. **რაც შეეხება, შემდგარ სახელმწიფოს, დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ შემდგარ სახელმწიფოში, ოღონდ გააჩნია, რაზე. მე მიმაჩნია, რომ დღეს საქართველო საფლავის კარზეა შემდგარი...**

**— ეს სიტყვები რომ სააკაშვილს სადმე, რომელიმე რეგიონში გლეხებთან შეხვედრაზე ეთქვა, ვიტყოდით, რომ მოსახლეობას „აბოლებს“-თქო, მაგრამ მან ეს განცხადება ნატოს გენერალური მდივნის თანდასწრებით გააკეთა. თქვენი აზრით, რასმუსენმა და იმ დიპლომატებმა, რომლებიც ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, არ იციან, რეალურად რა მდგომარეობაა საქართველოში?**

— საქმეც ისაა, რომ ძალიან კარგად იციან, მაგრამ მათ, უბრალოდ, არ აინტერესებთ, ქვეყნის შიგნით რა ხდება. **ამერიკისთვის მთავარია, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ჰყავდეს ისეთი გიჟი, რომელიც, თუ ეტყვიან, დაბომბე შენი ქვეყანაო, დაუფიქრებლად შეასრულებს ბრძანებას, სააკაშვილი კი, ამ თვალსაზრისით, იდეალური პრეზიდენტია, ამიტომ ტყუილად ნუ გვექნება იმის მოლოდინი, რომ რასმუსენი ან რომელიმე სხვა მაღალი რანგის უცხოელი ჩინოვნიკი ამ გადარეულს ტყავს გააძრობს. პირიქით, იმის უნდა გვეშინოდეს, რომ კიდევ უფრო მეტად არ წაგვიქეზონ და გაგვიგიჟონ, თორემ უბედურებები მერე ნახეთ...**

**— რასმუსენმა პირდაპირ თქვა, რომ საქართველოს დიდი მიღწევები აქვს როგორც დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ისე სხვა მიმართულებებითაც. როგორ ფიქრობთ, ეს განცხადება პიროვნულად სააკაშვილის მხარდაჭერას ნიშნავს?**

— რას ნიშნავს და რას — არა, ანალიტიკოსებმა განსაჯონ. საბედნიეროდ, ექსპერტები უხვად გვყავს, ხოლო რაც შეეხება მიღწევებს დემოკრატიაში და ზოგადად, რასაც რასმუსენმა გაუსვა ხაზი, არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, **თუ ეს არის დემოკრატია, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ ამას ჰქვია დასავლური ღირებულებები და ფასეულობები, მაშინ კისერიც უტეხია დემოკრატიას, არ გვჭირდება არაფერში; ხალხს სიღარიბეში ხდება სული, რაზეა საუბარი, ბოლოსდაბოლოს, მარტო მაღალფარდოვანი სიტყვების ფრქვევა და ხელების ქნევა ხომ არ არის დემოკრატია?!**

**— პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვლება. თქვენ რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— ძალაუნებურად ისევ იმ საკითხს ვუბრუნდებით, რითაც საუბარი დავიწყეთ — არჩევნების გზით მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი, თუ ეს ჩვენი ძვირფასი დასავლეთელი ჭკუისდამრიგებლები აზრზე მოიყვანენ ამ მართლაცდა კალაპოტიდან ამოვარდნილ ე. წ. ხელისუფლებას, სხვანაირად არჩევნებიდან არაფერი გამოვა და დღემდე ამაში არაერთხელ დავრწმუნდით...

**— რას ნიშნავს, რომ არაფერი გამოვა, რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ვგულისხმობ იმას, რომ, **თუ სააკაშვილს თავისი მფარველი და მარჩენალი ამერიკელები არ ეტყვიან, გეყო, რაც არჩევნები გიყალბებიაო, მომავალ არჩევნებსაც ისე ჩაგვიტარებენ, როგორც აქამდე ტარდებოდა. მე შენ გეტყვი, აზვირთდება ოპოზიცია და თავზე დაამხობენ სააკაშვილს ხელისუფლებას, თუ რა?! ხმის ამოღებასაც ვერავინ გაბედავს.**

**— საზოგადოებაზეც იმავე აზრის ხართ?**

— საზოგადოებას რაც შეეხება, თუ ესენი მოსახლეობისგან რაიმე სერიოზულ საფრთხეს იგრძნობენ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ყველაფერზე წავლენ, — ისევ მოაწყობენ 26 მაისებს, 7 ნოემბერს, ისევ შეუვარდებიან ადამიანებს სახლებში და იქნება სასაკლაო. ნუ



დაგავიწყდებათ, რომ ამ ხელისუფლებას უკვე გასინჯული აქვს გემო საკუთარი ხალხის სისხლისთვის. ასე რომ, ამათთვის ეს ნაბიჯი რთულად გადასადგმელი ნამდვილად არ იქნება.

**— ამასწინათ სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ პრემიერმინისტრობა მისთვის უინტერესოა. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს განცხადება?**

— ეს იყო ჩვეულებრივი, „ნაცმოძრაობისთვის“ დამახასიათებელი ე.წ. პიარკამპანია, რომლის მიზანია, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ სააკაშვილისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა თანამდებობაზე იქნება, რომ მისთვის მთავარია, გაგრძელდეს რეფორმები და ა.შ., ანუ რასაც დღეში ცხრაჯერ იმეორებენ ხოლმე ხელისუფლების წარმომადგენლები „ნაციონალურ არხებზე“.

სინამდვილეში ყველამ კარგად ვიცით, რომ ესენი ყველაფერს აკეთებენ, რათა მოამზადონ პლაცდარმი და, როგორც არ უნდა წარიმართოს პროცესები, მუდმივად დარჩნენ ხელისუფლებაში; **არც ისაა გამორიცხული, კონსტიტუცია ისე შეცვალონ, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სააკაშვილი არა პრემიერ-მინისტრად, არამედ ისევ პრეზიდენტად მოგვევლინოს და ერთპიროვნული ძალაუფლება ოფიციალურად დაიკანონოს, ანუ უკვე პირდაპირ ჩაწეროს კონსტიტუციაში, რომ იქნება მანამდე, სანამ თავისი ნებით არ გადადგება ან არ მოკვდება. ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი და ნამდვილად არ გამიკვირდება, თუ ეს მოხდება.**

**— ხელისუფლებამ ქვეყნის დიპლომატიურ გამარჯვებად შერაცხა ის, რომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ კონფლიქტურ რეგიონებში ტვირთბრუნვაზე საერთაშორისო კონტროლი დაწესდა. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჩვენი ქვეყნისთვის...**

— ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ხალხი შიმშილით არ იხოცებოდეს და მუდმივად იმის შიშში არ ვიყოთ, ხვალ რუსეთი დაგვარტყამს თუ რომელიმე სხვა დიდი სახელმწიფო. აი, ეს არის დღეს უპირველესი პრობლემა და ნორმალური ხელისუფლება ამაზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ამათ ტვინი უკუღმა უდევთ და ვერ ხვდებიან ან არ უნდათ, მიხვდნენ, რომ ქვეყანა უკვე უფსკრულის პირასაა. **თურმე ჩვენი დიპლომატიური გამარჯვება ყოფილა ის, რომ რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებში ტვირთის შეტანა-გამოტანის კონტროლზე დავითანხმეთ და ერთი ამბავი აქვთ ამაზე ატეხილი, ავშენდითო, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ამაზეა ნათქვამი... ამათ რომ ჰკითხოთ, ბუშმა რომ სააკაშვილს ხელი ჩამოართვა, ესეც დიდი გამარჯვება იყო, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ 2008 წლის სამარცხვინო ომიც გამარჯვებად გამოგვიცხადეს. მოკლედ, სასაცილოზე სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს, რომელ გამარჯვებაზე და წარმატებებზეა საუბარი, როცა ადამიანებს უკვე დარჩენა აღარ უნდათ ამ ქვეყანაში...**

**— თქვენ რუსეთის მხრიდან დარტყმა ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია საფრთხე, რომ მომავალში შეიარაღებული დაპირისპირება ჩრდილოელ მეზობელთან განახლდეს?**

— ეს რომ რუსეთის ინტერესებში იყოს, მერწმუნეთ, ვერანაირი დიპლომატიური ზემოქმედება მას ვერ შეაჩერებდა, მაგრამ დასაწყისშიც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება; როცა ქვეყანას ფაქტობრივად შეურაცხადი მართავს, იქ პროცესები არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება, ასე რომ, საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს და ამ ხელისუფლების მოშორებაც სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ ეს საფრთხე საქართველომ თავიდან აიცილოს. ცხადია, ეს მარტივი არ იქნება, მაგრამ პრაგმატული, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედი ხელისუფლება ამას აუცილებლად მოახერხებს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენ, როგორც ამ შემთხვევაში, პოტენციური ამომრჩეველი, როგორ ფიქრობთ, რანაირი უნდა იყოს ის ხელისუფალი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას დაარეგულირებს?**

— დავიწყოთ ყველაზე მარტივით, — პირველ რიგში უნდა ესმოდეს, რომ დაპირისპირება მეზობელ სახელმწიფოსთან, მით უმეტეს ისეთთან, როგორიც რუსეთია, ჩვენისთანა მცირერიცხოვან ქვეყანას ვერაფერს მოუტანს, იმის გარდა, რომ მოვისპობით და საბოლოოდ გავნადგურდებით. უნდა ესმოდეს, რომ ხალხის ინტერესები არის უპირველესი და ეს ინტერესები დგას ყველაფერზე მაღლა. დღეს, როცა მთელი მსოფლიო იქითკენ ისწრაფვის, რომ ჰქონდეს ახლოპარტნიორული ურთიერთობა რუსეთთან, ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი მიზანიც სწორედ ეს უნდა იყოს. ამავე დროს უნდა გვესმოდეს ისიც, რომ რუსეთს აქვს თავისი ინტერესებიც და ჩვენი მხრიდან ეს ინტერესები არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ იქნეს დაყენებული. ერთი სიტყვით, უნდა იყოს ნება, რომ დავამყაროთ ჭეშმარიტად კეთილმეზობლური ურთიერთობა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან და, ბუნებრივია, ეს თუ იქნება, პოლიტიკაც შესაბამისი გატარდება, თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, ვინაიდან, ჯერ ერთი, სააკაშვილი ამის გამკეთებელი არ არის და მეორეც, არა მგონია, მასთან მოლაპარაკებაზე ვინმე წამოვიდეს.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, დღეს რუსეთს მთელი მსოფლიო უპირისპირდება.**

— დაპირისპირებაზე ტლიკინებენ მხოლოდ ის ადამიანები, ტვინზე „პალიროვკა“ აქვსო, რომ იტყვიან; მაგალითად ჯონ მაკკეინი, რომელიც ჯერ ვერ გამოსულა ვიეტნამის ტყვეობიდან. სწორედ ასეთი ადამიანების წაქეზებით დაიწყო სააკაშვილმა დაპირისპირება რუსეთთან და რაც მივიღეთ შედეგად, კარგად ვხედავთ...

**— ანუ, გინდათ თქვათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ამერიკის მიერ იყო ინსპირირებული?**

— მე მარტო აგვისტოს ომს არ ვგულისხმობ, ყველამ ვიცით, რომ ეს, უბრალოდ, იყო პიკი იმ დაპირისპირებისა, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო, ანუ როცა ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ მოვიდა.

...ზოგადად, ყველა ის პოლიტიკოსი თუ დიპლომატი, რომელიც აცხადებდა, რომ საქართველო სწორ გზას ადგას, რუსეთის ხელისუფლება კი არის კომუნისტური იდეოლოგიის გადმონაშთი და ქართველმა ხალხმა მასთან რამე კომპრომისზე არც უნდა იფიქროს, რა თქმა უნდა, დამნაშავეა ომის დაწყებაში. სწორედ მათი პოლიტიკის შედეგია ის, რომ **საქართველოს დაკარგული აქვს ტერიტორიის ერთი მესამედი და ქვეყანას მართავს ავტორიტარული რეჟიმი. პირველ რიგში, ცხადია, ეს ეხება ამერიკის ხელმძღვანელობას, რომელიც ბოლო წუთამდე უჩიჩინებდა სააკაშვილს, ნუ გეშინია, შენთან ვართო. ხოლო როცა საქმე საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ მათი მხარდაჭერა მხოლოდ წყლის გამოგზავნაში მდგომარეობდა. ვის რაში სჭირდებოდა მათი წყალი, წყალს მიაქვს მთელი საქართველო...**

მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ყველა ის საბედისწერო ნაბიჯი, რომელიც ამ ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებაში გადადგა, რა თქმა უნდა, იყო ამერიკის მიერ პროვოცირებული; ასე რომ, სააკაშვილმა ამით შეიძლება ითქვას, პირნათლად შეასრულა ყველა დავალება და, როგორც დასაწყისშიც გითხარით, დღეს უკვე მას, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს ვაშინგტონის მხარდაჭერა. სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი უბედურებაც, ვინაიდან, სანამ მას ეს მხარდაჭერა ექნება, ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და რამე შედეგის მიღწევა რეალურად შეუძლებელია. ეს კარგად იცის თვითონ ხელისუფლებამაც და ამიტომაც არიან ვითომდა ასე პრინციპულები საზოგადოების მიმართ...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სააკაშვილი არიგებს ორმაგ მოქალაქეობას — ხან ვიღაც შემოხეტებულ მსახიობს მიანიჭებს, ხან სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს, პირდაპირ ეთერში. ამ დროს კი საქართველოში ყველაზე დიდ ქველმოქმედს, რომელმაც მორალური ქმედებითა და ცხოვრების წესით დაიმსახურა საქართველოს მოქალაქეობა, სულ რომ არ იყოს აქ დაბადებული, გაზრდილი, ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვა მოქალაქეობა!“



ეკა ბესელია:

# ხელისუფლებაში არარაციონალური, უკონტროლო და არაადეკვატური ადამიანები არიან

**გასული საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე ქალბატონს შევხვედრივარ, გვისაუბრია, მიმუშავია მათთან.**
**უმაღლესი დონის მოღვაწეებზე მოგახსენებთ. ჩემს დღევანდელ რესპონდენტთან, ქალბატონ ეკა ბესელიასთან ორ საათს გაგრძელებული ინტერვიუს შემდეგ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა: საუკეთესო თვისებები, რომლებიც იმ თაობების ქალბატონებს ხაზგასმით გამოარჩევდა, ამ ერთ ადამიანშია გონივრული დოზით წარმოდგენილი.**

**«ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც არც კანონში, არც ზნეობაში, არც პოლიტიკური ბრძოლის წესებში არ ეწერება»**

## მისი ცხოვრების წესი

**ეკა ბესელია წლების მანძილზე წარმატებული ადვოკატი იყო.**

— პრაქტიკული საქმიანობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დავიწყე. 1996 წლიდან 2007 წლის ჩათვლით, 11 წელიწადი უწყვეტ საადვოკატო პრაქტიკაში ვიყავი ჩართული, იმ სივრცეში ვტრიალებდი, რომელიც ჩემთვის ორგანული იყო.

**ოთხი წლის თავზე ჟურნალისტებმა წლის ადვოკატად დაასახელეს. 2002 წელს სისხლის სამართლის საქმეთა დედოფლის ტიტული მიანიჭეს.**

— ბევრი საქმე წარმატებით დავამთავრე, — **იხსენებს.**

**2003-2004-2005 წლებში მიყოლებით წლის ადვოკატად იყო აღიარებული.მოგებული პროცესებიდან ერთს განსაკუთრებით გამოყოფს.**

— საქართველოში არც ერთ ადვოკატს არ მოუგია ასეთი საქმე. ჯერჯერობით მაინც. შეიძლება მომავალში გაიმეორონ. მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის სამუდამო პატიმრობამისჯილი ადამიანი ხუთი წლის ბრძოლის შემდეგ ციხიდან დავიხსენი უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით. ამას მივუძღვენი ჩემი ენერგიისა და შესაძლებლობების 80 პროცენტი. ვიცოდი, რომ უდანაშაულო ადამიანს ვიცავდი.

**2005 წლამდე საქმეების 80 პროცენტზე მეტი მოგებული აქვს.დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ საქმეზე არავითარი მანიპულაცია, გარედან ჩარევა, მორალური კომპრომისი არ დაუშვია. ვერავინ უსაყვედურებს: — ეს რამ გაგაკეთებინაო?!**

**რინგზე საბრძოველად გასული მოკრივის წარდგენას ჰგავს აქ მოხმობილი სტატისტიკა: ამდენი გამარჯვება, ამდენი ნოკაუტი და წაგებაც.**

**ჰგავს უკომპრომისო დაპირისპირებითაც, მაგრამ განსხვავებულია იმით, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატი ეკა ბესელია ადამიანის ბედის სამართლიანი გადაწყვეტისთვის იბრძოდა.**

**და, როგორც ვთქვით, 80-ზე მეტი ბრძოლა მოიგო.**

**ასე განვლო პროფესიული მოღვაწეობის ეს მონაკვეთი.**

— 2006 წლის ბოლოდან ამერიკაში სასამართლო პრაქტიკას ვეუფლებოდი, საინტერესო გამოცდილება შევიძინე. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში გამოვდიოდი სასამართლო პროცესებზე, როგორც წარმომადგენელი საქართველოს მხრიდან, გაეროს სპეციალური კომისიის მიერ მონიჭებული მქონდა სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტის სტატუსი, ვკითხულობდი სპეციალურ ტრენინგებს მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის და ადვოკატებისთვის. ვიყავი ადვოკატთა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე და ეთიკის კოდექსის თანაავტორი, რომელიც დღესაც მოქმედებს.

**კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, იცავს სადოქტორო დისერტაციას და კითხულობს ლექციებს. შთამბეჭდავია.**

— გულწრფელად გეტყვით, ახლაც იქ დავრჩი, იმ სივრცეში. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ადვოკატობა მხოლოდ პროფესია კი არ არის, ჩემი ცხოვრების წესია.

**— გამაგებინეთ, ქალბატონო ეკა, „კორუმპირებული უნივერსიტეტი“ დაამთავრეთ, როცა უზენაეს სასამართლოში უნიკალური პროცესი მოიგეთ, სასამართლო კორუმპირებული იყო. როგორ შევათავსოთ ასეთი უკიდურესობანი?**

— უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობაში იყვნენ ისეთი მოსამართლეები, როგორიც მერაბ ტურავა, თამრიკო ლალიაშვილი, ნინო გვენეტაძე და ასე შემდეგ არიან, რომლებიც „ვარდოსნებმა“ აიძულეს, დაეტოვებინათ უზენაესი სასამართლო.

ჩვენ, ადვოკატები, უზენაეს სასამართლოში ვიგებდით პროცესებს სწორედ იმიტომ, რომ ამ მოსამართლეების წყალობით თავისუფლების ხარისხი იმ პერიოდისთვის შესაძლებლად მაქსიმალური იყო. თუმცა მე ყოველთვის ვაკრიტიკებდი შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელ მართლმსაჯულებასაც და სამართალდამცავ სტრუქტურებსაც.

რასაკვირველია, სასამართლო გარკვეული დოზით კორუმპირებული იყო. დამოუკიდებლობის სრული ხარისხი არ ქონდა და ამიტომაც ვაკრიტიკებდი, მაგრამ შემეძლო პროცესები მომეგო თუნდაც ბოლო ინსტანციაში. ძლიერი პოზიცია მქონდა და უკან არ ვიხევდი არასდროს. პოლიტიკური პროცესებიც მქონდა იმ პერიოდის სასამართლოში.

**— მაგალითად?**

— მაგალითად დავასახელებ დღევანდელი ხელისუფლების ძალიან მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს, რომლებიც მაშინ ოპოზიციაში იყვნენ და რომლებსაც ვიცავდი. ყოველთვის ოპოზიციის, დაჩაგრულების მხარეს ვიყავი.

**ჰკითხეთ, ამათ პროცესებს როგორ ვიგებდი? აწყობდნენ საქმეებს შევარდნაძის სასამართლოში?**

**2001 წელს იუსტიციის მაშინდელი მინისტრის — სააკაშვილის მოადგილის, ოქრუაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე მოვიგე. ჩააწყვეს?!**

**გივი თარგამაძეს ვიცავდი, ხულიგნობის მუხლით რომ გაასამართლეს. ჩააწყო მაშინ შევარდნაძესთან?!**

**პეტრე ცისკარიშვილის საქმე, ვანო მერაბიშვილის საქმე, კეზერაშვილის და სხვათა საქმე? ესენი, ყველანი ჩემს ოფისში მოდიოდნენ როდესაც პროფესიონალი და პრინციპული ადვოკატის დახმარება ჭირდებოდათ და თუ ამ საქმეებს აგვარებდნენ უკანონო გზით, აღიარონ.**

მე რომ დავასახელე, იმ მოსამართლეების წყალობით იყო თავისუფლების ის ხარისხი, რომლითაც შეგვეძლო პოლიტიკურ საქმეებზეც კი გაგვეჩერებინა ხელისუფლება. ის მოსამართლეები იმიტომ გაუშვეს, რომ მხოლოდ ასე შეძლებდნენ „რეფორმატორები“ უზენაესი სასამართლოს დაპყრობას. შემდგომ ამ მოსამართლეებს ვიცავდი იუსტიციის საბჭოში, ნიკა გვარამია და ნინო კალანდაძე კი ბრალმდებლები იყვნენ.

„ვარდოსნებთან“ პირველი სერიოზული შეტაკება, პოლიტიკური კონფლიქტი სწორედ მოსამართლეთა საქმესთან დაკავშირებით მომიხდა.

ჩემი ყოფილი კლიენტები ქვეყნის სათავეში რომ მოვიდნენ, ხელისუფლების რომელიმე შტოში მუშაობის დაწყება შემომთავაზეს, უარი ვუთხარი, რადგან ბუნებით თავისუფალი ადამიანი ვარ და არ მიყვარს ჩარჩოებში მომწყვდევა.

როგორც კი დაიწყო უკანონო დაპატიმრებები ოქრუაშვილმა, რომელიც გენერალურ პროკურორად დანიშნეს, პირველად ვინ დაეჯახა „ვარდოსნებს“, რომლებიც ჩემი ახლობლები იყვნენ? მე: 2004 წლის თებერვლიდან საჯაროდ ვამხელდი ამათ უკანონობას.

ხალხი მაშინ აღტაცებული შეჰყურებდა ახალგაზრდა, რევოლუციურ ხელისუფლებას, რომელსაც უნდა დაეწმინდა ჩვენი მღვრიე ცხოვრება.

**— მაგრამ უკანონო მეთოდებით?**

— სწორედ ეს ვუთხარი, როცა პირველად, დააპატიმრეს ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. იცით, რა მიპასუხეს? ჩვენ მორალურად მართლები ვართ და, კანონს თუ ვარღვევთ, არაუშავსო.

მაგრამ კანონს თუ არღვევ, აღარ ხარ მორალურად მართალი.

ვერ მეკამათებოდნენ. მთხოვდნენ, საჯარო განცხადებებით ნუ გამოდიხარო, მაგრამ არასოდეს დამიმალავს კრიტიკული აზრი და არ გავჩუმებულვარ.

როცა მირცხულავა დააპატიმრეს, სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში გააკეთა კომენტარი, რომ ბრალდებულს საუკეთესო ადვოკატი ეკა ბესელია იცავსო (მაშინ მისთვის საუკეთესო ვიყავი, მიუღებელი გავხდი მას შემდეგ, როგორც კი 2004 წლიდან მისი კრიტიკა დავიწყე) და გაირკვევა ყველაფერიო. გაირკვა მათ საწინააღმდეგოდ. ეს იყო 2004 წლის დასაწყისი.

ჩვენი გზები გაიყო, ჩვენი ურთიერთობები დამთავრდა. უსამართლობა დავინახე თუ არა მე მათთან ვერ ვიურთიერთობებდი.

## როგორ მოვიდა პოლიტიკაში

— ჩვენი საზოგადოება მაშინ ხიბლში იყო, არ იღებდა „ვარდოსნების“ კრიტიკას.ასე რომ, რაღაც პერიოდი მარტო აღმოვჩნდი.

ვებრძოდი ჩემი პროფესიიდან გამომდინარე — უკანონობის წინააღმდეგ გამოვდიოდი. როცა დაპატიმრებულ ჩინოვნიკებს ფულის გადახდა დააწყებინეს, პირდაპირ განვაცხადე, რომ ეს იყო ქრთამი, კორუფცია: ვის უხდიან? რატომ? მაშინ საპროცესო შეთანხმება არ არსებობდა.

უმრავლესობა ხშირად ყველაფერს „ივიწყებს“, ბოლოდან იწყებენ შეფასებას, აბა, თავიდან გამოჰყვნენ — ვინ, როდის, რას ამბობდა, როგორ იქცეოდა და მერე ყველაფერს მიხვდებიან.

ყველაფერ ამის გამო, უწინარეს ყოვლისა კი, მოსამართლეების საქმის შემდეგ, იმ შეურაცხყოფის გამო, რასაც ეს ხელისუფლება სასამართლოს აყენებდა და სამართალს ფეხქვეშ თელავდა, კატეგორიულად განვაცხადე, რომ ამ სასამართლო დარბაზში აღარ შემოვიდოდი, ვიდრე მართლმსაჯულება არ დამკვიდრდებოდა. ასე წამოვედი 2007 წელს.

**— ეს იყო მიზეზთა ის წყება, რის გამოც წარმატებული ადვოკატი წავიდა პოლიტიკაში? აღარ შეგეძლოთ ეფექტიანი ბრძოლა სამართლის სივრცეში და ახალ, პოლიტიკურ სივრცეში აღმოჩნდით?**

— იმ დროისთვის ყველაფერი მქონდა. სხვებისგან განსხვავებით, არ ვიყავი ხელმოცარული ადამიანი. არანაირი პრობლემა არ მაწუხებდა, მათ შორის, არც მატერიალური. მაგრამ არ მქონდა მთავარი — სამართლიანობის განცდა! ვხედავდი, რომ ადამიანი სასამართლოში სამართალს ვერ პოულობდა. ჩემი სამართლებრივი არგუმენტები ვერ ერეოდა იმ პოლიტიკურ წნეხს, რომელიც დამკვიდრდა სასამართლო სისტემაში.ვერ იქნები თვითკმაყოფილი, როცა მასშტაბში, მოცემულობაში ვერ ეტევი, ამიტომ ცდილობ სხვა სივრცეში გასვლას.

ზუსტად ის პერიოდია — 2007 წელი, როცა ოქრუაშვილი იწყებს პოლიტიკური გუნდის ფორმირებას. მეუბნება, რომ აყალიბებს ოპოზიციურ პარტიას, იწყებს მზადებას არჩევნებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად და მთხოვს დახმარებას.

**პირველად უარი ვუთხარი, რადგან უკანონო დაპატიმრებების გამო, რასაც მან ხელი მიჰყო გენერალური პროკურორობის დროს, 2004 წლიდან 2007 წლამდე მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი მქონდა.**

**არ მქონდა ოქრუაშვილისადმი ნდობის საკმარისი რესურსი — ვნახე, როგორიც იყო ხელისუფლებაში. მაგრამ ამავე დროს იგი, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, შემოდიოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

**— და ამან შეგაბრუნათ მისკენ?** ▶

## რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა რთულდება

**„ვალდაის“ სადისკუსიო კლუბის ექსპერტებთან შეხვედრისას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა შესაძლოა, გართულდეს.** პრემიერის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი ევროპაში ანტისარაკეტო სისტემას განათავსებს რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა აუცილებლად დაიძაბება. ამასთან ერთად, პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთს მსგავსი კონფლიქტების არ ეშინია.



## ჰილარი კლინტონი ირანისგან განმარტებებს ითხოვს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ირანისგან ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით განმარტებებს ითხოვს.** მისი განცხადებით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს აქვს სერიოზული მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს. თავის მხრივ თეირანმა განაცხადა, რომ მოხსენება პოლიტიზირებულია და დაფუძნებულია გაყალბებულ ინფორმაციებზე, რომლებიც აშშ-ის ინტერესებს ემსახურება.

„დღეს უნიკალურ ეტაპზე ვართ, მოწმე ვხდებით ხელისუფლების ნგრევის პროცესის. შეიძლება გარედან კარგად არ ჩანს, მაგრამ ამას გრძნობს ყველა, ვისაც პირადი შეხება აქვს ამ რეპრესიულ მანქანასთან. ვხედავთ, როგორ ინგრევა ამ გუნდის მიერ შექმნილი, ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო სისტემა, საშინელი მონსტრი.“

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხელისუფლების მთავარ გუნდში არ არის ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება დაელაპარაკო, რამე გააგებინო და რაციონალური, ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიაღებინო»

— ასე მარტივად არ იყო საქმე. შემოთავაზებიდან ორი თვის თავზე დაიწყო მისი თანამოაზრეების, ნათესავების, მეგობრების დაპატიმრება.მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება და 25 სექტემბერს გამოაცხადა, რომ იქმნებოდა ახალი პოლიტიკური ძალა. ამის შესახებ გავიგე მას შემდეგ, რაც მისი თხოვნით მის ოფისში მივედი, სადაც ეს პრეზენტაცია იმართებოდა. მაშინ არაფერი მქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ აღმოვჩნდი იქ, და არა როგორც მისი პარტიის წევრი. მაშინ პირველად მოვისმინე ის, რაც დანარჩენმა საქართველომ მოისმინა.

**— პარალელურ რეჟიმში.**

— დიახ, პარალელურ რეჟიმში.

**(მეორე დღეს ოქრუაშვილს დააპატიმრებენ, გარშემო მყოფი ხალხი ისე შემოეძარცვება, როგორც ხეს — ფოთლები გვიან შემოდგომაზე და ეკა ბესელია, ფაქტობრივად, მარტო დარჩება.**

**დარჩება, როგორც დაპატიმრებული ოქრუაშვილის ადვოკატი. ვერ მიატოვებდა, რადგან ეს მისი პრინციპების ღალატი იქნებოდა. გაქცევა.**

**ოქრუაშვილის პროცესი მისი ბოლო პროცესი იყო, რომელშიც იგი როგორც პროფესიონალი ადვოკატი მონაწილეობდა. თუმცა კიდევ იქნება ერთი პროცესი, ორ წელიწადს გაჭიანურებული ტანჯვა, ბრძოლა, ნერვების გლეჯა, როცა, როგორც მან თქვა, „ჩემი შვილი და ძმა ამ არანორმალურს მძევლებად ჰყავდა აყვანილი“).**

**— ამ ახალ სივრცეში მოსვლამ გაამართლა თქვენი იმედები? ის, რასაც ელოდით, დაგხვდათ აქ?**

— არა.

თუმცა პარტიას — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი (ოქრუაშვილი საპატიო თავმჯდომარედ ავირჩიეთ, რადგან პოლიტიკურ დევნილობაში იმყოფებოდა), იმ დროს ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

2010 წლის თებერვალში წამოვედი ამ პარტიიდან.

## ივანიშვილის პირადი ადვოკატი

**— 2010 წელს თქვენ შექმენით პატიმართა უფლებების დაცვის საზოგადოება, დღეს კი ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგახართ, როგორც პირადი ადვოკატი. ვინმემ გიშუამდგომლათ, იცნობდით?**

— არ ვიცნობდი. მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობდით, საარჩევნოდ ჩვენი საქმიანობა ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოსაყალიბებლად წარგვემართა და სწორედ ამ დროს ბიძინა ივანიშვილი აკეთებს განცხადებას, რაც ყველასთვის მოულოდნელი იყო.

9 ოქტომბერს, ანუ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს, მივიღე შეტყობინება, რომ მას ჩემთან შეხვედრა სურდა და ათ ოქტომბერს შევხვდი.

პირველივე შეხვედრიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გამოვედი: გულწრფელი, ძალიან უშუალო და კომუნიკაბელური, ჭკვიანი, პატრიოტი, კეთილმოსურნე და მოაზროვნე ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ძალიან დამაჯერებლად და უაღრესად კომპეტენტურად მესაუბრა თავისი გეგმების შესახებ და შემომთავაზა ამ ახალ პროცესში ჩართვა.

**— როგორც იურისტს?**

— არა მხოლოდ. როგორც თანამებრძოლს ამ დიდ, საქვეყნო საქმეში. პირადი ადვოკატის სტატუსი ავირჩიეთ ჩვენი თანამშრომლობის ფორმად.

მე ვუთხარი, რომ ჩემი მთავარი იდეა სამართლიანობისთვის ბრძოლაა. თუ ამ იდეაში ვიგულისხმებთ, რომ არა მარტო სააკაშვილი იცვლება, არამედ სისტემა, სამართლიანობის პრინციპი კი აბსოლუტურად ყველაფერს მოიცავს, და თუ აქ სრული თანხვედრა იქნება, მე არ მაქვს არანაირი წინაპირობა. ამ საკითხებზე ვისაუბრეთ და მან მითხრა, რომ სურს, ამ პროცესში მასთან ერთად ვიყო.

მეორე დღეს რომ მივედი, სწორედ მაშინ გავრცელდა ინფორმაცია მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ და მე, როგორც იურისტი, პროფესიულად ჩავერთე ამ საქმეში.

**— ორიოდ დღის წინათ შალვა რამიშვილის პროგრამაში „აკრედიტაციის გარეშე“ თქვენ გამოჩნდით ადვოკატ კბილაშვილთან ერთად.**

— არჩილ კბილაშვილი მოვიწვიეთ როსტომ მეფის სასახლეში შეჭრილი პირებისგან შენობის გათავისუფლების საკითხზე სამუშაოდ, კონტრაქტით. ის არ არის მოძრაობის წევრი.

შენობაში შეჭრილია ხალხი, ვინ არიან, რა სტატუსით, რა უნდათ, კაცმა არ იცის. ეს ის შენობაა, სადაც ახალი მოძრაობა უნდა განთავსებულიყო. მე მივედი იმიტომ, რომ გამემხნევებინა ჩვენი ხალხი, ვინც შენობის აღდგენითაა დაკავებული, დამებრუნებინა, რათა განეგრძოთ დამთავრების პირზე მისული საქმე.

ამ ტიპის თავდასხმებს, რასაც ხელისუფლება ლოკალურ ადგილებში აკეთებს, ჩვენგან პასუხის გაცემა სჭირდება. ამიტომ ჰქონდა ამ კონკრეტულ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა.

**— ბევრია ასეთი გამოხდომა?**

— მოკლე დროისთვის, სულ რაღაც ერთი თვე გავიდა, ცოტა არ არის. როსტომ მეფის სასახლე ერთი ეპიზოდია. „ბანკი ქართუს“ საინკასაციო მანქანაზე თავდასხმა, ფულის გატაცება, ხალხის დაკავება (დაპატიმრებულია რამდენიმე ადამიანი), ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრების ახლობლებზე და მეგობრებზე თავდასხმა, ბერას მეგობრის დაპატიმრება, სულ ახლახან დააპატიმრეს ბიძინა ივანიშვილის დისშვილის მეგობარი...

ასეთია მათი ხელწერა, ის ჩვეულება, რომელსაც ხელისუფლება ვერ ღალატობს. ამიტომაა აუცილებელი ჩვენგან საპასუხო, რაციონალური და გონივრული ღონისძიებების განხორციელება. ველოდები, რომ მომდევნო ეტაპებზე ასეთი თავდასხმები გახშირდება.

**ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც არც კანონში, არც ზნეობაში, არც პოლიტიკური ბრძოლის წესებში არ ეწერება, თუნდაც — საქართველოს მოქალაქეობა რომ ჩამოართვა მას და მის მეუღლეს.**

**დღეს უნიკალურ ეტაპზე ვართ, მოწმე ვხდებით ხელისუფლების ნგრევის პროცესის. შეიძლება გარედან კარგად არ ჩანს, მაგრამ ამას გრძნობს ყველა, ვისაც პირადი შეხება აქვს ამ რეპრესიულ მანქანასთან. ვხედავთ, როგორ ინგრევა ამ გუნდის მიერ შექმნილი, ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო სისტემა, საშინელი მონსტრი.**

**— რა ეტაპზეა ბატონ ბიძინასთვის მოქალაქეობის აღდგენის საქმე?**

— სტრასბურგში ვერ წავალთ, თუ არ გავიარეთ ქართული სასამართლოს ეტაპები.დღეს ვართ საქალაქო სასამართლოს ეტაპზე. სარჩელი შეტანილია, ველოდებით სასამართლო პროცესს, რომელიც უნდა დაინიშნოს და რომელმაც უნდა გადაწყვიტოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტის ბათილობის საკითხი. სასამართლოსგან მოვითხოვთ, რომ აღიაროს და დაადასტუროს ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის უკანონობა.

პარალელურად, ალბათ, რამდენიმე დღეში დავიწყებთ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნის ოფიციალურ პროცედურას.

ეს საქმე გაჭიანურდა იმის გამო, რომ გასავლელია აუცილებელი ფორმალობები, რაც საჭიროა რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ რუსეთის ფედერაციის შესაბამის ინსტანციებში გადაწყვეტილების მისაღებად. ყველა დოკუმენტაციის წარდგენა ამ დღეებში დასრულდება.

**— ფიქრობთ, რომ სააკაშვილი, ვის კომპეტენციაშიც შედის ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენა, გადადგამს ამ ნაბიჯს?**

— სააკაშვილისგან რაციონალური გადაწყვეტილების მიღების იმედი, დიდი ხანია, დაკარგული მაქვს, მაგრამ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოების ამ პროცესთან დაკავშირებულ უდიდესი თვითორგანიზებისა და აქტიურობის და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ბიძინა ივანიშვილისადმი ნელ-ნელა, მაგრამ მოკლე დროში ძალიან დიდი ინტერესის გამოჩენის ფაქტორებს. ამ ორი ფაქტორის თანხვედრის შემთხვევაში, მივაღწევთ უკანონოდ ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენას.

**— ესე იგი, არა მინიჭება, არამედ — დაბრუნება?**

— დიახ. სააკაშვილი არიგებს ორმაგ მოქალაქეობას, ხან ვილაც შემოხეტებულ მსახიობს მიანიჭებს, ხან სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს — პირდაპირ ეთერში.

**— ძალაუფლებით ტკბება.**

— ამ დროს კი საქართველოში ყველაზე დიდ ქველმოქმედს, რომელმაც მორალური ქმედებითა და ცხოვრების წესით დაიმსახურა საქართველოს მოქალაქეობა, სულ რომ არ იყოს აქ დაბადებული, გაზრდილი, ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვა მოქალაქეობა! ვფიქრობ, რომ ამ საკითხის მიმართ საზოგადოებრიობას აქვს ერთგვაროვანი დამოკიდებულება.

**— როგორ ფიქრობთ, შეიცვლის აზრს ჩვენი საზოგადოებრიობა, დახარბდება იმ საკენკს, რომელსაც ახლა „გულუხვად“ უყრის ჩვენი ხელისუფლება „სოციალური პრობლემების“ მოჩვენებითი მოგვარების ლოზუნგით, დაეკარგება სამართლიანობის განცდა? ხომ არ დაგვძლევს მეშჩანური მორალი, რომლის მიხედვით, დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს სჯობია?**

— ჩვენი საზოგადოება, ხალხი, ერთის მხრივ, ბრძენია, გონიერი.მაგრამ აწმყოში ძალიან ხშირად ძნელია სწორი გადაწყვეტილების მიღება. წარსულში დარჩენილ მოვლენას უკეთ ვაცნობიერებთ. მაგრამ ერთი რამ ცხადია, **ხელისუფლების უკვე შოუდ ქცეული პოლიტიკა — წამატება პენსიებზე, ვაუჩერების, პოლისების დარიგება, საზოგადოების დიდ ნაწილზე აღარ მუშაობს. ეს ფაქტია. გლეხს, მაგალითად, რომელმაც ამ ხელისუფლების ხელში თავის თავზე იწვნია შიმშილი, გაჭირვება, უპატივცემულობა, უყურადღებობა, შეურაცხყოფა და ა.შ., ტელეეკრანიდან აპლომბით მოყოლილი ზღაპრებით ვერ დააჯერებ. მაგრამ არის საზოგადოების რაღაც ნაწილი, რომელიც იჯერებს, ამიტომ მუშაობს ეს პროპაგანდისტული მანქანა.**

ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით ადამიანებს იმხელა მოლოდინი გაუჩნდათ, ისე გაცოცხლდა აქამდე განაცრისფერებული საზოგადოება — ულიმღამო, უიმედო, ბრძოლის უნარდაკარგული, რომ სასწაულს ჰგავს. ბევრი ვერ აცნობიერებს, რატომ აქვს იმედი, შეიძლება ვერც ახსნას. მაგრამ გაჩნდა იმედი, რომელიც ამ ადამიანთან ასოცირდება.

იმედი გაჩნდა იმ ნაწილშიც, რომელიც აქამდე ინდიფერენტული იყო.

**— ივანიშვილის პრესკონფერენციამ დაგვანახა, რომ ხელისუფლების ბუნება შურისმაძიებლურია, დაბოღმილთა გუნდია. რა თქმა უნდა, გახსოვთ, როგორ გამოჰგლიჯა ხელისუფლებას ჩვენმა საზოგადოებამ მოსწავლეთა სასახლე. უკან დაიხიეს მაშინ. ამ დღეებში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასახლის ლიკვიდაცია მოახდინეს.**

**ალბათ, ძნელია, მოელაპარაკო ასეთ ხელისუფლებას, წახვიდე კომპრომისზე.**

— მოსწავლეთა სასახლის შესახებ საქმის კურსში ვარ. როგორც შევძლებ, დავეხმარები იქაურ შესანიშნავ პედაგოგებს, ბავშვებს. ეს საკითხი კიდევ ერთხელ გახდება საზოგადოების წუხილის, შეშფოთების, მხარდაჭერის თემა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ახლა ამათთან დიალოგის შესაძლებლობაზე გიპასუხებთ. მე ვიცნობ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების ქცევას და ბუნებას — ისინი სრულიად არარაციონალური, უკონტროლო და არაადეკვატურები არიან. ჩვენ არ გვყავს ხელისუფლებაში კაცი, ვისაც შეიძლება ნორმალურად დაელაპარაკო, რამე გააგებინო და რაციონალური გადაწყვეტილება მიაღებინო.საშუალო ამ პროცესში არ იქნება. ამათ კომპრომისის უნარი არ აქვთ. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით სააკაშვილი გაიქცა მოედნიდან, ბრძოლის ასპარეზიდან, გრძნობს, რომ წააგებს და, მისი აზრით, ამ ფანდით ჩამოიცილა მოწინააღმდეგე. რომ არ ეშინოდეს, არ ჩამოართმევდა. ამ პოლიტიკური აქტით და გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა სააკაშვილის მხდალი ბუნება.**

ჩვენ ახლა მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ მოვიგოთ არჩევნები, ხმები დავიცვათ, დავიცვათ ის ხალხი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნების დროს ძალიან მოტივირებული იქნება, ვინც ამ პროცესის თანამონაწილე უნდა გახდეს.

ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ მოკლე დროში დაფუძნდება. ჩამოსაყალიბებელია პოლიტიკური პარტია, რომელიც მზად იქნება არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად; საარჩევნო პროცესისთვის უზარმაზარი ინფრასტრუქტურაა ასაწყობი, დრო კი ცოტაა. ძალიან ბევრს ვმუშაობთ, ყველაფერი რომ მოვასწროთ.

დღეს, ბოლო წლებში პირველად, შექმნილია უნიკალური ვითარება სისტემის ცივილიზებული ფორმით შესაცვლელად, როცა ქართველი ხალხის დიდი ნაწილის მზაობა და საერთაშორისო მხარდაჭერა ერთმანეთთან რეზონირებს, თანხვედრილია.

**— ბატონი ბიძინა გაზეთებს კითხულობს?**

— დიახ, კითხულობს. მასთან ყოველდღიურად შეაქვთ პრესის, ტელეგადაცემების მიმოხილვითი ანალიზი. საინტერესო პუბლიკაციებს თავიდან ბოლომდე კითხულობს. დილის შეკრებებზე რამდენიმეჯერ გაგვაწითლა იმის გამო, რომ წაკითხული არ გვქონდა სტატიები, რომლებიც მას დეტალურად ჰქონდა დამუშავებული. ის უნიკალური ადამიანია, მასშტაბური მოაზროვნე, მოვლენებს არა ფრაგმენტულად, არამედ მთლიანობაში ხედავს. უყვარს სამშობლო და სიკეთის კეთება სურს მხოლოდ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## ყირგიზეთში ალმაზბეკ ატამბაევმა გაიმარჯვა

**ყირგიზეთის ცენტრალური სარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ქვეყანაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 62,52%-ით ალმაზბეკ ატამბაევმა გაიმარჯვა.** მისმა უახლოესმა კონკურენტებმა ადახან მადუმაროვმა და კამჩიბეკ ტაშიევმა ხმების 14% მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ გასული წლის აპრილში, ყირგიზეთში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პრეზიდენტ ყურბანბეკ ბაკიევის მთავრობა დაემხო. გარდამავალ პერიოდში ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობას როზა ოტუმბაევა ასრულებდა.



## აშშ მოკავშირეობაზე უარს აცხადებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში უარყვეს ხმები იმის შესახებ, რომ აშშ დაეხმარება ისრაელს ირანისთვის დარტყმის მიყენებაში.** „აშშ-ს არ სურს კონფლიქტი ირანთან, ჩვენ არ ვესწრაფვით კონფრონტაციას ირანთან და ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვსურს, ვინმემ ძალა გამოიყენოს“, — აცხადებს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვენდი შერმენი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისრაელი ირანს დარტყმას შობამდე მიაყენებს და ამ საქმეში მისი მოკავშირე აშშ იქნება.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იქნებ დროა, დავფიქრდეთ, იქნებ დროა, გავიაზროთ, იქნებ ჩვენი ბრალია, იქნებ ჩვენ არ ვივარგეთ?! იმის მაგივრად, რომ შევრიგდეთ, დახმარება ვითხოვოთ, ამხელა სახელმწიფოს ვებრძვით? ვომობთ? და შედეგი რაში მდგომარეობს? ვიგებთ? გამარჯვებული ვართ? პირიქით — საშინელი მდგომარეობაა, ვილუპებით, ვიძირებით! ხედავ, რომ არაფერი გამოგდის, ხომ? წადი, დაუთმე ადგილი მას, ვისაც ეს საქმე უკეთესად გამოუვა...

ვაჟა აზარაშვილი:

# ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, გლინკა და კიდევ სხვები თუ ამოვიღეთ სასწავლო რეპერტუარიდან, ჩათვალეთ, რომ აღარაფერი დარჩება

## «მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ იყო მსგავსი მარაზმი, მაშინ არ აკრძალულა სებასტიან ბახი საბჭოთა კავშირში»

**ვაჟა აზარაშვილის შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მის შემოქმედებით ინდივიდუალობას იშვიათი გულწრფელობა, ნატიფი გამომსახველობა და თვითგამოხატვის თავისუფლება ახასიათებს. ის ჩინებულად გრძნობს როგორც ინსტრუმენტულ, ასევე ვოკალურ ფაქტურას, მოქნილად უკავშირებს ერთმანეთს კომპოზიციური სტრუქტურის ლოგიკურობას და თავისუფალ იმპროვიზაციას. ცნობილია, რომ საქართველოში აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსული მუსიკის მიმართ მტრული პოლიტიკა ტარდება, ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ესაუბრება.**



**— ბატონო ვაჟა დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ახალგაზრდების მუსიკალური გემოვნება დეგრადირებულია... თუმცა ყველას მაინც ვერ დააძალებ, სისტემატურად უსმინოს ერთსა და იმავეს, დავუშვათ — მოცარტს, ბახს, ბეთჰოვენს... ბატონო ვაჟა, იქნებ გაგვიმხილოთ, ვის ან რომელ მუსიკალურ სტილს, მიმდინარეობას ვერ მოუსმენდით?**

— ალბათ, ვერასოდეს მოვუსმენ მძიმე როკს. ძალიან მიკვირს, როგორ უსმენენ... არც რეპის მიმართ ვარ მაინცდამაინც კარგად განწყობილი და, საერთოდ, როგორ შეიძლება ამგვარ მუსიკაში ხელოვნება დაინახო?!

**— არ შემიძლია, არ გკითხოთ ქალაქური სიმღერების შესახებ, კომპოზიტორისთვის რამდენად მისაღებია მსგავსი ტენდენცია?**

— თბილისში არსებობდა ფოლკლორული ანსამბლი „კავკასიური“, ძალიან მომწონდა მათი სიმღერები. ქართული სუფრა წარმოუდგენელია ქალაქური და სუფრული სიმღერების გარეშე. საიათნოვა სამ ენაზე წერდა, ეს ჯერ კიდევ როდიდან მოყოლებული ტრადიციაა. რას ამბობთ, ეს როგორ შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს! გრიშა ქსოვრელის, მორის ფოცხიშვილისა და ჩემი დაწერილია „ქსოვრელები მღერიან“, 1984 წელს.

**— რუსულ რომანსებზე რას გვეტყვით, ბატონო ვაჟა?**

— საოცარი ფენომენია, რა სჯობს მის მოსმენას. ქალბატონი ნანი რომ უბადლო შემსრულებელია, ამაზე საუბარიც ზედმეტია, მაგრამ, იცით, ნაკლებად ცნობილი მომღერლების მიერ შესრულებული რომანსებიც მომისმენია და გაოგნებული დავრჩენილვარ... მიფიქრია კიდეც, ეს ბატონ პუტინს რომ მოასმენინა, ალბათ, თვალის დახამხამებაში გადაწყდებოდა ჩვენ შორის არსებული კონფლიქტი-მეთქი... თამარ წერეთელი, ქეთი ჯაფარიძე... რომელი ერთი დაგისახელოთ, რუსული რომანსების უბადლო შემსრულებელი ოსტატები.

**— რუსული რომანსების შესახებ შემთხვევით არ მიკითხავს. რუსული სიმღერები ყოველთვის წარმატებული იყო ქართულ სცენაზე და ქართველ მსმენელებში, ქართული რესტორნების რეპერტუარი კი ძირითადად რუსული სიმღერებით სულდგმულობდა, ახლა კი ქართულ რესტორნებში აკრძალულია რუსული სიმღერა. ძალიან საინტერესოა თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით...**

### «დიდ და უძლიერეს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ჩვენ მეტი დაფიქრება და მოზომვა გვმართებს, რადგან ჩვენი წინდაუხედაობით გაცილებით მეტად ვზარალდებით»

— მოდით, რესტორანს დროებით დავანებოთ თავი... და გავიხსენოთ რუსული ლიტერატურა. ჩეხოვი, ლერმონტოვი, პუშკინი და ა. შ. არ წავიკითხოთ, არ ვასწავლოთ სკოლებში და, საერთოდ ამოვიღოთ ყველაფერი რუსული ჩვენი ცხოვრებიდან და ცნობიერებიდან? რა გამოვა მერე ამით, რა შედეგს მივიღებთ? ისეთ საშინელ შედეგს მივიღებთ, ამის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელია ჩემთვის. **მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ იყო მსგავსი მარაზმი, მაშინ არ აკრძალულა სებასტიან ბახი საბჭოთა კავშირში და ჩაიკოვსკი — გერმანიაში. ეს რა დრო მოვიდა! რას ლაპარაკობთ, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელი რამ ხდება... ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, გლინკა და კიდევ სხვები თუ ამოვიღეთ სასწავლო რეპერტუარიდან, ჩათვალეთ, რომ აღარაფერი დარჩება! ნურავინ მიწყენს, მაგრამ მათი შემოქმედება ძირითადი ფუძე და საყრდენია კონსერვატორიისა და არა მარტო საქართველოში.**

**— საინტერესოა, კონკრეტულად ვინ აკეთებს ამას, ვის კომპეტენციაში შედის ამგვარი აკრძალვები?**

— ვიღაც უცოდინარი, უვიცი და უინტელექტო, დაბალი დონისა და დაბალი ფენის წარმომადგენელი რომ გასცემს ამგვარ განკარგულებებს, ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ამგვარი განკარგულებების გაცემის უფლე- ▶

მარიამ აბუთიძე:

# ნებისმიერ რესტორანში თამამად შეიძლება იმღერო თურქული, არაბული და გერმანული სიმღერა... მხოლოდ რუსული სიმღერებია აკრძალული

**რუსული სიმღერების აკრძალვასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება იმ მომღერლების აზრიც, რომლებიც რესტორნებში მღერიან... ქალბატონი მარიამ აბუთიძე ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.**

— თითქმის ათი წელია, რაც რესტორნის სცენაზე ვდგავარ. რეპერტუარი მრავალფეროვანია, რესტორნებში საღამო, ძირითადად, ქართული სიმღერებით იხსნება, ქალაქური სიმღერებით. საღამოს მეორე ნახევარი კი განსხვავებულია, გადავდივართ უფრო თანამედროვე რეპერტუარზე — ქართულ თანამედროვე სიმღერებსა და, აგრეთვე, უცხოურზეც...

**— რუსულ სიმღერებს არ ასრულებთ?**

— მე პირადად რუსულ სიმღერებზე გავიზარდე და, ტრაბახში თუ არ ჩამითვლით, ძალიან კარგადაც ვასრულებ, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში რესტორნების ნაწილში, სადაც მიმუშავია, კატეგორიულად აგვიკრძალეს რუსული სიმღერების შესრულება...

**— ამჯერად სადაც მუშაობთ, იქაც აკრძალულია?**

— ახლა ქალაქ რუსთავში ვმუშაობ და აქ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვაქვს საშუალება, რომ რუსულ ენაზე ვიმღეროთ. ამიტომ მოგახსენეთ, არ მესმის, რატომ ხდება, რომ რუსული სიმღერები აკრძალულია ზოგიერთ რესტორანში. რუსულ სიმღერებს თუ კანონი კრძალავს, მაშინ ის ყველგან უნდა იკრძალებოდეს... ჩვენ, მომღერლები, ძირითადად რუსული სიმღერებით ვარსებობთ, რადგან ისინი ძალიან პოპულარულია მსმენელებში. როდესაც ვითხოვდით განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ გვიკრძალავენ, პასუხი ყველგან სტანდარტული იყო: აკრძალულია, მორჩა და გათავდა!

**— ვისგან იღებდით ამგვარ პასუხს?**

— დირექტორებისგან. არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთ რესტორანს ეს არ აწყობს და იცით, რატომ? რუსულ სიმღერებს ითხოვენ მსმენელები, ზოგიერთისთვის რუსული სიმღერა ნოსტალგიურ განწყობილებასთანაა დაკავშირებული, ზოგიერთისთვის — სასიამოვნო მოგონებებთან, ვისთვის, უბრალოდ, სასიამოვნო მოსასმენია... და რაც უფრო მეტი მოთხოვნა და შესრულებაა, მით მეტია შემოსავალი როგორც მუსიკოსებისთვის, ასევე რესტორნისთვისაც... გაუგებარია, რატომ გაიგივდა ასე პოლიტიკა და კულტურა? ქართველებს უამრავი მტერი გვყავდა ისტორიულად. სპარსელები, თურქები, არაბები... ასიათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა მათ შემოსევებს, ხომ ასეა, არა? ეს ყველაფერი დაგვავიწყდა? **დღეს ნებისმიერ რესტორანში თამამად შეიძლება იმღერო თურქული, არაბული და გერმანული სიმღერა... მხოლოდ რუსულ სიმღერებს ადევს ტაბუ. მე ეს არასწორად მიმაჩნია. პოლიტიკა და კულტურა, პოლიტიკა და ხელოვნება უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან.**

„21-ე საუკუნეში სამარცხვინოა, ბლოკავდე, ჩაგრავდე და, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის, ფეხებზე გეკიდოს ის ადამიანები, ვინც ეპოქა შექმნა ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტში და ასე შემდეგ...“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეკა კვალიაშვილი:

# საკუთარ სამშობლოში თავი ემიგრანტი მგონია!

ბა მხოლოდ მთავრობიდან შეიძლება მოდიოდეს. სხვა რაღა გითხრათ, ეს პოლიტიკისა და კულტურის სამარცხვინო აღრევის სავალალო შედეგია! რაღაც უნდა შეიცვალოს აუცილებლად, სისტემა უნდა შეიცვალოს.

ცრემლების გარეშე ვერ ვიხსენებ სოხუმის კომპოზიტორთა სახლს. განა ცუდი იყო, როცა ძმები და მეგობრები ვიყავით?! რუსეთთან, ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან, მტრობა სჯობს თუ მეგობრობა?! მე არ განვიხილავ საკითხს, თუ რომელი მხარე მეტად სცოდავს და რომელი ნაკლებად ამ ურთიერთობების გაფუჭებაში, მაგრამ დიდ და უძლიერეს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ჩვენ მეტი დაფიქრება და მოზომვა გვმართებს, რადგან ჩვენი წინდაუხედაობით გაცილებით მეტად ვზარალდებით. **იმეგობრე, იმეზობლე, რატომ გავიწყდება, ეს ხომ ის მეზობელი, მართლმადიდებელი რუსეთია, რომელთანაც უზარმაზარი ისტორია გვაკავშირებს! ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს?! იცით, ზოგჯერ ვზივარ და ვფიქრობ, ეს რა მოგვივიდა! საინგილო წაღებულია... ტაო-კლარჯეთი აღარ გვეკუთვნის, აფხაზეთი, სამაჩაბლო... იქნებ დროა, დავფიქრდეთ, იქნებ დროა, გავიაზროთ, იქნებ ჩვენი ბრალია, იქნებ ჩვენ არ ვივარგეთ?! იმის მაგივრად, რომ შევრიგდეთ, დახმარება ვითხოვოთ, ამხელა სახელმწიფოს ვებრძვით? ვომობთ? და შედეგი რაში მდგომარეობს? ვიგებთ? გამარჯვებული ვართ? პირიქით — საშინელი მდგომარეობაა: ვილუპებით, ვიძირებით! ხედავ, რომ არაფერი გამოგდის, ხომ? წადი, დაუთმე ადგილი მას, ვისაც ეს საქმე უკეთესად გამოუვა.**

თუ ჩვენ მაგალითს ვიღებთ სხვა ქვეყნებიდან, ამერიკიდან, თუ გნებავთ, გასდის დრო ადამიანს თანამდებობაზე და უთმობს ადგილს სხვას. ასეა, არა? სხვა რამეში თუ ვბაძავთ, მივბაძოთ ამ კუთხითაც. ხომ შეიძლება ომისა და დავიდარაბის გარეშე წავიდეს ერთი და მოვიდეს მეორე?!

მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, თუმცა ვხედავ, რომ, თუ პოლიტიკური ვითარება არ შეიცვალა ქვეყანაში, რუსეთთან საერთო ენა თუ ვერ გამოვნახეთ, არაფერი გამოგვივა.

**— წიგნს, რომელიც შარშან გამოეცით, ასეთი სათაური აქვს — „უკან მოხედვის არ მეშინია“. ალბათ, შემთხვევით არ აქვს ასეთი სათაური...**

— ამ წიგნში შევიტანე მთელი ჩემი შემოქმედება — კონცერტები, აფიშები, რეცენზიები, სიგელები, ორდენები, ფოტოები, თუკი ვინმესთან პროფესიული კავშირი მქონია, ვინ რას წერს ჩემზე, ჩემი მოგონებები... გარდა ამისა, წიგნს ახლავს დისკი, რომელზეც ჩაწერილია მთელი ჩემი შემოქმედება. მთავარი კი, თქვენ სწორად ბრძანეთ, წიგნის სათაურია და მე ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ ეს მართლაც ასეა. ჩემი ცხოვრების მანძილზე, ჩემ მიერ განვლილ გზაზე უკან მოხედვის არ მრცხვენია და არ მეშინია!

**ქართულ ესტრადასა და საერთოდ კულტურის სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარების შესახებ ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხასიათითა და შინაარსით გაზეთი პოლიტიკურია, მკითხველისთვის, ვფიქრობ, მაინც საინტერესო იქნება, ამ თემის გარშემოც თუ ვისაუბრებთ, ვინაიდან ამ სფეროში არსებული მწვავე პრობლემები მთელი საზოგადოების პრობლემაა, რადგან, სურს თუ არა ვინმეს, კულტურა, სიმღერა ქართველისათვის, ბუნებრივია, თავისთავად არის პრიორიტეტული. ეკა კვალიაშვილი კი სწორედ ის გამონაკლისია, ვინც ოდითგანვე შეიყვარა ქართველმა მსმენელმა, ვისაც არასოდეს მოკლებია ქართველი, და არა მარტო ქართველი, მსმენელისგან ყურადღება, სითბო და სიყვარული... მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, ქალბატონ ეკასაც გაუჭირდა...**



**— რა ხდება თქვენს ცხოვრებაში, შემოქმედებაში, რატომ არ ჩანხართ, სადა ხართ?**

— აქ გახლავარ, ჩემს ქვეყანაში, ჩემს ქალაქში, რადგანაც მიყვარს, ჩემია და ძალიან მიჭირს სხვაგან ყოფნა; რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, ის ყოველთვის ჩემთანაა. შემოქმედება, ხელოვნება, სიმღერა ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ... არის ერთი გარემოება, ერთი მიზეზი, რის გამოც ჩემი სიმღერა, უკვე მერამდენე წელიწადია, მხოლოდ ჩემთან რჩება.

**— რატომ?**

— **სად გამოვიტანო ჩემი შემოქმედება, როდესაც ყველა პროექტიდან ამომიღეს? საქართველოში ჩემთვის არც ბიუჯეტი გამოინახა და არც სცენა მოიძებნა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აქ ჩემი ადგილი აღარ არის, საკუთარ სამშობლოში თავი ემიგრანტი მგონია.**

**— მაშინ, მოდით, მთლიანად ქართულ შოუბიზნესს შევეხოთ. რა ვითარებაა დღეს ამ სფეროში?**

— ალბათ, ადევნებთ თვალს ტელეგადაცემებს, იქ გამოტანილ პროექტებს, კონცერტებს, ტრანსლაციებს, ყველაფერი ხელოვნური და ტენდენციურია.

**— ანუ თქვენ თვლით, რომ ქართული შოუბიზნესი პოლიტიზირებულია?**

— რა თქმა უნდა, რახან ამ შეკითხვას სვამთ, ესე იგი, თქვენც ატყობთ, რომ ეს ასეა... როდესაც შემოქმედება პოლიტიკური კონსტრუქტურის მონა-მორჩილი ხდება, ეს საშინელებაა!

**— ვიდრე ამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენ ბიბლიური ნათქვამი გაიხსენეთ: ცხვრის ფარა შემოტრიალდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო. რა იგულისხმეთ, ქართულ შოუბიზნესზეც შეიძლება იგივე ითქვას?**

— რაც ამ სიტყვებშია ნაგულისხმევი, მეც ის ვიგულისხმე, მაგრამ კოჭლი ცხვარი სულ წინ ვერ იქნება, ფარას ვერ გაუძლვება და ცოტა ხანში კვლავ ბოლოში მოექცევა, რადგან კოჭლი ცხვარი მაინც კოჭლი ცხვარია.

**— პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ პოლიტიკასთან, თვლით თუ არა, რომ პოლიტიკაში ასე თუ ისე ჩართული ხართ?**

— მე სრულიად აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მაგრამ დღეს ისეთი დოზებით გვაქვს პოლიტიკური ინფორმაცია, რომ, გინდა თუ არ გინდა, მაინც გესმის, შემოდის, აღიქვამ და გარკვეულ დასკვნებსაც აკეთებ, საკუთარი აზრი და შეხედულება გიჩნდება.

**— რაკი ასეა, ასეთ შეკითხვასაც დაგისვამთ: ქართველი მომღერლებისთვის რუსეთი დიდი აუდიტორია იყო, ბიზნესის ენით თუ ვიტყვით, დიდი ბაზარი. რუსეთთან ომის შემდეგ ეს ბაზარი ზოგიერთისთვის დაიკარგა. თქვენ როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება ხელოვნებასა და შემოქმედებაზე გავლენას უნდა ახდენდეს?**

— რა გითხრათ, ჩემო კარგო, ნებისმიერი კონფლიქტი სამწუხაროა, ზოგჯერ — სავალალოც... ამის მაგალითი სულ ცოტა ხნის წინ გვქონდა. აგრესია წარმოშობს აგრესიას, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად კაცობრიობამ ერთ არაჩვეულებრივ გამოსავალს მიაგნო — დიპლომატია, საუბარი, ჭკუა, გონება, აზროვნება, შეგნება, მოლაპარაკება და... ბოლოს, შეთანხმება. **რუსეთში უამრავი ქართველია, პირადად მე ბევრი მეგობარი მყავს იქ — საქართველოდან წასული მუსიკოსები, შემოქმედებითი ადამიანები, ჩემი ბავშვობის მეგობრები, ვერასოდეს დავკარგავ მათ. ისინი იქ ძალიან წარმატებულნი არიან, უდიდესი დაფასება, სიყვარული და პატივისცემა აქვთ, მე რომ ვიყავი მიწვეული მოსკოვში, გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია“, ასეთივე აღფრთოვანება გამოიწვია ჩემმა სიმღერამ, ვიგრძენი, რომ ჩემი ქვეყნის სახე წარმატებით წარმოვაჩინე; არ დაგიმალავთ, მაგრძნობინეს, რომ ვარსკვლავი ვიყავი.**

**«მე მომღერალი ვარ და ვიმღერებ ყველგან, სადაც მომისმენენ. მირჩევნია, დაპირისპირებულ ქვეყანასაც სიმღერით ვესაუბრო კეთილ თანაარსებობაზე, რათა აგრესია სიყვარულით შევუცვალო»**

**— ხომ არის ვიღაც, ვინც რუსეთის მიწვევა არ მიიღო და იქ სიმღერა არ მოისურვა?**

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ როგორ მოიქცა, მაგრამ მე მომღერალი ვარ და ვიმღერებ ყველგან, სადაც მომისმენენ. მე ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანებს ვუმღერებ, ხალხს ვუმღერებ და არა — პოლიტიკას. მირჩევნია დაპირისპირებულ ქვეყანასაც სიმღერით ვესაუბრო კეთილ თანაარსებობაზე, რათა აგრესია სიყვარულით შევუცვალო, ვიდრე ვიღაცის საამებლად ვიღაც ვლანძღო და ამით ჩემს ქვეყანას მტერი ვუმრავლო.

**— ალბათ, თქვენი ამგვარი შეხედულების გამო მოხდა ის, რომ ზოგიერთებმა ოპოზიციის მომღერლად მოგნათლეს.**

— ერთი ფაქტი დაასახელოს ვინმემ, როდესაც რომელიმე ოპოზიციურ პარტიას ვუმღერე და მაშინ იქნებ მეც დავიჯერო ეს ნაბოდვარი. რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი მაჩვენონ, ვისთვისაც მე ვიმღერე... როდესაც მე კონცერტებს ვმართავდი (იყო ასეთი დრო საქართველოში), იმ კონცერტებზე დასწრება ნებისმიერი მრწამსის ადამიანს შეეძლო. მე როდესაც სცენაზე ვდგავარ, ყველა იქ მყოფი ჩემი მსმენელია და ამ დროს, ცხადია, მათი პოლიტიკური მრწამსი არ მაინტერესებს. ვინც ჩემს კონცერტზე მოდის, მას ჩემი სიმღერა უყვარს, მორჩა და გათავდა. მე ხალხისთვის ვმღეროდი, ვმღერი, და ვიმღერებ, მაგრამ სად გიმღეროთ, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო ადამიანებო?! ჩემთვის არა მარტო მიუღებელი, გაუგებარიც კი არის, თუ რას ნიშნავს ვიღაცისთვის პოლიტიკურად საამებელი სიმღერა. მე წარმომავლობით მაღალი ფენის წარმომადგენელი ვარ, ერთი მხრიდან თარხან-მოურავების შტოდან, ხოლო მეორე მხრიდან — ერეკლე მეორეს შთამომავალი. ახლა თავად განსაჯეთ, შეიძლება, რომ ვინმეს კარის მომღერალი ვიყო?!

**— თქვენი პოზიცია თქვენს წარმომავლობასთან სრულ შესაბამისობასია, მაგრამ სცენიდან თქვენი გარიყვის მიზეზიც, ალბათ, ეს არის. დღეს ხომ წარმატებას ისინი აღწევენ, ვინც ხელისუფლების მიერ დადგენილ თამაშის წესებს უკრიტიკოდ იღებენ?**

— რა თქმა უნდა... ფაქტი სახეზეა. **21-ე საუკუნეში სამარცხვინოა, ბლოკავდე, ჩაგრავდე და, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის, ფეხებზე გეკიდოს ის ადამიანები, ვინც ეპოქა შექმნა ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტში და ასე შემდეგ... გამოდის, რომ, სანამ ბერკეტები შენს ხელთ არ იყო, იყავი ჩუმად და ბოღმით ივსებოდი. მაშინ კი, როცა ეს ბერკეტები ხელში ჩაიგდე, მაგრამ წარმატებული და აღიარებული ადამიანები მაინც ვერ დაიმონე და დაიმორჩილე და ფეხქვეშ ხალიჩად ვერ გაიგე, როგორც პატარა ადამიანებს სჩვევიათ, მდგომარეობას იყენებ და ჩაგრავ მათ. ეს სულმდაბალთა და არაკაცთა საქციელია!**

**— ძალიან გულნატკენი ჩანხართ...**

— მე ყველაფერი გითხარით და ვფიქრობ, ეს შეკითხვა უკვე ზედმეტია. რამდენი წელია, დაბლოკილი ვარ, რამდენი წელია, არც ერთ კონცერტში არ ვმონაწილეობ, რამდენი წელია, სამარცხვინოდ მიდგანან ჯიბრში, რამდენი წელია, არავინ კითხულობს, — ეკა, ოცდაათი წელიწადი ერთგულად, სიყვარულით, სულით და გულით რომ მღეროდი შენი ქვეყნისთვის, შენი ხალხისთვის, დღეს სად ხარ, როგორ ხარ, რითი არსებობ, რას საქმიანობ.

**— თქვენ ძალიან რთული ზოგადი სიტუაცია დახატეთ, გამოსავალს თუ ხედავთ?**

— მე გამოსავალს ნებისმიერი სიტუაციიდან ვხედავ, იმიტომ, რომ, პირველ რიგში, ღმერთზე ვარ მინდობილი. მეორე კი ისაა, რომ არაფერია ამ დალოცვილ მიწაზე მარადიული, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, მითუმეტეს, — სიძულვილსა და ბოროტებას!

**— როგორც ქართველი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით?**

— **მე პირადად არ ვიცნობ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ისევე, როგორც ყველამ, მეც ვიცი მისი კეთილშობილური საქმეების შესახებ — ეკლესიების მშენებლობა, თეატრების აღდგენა, ადამიანების დასაქმება, მეცნიერების, მსახიობების, მომღერლების, სპორტსმენების ხელფასებით უზრუნველყოფა, უამრავი გაჭირვებულისათვის ხელის გამართვა... რომელი ერთი ჩამოვთვალო... თქვენ, ალბათ, ჩემზე მეტი იცით. რაღაც ყოველთვის იცვლება ცხოვრებაში. ასეთია ცხოვრებისა და განვითარების კანონი. ვფიქრობ, ბატონი ბიძინა არაჩვეულებრივი კანდიდატურაა.**

ჩემო კეთილო ხალხო, ძალიან მიყვარხართ, ვიყოთ გონიერები, დინჯები, ბრძენნი და გვიყვარდეს ერთმანეთი!

გვერდები მოამზადა **ნინო კვარაცხელიამ**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეხედეთ, როგორ დაფაცურდნენ ქართველი ერის მტრები, რაღას არ კისრულობენ, რომ ხალხს ღირსეულ მთავრობად მოაჩვენონ თავი. ისინი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ყოველნიარ ხერხს მიმართავენ, მათ შორის, რუსეთის აგენტობასაც სწამებენ. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ემსგავსებიან ისინი რუს ბოლშევიკებს. ალბათ, დადგა დრო, როცა სააკაშვილი და მავანნი მისნი კომუნისტებად უნდა მოვნათლოთ.**

# ჭაბუა ამირეჯიბი — 90

**„საქართველო და მსოფლიომ“ 12 ოქტომბერს მკითხველებს აცნობა, რომ 18 ნოემბერს დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი 90 წლის გახდება. გაზეთის ეს ნომერი გამოდის 16 ნოემბერს, საიუბილეო თარიღამდე ორი დღით ადრე, და თუმცა მიღებული არ არის დაბადების დღის წინასწარ მილოცვა, სამჯერ გადავიწერთ პირჯვარს და ქართველი მწერლობის მშვენებას, დიდოსტატ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს მივულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს, ჯანსა და ღონეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მისი ოჯახის, სათაყვანებელი სამშობლოსა და თაყვანისმცემელი განათლებული საქართველოს გასახარად. დღეს გთავაზობთ ბლიცინტერვიუს იუბილართან და ნაწყვეტს მისი მომავალი წიგნიდან, რომლის სამუშაო სათაურია „ჩემი ავტობიოგრაფია“.**



**ბატონმა ჭაბუამ თაობის ვალი მოიხადა საქართველოს წინაშე, თაობათა ვალი, უწინარეს ყოვლისა, თავისი უბადლო შემოქმედებით, კაცურად ცხოვრების წესითა და მაგალითით.**

**— მეთანხმებით, ბატონო ჭაბუა?**

— გმადლობთ უბადლო ქათინაურისთვის, მაგრამ არც თავად მე ჩამითვლია მამულისადმი ვალი მთლიანად მოხდილად და ამას ნურც ვინმე დაიტრაბახებს, რადგან ვალის გრძნობა თუ გაქვს და, განსაკუთრებით, სამშობლოს წინაშე, ერთი ადამიანისგან ამის მოხდა შეუძლებელი მგონია. ამ ვალის ხდა სიკვდილამდე მიმდინარეობს და ნაწილობრივ მაინც მოუხდელი რჩება, მით უმეტეს, თუ სამშობლოს ვალზეა ლაპარაკი.

**— „დათა თუთაშხიაში“ გიწერიათ: „ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერის და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს“.**

**აქვს, თქვენი აზრით, საქართველოს დღევანდელ საზოგადოებას ზნეობრიობის შინაგანი ძალის ის მარაგი, რომელიც არსებულის შესაცვლელად საკმარისი იქნება?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველთა შორის არ გამოჩნდა კაცი, რომელიც ზემოხსენებული შინაგანი ძალის ერში არსებულ, მიმოფანტულ მარაგს ერთ მუხტად, თუ გონებად შეჰკრავდა და ქართველ ერს სულიერ გამარჯვებამდე მიიყვანდა. ვგულისხმობ ადამიანს, ვინც ჩვენს მართლმადიდებლობას „ბანს მისცემდა“ და გაერთიანებული ძალღონითა და შეგნებით განახორციელებდა წინსვლას. მე მწამდა, რომ როგორც ყოველთვის ჩვენი ბედკრული ერის წარსულში ხდებოდა, გამოჩნდებოდა კაცი, ვინც ამ უღელს დაიდებდა და ახალი ბედ-იღბლით შეაიარაღებდა ქართველ ერს და აკი გამართლდა კიდეც ჩემი მოლოდინი — ღმერთმა ეს კაცი ბიძინა ივანიშვილის სახით გამოგვიგზავნა — ეს ჩემი რწმენაა, რომელიც უეჭველად გამართლდება.

**— ვინ მიგაჩნიათ ჭეშმარიტ მამულიშვილად?**

**— ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩვენს წარსულში მუდამ ის ითვლებოდა, ვინც უანგაროდ ემსახურებოდა ერის აწმყოსა და მომავალს და არა ის მემთავრობე გარეწარი, ვისაც ვნებისა და ზარალის მეტი არა მოუტანია რა თავისი ერისათვის და ტრაბახითა და საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფით უტარებია ერის წინამძღოლის წოდება. ასეთები ჩვენს სამშობლოში მრავლად იყვნენ და კეთილდღეობენ ამჟამადაც.**

**— როგორ შეაფასებთ მავანთა მცდელობას, რომ ბიძინა ივანიშვილი კრემლის უკანასკნელ იმედად წარმოგვიდგინონ? რას ეტყვით იმათ, ვინც მისი გამოჩენა „კიდევ ერთ სპექტაკლად“ მონათლა?**

— ეს ის ხალხია, ვინც ბიძინა ივანიშვილი რეალურ კონკურენტად, სამთავრობო კიბეებზე შემცვლელად სამართლიანად მიიჩნია. შეხედეთ, როგორ დაფაცურდნენ ქართველი ერის მტრები, რაღას არ კისრულობენ, რომ ხალხს ღირსეულ მთავრობად მოაჩვენონ თავი. ისინი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ყოველნიარ ხერხს მიმართავენ, მათ შორის, რუსეთის აგენტობასაც სწამებენ. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ემსგავსებიან ისინი რუს ბოლშევიკებს. ალბათ, დადგა დრო, როცა სააკაშვილი და მავანნი მისნი კომუნისტებად უნდა მოვნათლოთ.

**— ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილში, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, განაცხადა: „რადგან გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში... მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემ სიტყვას და ნაკისრ ვალდებულებას“. რას ფიქრობთ, საიდან მოდის ასეთი თავდაჯერება?**

— მაპატიეთ, თავდაჯერება დამარცხებულთა ხვედრია. ბიძინა ივანიშვილის ყოველი ნათქვამი მისი რწმენიდან მოდის, რწმენიდან, რომელიც მას საკუთარმა საქმის ცოდნით გამარჯვებებმა შესძინა. ის ნათქვამი — გამარჯვებული კაცის, გამარჯვებისთვის ღმრთივ მოვლენილი კაცის მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტებაა.

**— ჩერნობილიდან რეპორტაჟების გაკეთებისას ოცამდე რენტგენის დასხივება მიიღე და კინაღამ დამშალა. თქვენმა „რენტგენებმა“, თუ არ ვცდები, ათასს გადააჭარბა. როგორ გაუძელით?**

— ხშირად მიხდება პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ, რა მიზეზით აღვიკვეცე ბერად. ერთ-ერთი მიზეზი ღმერთის მიერ მფარველობაა. მადლობა ხომ უნდა გადამეხადა ღმერთის, ერისა და ბედ-იღბლისთვის. თექვსმეტი წლის მანძილზე ექვსი გაქცევა მქონდა ბანაკებიდან, ამათგან სამი უხეირო, იქვე ამიყვანეს, მაგრამ სხვა სამში ორ შემთხვევაში დაწესებულების, უკეთ ვთქვათ, საწარმოს დირექტორობაში მომაგნო ჩეკამ.

ის რენტეგენებიცა და სამჯერ მოსჯილი ორი დახვრეტა და ოცდახუთი წელი და ერთი ფუჭი გაქცევის რვა წელი, სულ კი ოთხმოცდასამი წლიანი განაჩენები მაღალმა ღმერთმა მომიტევა, რადგან ცოდვა არ დამიდვია იმ გაქცევებისა და მათ მსვლელობაში.

**— მისჯილი წლების რაოდენობითაც „გინესის რეკორდსმენი“ ხართ...**

— გინესისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემს წიგნებში ყოველივე ეს, მგონია, ასახული მაქვს.

**— როგორ გესახებათ საქართველოს ხვალინდელი დღე?**

— ბატონო არმაზ, დღეს რომ ცოცხალს მხედავთ, ეს ჩემი ოპტიმიზმით აიხსნება. მუდამ მჯეროდა, რომ უკიდურესი განსაცდელიდანაც კი „საღ-სალამათი“ გამოვიდოდი და ასეც ხდებოდა. საქართველოს ერთი პაწაწკინტელა ნაწილი ვარ და ჩემი ასაკით კი არა, ჩემი დამსახურებით მომავლისა მწამს ისევე, როგორც ჩემი ღირსეული ერისა და სამშობლოს მომავალი.

**— რას უსურვებდით 90 წლის ჭაბუა ამირეჯიბს?**

— „იდექ მკვიდრად და ურყეველად“. ამას სახარება გვასწავლის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



## ფრაგმენტი ავტობიოგრაფიიდან

შიშის ძლევის უნარი ბავშვობაშივე თავს გადამხდარმა შემთხვევებმა შემძინა. ეს არ ნიშნავს, რომ შიში არ ვიცი — მის ძლევას ვგულისხმობ. შიში სხვადასხვანაირი მიგემია. აი ერთი მათგანი.

ხუთი წლისა თუ ნაკლებისა ვიქნებოდი, შიში მხვდა და სამუდამოდ დამამახსოვრდა კიდეც. ჩემი აზრით, სწორედ იმ შემთხვევით დაიწყო ჩემი ცხოვრება, რადგან ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს — დანარჩენი არსებობაა.

მოგეხსენებათ, რევოლუცია კინოსეანსი როდია, რომ დაიწყოს და წინასწარ ცნობილი საათ-ნახევრის შემდეგ დამთავრდეს. იგი კომეტას ჰგავს, უზარმაზარი კუდი იცის. ჩემთვის იმ კუდის დასაწყისი იყო ათას ცხრაასოციანი წლების გვიანი შემოდგომა. ღამის სამ საათზე ჩვენს ბინას ოთხი ფორმიან-ნაგანიანი კაცი ესტუმრა. მამაჩემი ერეკლე ქალაქგარეთ იყო. მოსულებს ერეკლეს დარდი ამჯერად არცა ჰქონდათ, მის ძმას ეძებდნენ. პროფიული რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე იყო ჩემი ბიძა შალვა ამირეჯიბი, ეროვნულ-დემოკრატი. რუსეთის ჯარების შემოსვლის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ერთობ მძაფრად გამოამჟღავნა. ჩეკისტები დაეძებდნენ, მისი მოკვლისთვის ფულადი ჯილდოც კი იყო გამოცხადებული. ჩვენ ექვს თუ შვიდოთახიან ბინაში ვიდექით. ყველა ოთახი და სათავსო გაიჩხრიკა, ჯერი საძილეზე მიდგა. იქ მე და ჩემს დას, როდამს გვეძინა. დედა ჩეკისტებს დაჰყვებოდა ოთახიდან ოთახში. შინ სხვა არავინ იყო. საძილეში შევიდნენ. ტანსაცმლის კარადიდან, უჯრებიდან, ზანდუკებიდან ყველაფერი გადმოიყარა და იატაკს მოეფინა, როგორც ყველა ასეთ შემთხვევაში ხდებოდა. დაამთავრეს ჩხრეკა. სამნი გავიდნენ, ოთახში ერთიღა იყო. ისიც გასვლას აპირებდა, რომ ჯგუფის უფროსმა ღია კარს იქიდან უბრძანა, — მაგ ბავშვის ლეიბი ნახეო!

მჩხრეკავმა შარვლის ჯიბიდან დიდი, კაუჭიანი, ბასრი სასხლავი დანა ამოიღო და გაშალა. ის დანა მე კომეტის კუდის ნაწილაკი მგონია. მჩხრეკავი რევოლუციაში პირდაპირ ვენახიდან იქნებოდა მოსული — მდიდარი გლეხის მოჯამაგირეობიდან, ან საკუთარი, მაგრამ პატარა ვენახიდან. დიდს ვერ შეელეოდა. ლეიბის თავში დანის კაუჭს პირი მოაკიდებინა, გამოუსვა და ბოლომდე ჩაჭრა. ლეიბიდან მატყლის კურკუმელებმა გადმოიხედეს. მჩხრეკავმა ლეიბში ხელი შემოყო, ძებნის აზარტს აჰყვა, მულჯუგუნებმა გამაღვიძა და ვიკივლე, — დედიკო, მუცელი გამიჭრეს-მეთქი. მჩხრეკავს ორგანოების პრესტიჟის გრძნობა ბავშვის კივილმა თუ ჩაუხშო, თორემ ისე მკვირცხლად არ მოცუცხავდა.

მეორე შემთხვევა უფრო გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა. უკვე ექვსისა თუ შვიდის ვიქნებოდი, მეორე უმძიმესი ელდა რომ განვიცადე. ამ შემთხვევასაც შიშის ძლევის საწყისად ვთვლი.

როგორც ყოველ წელს, ზაფხულს კიკეთში ვატარებდით, საკუთარ აგარაკზე. სადღაც მიწერია კიდეც, მაგრამ ეს შემთხვევა გამეორებად ღირს. აგარაკი ხეხილის დიდ ბაღში იყო განლაგებული, ჰექტარზე არანაკლები იქნებოდა. მამა მთიბავებს ქირაობდა — ენაგეთელ გლეხკაცებს. თივის საფასურად მუშაობდნენ. ვიჯექი, მათი ცქერით ვერთობოდი. ჩემი მისვლისას საუზმე დამთავრებული ჰქონდათ, ისვენებდნენ. ერთ მათგანს ჩაეძინა და ერთობ ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა, მეორე ადგა, მიეპარა, მხვრინავის სახეზე ჩაიმუხლა და როგორც დიდი სულხან-საბა ბრძანებდა კარგა მოზრდილი „კუს ძვრით“ უპასუხა ხვრინვას. დამსწრეებმა ამას ხმამაღალი სიცილ-ხარხარით უპასუხეს, რამაც შეურაცხყოფილი გამოაღვიძა და იკითხა, — რა მოხდაო? უთხრეს. ამას თიბვა მოჰყვა. შეურაცხმყოფელს შარვლის ტოტები აკეცილი ჰქონდა. დაზარალებულმა, რაღაცნაირად იყო, დრო იხელთა, შეურაცხმყოფელს ზურგიდან მოექცა და ცელი წვივებში მთელი ძალ-ღონით გამოჰკრა. წვივებიდან სისხლის ღვარმა იფეთქა. დაზარალებულმა ჭრილობებზე მშრალი ქვიშა „მიილესა“. თიბვა გაგრძელდა და მე მხოლოდ კარგა ხნის მერეღა მოვედი გონს, ხმამაღალი ტირილით გავიქეცი შინისკენ. მამამ მკითხა, — რა გატირებსო? ვუამბე, რასაც შევესწარი. მამა მთიბავებთან ჩავიდა და მე მას მერე კაი ხუთი წელიწადი მესიზმრებოდა ნახული განუკითხაობა.

მოვუსმინოთ პატრიარქს, ღვთის მადლით, გვყავს ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნისთვის თავდადებულია, ერისთვის შეწირულია! მე მას ვუსმენ, უკვე ოცდაორი წელია და მესმის, რომ საქართველო აუცილებლად გაძლიერდება, გადარჩება, გამთლიანდება და გაბრწყინდება. ჩემი აზრით, ამ საქმეში ბატონი ბიძინა ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა გრიგოლი:

# გადახედეთ ივანიშვილის საქმეებს — თუ ამას პუტინის კარნახით აკეთებდა, მაშინ რაღას ვერჩით პუტინს?



**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური მამა გრიგოლი (გოგიჩაძე).**

**— მამაო გრიგოლ, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა აღედგინა. მრევლი, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი გულისტკივილს გამოხატავდა იერარქიის მიმართ — რატომ დუმს ეკლესია მაშინ, როცა ამდენი მადლის მკეთებელ, სამების საპატრიარქო ტაძრის ამგებელ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას ართმევენო. დღეს ეს „დუმილი“ უწმინდესმა დაარღვია... თუმცა ეკლესია არც მანამდე დუმდა, რადგან ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახისთვის პარაკლისს აღავლენთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ივანიშვილის ოპონენტებში ამ ფაქტმა აგრესია გამოიწვია. თქვენ რას გვეტყვით?**

— ღმერთმა დაგლოცოთ! პირველ ყოვლისა, ეკლესიის დუმილზე მოგახსენებთ. ეკლესია არ დუმს, ეკლესია ლოცულობს და ლოცვით აკეთებს საქმეს... თქვენ ახსენეთ სამების საპატრიარქო ტაძარი, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. მის მშენებლობაში ძალიან დიდია ბატონი ბიძინას წვლილი, ისევე, როგორც სხვა მრავალი ტაძრის განახლებასა და აშენებაში... ასევე განუზომლად დიდია მისი წვლილი იმ უამრავი გაჭირვებული ადამიანის დახმარებაში, რომლებიც მისი შემწეობის გარეშე, ალბათ, ვერც იცოცხლებდნენ. როგორც სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მადლიერებას გამოვხატავ ბატონი ბიძინას მიმართ, რადგან მისი დახმარების გარეშე ეს ტაძარი დიდი ხნის განმავლობაში დაუსრულებელი იქნებოდა. როდესაც მისი შემწეობით აღდგენილ უამრავ ტაძარს ვუყურებ, გული მადლიერებითა და სიხარულით მევსება. მან ეს ტაძრები განადგურებას გადაარჩინა, სიცოცხლე შთაბერა და ჩვენს მომავალს შემოუნახა...

**— პარაკლისებს მის მიმართ მადლიერების გამოსახატავად იხდით, მამაო?**

— პარაკლისი, რომელსაც ყოველ კვირას, წირვის შემდეგ აღვავლენთ, აღევლინება საქართველოს კეთილი მომავლისათვის, ბედნიერებისათვის, ჯანმრთელობისათვის, სულიერად გაძლიერებისათვის, ასევე ბიძინა ივანიშვილის ოჯახის ბედნიერებისა და ჯანმრთელობისათვის, რათა მას უფალმა მეტი სულიერი და ფიზიკური ძალა მისცეს, რომ კეთილი საქმეები არ შეწყვიტოს და კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით გააგრძელოს ქართული საქმე. უფალი ბრძანებს: „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“. იგი სიტყვით არ ამბობს, მაგრამ მისი საქმეები ამის ნათელი დადასტურებაა.

**— მამაო, პარაკლისი აღევლინება სრულიად საქართველოსთვის და ბატონი ბიძინა ივანიშვილის ოჯახითვისო, ბრძანეთ. საიდან გაჩნდა ამის სურვილი? ვისი ინიციატივით მოხდა?**

— მრევლში არიან ადამიანები, რომელთაც უნდათ, ბატონი ბიძინას მიმართ მადლიერება ასე გამოხატონ და ამ პარაკლისის ჩატარება არის ამ ადამიანების თხოვნა და სურვილი. უწმინდესი, ჩვენი სამღვდელოება მას ყოველთვის ვიხსენიებდით. ან როგორ შეიძლება, სამების ტაძარში იდგე, ერის ადამიანი ხარ, თუ სასულიერო პირი, და მადლიერებით არ გაიხსენო ის ადამიანი, რომელმაც სრულიად საქართველოს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი გვირგვინად დაადგა?!

ესაა მოთხოვნა ჩვენი საზოგადოების, მრევლის. რა თქმა უნდა, ეს პარაკლისები უწმინდესის ლოცვა-კურთხევით აღევლინება!

**— მამაო, ბატონ ბიძინაზე ძალიან ბევრი ამბობს, რომ ის მორწმუნე ქრისტიანი არაა, ამ ადამიანებს რას ეტყოდით?**

— იმის თქმა, რომ მას ღმერთი არ სწამს, არ შეიძლება. შეიძლება იგი უდროობის გამო, დეტალურად ვერ ერკვევა საეკლესიო სწავლებაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ურწმუნო და ულმერთოა! იგი პატივს სცემს ყველა იმ ქრისტიანულ ტრადიციას, რაც წინაპართაგან მოგვდგამს. **არ შეიძლება ამდენი ტაძრის აღმდგენი და ამშენებლი, ამდენი სიკეთის გამკეთებელი ადამიანი ურწმუნო და ულმერთო იყოს.** მისი საქმეები ეწინააღმდეგება ურწმუნოებას, ულმერთობას!

**— მამაო, თქვენ ბრძანეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი უამრავ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება, რაც უდავოა, მაგრამ ამას წინათ გამოქვეყნებულ იმ ადამიანთა სიაში, რომელთაც იგი ფინანსურ დახმარებას უწევდა, ჩვენდა გასაოცრად აღმოჩნდნენ ის ადამიანებიც, რომელთაც, სხვა თუ არაფერი, გაჭირვებულს ნამდვილად ვერ უწოდებ...**

— ჩემი გასარკვევი არაა, ვინ იყო ამ სიაში, რადგან **მე არ ვიცი, ვის რა სახის დახმარება ესაჭიროებოდა, ვის როგორ ეხმარებოდა, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ არსებობს უდიდესი ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც ყველას ანგარების გარეშე ეხმარებოდა და ეხმარება, და მომავალშიც დაეხმარება, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ლოცვა მას სასიკეთოდ ექცევა და მას უფრო მეტი ძალა, მეტი ენერგია მიეცემა სიკეთის კეთებისა.**

**— მამაო, რა თქმა უნდა, სურვილი ამ პარაკლისის აღვლენისა უდავოდ კარგია, რაც არ შეიძლება ქრისტიან ადამიანს არ უხაროდეს, მაგრამ ოპონენტები აუცილებლად შეგეწინააღმდეგებოდნენ. თქვენ ბრძანეთ, რომ ბატონი ბიძინა უანგაროდ ეხმარებოდა ადამიანებს, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ ეს სულაც არ იყო უანგარო დახმარება, მან გონივრულად ჩადო კაპიტალი ქართველ ხალხში, რომ შემდეგ უფრო თამამად მოსულიყო პოლიტიკაშიო. ერთია, რას ამბობს და როგორ ხედავს ერის ადამიანი, მაგრამ მეორე — როგორ ხედავს სასულიერო პირი. მას სხვა ხედვა და სულიერი ანალიზის უნარი აქვს...**

— განა ყველამ არ იცის, რომ ბატონი ბიძინა ყველა ამ ადამიანს, ვისაც ეხმარებოდა, იმიტომ უწევდა დახმარებას, რომ მათ მართლა ძალიან უჭირდათ? ის რომ დარწმუნებული იყოს, რომ არ უჭირს ქართველებს, იგი ამ ნაბიჯს გადადგამდა? პოლიტიკაში, ანუ იქ მოვიდოდა, სადაც ხალხის იმედად მოდიან და მერე მათ მტრებად იქცევიან? რა თქმა უნდა, არა! კარგად რომ იყოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, იგი მოვიდოდა პოლიტიკაში? მაგრამ ხედავს, რომ ვერ წვდება იმ კუთხიდან, საიდანაც იგი ცდილობს, დაეხმაროს თავის თანამემამულეებს. რა თქმა უნდა, მან შეისმინა ღმერთის ძახილი, **ღმერთმა მოუხმო, რომ საქართველოს ახლა უფრო თვალსაჩინო ადგილიდან დაეხმაროს!**

**ხალხს დღეს ძალიან სჭირდება იმედი, რწმენა მომავლისა! ერთ-ერთი ასეთი იმედი კი არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი! იგი არის საუკუნის საჩუქარი, რომელიც ქართველ ხალხს ძალიან სჭირდებოდა და ამიტომ ამ ადამიანს ნამდვილად სჭირდება გაფრთხილება! ფრთხილად, პატივისცემით უნდა მოვექცეთ მას და რაღაც შოუებით არ უნდა დავუპირისპირდეთ. ეს არის უდიდესი ცოდვა ღვთის წინაშე, რადგან მან მართლა ძალიან დიდი საქმეები გაუკეთა ერს და ამ საქმეებით ხალხს იმედი ჩაუნერგა, რომ საქართველო გადარჩება, გაბრწყინდება და ერთიანი იქნება.**

**— თქვენც ეთანხმებით აზრს, რომ იგი პოლიტიკაში საქართველოს ტკივილმა მოიყვანა? ოპონენტები აქაც ცინიკურად შეგედავებიან, რომ ივანიშვილი არის პუტინის პროექტი, რომ იგი პუტინმა აიძულა, შემოსულიყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში რუსული ინტერესების გასატარებლად...**

— ეს უკვე აბსურდის თეატრს ჰგავს...არა მგონია, ვინც ბატონ ბიძინაზე ამას ამბობს, თავად სჯეროდეს ამის! ოპონენტის დასამარცხებლად არ შეიძლება ცილი დასწამო მას. **გადახედეთ ბიძინა ივანიშვილის საქმეებს — თუ ამას პუტინის კარნახით აკეთებდა, მაშინ რაღას ვერჩით პუტინს?!**

მე პოლიტიკოსი არ ვარ და პოლიტიკური განცხადებებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვიცი, რომ მას უყვარს თავისი სამშობლო და პატივს სცემს წინაპართა ტრადიციებს, ესმის მართლმადიდებლობის მნიშვნელობა. კიდევ ვიმეორებ, ბატონი ბიძინა საქმით ამტკიცებს, რომ მორწმუნეა. ჩვენს ქვეყანას კი ასეთი ადამიანები სჭირდება.

**— მამაო, მე ვხედავ, რომ თქვენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას სამშობლოს სიყვარულს უკავშირებთ. როგორც სასულიერო პირს, ეჭვიც არ გეპარებათ მის გულწრფელობაში?**

— მისი ნაბიჯი უფლის ძახილია, მას უფალმა მოუხმო სამშობლოს სადარაჯოზე, დღეს იგი საქართველოს როგორც ჯარისკაცი სჭირდება, მან მართლა ვაჟკაცური, გმირული ნაბიჯი გადადგა! საქართველოს ისტორიას რომ გადავხედოთ, ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც თავიანთ სათქმელს იქ ამბობდნენ, სადაც სამშობლოს საფრთხე ექმნებოდა. **მან ამ ნაბიჯით გადაამეტა თავის ქველმოქმედებას. დღეს ასეთ რთულ ვითარებაში სამშობლოში დაბრუნდა, თანაც, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად უწყოდა, რა წინააღმდეგობებსაც წააწყდებოდა აქ და მაინც არ შეუშინდა!**

ეს მართლაც გმირობის ტოლფასია! ის ჭეშმარიტი ქართველია, მას ბევრი ისეთი თვისება აქვს, რასაც ნებისმიერი ადამიანი ინატრებდა.

**— მამაო, რა გაძლევთ მისი პიროვნების ასე დახასიათების საფუძველს, თქვენ მას ახლოს იცნობთ?**

— 90-იან წლებში, სამების ტაძრის მშენებლობისას ვნახე. მაშინ იყო მობრძანებული — შორიდან დავინახე. არავინ იფიქროს, რომ მასთან ჩემი პირადი ურთიერთობის გამო ვლაპარაკობ ასე. უფალმა იცის, რომ ეს ასე არაა. **ბატონი ბიძინა ყველა ქართველის ახლობელია, რადგან ის კეთილი საქმეები, რაც მან ჩვენს ქვეყანაში გააკეთა, ყველას ეკუთვნის! საქართველო ხომ ყველა ქართველისაა!** სასულიერო პირებს მასზე, მის საქმეებზე ბევრჯერ გვისაუბრია. მართლაც გამორჩეული ადამიანია, ამიტომაც უყვარს იგი ქართველებს, ჩვენ მისი ოჯახისთვის ვლოცულობთ და მრევლსაც მოვუწოდებთ, რომ ლოცვებში მოიხსენიონ.

**— მამაო, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, ვფიქრობ, საფუძვლიანი ეჭვი აქვს —ხომ არ ხდება ამ ადამიანის გაიდეალება? ჩვენ გამოვიარეთ პიროვნების გაიდეალების საკმაოდ მტკივნეული გზა — ჯერ ზვიად გამსახურდია, მერე ედუარდ შევარდნაძე, მერე მიხეილ სააკაშვილი... ხალხი ეძებს და „ქმნის“ გმირებს, მერე კი მითი იმსხვრევა და ამას იმედგაცრუება მოსდევს. ზომიერების გრძნობა ახლაც ხომ არ გვღალატობს?**

— აქ გაიდეალება არაფერ შუაშია, უბრალოდ, ეს ადამიანი ძალიან კარგ მაგალითს აძლევს ჩვენს მომავალს — როგორ უნდა გტკიოდეს გასაჭირში მყოფი შენი მოყვასი. ჩვენი უწმინდესიც მაგალითია ჩვენთვის, მაგალითი ქრისტიანობის, სიყვარულის, სამშობლოს ერთგულების. ღმერთი ყოველთვის არჩევს ასეთ ადამიანებს და გვიგზავნის მაგალითისთვის. ბატონი ბიძინა თავისი ცხოვრების წესით, საქმით ნამდვილად ყველა ქართველისთვის სამაგალითოა. წავიდა, იშრომა, ილვაწა და საკუთარ ქვეყანას, ხალხს ახმარს. ფუტკარია, რომელიც უნდა დავაფასოთ, მადლობა მაინც ვუთხრათ. ვისაც რწმენა აქვს, მას კარგად ესმის ჩემი ნათქვამი. უფალმა შეაძლებინოს ჩვენი სამშობლოსთვის ყველა იმ აგურის დადება, რაც მართლა გულით უნდა.

რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია მასში, ის ძალიან ბევრ სიკეთეს ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა. ჩუმად გაკეთებული მადლი კი უფრო შეიწირება უფლის მიერ... საზოგადოებამ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე, რომელსაც იგი წლების განმავლობაში აკეთებდა, ახლა გაიგო.

არავის გაიდეალება არ შეიძლება! ზომიერება ყველასთან, მით უმეტეს, ხელისუფალთან ურთიერთობაშია საჭირო. გვყავს უფალი, ყოვლადწმინდა სამება, დედა ღვთისმშობელი — მარადიული იდეალი ქართველი კაცისა.

**— მამაო, ადამიანები, რომლებსაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდა, დღეს კი ჩუმად არიან, თავიანთი დუმილით ცოდვას არ სჩადიან? განა უმადურობა ცოდვა არაა? იუდას რომ ზიარების შემდგომ უფლისთვის მადლობა გადაეხადა, მასში ეშმაკი ასე ადვილად ვერ შეაღწევდა და ისიც, დაცემული, მაცხოვარს არ გაყიდდა..**

— ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მადლიერების გრძნობა ღვთიური ნიჭია. გახსოვთ, ალბათ, სახარებიდან, უფალმა რომ ათი კეთროვანი განკურნა და ამ ათიდან მადლობა მხოლოდ ერთმა გადაუხადა. ათიდან მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა მადლიერების გრძნობა... ყველას ვერ მოსთხოვ იმას, რაც არ გააჩნია. თუმცა, მადლობის თქმა თუ არ შეგიძლია, ცუდს მაინც ნუ იტყვი და ამით ცოდვას კიდევ ცოდვას ნუღარ მიუმატებ!

უმადურობა ძალიან დიდი ცოდვაა და უნდა დავფიქრდეთ ამაზე...

**— იმ ადამიანებს რას ეტყოდით, ვინც მომართულია მხოლოდ იმისკენ, რომ ბატონ ბიძინას ტალახი ესროლოს?**

— ყველა ადამიანს, განსაკუთრებით კი თქვენს კოლეგებს, ჟურნალისტებს ვთხოვ, დაფიქრდნენ, სანამ ადამიანს ცილს დასწამებენ. თქვენ ძალიან ბევრი რამ შეგიძლიათ. თქვენ შეიძლიათ სიმართლით ემსახუროთ ქვეყანას, ამიტომ ეშმაკებს, ულმერთო ადამიანებს, „წინასწარმეტყველებს“ ნუ აჰყვებით და სააშკარაოზე ნუ გამოიტანთ ტყუილს, სიყალბეს. არ შეიძლება, მხოლოდ ცუდზე იყო ორიენტირებული და ყველაფეზე წახვიდე — მკითხავებში და მჩხიბავებში იარო.

**მოვუსმინოთ პატრიარქს, ღვთის მადლით, გვყავს ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნისთვის თავდადებულია, ერისთვის შეწირულია! მე მას ვუსმენ, უკვე ოცდაორი წელია და მესმის, რომ საქართველო აუცილებლად გაძლიერდება, გადარჩება, გამთლიანდება და გაბრწყინდება. ჩემი აზრით, ამ საქმეში ბატონი ბიძინა ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.**

დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ უფალმა თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ადამიანების დაკავება და დაპატიმრება მასობრივად გრძელდება. ბრძოლები დამთავრდა, მაგრამ რევოლუციონერები არ ცხრებიან. კადაფის სავარაუდო მომხრეებს ალყაში აქცევენ და უსწორდებიან: „კუდიანებზე ნადირობა“ ყოველდღიურად ძალას იკრეფს. დაპატიმრების საფუძველი უმეტეს შემთხვევაში მოარული ხმები და პირადი ანგარიშსწორებაა.

# ლიბია: ამბოხებული «კარგი ბიჭები» «ცუდი ბიჭები» ხდებიან?

**ლიბიის დედაქალაქის — ტრიპოლის მცხოვრებთ ილუზიის ნარჩენები თანდათან უქრებათ. რევოლუციამ თანდათან თავისი უარყოფითი შედეგები უფრო და უფრო მასშტაბურად წარმოაჩინა. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი ტრიპოლიში შექმნილ ვითარებას რომ გაეცნობა, თვალწინ წარმოუდგება ჩვენი უახლესი ისტორიის კოშმარული სურათები — საყოველთაო განუკითხაობა და „მხედრიონელთა“ შეუზღუდავი თარეში, ხელისუფლების სრული უსუსურობა და მოქალაქეთა ძვალ-რბილში გამჯდარი უიმედობა და პერსპექტივის უქონლობა.**





## ტრიპოლელებმა გაოცება ვერ დამალეს, როცა ზინტანელებმა თავიანთ უდაბნოში მოპარული ჰიდროციკლები და კატარღები გაზიდეს

როგორც იმ წლების თბილისში, ტრიპოლიშიც კბილებამდე შეიარაღებული „გამათავისუფლებლები“ გამომწვევად დეფილირებენ — „მარიაჟობენ“ ბერეტებით და შავი სათვალეებით ჩე გევარას სტილში. პროვინციებიდან (ლიბიაში — უდაბნოდან) ჩამოსული ბიჭები არც იარაღის ჩაბარებაზე ფიქრობენ და არც შინ დაბრუნებაზე, რასაც თითქოს აპირებდნენ კადაფის დამხობისთანავე.

**ჩვენთან ჯაბა იოსელიანი აცხადებდა, მწერლობას დავუბრუნდებიო, თენგიზ კიტოვანი — ფერმწერის პროფესიას გაიხსენებდა. არსად არ წასულან: ხელისუფლებაში ყოფნას სხვა ხიბლი აქვს.**

**ლიბიაში უამრავი კიტოვან-იოსელიანია, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ ქართველ წინამორბედებზე, მაგრამ არა მარტო მათსავით იქცევიან, არამედ შეუდარებლად უარესად, ოღონდ იმავე სტილში.**

გაძარცვული სამეგრელო გაიხსენეთ და შეადარეთ The Telegraph-ის მიერ მოხმობილ მოარულ ფრაზას, რომელიც გაზეთის კორესპონდენტმა ტრიპოლიში მოისმინა: **„როცა ისინი ამბობდნენ „ლიბია თავისუფალია“, ეტყობა, მხედველობაში ჰქონდათ მანქანები, მაცივრები და ტელევიზორები ბრტყელი ეკრანებით, რომლებსაც თავისუფლად იტაცებდნენ.“**

„მხედრიონის“ პერიოდში შემოვიდა ხმარებაში სიტყვა დაყაჩაღება, რაც არა მხოლოდ სლენგში დამკვიდრდა, არამედ ჩვენს იმდროინდელ ყოველდღიურობაში. აყაჩაღებდნენ ქალებს ქუჩაში და მანქანების პატრონებს — გზაშარაზე. ლიბიაში საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მანქანებს ართმევდნენ და სანაცვლოდ ფარატინა ქაღალდებს ურიგებდნენ — რევოლუციის შემდეგ დაგიბრუნებთო.

მეტი არაა თქვენი მტერი! — დაბრუნებული „გადაადგილების საშუალება“ არც აქ, არც იქ არავის უნახავს!

მაგრამ ყაჩაღობაზე მეტად ლიბია შეშფოთებულია მოხალისეთა (საქართველოში — არაკანონიერ შეიარაღებული დაჯგუფებები) რაზმების სისხლიანი შეტაკებებით. მხოლოდ ტრიპოლიში ერთი კვირის მანძილზე სამი ასეთი დაპირისპირება დაფიქსირდა: სროლები საავადმყოფოში, წამებულთა მოედანზე და სამხედრო აეროპორტში. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ათეულობით კაცი დაიჭრა.

**ადამიანების დაკავება და დაპატიმრება მასობრივად გრძელდება. ბრძოლები დამთავრდა, მაგრამ რევოლუციონერები არ ცხრებიან. კადაფის სავარაუდო მომხრეებს ალყაში აქცევენ და უსწორდებიან: „კუდიანებზე ნადირობა“ ყოველდღიურად ძალას იკრეფს. დაპატიმრების საფუძველი უმეტეს შემთხვევაში მოარული ხმები და პირადი ანგარიშსწორებაა.**

**„ახლა ჩვენთან ასობით პატარა კადაფები გაჩნდნენ“,** — წუხან ტრიპოლელები.

**გახსოვთ, თბილისში „ოპოზიციონერებმა“ ჩაუშესკუ რომ გაიხსენეს და „ჟოს! ჟოს!“ (გაუმარჟოს!) აყვირებდნენ მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებს? როგორი „ჟოც“ მივიღეთ, ეგეც ვიცით. ლიბიაში — ახლა იგებენ და თანდათან ეფანტებათ რევოლუციური ეიფორია.**

ლიბიის პრობლემები იმდენად საშიში არ იქნებოდა, ისეთი მთავრობა რომ ჰყავდეს, რომელიც შესძლებდა ამ პრობლემებთან გამკლავებას. კადაფის დამხობიდან ორი თვის შემდეგ, ქვეყანაში კვლავ ძალაუფლების ვაკუუმია. მთავრობა არ ჩამოუყალიბებიათ იმ მიზეზთა გამო, რომ ყოფილ მეამბოხეებს საერთო ენა ვერ მოუნახავთ ძალაუფლების განაწილების საკითხში. ახლადდანიშნული პრემიერ-მინისტრი ელექტროტექნიკის პროფესორია (ძალაუნებურად გაგახსენდებათ თენგიზ სიგუა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეტალურგი, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს მთავრობას ედგა სათავეში). ეს კაცი წარმოშობით ტრიპოლელი კი არის, მაგრამ თავისი ცხოვრების ბოლო ოცდაათი წელიწადის უმეტესი ნაწილი აშშ ალაბამასა და ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტებში გაატარა. აირჩიეს კი იმიტომ, რომ ასეთ არჩევანს არავინ გაუნაწყენებია, არც არავინ გაულიზიანებია.

**აბდულ რაჰიმ ალ-კიბუმ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ხელეწიფება ყოფილი დიქტატორული ქვეყნის მართვა, რომელიც დატენილია იარაღით და რეგიონული დაპირისპირებებით არის დაგლეჯილ-დანაწევრებული.**

მოლოდინი დიდია, ხოლო ამოცანების რაოდენობა გამაოგნებელი და შემზარავი: ასაწყობია ეკონომიკა, ასალაგმავია სეპარატისტები აღმოსავლეთში, რომლებიც ნავთობით მდიდარ საკუთარი მინისახელმწიფოს შექმნაზე ალაპარაკდნენ (გადამკვეთი პარალელი — აფხაზი და ოსი სეპარატისტები), განსაიარაღებელია უკანონო შეიარაღებანი („მხედრიონი“ და სხვები) და, რაც მთავარია, ჩასატარებელია პირველი ნამდვილი არჩევნები.

**დასავლეთმა ახალ პრემიერს დემოკრატიის აშენებაში თანადგომა აღუთქვა, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ჩანს. ეროვნული გარდამავალი საბჭოს თხოვნით, გაეროს ძალების რაოდენობა უმნიშვნელო დონეზე დარჩება, რადგან ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატის განცხადებით, ამაყ ლიბიელებს არ სურთ, რომ მათი ქვეყანა დაემსგავსოს ავღანეთს და ერაყს, ანუ მესამე სამყაროს ქვეყანას.**

**ფეხი ვერ მოიკიდეს ლიბიაში უცხოელმა ინვესტორებმა. ისინი აცხადებენ, რომ ქვეყნის მთავრობაში კაცი ვერ ნახეს, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში.**



მოხალისეთა წასვლა დედაქალაქიდან, ასე თუ ისე, მოაწესრიგებდა სიტუაციას, მაგრამ როგორც Sunday Telegraph-ს ერთ-ერთი შეიარაღებული რაზმის მეთაურმა განუცხადა, მისი ხალხი ერთხანს დარჩება დედაქალაქში:

**„ჩვენ აქ ვართ, რათა დავეხმაროთ დემოკრატიის მშენებლობაში და დავიცვათ რევოლუცია“.**

რაზმელები ტრიპოლის სამხრეთით მდებარე ულარიბეს ქალაქ ზინტანიდან არიან. ისინი ყველაზე უფრო შეუბრალებელ და სასტიკ მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული, მაგრამ კადაფის დამხობის შემდეგ **„გაცილებით ნაკლებ მიმზიდველი რეპუტაცია მოიპოვეს ძარცვის, ჩხუბის და პროვოცირებულ დაპირისპირებათა წყალობით“.**

სწორედ ამ რაზმელებმა მოიპარეს სპილო ტრიპოლის ზოოპარკიდან (თბილისის ზოოპარკში ცოცხალ შველს ბარკალი სამწვადედ მოაჭრეს, მოკლეს გედი) და, როგორც ნაალაფარი სიმდიდრე, თავიანთ ქალაქში ჩაიყვანეს. ხოლო რეგატის კეთილმოწყობილი და ეკზოტიკური რეზიდენცია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც რევოლუციამდე ამერიკელი და ბრიტანელი მენავთობეები ცხოვრობდნენ, პირწმინდად გაძარცვეს და წარყვნეს.

**ტრიპოლელებმა გაოცება ვერ დამალეს, როცა ზინტანელებმა მოპარული ჰიდროციკლები და კატარღები თავიანთ უდაბნოში გაზიდეს.**

ქალაქი უარესის მოლოდინშია, რადგან შეიარაღებულმა ადამიანებმა ძალაუფლების გემო იგრძნეს. როგორც ჩანს კადაფის შემდეგდროინდელი ეპოქა გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ლიბიელებს წარმოედგინათ.

**არმაზ სანებლიძე,**
**უცხოეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით**

## სილვიო ბერლუსკონი თანამდებობიდან გადადგა

**იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თანამდებობა დატოვა. იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ თანამდებობის დატოვებაზე მისი ოფიციალური თხოვნა დააკმაყოფილა და შესაბამის განცხადებას ხელი მოაწერა.** ბერლუსკონიმ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დატოვების პირობა გასულ კვირას დადო. როგორც მან აღნიშნა, იგი თანამდებობიდან მას შემდეგ წავიდოდა, რაც პარლამენტი ეკონომიკის განვითარების ღონისძიებათა გეგმას დაამტკიცებდა. იტალიის ეკონომიკური სირთულეები და საბერძნეთის ანალოგიური პრობლემები ევროზონაში შემავალი ქვეყნების სტაბილურობას ემუქრება. ბერლუსკონის გადადგომის შემდეგ, იტალიაში, სავარაუდოდ, ე.წ. ტექნოკრატიული მთავრობა ჩამოყალიბდება.

## პოლონეთში ავიაკატასტროფას 4 ადამიანი ემსხვერპლა

**პოლონეთში ავიაკატასტროფას 4 ადამიანი ემსხვერპლა. ყველა დაღუპული პოლონეთის მოქალაქეა. მსუბუქი თვითმფრინავი „საირუსი“ შლენსკის რეგიონში ჩამოვარდა.** ის პოლონეთში იტალიიდან მიფრინავდა. ავიაკატასტროფა იმ დროს მოხდა, როდესაც აეროპორტამდე თვითმფრინავი 6 კილომეტრით იყო დაშორებული. მფრინავებმა დისპეტჩერებს ძრავის გაუმართაობის შესახებ შეატყობინეს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მათთან კავშირი შეწყდა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.



**ეს ბნელითმოცული შემთხვევები ზუსტად და სამართლიანად უნდა გამოიძიონ, რაც პრესაში ფართოდ გაშუქების გარეშე კვლავ იდუმალებით მოცული დარჩება.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრიტიშ პეტროლეუმის მიერ დაღვრილ ნავთობთან დაკავშირებული ექსპერტები საიდუმლო ვითარებაში კვდებიან

**ბოლო წელიწად-ნახევარში საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა სულ ცოტა 10 ექსპერტი და ცნობის მიმწოდებელი. ისინი BP-ისთან იყვნენ დაკავშირებულნი. 2011 წლის 10 აპრილს გავრცელებული ვიდეოინფორმაციის თანახმად, იმ მომენტისთვის 9 მკვლელობა იყო დაფიქსირებული, 3 — თავისუფლების აღკვეთა, გაუჩინარება და მკვლელობის მცდელობა.**


თაკერ მენდოსა


გრეგორი სტოუნი


ენტონი ტრემონტე


თომას მანტონი


ჯონ უილერ II


ჯეიმს ბლეკი


ჩიტრა ჩუნანი


ჯეფრი გარდნერი


როჯერ გრუტერსი


ტედ სტივენსი


მეთიუ სიმონსი


ჯოზეფ მორისი




ჯორჯ უეინრაიტი

2011 წლის 23 ოქტომბერს დაიღუპა ამ ნავთობკომპანიის მფრინავი **ჯორჯ თომას უეინრაიტი,** სავარაუდოდ, ავსტრალიაში ზვიგენის თავდასხმის შედეგად.

თავგამოდებული ტურისტი და საზღვაო სისტემების ინჟინერი დაკავებული იყო მაკონდოს ჭაბურღილისთვის თავის დაცობით, საიდანაც ნავთობი მექსიკის ყურეში ჩაიღვარა.

უეინრაიტის ცხედარი ნაპირზე გამოიტანეს მეგობრებმა, ვისთანაც ერთად ცურავდა.

2 თვის განმავლობაში ეს იყო თეთრი ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაღუპული მესამე ადამიანი.

**მართალია, ეს ისტორია ფრიად სამწუხაროა, მაგრამ მას შეიძლება ავბედითი ქვეტექსტი აღმოაჩნდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამასობაში კიდევ 9 კაცი დაიღუპა, ვინც ბრიტიშ პეტროლეუმთან იყო სამსახურებრივად დაკავშირებული.**

გთავაზობთ გარდაცვლილთა სიას, რომელიც Real Coastal Warriors-მა გამოაქვეყნა:

**თაკერ მენდოსა**

— 2011 წლის 2 აპრილს მას — ნავთობის დაღვრის მიზეზების გამომკვლევ აქტივისტსა და მის დისშვილს ესროლეს. ისინი საავადმყოფოში დღემდე მკურნალობენ;

**გრეგორი სტოუნი**

— ლუიზიანის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი, 54 წლის. 2011 წლის 17 თებერვალს შეეყარა დაუდგენელი დაავადება. მისი ნაშრომები, რომლებშიც ამტკიცებდა, თუ რამდენად მავნე იყო დაღვრილი ნავთობი სანაპირო ტერიტორიისთვის არაერთხელ იყო ციტირებული;

**ენტონი ნიკოლას ტრემონტე**

— საზღვაო რესურსების დეპარტამენტის ოფიცერი ოუშენ-სპრინგიდან, 31 წლის. 2011 წლის 26 იანვარს დააპატიმრეს ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული ბრალდებით;

**თომას მანტონი**

— ნავთობის დაღვრაზე კონტროლის კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი 2011 წლის 19 იანვარს მოათავსეს ციხეში და იქ სიცოცხლეს გამოასალმეს;

**ჯონ უილერ II**

— პენტაგონის ყოფილი თანამშრომელი, პრეზიდენტის თანაშემწე, კონსულტანტი თავდაცვის და ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საკითხებში. 2010 წლის 31 დეკემბერს თავს დაესხნენ და სასიკვდილოთ სცემეს. ცხედარი უილმინგტონის ნაგავსაყრელზე აღმოაჩინეს;

**ჯეიმს პატრიკ ბლეკი**

— მექსიკის ყურეში დაღვრილი ნავთობის ლიკვიდატორების ხელმძღვანელი. 2010 წლის 23 ნოემბერს ავიაკატასტროფაში დაიღუპა;

**ჩიტრა ჩუნანი**

— ეს 33 წლის ახალგაზრდა ქალი მუშაობდა ინფექციურ დაავადებათა კვლევისა და ბიოდაცვის ცენტრში. მკვდარი იპოვეს. ვარაუდობენ, რომ თავი მოიკლა;

**ჯეფრი გარდნერი**

— დოქტორი, რომელიც სარასოტის მახლობლად ფრინველების დახოცვის გაუგებარ მიზეზებს იკვლევდა. 2010 წლის ნოემბერში მოულოდნელად შეწყვიტა საქმიანობა. გედების სიკვდილის მიზეზები, რაც სავარაუდოდ BP-ის ნავთობის დაღვრით იყო გამოწვეული, დაუდგენელი დატოვა. იგი უგზოუკვლოდ გაქრა;

**როჯერ გრუტერსი**

— 2010 წლის 6 ოქტომბერს 66 წლის ველოსიპედისტს დაეჯახა სატვირთო ავტომანქანა. დაიღუპა საქველმოქმედო მარათონის 3200-ე მილის გავლისას. ეს აქცია ეძღვნებოდა მექსიკის ყურეში დაღვრილი ნავთობის პრობლემების შესახებ სიმართლის დადგენა-გავრცელების პრობლემას;

**ტედ სტივენსი**

— 86 წლის ალიასკელი სენატორი, რომელიც 2010 წლის 9 აგვისტოს დაიღუპა გემის კატასტროფაში. იგი, როგორც ამბობენ, ფლობდა ინფორმაციას, რომელიც BP-ის ნავთობის დაღვრასთან და მისი შედეგების დაფარვასთან იყო დაკავშირებული;

**მეთიუ სიმონსი**

— 67 წლის. მისი გვამი 2010 წლის 13 აგვისტოს აბაზანაში იპოვეს. იგი ერთადერთი ინსაიდერი იყო, რომელიც შეიძლება გამოსულიყო იმ „ოფიციალური პირების“ წინააღმდეგ, ვინც მექსიკის ყურის კატასტროფაში იყო გარეული;

**ჯოზეფ მორისი**

— 46 წლის. იყო ბიოლოგი, პროფესორი. პოლიციის განმარტებით, 2010 წლის 6 აპრილს იგი მოკლეს სახლის გაქურდვის მცდელობისას;

დაბოლოს — **ჯორჯ უეინრაიტი,** ვისზეც პუბლიკაციის დასაწყისში ვილაპარაკეთ.

**ეს ბნელითმოცული შემთხვევები ზუსტად და სამართლიანად უნდა გამოიძიონ, რაც პრესაში ფართოდ გაშუქების გარეშე კვლავ იდუმალებით მოცული დარჩება.**

**სიმართლე ჭაბურღილის დაზიანების შესახებ ამ ადამიანებმა საფლავში წაიღეს**

www.mixednews.ru/archives/11380

მოკლედ

## მიუნჰენის აეროპორტში ძლიერი ნისლის გამო 33 რეისი გადაიდო

**მიუნჰენის აეროპორტში ძლიერი ნისლის გამო 33 რეისი გადაიდო, 80-ზე მეტი კი დაგვიანებით შესრულდა.**

უამინდობამ ასობით მგზავრი დააზარალა. აეროპორტში საკუთარ რეისებს ისინი საათობით ელიან. აეროპორტის დირექციის განცხადებით, ფრენების გადადება უსაფრთხოების ზომებისთვის გახდა აუცილებელი.

## აშშ-მ «პრო»-ს სისტემის რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტები შესაძლოა, შავ, ბალტიის, ბარენცის და ჩრდილოეთის ზღვაში განათავსოს

**ამერიკულმა მხარემ აღიარა, რომ „პრო“-ს სისტემის რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტების შემცველი ხომალდები შესაძლოა, შავ, ბალტიის, ბარენცის და ჩრდილოეთის ზღვაში განათავსოს.** ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ რუსეთის საგრეო საქმეთა მინსიტრის სერგეი ლავროვის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება. „მიუხედავად ამისა, მათი პოზიცია უცვლელი რჩება. გვეუბნებიან, ნუ ღელავთ, ეს თქვენ წინააღმდეგ არ არისო. თუმცა როგორ არ შეიძლება, რუსეთს ეს საკითხი არ აღელვებდეს?!“ — აღნიშნა ლავროვმა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის ინფანტილური მესიობა ადრეც ვლინდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ნეოკონსერვატორი რესპუბლიკელების მმართველობა აბსოლუტურ ფეტიშში გადაიზარდა: თურმე მხოლოდ ვაშინგტონში იციან, როგორ უნდა „გააბედნიერონ“ მთელი კაცობრიობა.**

# აშშ: არავითარი მოკავშირეები, არსებობენ მხოლოდ მტრები

**აშშ, გრძნობს რა თავისი აღსასრულის მოახლოებას, სულ უფრო და უფრო არაადეკვატურად იქცევა და ირგვლივ მხოლოდ მტრებს ხედავს. ამას ემყარება ამერიკის მთელი საგარეო პოლიტიკა. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ბარაკ ობამა უკვე იდაყვებამდეა ამოსვრილი იმ ომების, „შიდა“ კონფლიქტებისა და ტერაქტების სისხლში, რომელთა უკანაც ან ცხადად დგას ამერიკის შეერთებული შტატები, ან ასევე ცხადად მოჩანს მისი ყურები. მაგრამ მსოფლიოში კიდევ რჩება ხალხი, რომლებიც ამერიკას თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლად თვლის.**

საეჭვოა, რომ სადღაც მარსელელი, ბარსელონელი ან მიუნჰენელი საშუალოსტატისტიკური ობივატელი ხვდებოდეს, რომ მისი ქვეყანა მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანის მიერ მიზანშია ამოღებული. მშვიდობიანი ბიურგერები ამერიკას, პირველ რიგში, ჰოლივუდთან აიგივებენ, შემდეგ — ბროდვეის მიუზიკლებთან, ჯინსებსა და როდეოსთან. მათ ნაკლებად აინტერესებთ მსოფლიოს მეორე მხარეს მიმდინარე ცალკეული კონფლიქტები — გაზეთებმა და ტელევიზიებმა უკვე განმარტეს, რომ სადამ ჰუსეინი „ცუდი ბიჭი“ იყო, აშშ-ის მიერ წამოწყებული ერაყის ომი კი უკიდურესად სამართლიანია, რადგან ეს დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. ჩვეულებრივ ადამიანს არც კი სცალია, იფიქროს დამკვიდრებულ პროპაგანდისტულ კლიშეზე, რომელსაც მასმედიისა და ინტერნეტის საშუალებით ყოველ წუთს უჭედავენ თავში — მას თავისი ბიზნესი, სამსახური, სასწავლებელი, ოჯახი ჰყოფნის იმისათვის, რომ მთელი ენერგია დახარჯოს.

**აბსოლუტურად წარმოუდგენლად მოეჩვენება ევროპელს ის ფაქტი, რომ ერთ დღესაც მისი ყველა ბიურგერული ღირებულება, შესაძლოა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რომ ოკეანისგაღმელმა „კარგმა ბიჭებმა“ შეიძლება წაართვან სახლი, სამუშაო ადგილი, დატოვონ ქუჩაში ან სულაც აიძულონ, რომ უკვე ხსენებული თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძოლოს.** ვიღაც იტყვის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა.

XXI საუკუნემ და ინფორმაციულმა ეპოქამ ცხოვრებაში დაამკვიდრა უკიდურესად სახიფათო კონცეფცია — იმ ერთადერთი სახელმწიფოს გლობალური დომინირება, რომელიც ირწმუნება, რომ მხოლოდ მან იცის, როგორია ნამდვილი დემოკრატია და ცხოვრების ერთადერთი სწორი წესი. **ამერიკის ინფანტილური მესიობა ადრეც ვლინდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ნეოკონსერვატორი რესპუბლიკელების მმართველობა აბსოლუტურ ფეტიშში გადაიზარდა: თურმე მხოლოდ ვაშინგტონში იციან, როგორ უნდა „გააბედნიერონ“ მთელი კაცობრიობა.** სწორედ ამ „მისიის“ შესასრულებლად შეიქმნა „Emerging theory of war“ თეორია, რომლის შესწავლის შემდეგაც ცხადი ხდება, რომ მსოფლიო მიუახლოვდა სახიფათო ზღვარს და გლობალური კატასტროფა უფრო ახლოსაა, ვიდრე გვეჩვენება. იქნებ უფრო ახლოსაც, ვიდრე 1962 წლის კარიბის კრიზისის დროს იყო.

ომების წარმოების ახალი კონცეფცია (emerging theory of war) თავდაცვის მდივნის სამხედრო ძალების რეფორმირების ოფისმა ვიცე ადმირალის არტურ კ. სიბროვსკის ხელმძღვანელობით შეიმუშავა. ის ფართოდ ინერგება აშშ-ის მიერ ერაყსა და ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას. ამ თეორიის შემმუშავებლები დარწმუნებულნი არიან, რომ უახლოეს მომავალში ეს თეორია თუ არ შეცვლის ომის ტრადიციულ თეორიას, არსებითად და შეუქცევადად ხარისხიანად შეცვლის მას. ამ კონცეფციისათვის ადგილი მოიძებნა ერთდროულად აშშ-ის თავდაცვის მინისტრის — დონალდ რამსფელდისა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნების მოხსენებებში.

მოცემული თეორია დაწვრილებითაა აღწერილი ედვარდ სმიტის წიგნში „ქცევის მოდულირებაზე დაფუძნებული ოპერაციები“. ნაშრომი უნიკალურია თავისი ცინიზმით. მასში პირდაპირაა გამოცხადებული: **აშშ-ს მოკავშირეები არ ჰყავს, არსებობენ მხოლოდ მტრები. გაერთიანებული ევროპა ამ მტერთაგან ერთ-ერთია, როგორც ძირითადი ეკონომიკური კონკურენტი.**



**თანამედროვე ევროპელებს ნამდვილად აქვთ საფიქრალი, ვინაიდან ვაშიგტონში პირდაპირ ქადაგებენ „მეგობრების, ნეიტრალური ძალებისა და მტრების მშვიდობის, კრიზისისა და ომის პირობებში ქცევის მოდელის ფორმირების“ კონცეფციას**

ის, თუ როგორ ექცევა აშშ მტრებს, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ევროპელებს ნამდვილად აქვთ შიშის საფუძველი — სამწუხაროდ, საფრთხე მოჩვენებითი არაა.

**ადმირალ ა. სიბროვსკისა და მისი კოლეგების მიერ შექმნილი თეორია გულისხმობს ეგრეთ წოდებულ ქსელურ ომს, რომელშიც სულაც არაა სავალდებულო შეიარაღებული ძალების, როგორც ასეთის, მონაწილეობა. შეიცვალა ეპოქა, შეიცვალა მეთოდებიც — იარაღად იქცა ინფორმაცია და მასობრივ ცნობიერებაზე აგრესიული ზემოქმედება.** ედუარდ სმიტის მიხედვით, ყველა „ქსელური ომის“ წარმოების ცენტრალური ამოცანა „საბაზო ეფექტების ოპერაციის“ ჩატარებაა, ამით კი ქსელური ომების თეორიის უმთავრესი კონცეფცია იწყება. ის განისაზღვრება როგორც მეგობრების, ნეიტრალური ძალებისა და მტრების მხრიდან მშვიდობის, კრიზისისა და ომის სიტუაციებში ქცევის მოდელების ჩამოყალიბებისკენ მიმართული ქმედებების ერთობლიობა. **ის ითვალისწინებს წინასწარი და სრული კონტროლის დამყარებას აქტუალური ან შესაძლო სამხედრო მოქმედებების ყველა მონაწილეზე და ნებისმიერ სიტუაციაში მათით ტოტალურ მანიპულირებას — მაშინაც, როდესაც ომი მიმდინარეობს, მაშინაც, როდესაც სიტუაცია ომისთვის მწიფდება და მაშინაც, როდესაც მშვიდობა მეფობს.**

სწორედ ესაა ქსელური ომების მთელი არსი — მათ არ აქვთ დასაწყისი და დასასრული, ისინი მუდმივად მიმდინარეობს და მათი მიზანია, ამ ომების მწარმოებელთათვის უზრუნველყოს კაცობრიობის ყველა მოქმედი ძალის ყოველმხრივი მართვის შესაძლებლობა. ქსელის დანერგვა ნიშნავს ქვეყნების, ხალხების, არმიებისა და ხელისუფლებებისთვის ყოველგვარი დამოუკიდებლობის, სუვერენობის, სუბიექტურობის წართმევას და მათ მკაცრად მართვად, დაპროგრამებულ მექანიზმებად ქცევას.

ქსელური ომების არსის უკან დგას პირდაპირი პლანეტარული კონტროლის, ახალი ტიპის მსოფლიო ბატონობის გეგმა, როდესაც მართვას ექვემდებარება არა მხოლოდ ცალკეული სუბიექტები, არამედ მათი შემადგენლობა, მოტივაცია, ქმედებები, განზრახვები და ასე შემდეგ. ეს გლობალური მანიპულაციისა და მსოფლიო მასშტაბის ტოტალური კონტროლის პროექტია.

ეს ომი მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმდინარეობს და ისევე, როგორც ყველა ომი, მიმართულია დამორჩილების, დაქვემდებარებისა და დამონებისაკენ. ვაშინგტონისგან მომავალი ტრადიციული შელოცვები საყოველთაოდ ცნობილია — „თავისუფლების გავრცელება“ „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დაცვა“ და „დემოკრატიისათვის ბრძოლა“.

რა მეთოდებით მიმდინარეობს „ჩუმი სამხედრო მოქმედებები“? გავიხსენოთ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „Freedom House“ ან „კულტურის თავისუფლების კონგრესი“. ეს უკანასკნელი 1950 წელს ცსს-ს ეგიდით შეიქმნა და მისი მიზანი იყო პირდაპირი პროპაგანდისტური ზემოქმედება ევროპელ ინტელექტუალებზე აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ. „კონგრესის“ ეგიდით შეიქმნა ცნობილი რადიო „თავისუფლება“, მაგრამ პრესაში გამოაშკარავების სერიისა და ორგანიზაციის ამერიკულ დაზვერვასთან კავშირში დადანაშაულების შემდეგ, 1967 წელს კონგრესს ახალი სახელი — „კულტურის თავისუფლების საერთაშორისო ასოციაცია“ ეწოდა. ძირითადი მიზანი კი უცვლელი დარჩა — ევროპის კულტურის მოღვაწეებზე, ძირითადად, მწერლებსა და ჟურნალისტებზე ზემოქმედება.

**იმის შესახებ, თუ როგორ ამუშავებდნენ აშშ-ის „კარგი ბიჭები“ ევროპულ ინტელიგენციას ათწლეულების მანძილზე, ბევრი რამის გაგება შეიძლება ფრენსის სანდერსის წიგნიდან „ცივი ომი კულტურაში: ცსს და ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყარო“. ეს არის ძალზე დეტალური შრომა, რომელიც ეძღვნება „ქსელური ომების ადრეულ პერიოდს“, რომლის ფრონტებიდანაც ერთ-ერთი მიმდინარეობდა ძველი ევროპის ქვეყნებისა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ.** ყველაფერს, მათ შორის კულტურასაც აშშ-ის მიერ დაწესებულ ზე ამოცანაზე უნდა ემუშავა. ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: ცივ ომში ტაქტიკური და სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება. ცსს-ს თანამშრომლებისათვის ევროპელი მხატვრები და ლიტერატორები მხოლოდ საშუალებას და იარაღს წარმოადგენდნენ. მათით ოსტატურად მანიპულირებდა „კულტურის თავისუფლების ასოციაცია“.

**ქსელური ომების არსის უკან დგას პირდაპირი პლანეტარული კონტროლის, ახალი ტიპის მსოფლიო ბატონობის გეგმა**

როგორც ხედავთ, სიტყვა „თავისუფლება“ მსგავსი ორგანიზაციების სახელწოდებაში მუდმივად და დაჟინებით მეორდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ვაშინგტონიდან ფინანსირებადი ნებისმიერი „ფონდის“, „კონგრესისა“ თუ „ასოციაციის“ საწინააღმდეგო ქმედება დაუყოვნებლივ კვალიფიცირდება „არათავისუფლებად“ და, ცხადია, ობსტრუქციას დაექვემდებარება. შეიძლება ითქვას, რომ თავად მცნება „თავისუფლებაზე“ საავტორო უფლებები ცსს-მ და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიძინეს და ახლა მას ისე განაგებენ, როგორც მოესურვებათ.

**თანამედროვე ევროპელებს ნამდვილად აქვთ საფიქრალი, ვინაიდან ვაშიგტონში პირდაპირ ქადაგებენ „მეგობრების, ნეიტრალური ძალებისა და მტრების მშვიდობის, კრიზისისა და ომის პირობებში ქცევის მოდელის ფორმირების“ კონცეფციას.** შესაძლოა, ევროპა აშშ-ის მეგობარია, მაგრამ მისი მცხოვრებლების ქცევის მოდელს მაინც გარედან აყალიბებენ. მაგრამ რა მიზნით? თავისუფლებისა და და დემოკრატიის? ძალიან საეჭვოა!

ქსელური ომების პირობებში „ამგვარი საბრძოლო მოქმედებების“ წარმოების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და ფონდები ითვლება. იქ, სადაც ვაშინგტონი ვერ ახერხებს, პირდაპირი გავლენა იქონიოს პოლიტიკურ პროცესებზე, არჩევნების ან რეფერენდუმების შედეგებზე, საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციები ერთვებიან. ფორმალურად ისინი დაკავებულნი არიან ყველაზე ნეიტრალური ამოცანებით: აგროვებენ ინფორმაციას, აგვარებენ განათლების სისტემის გაუმართაობებს, გასცემენ გრანტებს კვლევებისათვის და ხელს უწყობენ ლოკალური კულტურების განვითარებას. სინამდვილეში კი ეს სტრუქტურები ქსელური ომების ელემენტებს წარმოადგენენ, ომისას, რომელსაც ამერიკა ყველას წინააღმდეგ აწარმოებს. **ამ ომში ამერიკის მოწინააღმდეგეა ყველა — მისი მოკავშირეებიც, მისი მტრებიც და აბსოლუტურად ნეიტრალური ძალებიც.**

იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომლებიც არ აცხადებენ არავითარი პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების შესახებ, სინამდვილეში აქტიური ადამიანების, პირველ რიგში, ინტელიგენციის, მეცნიერების, ახალგაზრდობის, რელიგიური და კულტურული მოღვაწეებისგან ფართო ჯგუფების ჩამოყალიბებით აქტიურად ზემოქმედებს საზოგადოებრივი ▶

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ჩინეთი აშშ-ის სავალე ობლიგაციებს შეისყიდიდა და ახლა მათი უმსხვილესი მფლობელია მთელ მსოფლიოში. ჩინეთმა რომ ამერიკული ვალების საკუთარი მარაგის გადაყრა დაიწყოს, ეს მთელი ეკონომიკისთვის ნამდვილი კოშმარი იქნება.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

წყობის სოციალურ პროცესებზე. ამ სხვადასხვა და გარეგნულად არაფრით დაკავშირებული მოღვაწეობების შედეგად ხორციელდება „საბაზო ეფექტი", რომელიც აისახება განწყობებში, ელექტორატის დამოკიდებულებებში და იდეოლოგიურ წყობაში. **უშიშროების ფედერალური სამსახურის მონაცემებით, ამ ეტაპზე რუსეთში ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს და მათგან მხოლოდ 10 პროცენტს აქვს იუსტიციის სამინისტროში ოფიციალური რეგისტრაცია. ამ ორგანიზაციების უმეტესობა შეიქმნა და ფინანსდება აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების პატრონაჟით.**

სათაო სტრუქტურა, სადაც თავს იყრის უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან გამომავალი ყველა ძაფი, „Freedom house"-ია, რომელიც აშშ-ში მდებარეობს და რომელსაც სათავეში ცსს-ის ყოფილი დირექტორი ჯეიმს ვულსლი უდგას. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ინფორმაციული საზოგადოების ეპოქის სადაზვერვო საქმიანობასთან, რომელიც, ჯაშუშობის ტრადიციული ფორმებისაგან განსხვავებით, თითქმის ღიად ხორციელდება. როდესაც აშშ-სა და მის მოკავშირეებს ძალა არ ჰყოფნით, პოლიტიკური საშუალებებით განახორციელონ გადატრიალება, ისინი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავენ, ოპერატიულად ახდენენ მათი ქსელის მობილიზებას და ასახიერებინებენ „რევოლუციასა" და „დემოკრატიისაკენ ხალხის სწრაფვას".

„ჩუმი ომი" უამრავ ფრონტზე მიმდინარეობს — „Freedom house"-ისა და ცსს-ს კონტროლს დაქვემდებარებული „ფონდები" და „ასოციაციები" ცდილობენ, ცხოვრებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეაღწიონ — განათლებაშიც, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსშიც, მედიცინაშიც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც, უფლებათა დაცვაშიც და ასე შემდეგ. **როდესაც რუსეთს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონში შესწორებები შეჰქონდა, ვაშინგტონიდან დაუყოვნებლივ გაისმა აღშფოთების შეძახილები — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ულტიმატუმის ტონით მოითხოვა ამ ცვლილებების მიღების დაუყოვნებლივ შეჩერება. ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტმა არაორაზროვნად მიახვედრა ყველა, რომ სწორედ ამ შესწორებებზე მუშაობაზე იქნებოდა დამოკიდებული რუსეთის მსო-ში შესვლასთან დაკავშირებით აშშ-ის პოზიცია.**

შანტაჟი სახელმწიფო დონეზე? დიახ. პირდაპირი ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში? სწორედაც! რუსეთში ამერიკის ინტერესების გატარება ხომ პირდაპირაა დამოკიდებული სხვადასხვა სახის „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებზე" და სხვა ათასი სახის „მემორიალებზე". **სამწუხაროდ, ინტერესებს, რომელთა გატარებაც აშშ-ს სურს, საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასა და თავისუფლებასთან. მიზანი ნათელი და გამჭვირვალეა: გლობალური დომინირება, კონკურენციის ჩახშობა და „ქცევის მოდელის" ფორმირება.**

nenovosty.ru

# პენტაგონი ეკონომიკური ომისთვის ემზადება




**სტუმრები საომარი მოქმედებების ანალიზის ლაბორატორიაში პენტაგონის ყველაზე მაღალი რანგის ოფიცრებისა და ეკრანების იმ წარმოუდგენელი რაოდენობის გარემოცვაში შეიკრიბნენ, რომელიც, როგორც წესი, ბირთვული ომის იმიტაციისათვის გამოიყენება. თამაში დაიწყო, მაგრამ ეს არაა ტრადიციული სამხედრო თამაში, ეს პირველი ეკონომიკური ომის თამაშია.**

ეკონომიკური ომი? სულელურად ჟღერს, მაგრამ ნაკლებად სულელური ხდება აშშ-ის საგარეო ვალზე ყოველი დოლარის დამატების პირდაპირპროპორციულად.

ვინ ფლობს ამერიკის ვალის უდიდეს ნაწილს? ჩინეთი, რომელიც აშშ-ის ყველაზე ძლევამოსილი მოწინააღმდეგე და მთავარი საფრთხეა. ეს კი ამერიკას ამ უსისხლო, მაგრამ დაუნდობელ ომში დამარცხებას უქადის.

მონაწილეთაგან ერთ-ერთი, სახელად ჯეიმს რიკარდსი, სამხედრო პირი არაა, ბანკირია. იგი, ისევე, როგორც მისი ათობით უოლსტრიტელი კოლეგა, თამაშში მონაწილეობის მისაღებად მანჰეტენიდან მერილენდის შტატში, გამოყენებითი მათემატიკის ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ბუნკერში, ჩაფრინდა 2009 წელს, როდესაც პენტაგონმა შექმნილი მდგომარეობის გამო ნერვიულობა დაიწყო.

ჯგუფი ხუთ ნაწილად გაიყო: ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ ოკეანის გუნდი და „ნაცრისფერი გუნდი", რომელიც ტერორისტული ორგანიზაციების მსგავს ჩრდილოვან სტრუქტურებს წარმოადგენდა. გუნდები ბუნკერებში დაანაწილეს და უთხრეს, ფინანსური ან ეკონომიკური ინსტრუმენტების — ვალუტის, ვალის, ბაზრების, ოქროს გამოყენებით მტრები დაემარცხებინათ. მოქმედებები კომპიუტერების საშუალებით ხორციელდებოდა.

„ეს ადამიანები, როგორც წესი, ერთად არასდროს იკრიბებიან, მაგრამ არაფერია უფრო სახალისო, ვიდრე უოლსტრიტიდან რომელიღაც მოღვაწის ცუდი ბიჭის როლში გამოყვანა," — ამბობს რიკარდსი, რომელიც სამხედრო თამაშის დაგეგმვასა და ჩატარებაში მონაწილეობდა.

როდესაც თამაში შეჩერდა, შედეგმა მებრძოლები დაადუმა. რით შეაშინეს ბანკირებმა ჯარისკაცები? პასუხი ისაა, რომ მსოფლიო ახლა ისეა ურთიერთდაკავშირებული, როგორც არასდროს.

**უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ჩინეთი აშშ-ის სავალე ობლიგაციებს შეისყიდიდა და ახლა მათი უმსხვილესი მფლობელია მთელ მსოფლიოში. ჩინეთმა რომ ამერიკული ვალების საკუთარი მარაგის გადაყრა დაიწყოს, ეს მთელი ეკონომიკისთვის ნამდვილი კოშმარი იქნება.**



პოლ ბრაკენი იელის მენეჯმენტის სკოლის კერძო სააქციონერო კაპიტალის ექსპერტი და პროფესორია. 2009 წლის და ყველა მსგავს მომდევნო თამაშში ის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე გახლდათ.

„პენტაგონის წარმომადგენლები მიჩვეული არიან სამხედრო ბრძოლების თვალსაზრისით მოქმედებას და ითვლიან, რამდენი რაკეტაა, რამდენი გემია... ამ თამაშებმა აბსოლუტურად ახალი სტრატეგიები გამოავლინა," — ამბობს იგი.

ცხადია, ეკონომიკურ ომებში ახალი არაფერია. „ომის ახალი იარაღის" სახით ჰიტლერთან საბრძოლველად უინსტონ ჩერჩილმა ეკონომიკური ომის სამინისტრო შექმნა. სამხრეთ აფრიკიდან საბჭოთა კავშირამდე ათობით ქვეყანას ემბარგო და სანქციები უწესდებოდა.

მაგრამ ახლა სხვა რამ ხდება. **ახლა ბაზრები გლობალური გახდა, ერთმანეთის ფინანსური რეზერვები გაღრმავდა და გაიზარდა ამ ფინანსური რეზერვებით მანიპულირების ტექნიკური შესაძლებლობები. 1970-იან წლებში დასავლეთს ეშინოდა, რომ მისი მტრები ხელს დააჭერდნენ ბირთვულ ღილაკს. ამ საფრთხის თანამედროვე ეკვივალენტად შეიძლება იქცეს ჩინეთის მიერ ამერიკის სახაზინო ობლიგაციების ღილაკზე ხელის დაჭერა.**

პროფესორი ბრაკენი ამბობს, რომ **ჩინეთი უდიდესი საფრთხეა, მაგრამ რუსეთიც, თავისი ნავთობითა და გაზით, ეკონომიკურ ომს აწარმოებდა თავის მეზობლებთან და, შესაძლოა, იგივე გააკეთოს გაცილებით ფართო მასშტაბითაც.**

**კიდევ ერთი საფრთხე ისაა, რომ მსხვილმა ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა „ნავთობდოლარის ომში", შესაძლოა, დოლარის ნაცვლად თავიანთი ნავთობის შეფასება ევროზე გადაიტანონ. გარდა ამისა, ფინანსური ჰაჯ-ფონდისა თუ ტერორისტული შეტევის საშუალებით, შესაძლოა, ფინანსური კრახი გამოიწვიოს.**

ეკონომიკურ-საომარმა თამაშმა აჩვენა, რომ ბანკები და ობლიგაციები ბომბების თანასწორი იარაღია ომის წარმოებისათვის. როგორც პროფესორი ამბობს, ეს სამხედროებს ანერვიულებს, რადგან აქამდე საომარ მოქმედებებზე ყოველთვის ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი. ამიტომაც ახლა სამხედროები თვლიან, რომ ამ ყველაფერში უნდა გაერკვნენ.

რიკარდსის თქმით, თუ თქვენ აპირებთ, წინ აღუდგეთ ამერიკელ სამხედროებს, ეს მილიარდობით დოლარი დაგიჯდებათ. მაგრამ თუ შეგიძლიათ, იმავეს ეკონომიკური სივრცის გამოყენებით მიაღწიოთ, ეს გაცილებით იაფფასიანი სიამოვნება იქნება. მაშ, რატომაც არა?

პენტაგონში სესიის დასრულების შემდეგ თამაშის 80-ზე მეტი მონაწილე ბუნკერებიდან დაბრუნდა და ზარალის შეფასებას შეუდგა.

თამაში ჩინეთმა მოიგო. სამხედროები კი იდგნენ და გაოცებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს კითხვით, იყო კი ეს თამაში?

mixednews.ru

# 30 მილიონი ჩინელი ბერბიჭა

**იმის მიხედვით, თუ ვის გათვლებს ენდობით უფრო მეტად, მსოფლიოს მოსახლეობამ უკვე მიაღწია ან უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში მიაღწევს შვიდ მილიარდს. ამ სიახლის ფონზე ჩინეთის ახალი ამბების სააგენტო სინხუამ ჩინეთის დემოგრაფიული ტენცენციების ანალიზი გააკეთა.**



ძირითადად, საუბარია ორ მნიშვნელოვან ტენდენციაზე: პირველი მოსახლეობის დაბერებაა — შობადობა ქვეყანაში ძალზე დაბალია საიმისოდ, რომ მხცოვანთა რიგების ზრდის კომპენსირება მოახდინოს. მეორე საკითხი კი გენდერული დისბალანსია, რაც, ძირითადად, „ერთი ბავშვის პოლიტიკით" და შერჩევითი აბორტით (გადაწყვეტილება მიიღება მომავალი ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაციის დადგენის საფუძველზე) აიხსნება. გენდერული დისბალანსი უკვე შესამჩნევია ზრდასრულ მოსახლეობაში. **დღეისათვის ჩინეთში დაახლოებით 15 მილიონით მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი. მომავალი ათი წლის განმავლობაში ეს შეუსაბამობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება — შეფასებების თანახმად, ამ პერიოდში დაახლოებით 30 მილიონი ჩინელი მამაკაცისთვის, დაქორწინების სურვილის შემთხვევაში, ქვეყანაში ქალი არ მოიძებნება.**

ამგვარი დემოგრაფია ჩინეთის ხელმძღვანელობის წინაშე სერიოზულ ამოცანებს აყენებს. დიდი რაოდენობით მოხუცთა კიდევ უფრო მზარდი ტვირთი, სავარაუდოდ, შეანელებს ეკონომიკურ ზრდას. ამ ადამიანებს თავიანთი გაცილებით ახალგაზრდა და ჯერ კიდევ მომუშავე მოძმეების მხარდაჭერა ესაჭიროებათ. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე გაჭაღარავებული იაპონიის გამოცდილების გამეორება არის ის, რისთვის გვერდის ავლაც ჩინელ ლიდერებს ნებისმიერ ფასად სურთ. **რაც შეეხება გენდერულ თანაფარდობას, ახალგაზრდა უცოლო მამაკაცების სიჭარბე ისტორიულად დაკავშირებულია არასტაბილურობასა და ძალადობისაკენ მიდრეკილებასთან.** მაგალითად, უცოლო მამაკაცები უზომოდ ჭარბობენ ტერორისტთა შორის. ისრაელის მცდელობა, ტერორისტები უფრო მშვიდობიანი ცხოვრების წესზე გადაეყვანა, დიდწილად მათ დაქორწინებასთან იყო დაკავშირებული.

**პეკინის პოტენციური საფრთხეები თვალნათელია, დასავლეთისთვის ამ სირთულეების შედეგები კი — არა. ჩინეთის ეს დემოგრაფიული ტენდენციები შესაძლოა სხვადასხვაგვარად აისახოს უსაფრთხოების სფეროში დასავლეთის ინტერესებზე. რამდენადაც პეკინი გაცილებით მეტადაა დაკავებული შიდა პრობლემებით და მისი ზრდის ტემპი ნელდება, ჩინეთის შემდგომი აღმასვლა და საფრთხე, რომელსაც ის შეიძლება წარმოადგენდეს, თანდათან მცირდება.** თუ დაუქორწინებელი მამაკაცების გარკვეული რაოდენობა სოციალურად წარუმატებელი იქნება, ვერ შეძლებს ცხოვრება მოიწყოს, ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც ისინი აჯანყდებიან, სწორედ ჩინეთის ხელისუფლება იქნება. ამ ყველაფრის შედეგები კი დასავლეთისათვის უკიდურესად ხელსაყრელი და პოზიტიურია.

კომპენსირებადი უარყოფითი პერსპექტივები იმაში მდგომარეობს, რომ არასტაბილურობასა და ავტორიტარიზმთან დაკავშირებული გენდერული დისბალანსი და ამგვარი დისბალანსის ტენდენცია ხელს შეუშლის ჩინეთის პოლიტიკასა და საზოგადოებას დასავლეთის მიმართულებით ევოლუციას. კიდევ უფრო უარესი იქნება, თუ ჩინელი ბერბიჭების ფრუსტრაცია სამხედრო ავანტიურებში გადაიზრდება, რაც წარსულში უკვე გვინახავს.

წინასწარ განსაზღვრა ძნელია, თუმცა დაკვირვებად ღირს.

The National Interest

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთისა და გერმანიის პირველმა პირებმა ნათლად მიანიშნეს: საბოლოო ჯამში მათთვის ევროს გადარჩენა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საბერძნეთის ხსნა.**

# საბერძნეთს მსოფლიოს დანგრევა შეუძლია

**საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, რეფერენდუმი ჩაატაროს და ამ გზით დაადგინოს, მიიღებს თუ არა ევროკავშირისაგან დახმარების პაკეტს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ძალზე მოულოდნელი გადაწყვეტილებაა:**
**პაპანდრეუმ მოინდომა, დემოკრატივით მოიქცეს, მაგრამ ეს, შესაძლოა, თავად მას პოლიტიკურ კარიერად დაუჯდეს, მთელ საბერძნეთს კი — შეუქცევად ფინანსურ კრახად. საქმე ისაა, რომ ყველა დარწმუნებულია, ბერძნები ეკონომიის ზომების პაკეტს არ მოიწონებენ. და თუ ამ შემთხვევაში პრემიერს გადადგომა ელის, თავად საბერძნეთს — არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უკვე პოლიტიკური კრიზისიც.**
**ცოტა ხანში იგივე ბედი ეწევა იტალიასაც.**



ლონდონის ეკონომიკის სკოლის თანამედროვე საბერძნეთის ექსპერტი კევინ ფეზერსთოუნი გაზეთ „The Washington Post“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ბერძნების 60 პროცენტი ეკონომიის ზომებს არ მოიწონებს, ამიტომ ამ რეფერენდუმის ბედი, თუ ის ნამდვილად ჩატარდება, წინასწარაა გადაწყვეტილი. საბერძნეთი ევროპის ფულს არ აიღებს და ევროპა ისევ იქ დაბრუნდება, საიდანაც დაიწყო, — აბსოლუტურად გამოუვალ მდგომარეობაში. დღეს საბერძნეთი გაერთიანებული ევროპისათვის დესტაბილირების მთავარი ფაქტორია.

„The Guardian“-ი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ერთნაირი პოზიცია აქვთ: საერთო ვალუტის მქონე ერთიანი ევროპის შენარჩუნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაც ბერძნული რეფერენდუმი და ქვეყნის თვითგანსაზღვრის უფლება. ამ პოლიტიკოსებმა ერთობლივად განაცხადეს: **საბერძნეთი ევროპის ფულიდან კაპიკსაც ვერ მიიღებს მანამ, ვიდრე არ გადაწყვეტს, სურს თუ არა ევროზონაში დარჩენა.** ამ განცხადებას წინ უსწრებდა უკიდურესად მკაცრი მოლაპარაკებები პაპანდრეუსთან დიდი ოცეულის კანის სამიტის გახსნის წინ. **საფრანგეთისა და გერმანიის პირველმა პირებმა ნათლად მიანიშნეს: საბოლოო ჯამში მათთვის ევროს გადარჩენა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საბერძნეთის ხსნა. „ჩვენმა ბერძენმა მეგობრებმა უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა მოგზაურობის გაგრძლება ჩვენთან ერთად“, — ბრძანა სარკოზიმ პრესკონფერენციაზე, რომელიც ნაშუაღამევს ნაჩქარევად მოაწყვეს. მისივე თქმით, თუ საბერძნეთს რეფერენდუმი სურს, — ჩაატაროს, ოღონდ ცოტა სწრაფად, რადგან დანარჩენ ევროპას ხანგრძლივი დროით გაურკვევლობაში ყოფნა არ შეუძლია.**

მერკელმა დაამატა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროს სტაბილურობა. საბერძნეთთან ერთად ან მის გარეშე. ეს მიზანი ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია“.

„The Wall Street Journal“-მა საფრანგეთისა და გერმანიის განცხადებებს, არც მეტი, არც ნაკლები, **„ულტიმატუმი უწოდა. თუ ბერძნებს ევროზონიდან გასვლა სურთ, ისინი ფრანგი და გერმანელი გადასახადების გადამხდელთა ფულიდან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებენ. მაგრამ დახმარების გარეშე საბერძნეთი ორ კვირაში გაკოტრდება. გამოცემის პროგნოზით, უახლოეს მომავალში საბერძნეთში ქაოსი და ანარქია გამეფდება. თავად გეორგიუს პაპანდრეუ იმედოვნებს, რომ რეფერენდუმი 4 დეკემბერს ჩატარდება, მაგრამ მისი ქვეყანა ევროკავშირში დარჩენას მისცემს ხმას. „ჩვენი ხალხი ბრძენია და შეუძლია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს ქვეყნის საკეთილდღეოდ“.**

ყველაზე უარესი კი ისაა, რომ, თუ საბოლოოდ გადაწყდება რეფერენდუ- ▶

# «ვიდიოტების» ნაცია

**გასული ნახევარი საუკუნე მასმედიის ელექტრონული საშუალებების ერა იყო. ტელევიზიამ საზოგადოება მსოფლიოს ყველა კუთხეში შეცვალა. ახლა ტელევიზიას ახალი საინფორმაციო საშუალებების ამოფრქვევა დაემატა: „DVD“, კომპიუტერები, სმარტფონები და ასე შემდეგ. მტკიცებულებათა მზარდი ერთობლიობა იმაზე მეტყველებს, რომ ინფორმაციის მოცემულ საშუალებათა გავრცელებას უამრავი დამღუპველი შედეგი მოსდევს.**



აშშ-მა შეიყვანა მსოფლიო სატელევიზიო ერაში. 1950-იან წლებში ამერიკული ოჯახების 8%-ზე ნაკლებს ჰქონდა ტელევიზორი, 1960-იან წლებში კი ტელევიზორის მფლობელი ამერიკული ოჯახების რაოდენობამ 90%-ს მიაღწია. სხვა ქვეყნებს მსგავსი შედეგის მისაღწევად რამდენიმე ათწლეულით მეტი დრო დასჭირდა, ღატაკ ქვეყნებს კი აღნიშნული დონისთვის ჯერაც ვერ მიუღწევიათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელები ტელევიზორის ყველაზე მთავარ მაყურებლებად იქცნენ, რაც ამჟამადაც ასეა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე მონაცემები არასრული და ზედაპირულია. გაცილებით საიმედო მტკიცებულებები იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკელები ტელევიზორს დღეში ხუთი საათის განმავლობაში უყურებენ. ეს დროის წარმოუდგენელი რაოდენობაა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ კიდევ რამდენიმე საათს ისინი სხვა ვიდეომოწყობილობებთან ატარებენ. სხვა ქვეყნებში ტელევიზორის ყურებას გაცილებით ნაკლები დრო ეთმობა. სკანდინავიაში, მაგალითად, ტელეეკრანებთან გატარებული დრო აშშ-ის საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ ნაკლებია.

**ამერიკული საზოგადოებისათვის შედეგები მნიშვნელოვანია, შეშფოთებას იწვევს და გაფრთხილებაა მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის, თუმცა, შესაძლოა, ამ შედეგებზე ყურადღების გამახვილება უკვე გვიანიც კია.** ჯერ ერთი, ტელევიზორის გადაჭარბებულად ხანგრძლივი ყურება ნაკლები სიამოვნების მომტანია. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ეს მავნე ჩვევების მონათესავე კატეგორიაა: ხანმოკლე სარგებელი ხანგრძლივ უბედურებასა და სინანულს განაპირობებს. როგორც წესი, ტელევიზორზე მიჯაჭვული ადამიანები ამბობენ, რომ სურთ, ჩვეულებრივზე ნაკლები დრო გაატარონ ეკრანების წინ.

უფრო მეტიც, ტელევიზორის გადაჭარბებული დოზით ყურება ხელს უწყობს სოციალურ ფრაგმენტაციას. დრო, რომელსაც ადრე საზოგადოებაში ატარებდნენ, ამ ადამიანებს ახლა ტელეეკრანების წინ გაჰყავთ. რობერტ პუტნემმა, ამერიკაში საზოგადოებისათვის კუთვნილების გრძნობის დაქვეითების მკვლევარმა, აღმოაჩინა, რომ ტელევიზორი „საზოგადოებრივი კაპიტალის“ — საზოგადოების გამაერთიანებელი ნდობის დაქვეითების მთავარი მიზეზია.

ახლა ამერიკელები გაცილებით ნაკლებად ენდობიან ერთმანეთს, ვიდრე წინა თაობებში. ცხადია, ამ მხრივ სხვა მიზეზებიც მუშაობენ, მაგრამ არ ღირს ტელევიზორის გამო სოციალური „ატომიზაციის“ დაუფასებლობა.

ტელევიზორის გადამეტებული დროით ყურება უდავოდ ვნებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. **ამერიკელები მსოფლიო ლიდერები არიან გადაჭარბებული წონის თვალსაზრისით: აშშ-ის მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი სიმსუქნითაა დაავადებული.** ესეც მრავალი მიზეზით აიხსნება, მათ შორის რაციონითაც, რომელიც იაფფასიანი, არაჯანსაღი, შემწვარი საკვებისაგან შედგება, მაგრამ ტელევიზორთან ჯდომასა და უძრაობაში გატარებული დიდი დროც, თავის მხრივ, ახდენს ზეგავლენას.

ის, რაც ფსიქიკურ დონეზე ხდება, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რაც ფიზიკურ დონეზე ვითარდება. ტელევიზია და ინფორმაციის თანმხლები საშუალებები საზოგადოებაში კორპორატიული და პოლიტიკური პროპაგანდის მთავრი მიმწოდებლები და გამავრცელებლები არიან.

ამერიკის ტელევიზია თითქმის მთლიანად კერძოა, მფლობელთა ხელშია და მისი მფლობელები თავიანთი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ძალზე დაჟინებული რეკლამის წყალობით იდებენ ჯიბეში. ეფექტური სარეკლამო კომპანიები, წარმოშობენ რა გაუცნობიერებელ მოტივებს (ძირითადად, საკვებთან, სექსთან და საზოგადოებაში მდგომარეობასთან დაკავშირებით), განაპირობებენ იმ საქონლისა თუ მომსახურების შეძენის მძაფრ სურვილს, რომელიც სინამდვილეში მომხმარებლისა და საზოგადოებისთვის ღირებულებას არ წარმოადგენს.

ცხადია, ზუსტად ანალოგიურად ხდება პოლიტიკასთან დაკავშირებითაც. ამერიკელი პოლიტიკოსები ახლა სავაჭრო მარკებს წარმოადგენენ და მარცვლოვანი პროდუქტებისაგან დამზადებულ საუზმესავით არიან შეფუთულნი. შეიძლება გაიყიდოს, ვინც გნებავთ და როგორი იდეაც გნებავთ, თუ ზედ კაშკაშა ლენტს შეაბამთ და ზარს დაჰკიდებთ.

**ამერიკაში ხელისუფლებისკენ მიმავალი ყველა გზა ტელევიზიაზე გადის, ამ გზაზე შედგომა კი დიდი ფულის ქონაზეა დამოკიდებული. ამ მარტივმა პოლიტიკამ ამერიკის პოლიტიკაცა და ხელისუფლებაც ხელში ჩაუგდო მდიდრებს, რომელთაც ახლა იმდენად დიდი გავლენა აქვთ მასზე, როგორც არასდროს მანამდე.**

თვით ომიც კი შეიძლება ახალი საქონელივით იქნეს მიწოდებული. ბუშის ადმინისტრაცია ერაყის ომის შესავალი ნაწილის რეკლამას სადამ ჰუსეინის საკუთრებაში არარსებული მასობრივი განადგურების იარაღით ახორციელებდა. ეს სატელევიზიო რეკლამის კარგად ნაცნობ ფერად, სწრაფ და გრაფიკულად დახვეწილ ▶

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მის ჩატარება, ფინანსურ ბაზრებს გაურკვევლობის კიდევ ერთი თვე ელის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაზრებზე ციებ-ცხელება არ დასრულდება, ეს კი ნეგატიურად აისახება მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. **დიდი ოცეულის სამიტზე საფრანგეთში, რივიერაში, ევროპელი ლიდერები ცდილობდნენ, მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რომ ერთ მუშტად არიან შეკრულნი და სრულად აკონტროლებენ ეკონომიკურ კრიზისს. სინამდვილეში ამის ნაცვლად ევროპამ კიდევ უფრო უარესად დააბნია მთელი დანარჩენი მსოფლიო.** როგორც „The Wall Street Journal“-ი წერს, პაპანდრეუსთვის რეფერენდუმი საკუთარ ხალხში ეკონომიის უმკაცრესი ზომების „ლეგალიზების“ საშუალებაა, მაგრამ ეს უდიდესი ფსონია, რადგან, თუ ბერძნები „არა“-ს იტყვიან, ეს ძალზე ძვირად დაუჯდება მთელ დანარჩენ მსოფლიოს. შეგახსენებთ, საბერძნეთის საგარეო ვალი 480 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. თავად **პაპანდრეუმ განაცხადა: „ვგრძნობ, რომ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვიკითხო ბერძენი ხალხის აზრი ყველა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს მისი დემოკრატიული უფლებაა“.**

ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ჟან-კლოდ იუნკერი ამბობს, რომ საბერძნეთმა უკვე დაკარგა 8 მილიარდი ევრო მას შემდეგ, რაც რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადა. „ძალიან სამწუხაროა,“ — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა მან.

„The New York Times“-ი თავის სარედაქციო წერილში აღნიშნავს, რომ ესოდენ რთული საკითხების რეფერენდუმზე გატანა საკმაოდ სახიფათო იდეაა. საქმე ისაა, რომ ადამიანთა უმეტესობას არ უყვარს საკუთარი თავისთვის სოციალურ კეთილდღეობაზე უარის თქმა რაღაც დიდი იდეის გამო, რადგანაც ვერ ხედავს მიზანშედეგობრივ კავშირს და სუსტადაა გარკვეული ეკონომიკის საკითხებში. ბერძნებს საკუთარი საკრედიტო ვალდებულებების გადახდა მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებამდე შეუძლიათ. საბერძნეთის ქცევა ანერვიულებს ინვესტორებს, რომლებიც იტალიის სავალე ვალდებულებებსაც შეისყიდიან. მისგან, შესაძლოა, დიდი გარანტიები მოითხოვონ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთი ძალზე უპასუხისმგებლოდ იქცევა: თუ ევროზონის ეკონომიკაში ქარიშხალი უფრო გაძლიერდება, იტალიას ფინანსური კრახისგან ველარავინ იხსნის. იტალია გაანადგურებს ევროს, ამას მოჰყვება ევროპის ბანკების განადგურება და მსოფლიო ეკონომიკა უძლიერეს დარტყმას მიიღებს.

**საბერძნეთს სერიოზული, მტკივნეული რეფორმების გატარება მოუხდება. იმედია, დაგვიანებული არაა სრული კრახის თავიდან აცილება. ახლა ყველაფერი ბერძენთა პოზიციასა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული.**

rus.ruvr.ru

სტილში ხდებოდა. ამის შემდეგ თავად ომი დაიწყო, უფრო კონკრეტულად კი ბაღდადის „შოკისმომგვრელი“ დაბომბვა — სატელევიზიო სანახაობა პირდაპირ ეთერში, რომლის მიზანიც იყო აშშ-ის მეთაურობით განხორციელებული შეჭრისათვის მაღალი რეიტინგის უზრუნველყოფა.

მრავალი ნევროლოგი მიიჩნევს, რომ ტელევიზორის ყურების შედეგები ფსიქიური ჯანმრთელობისათვის, შესაძლოა, ბევრად უფრო სერიოზული იყოს, ვიდრე მიჩვევა, მოხმარების სურვილის გაჩენა, საზოგადოებისადმი ნდობის დაკარგვა და პოლიტიკური პროპაგანდის მარწუხებში მოხვედრაა. შესაძლოა, ტელევიზორი ცვლის ადამიანთა ტვინებს და აუარესებს მათ შემეცნებით შესაძლებლობებს. ახლახან ამერიკის პედიატრიის აკადემიამ გამოაცხადა, რომ ბავშვებისათვის ტელევიზორის ყურება სახიფათოა მათი ტვინის განვითარებისათვის და მშობლებს მოუწოდა, ორ წლამდე ასაკის ბავშვებს არ დართონ ტელევიზორის ან ინფორმაციის სხვა მსგავსი საშუალებების ყურების ნება.

ორგანიზაციამ „Common Sense Media“ (ჯანსაღ აზრზე დაფუძნებული მასმედიის საშუალებები) ცოტა ხნის წინ აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოავლინა პარადოქსი, რომელიც სინამდვილეში სავსებით გასაგებია. დღეს ღარიბი ამერიკული ოჯახების ბავშვები არა მხოლოდ უფრო დიდხანს უყურებენ ტელევიზორს, ვიდრე მდიდარი ოჯახების ბავშვები, არამედ მათ უმეტესობას ტელევიზორი საკუთარ საძინებელშიც აქვს. როდესაც ამა თუ იმ საქონლის მოხმარება შემოსავლების ზრდის უკუპროპორციულად იზრდება, ეკონომისტები ამას „იაფფასიან“ სიკეთეს უწოდებენ.

**მასმედიას ნამდვილად შეუძლია სარგებლის მოტანა როგორც ინფორმაციის მომწოდებელს, შემეცნების წყაროს, გართობის საშუალებას და პოლიტიკურ მაცნეს, მაგრამ ამ ყველაფრის ბოროტად გამოყენება წარმოშობს საფრთხეს, რომელსაც უნდა გავურბოდეთ.**

**ყველაზე მცირე, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, საფრთხის მინიმუმამდე დაყვანაა. მსოფლიოში წარმატებით გამოიყენება ტელევიზიაში სარეკლამო დროის შეზღუდვის, კომერციული სახელმწიფო სატელევიზიო ქსელების, პოლიტიკოსთათვის გარკვეული სარეკლამო დროის უფასოდ გადაცემის პოლიტიკა.** საუკეთესო გამოსავალი და თავდაცვა კი თვითკონტროლია. ყველას შეგვიძლია ტელევიზორების წინ გასატარებელი დროის უმეტესი ნაწილი წიგნების კითხვას, ერთმანეთთან საუბარს, საკუთარი ჯანმრთელობისა და საზოგადოებისადმი ნდობის აღდგენას მოვახმაროთ.

**ჯეფრი დ.საქსი,**
**ეკონომიკის პროფესორი,**
**კოლუმბიის უნივერსიტეტის**
**დედამიწის ინსტიტუტის**
**დირექტორი,**
**გაეროს გენერალური მდივნის**
**მრჩეველი**
**ათასწლეულის განვითარების**
**მიზნების საკითხებში.**

perevodika.ru

# ამერიკა-ისრაელის საშობაო საჩუქარი მსოფლიოს

**შესაძლოა, ამერიკასთან ერთად ირანთან ომით დაინტერესებულია კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის მმართველ წრეებთან. მაინც რატომ ეფხანება ისრაელს ხელები ირანზე დასარტყმელად?**

**აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. ექსპერტების წინასწარმეტყველება მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღის შესახებ ასრულებას იწყებს. მრავალი ეკონომისტი ამბობს, რომ 2012 წლისათვის აშშ-ის სავალუტო ბაზრების დესტაბილიზაცია და მისი თანმდევი ქაოსი ელის. კრიზისიდან გამოსვლის საიმედო რეცეპტი ვერავინ მოიფიქრა და, როგორც ჩანს, ამჟამად არსებული ფინანსურ-პოლიტიკური ურთიერთობების ფარგლებში ვერც მოიფიქრებს. საჭიროა თანხმობა იმაზე, რომ დოლარი დაკარგავს თავის მონოპოლიას საერთაშორისო ფინანსებში და გამარტივდება საყოველთაო დამოკიდებულება ერთ მუჭა ფინანსურ გიგანტებზე, ან საჭიროა გამოსავლის რაიმე სხვა განზომილებაში ძებნა.**



ის, რომ თეთრ სახლში გამოუვალი მდგომარეობის განწყობაა, მისი პატრონების ქცევაშიც ვლინდება. მუდმივად მომღიმარ ობამას გამოსვლებში ნერვოზულობა შეიმჩნევა. **როგორც ჩანს, აშშ-ის ადმინისტრაციაში მოახლოებული კატასტროფიდან გამოსავალს ეძებენ, ოღონდ იმავე სიბრტყეში, სადაც მუდამ ეძებდნენ მისი მმართველები — ახალ ომში.**

სხვა რით შეიძლება აიხსნას ის აჟიოტაჟი, რომელიც აშშ-მა და ისრაელმა კვლავ ატეხეს ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ? ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ფართოდ რეკლამირებული მოხსენება საპნის ოპერა აღმოჩნდა. ირანელი ჩინოვნიკის ჯერ კიდევ 2004 წელს მოპარული პერსონალური კომპიუტერიდან გადმოწერილი ბირთვული ქურვის აფეთქების ვირტუალური სიმულაციები დიდი ამბით იქნა წარდგენილი ირანის ბოროტი ჩანაფიქრის დადასტურებად. ამ უგნურ გამონაგონს დაუმატეს რაღაც კასრი, რომელშიც, შესაძლოა, ტარდებოდა ასაფეთქებელი ნივთიერების შეკუმშვის ექსპერიმენტები. სხვა დანარჩენი კი სრული დემაგოგიაა თემაზე „მიღებული მონაცემების საიმედოობა“.

მსოფლიო საზოგადოების ირანის ბოროტ განზრახვებში დარწმუნების მსგავსი მცდელობები ძალიან წააგავს „მტკიცებულებების“ შეგროვებას ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაში დასადანაშაულებლად. მაშინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსის ფანტაზია იქამე მივიდა, რომ მალე ამერიკის თავზე სადამ ჰუსეინის უპილოტო საფრენი აპარატებიდან ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საწამლავების გადმოფრქვევასაც კი ელოდა. პროპაგანდამ გაამართლა. ამერიკელები ომს დათანხმდნენ და ამ ომისთვის საკუთარი ჯარისკაცების გვამებითა და საკუთარი შემოსავლების შემცირებით აგეს პასუხი.

**რა მოხდება ახლა? ახლაც დათანხმდებიან ამერიკელები ირანზე დაუყოვნებლივ თავდასხმას? მათ ხომ არავინ აუხსნის, ირანში მართლაც რომ ხორციელდებოდეს საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოები? ბომბის შექმნას, თანაც მთელი მსოფლიოს დაჟინებული დაკვირვების ქვეშ მრავალი წელი დასჭირდება. საბჭოთა კავშირი, რომელსაც ბირთვული იარაღის შექმნაში ხელს არავინ უშლიდა და რომელმაც მის შესაქმნელად თავისი თავდაცვითისამრეწველო კომპლექსის მთელი პოტენციალის კონცენტრირება მოახდინა, ატომური ბომბის შექმნას ლამის ათი წელი მოუნდა.**

შესაძლოა, ამერიკასთან ერთად ირანთან ომით დაინტერესებულია კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის მმართველ წრეებთან. მაინც რატომ ეფხანება ისრაელს ხელები ირანზე დასარტყმელად? საერთაშორისო არენაზე ევროპული სახელმწიფოსთვის ტექტონიკური ძვრა მოხდა — გაერომ პალესტინა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ან სუვერენულ ტერიტორიად აღიარა და ეს ტერიტორია, საიდანაც არ უნდა შემოუარო, დღეისათვის ისრაელის მიერაა ოკუპირებული. ეს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მდგომარეობაა, რაც თელავივს მწვავე თავისტკივილს უჩენს. ირანი კი პალესტინელების მოკავშირეა. ირანის ფული, იარაღი

## მსოფლიოს «ბნელეთის ძალების» წინააღმდეგ ახალი «ჯვაროსნული ლაშქრობა» ელის

და პოლიტიკა ულაპარაკოდაა მიმართული პალესტინელი ხალხის მხარდასაჭერად. **ხომ არ დადგა დრო, ირანმა პასუხი აგოს ამგვარი დამოუკიდებლობისთვის და ამავე დროს შეეშვას პალესტინელების მხარდაჭერას? საეჭვოა, ვაშინგტონსა და თელავივს ამ სიტუაციის შეფასებაში განსხვავებული მიდგომა ჰქონდეთ.**

ცხადია, ისრაელს მხოლოდ ირანის დასჯის მოტივი არ ამოძრავებს, მას სერიოზულად ეშინია მსოფლიოში ანტიისრაელური და ანტიამერიკულ ძალთა ისლამური გაერთიანების. **ისრაელის გათვლებით, ირანზე შეტევა მუსლიმანებს შორის განხეთქილებას იმდენად გააღრმავებს, რომ პროცესი შეუქცევადი გახდება.** თითოეული არაბული ქვეყანა იძულებული გახდება, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ირანზე თავდასხმასთან დაკავშირებით. **აშშ-ის მიერ ხელფეხშეკრული სპარსეთის ყურის მონარქიები ანტიირანული აქციის მხარდაჭერას ვერსად გაექცევიან. ეს კი კიდევ უფრო გაამწვავებს მათ ურთიერთობას დანარჩენ მუსლიმანურ სამყაროსთან.**

რაც შეეხება აშშ-ს, ის ირანზე აგრესიით, პირველ რიგში, მუსლიმანური სამყაროს მხრიდან სიძულვილის ახალ ულუფას მიიღებს, მაგრამ ამერიკის მმართველ წრეებს ეს არ ანაღვლებთ. ისინი, დიდი ხანია, მიისწრაფვიან მდგომარეობისაკენ, როდესაც მათი დაჯავშნული მუშტი მსოფლიო პოლიტიკის უმთავრეს არგუმენტად იქცევა. ხანგრძლივი საინფორმაციო შესავალი მათ უკვე მოსწყინდათ და, დიდი ხანია, ურჩების ყოველგვარი ლაყბობის გარეშე დასჯისთვის მოთმინება აღარ ჰყოფნით.

ირანზე თავდასხმის პირველ პერიოდში აშშ-ის ფინანსური ბაზრები დასტაბილურდება. ომი ხომ ყოველთვის ბიუჯეტის დიდ დანახარჯებს, სამხედრო შეკვეთებს და ბევრ ისეთ რამეს მოითხოვს, რაც აშშ-ის კონიუნქტურას გამოაცოცხლებს. მაგრამ ირანში, რეჟიმის შეცვლის მიზნით, საჰაერო-სარაკეტო ოპერაციები დროსა და დიდ სახსრებს მოითხოვს. სამაგიეროდ საზოგადოების ყურადღებას გადაიტანს სხვა რამეზე და მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რას ნიშნავს ძლიერის უფლება.

**ომში აუცილებლად ჩაერთვება ბრიტანეთი. მსოფლიოს „ბნელეთის ძალების“ წინააღმდეგ ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ელის.**

10 ნოემბერს „ Daily Mail“-ი, ბრიტანული დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით, წერდა, რომ საშობაოდ ისრაელი, აშშ-ის მხარდაჭერაზე დაყრდნობით, ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმას განახორციელებს.

fondsk.ru

## ბარაკ ობამა რუსეთისთვის ჯექსონი-ვენიკის შესწორებას აუქმებს

**თეთრს სახლს სურს, რაც შეიძლება სწრაფად გაიტანოს კონგრესში კანონპროექტი ჯექსონი-ვენიკის შესწორების გაუქმების შესახებ. ამის თაობაზე აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა.**

აშშ-ის ჩინოვნიკის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მოსკოვს გზა ეხსნება მსო-ში გასაწევრიანებლად, რის შემდეგაც აშშ-ს რუსეთთან ნორმალური სავაჭრო სტატუსი უნდა ჰქონდეს. **ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რომელიც კონგრესმენების ინიციატივით 1974 წელს მიიღეს, აშშ-ს უკრძალავდა შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის მოქმედებას იმ ქვეყნებთან, რომლებიც ზღუდავდნენ ადამიანების ემიგრაციის უფლებას.** შესწორება კონგრესმა სპეციალურად სსრკ-ს წინააღმდეგ მიიღო და ქვეყნის დაშლის შემდეგ იგი არ გაუქმებია.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად საქართველო და ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის დაფჩენილ ხახასთან დგას. ადრე უცხო ტომის დამპყრობლები უპირებდნენ მოსპობას. დღეს უცხოელთა დაქირავებულ მარიონეტს მწვანე შუქი აქვს ანთებული დემოკრატიის ნიღბით ქართველი ხალხის ქარცვა-გადაგვარება-დაბეჩავებისთვის.**



## დედოფლის-წყაროს საავადმყოფოში ავადმყოფი ვირთხამ დაკბინა

**პაციენტი ლ. შ-შვილი აცხადებს, რომ დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში, სადაც ის კრუნჩხვების გამო იყო მოთავსებული, ვირთხამ დაკბინა. მისივე თქმით, დაკბენის შემდეგ მან ცოფის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება მოითხოვა, მაგრამ საავადმყოფოში უარი უთხრეს.**

„საავადმყოფოში 3 ნოემბერს მომათავსეს. გამგეობამ თანხის ნაწილი ჩამირიცხა. 10 ნოემბერს მითხრეს, რომ ჩარიცხული თანხა აღარ იყო საკმარისი და ფული უნდა გადამეხადა. ვუთხარი, რომ იმ დროისთვის თანხა არ მქონდა და მოგვიანებით გადავიხდიდი. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო საავადმყოფოდან ვერ გამიშვეს. მეუბნებოდნენ, ხელი მომეწერა ხელწერილზე, სადაც ეწერა, რომ საავადმყოფოდან ჩემი ნებით მივდიოდი, არადა ძალიან ავად ვიყავი. ბოლოს შევთანხმდით, რომ რამდენიმე დღე კიდევ დავრჩებოდი. პალატაში გათბობა არ იყო. ბოთლში ცხელ წყალს ვასხამდი, საწოლში ვიდებდი და იმით ვთბებოდი, არადა ფილტვების ანთებაც მქონდა.

10 ნოემბერს, საღამოს ვიგრძენი, რომ მხარზე რაღაც დადიოდა. რომ გადმოვბრუნდი, მხარზე ვირთხა მეჯდა. დავიწყე ყვირილი. შემოვიდნენ ექთანი და სანიტარი. ვთხოვე, კედლებში ღრმულები რამით ამოევსოთ. სინამდვილეში რაღაცები ჩატენეს. რომ დავიძინე, ისევ ვიგრძენი რაღაც მოძრაობა. ამჯერად უკვე სახე მქონდა დაფხაჭნილი. მოვითხოვე აცრის ჩატარება, მაგრამ უარი თქვეს, ჩვენ ხელს ვერ მოგკიდებთო. მომცეს მიმართვა და თბილისში გამწერეს. რაბიოლოგიის ცენტრში მითხრეს, რომ აცრასთან ერთად მე მკურნალობა მჭირდებოდა, იქ კი სტაციონარული მომსახურება არ ჰქონდათ, ამიტომ გამაგზავნეს არამიანცის საავადმყოფოში, სადაც ცოფის საწინააღმდეგო აცრა ჩამიტარეს. დღეს მეორე აცრა უნდა ჩავიტარო“, — განუცხადა ლ. შ-შვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

# ყვარყვარეს დუქანი

**ცხოვრების ჩარხის უკუღმა ბრუნვა ხომ გვახვევს თავბრუს, საით გაექცეს ქართველი კაცი ყბადაფჩენილ გაჭირვებას, საშველი დღემდე არ გამოჩენილა, მაგრამ ყეენობა არ გვაკლია. „ნაციონალთა“ ცელქობა თუ ნაცრის ამტვერება ფარეხში აჩხავლებულ კატასავით გვართობს. მერე რა, რომ თვალებს ნაცრით გვიბრმავებენ! სამაგიეროდ უფსკრულში როგორ გადავიჩეხებით, ხომ ვერ დავინახავთ?!**

მთელი კახეთი გააოგნა თელავში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებზე „ნაციონალთა“ თავგამოდებულმა აქტივობამ, თითქოს მათ კანდიდატს ვინმე ეცილებოდა. „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „მრეწველების“ კანდიდატები კი ამ ერთპარტიული არჩევნებისთვის დემოკრატიულობის ჩამოხეული ნიღბის დასაკემსად როკავდნენ, ოღონდ დაპროგრამებულთა გუნდი ზედმეტად აყვირეს თელავის თეატრში: „მიშა, მიშა!“ და აფრიალებინეს ხუთჯვრიანი დროშები, რადგან პარლამენტარობას არავინ ეცილებოდათ. არჩევნებზე მისვლითაც არავის შეუწუხებია თავი, თუ არ ჩავთვლით „ნაციონალების“ მიერ დაპროგრამებულთა მანქანებით მოგროვებას. ანდა **რა მნიშვნელობა აქვს, მაგათ საინდაურე პარლამენტში ერთი ინდაურით მეტი იქნება თუ ნაკლები! მიშას დასტვენაზე „ყაბულ, ყაბულ“-ს მაინც რიხიანად ჩააინდაურებენ. ასე რომ, თელაველ „ნაციონალებს“ თავისუფლად შეუძლიათ, მიშას უპატაკონ: „ჰაილ, მიშა, თელავიდან, ვირი ხეზე ვერ ავიდა“!**

თუმცა შორს არ მოუწევთ წასვლა. აგერ, ყვარლის მამულში, თუ ყვარყვარეს დუქანში სატელევიზიოდ თათბირებს ენერგიულად მართავს და სტუდენტებს ღორის ხორცის შამფურზე წამოგების პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებს. მაინც როგორი შთამბეჭდავია თორმეტი კაცი მინდორში მაგიდასთან ყველა საკუთარი მიკროფონით, თითქოს ამ ცოცხალ დეკორაციებს ლაპარაკის უფლება ჰქონდეთ. ამ დროს შორიდან მწვანე ბალახზე მოშლიგინებს მიშა, რათა ტელევიზიისთვის ფიურერის მორიგი მონოლოგითა და ნაცრის ფრქვევითააყვავოს სოფლის მეურნეობა და რუსეთის ჩამოშლის პერსპექტივით გული გაუხეთქოს პუტინს. ამის მნახველს ლადო ასათიანის ლექსი გაახსენდება:

**აგიაშვილსა ნიკასო**
**არ ნაყვარება პიკასო,**
**გადარეულა პიკასო,**
**რა ვაწყენინე ნიკასო.**

ყვარყვარეს დუქანში, ამგვარი ნაცრის ქექვით იმდენი სიმინდი მოიყვანეს, რომ უხორბლო და უსიმინდო საქართველოდან სიმინდის ექსპორტით გადარევენ მსოფლიოს. ასევე კარგად მოაგვარეს რთველის საკითხი. მარნის მფლობელს ვენახიც აქვს. რაში სჭირდება საწყალი გლეხის ორი ან სამი ტონა ყურძენი, როცა თავისაში მთავრობის შეპირებულ დანამატსაც მიიღებს. გლეხს კი ყურძნის შაქრიანობას ან ხარისხს დაუწუნებს და მარნამდე ქაპანწყვეტით მიტანილ ყურძენში ოცდაცხრა თეთრს შესთავაზებს. ჰოდა, **დგას საწყალი გლეხი შარაგზაზე, ელოდება მუშტარს. ქართველ კაცს როგორ უნდა გაუხარდეს იმერეთში ვენახის გაბერწება! არადა, ეს რომ არა, უსაშველოდ გაძვირებულ შეწამლვის საფასურსაც ვერ აიღებდნენ.**

ყვარყვარეს დუქანში კი მიშა და მისი წარმატებული სოფლის მეურნეობის მინისტრი თათბირობენ, ყურძნის დიდი მოსავალიაო კახეთში, მინისტრი კონკრეტულ ციფრებს ასახელებს, ხელად ამრავლებენ ყურძნის ღირებულებას ტონებზე, ყოფენ კომლთა რაოდენობაზე და ღებულობენ თითოეული კომლის მიერ მიღებულ „მნიშვნელოვან“ თანხას. ხელად გაასწორეს მთა და ბარი! თითქოს ასობით ჰექტრის მფლობელი კახელების ოჯახებზე გადანაწილების ფულის ფიქრით იფრთხობდეს ძილს.

**სოფლებში არსებული ვეტ.სამკურნალოები გააუქმეს, შენობები გაყიდეს და, პირუტყვი რომ მომსახურების გარეშე დატოვეს, ეს კიდევ არაფერი. გლეხმა პირუტყვის დაკვლა თუ გადაწყვიტა, ლაგოდეხის ან ბადიაურის გრძელ გზას უნდა დაადგეს. თუ პირუტყვის ასაკი ან ტყავი დაიწუნეს, არ დაუკლავენ. დაკვლის შემთხვევაში, ტყავი, თავფეხი და ჯიგარი თვითონ უნდა დაიტოვონ და კილოგრამ ხორცში ლარი გადაახდევინონ; ნახეთ, როგორ ზრუნავენ გლეხზე!** ასეთი თავდადება გლეხისთვის ძროხის შეძულებაზე მონღოლებსაც არ გამოუმჟღავნებიათ. ამგვარი ილეთით აცუნდრუკებულმა მსოფლიოში პირველმა რეფორმატორმა „ნაციონალებმა“ თავიანთი საყასბოს შესასვლელს შეიძლება ასეთი წარწერა გაუკეთონ:

**მტკვარს და არაგვს,**
**ვირს რძე არ აქვს;**
**როცა გიჭირს, დოც წვენია.**
**მოვსპობთ კარაქს,**
**გავრყვნით ქალაქს;**
**ნუ ყაყანებთ, დრო ჩვენია.**
**შეგვერგება ღორის მწვადი,**
**ზაქია თუ ბოცვერია,**
**ხალხისთვის კი ნაცისტები**
**მამალ ძროხებს მოწველიან.**

მალე ქათმების, ბატებისა და მათი ჭუკების სასაკლაოსაც მოიგონებენ და ვაი იმის ბრალი, ვინც ამათი ხახამის გარეშე ქათამს დაკლავს.

**თუ ქვეყნის გადაშენება გინდა, სოფელში გლეხი უმიწოდ უნდა დატოვო. მთელ მსოფლიოში გაუგიათ, ისედაც მცირემიწიან საქართველოში მიწებს წაღმა-უკუღმა ანიავებენო და დაიძრა ბუზი ბაღდადიდან. „ნაციონალების“ ყბამოთქლეშილმა ტელევიზიებმა როგორი სიამაყით გვამცნეს ბურების ოჯახის მიერ შესყიდული მიწის ფართობზე, მათი გეგმების შესახებ და ნიჩბებით მომუშავე ქართველ გლეხებზე. მოკლედ, ათასი ჯურის მტაცებელი დაესია ქართულ მიწას, რომელიც მხოლოდ იმ გლეხს ეკუთვნის, მონასავით რომ ამუშავებენ და თან ტრაბახობენ, დავასაქმეთო.**



**მძიმე დღე ადგას ქართულ სოფელს, მაგრამ გაზულუქებულ მტაცებლებს ავიწყდებათ, რომ უარეს დღეში იყო კახეთი, ოთხმოცი ათასი ელის ტომის თურქმანი რომ ჩამოუსახლეს და გადაშენება დაუპირეს ქართველობას. გაიშალა მოთმინების ზამბარა და იმ თურქმანების ხსენებაც გაქრა. გაფრთხილდეს ყველა, ვინაც ფულიანი სოფლის მიწას დაპატრონებია, ხალხის მოთმინების ზამბარა იკუმშება და, მის გაშლას რაც მოჰყვება, თავიანთ გაუმაძღრობას დააბრალონ.**

სოფლის მშენებლები კი თათბირობენ ყვარყვარეს დუქანში და ქექავენ ნაცარს. დადის მიშა სოფელ-სოფელ, დაჰყვება ლუკმაზე დახარბებული ბრბო „მიშა, მიშას“ ძახილით და ამ ყეენობით თავს ირთობს ლაქუცა ტელევიზია — თვითონ უკრავენ, თვითონ მღერიან და ცეკვავენ. ქვეყანა მოსთქვამს, იქნებ გაიხსენონ, რომ მუსოლინი იმ ხალხმა დაჰკიდა ფეხებით, ადრე მიტინგებზე „დუჩე, დუჩეს“ რომ გაჰყვიროდა.

ასე როგორ დაიმსგავსა „ნაციონალები“ მათმა ეზოს მოძღვარმა, თეთრ, ახლა გაქუცულ მელად მონათლულმა, გავარდნაძეობით დამთავრებულმა შევარდნაძემ, ბებერი კინტოს ყოველკვირეული ინტერვიუებით რომ ცდილობს უზარმაზარი ცოდვების ტვირთის საფლავში არჩატანას. ის ბრეჟნევთან ლაქუცით ითხელებდა ენას და მასთან პომპეზური შეხვედრის მოწყობით აცვიფრებდა საღ აზრს.

მიშაც ხომ დახვდა თავქარიან ბუშს ტაშფანდურითა და ხალხის ნახირით. ახლა სარკოზი ჩააგდეს საგონებელში, — ნეტა, რა უნდა მთხოვონ, ეს ამოდენა ხალხი რომ შეგროვილა ჩემს სადიდებლადო. თუმცა საიდან ეცოდინებოდა, რომ რაიონებიდან მუქარით ჩამორეკილი სამიტინგე ხორცის უკან გაგზავნა არც კი გახსენებიათ. **სარკოზიმ კი სულ დაივიწყა ლისაბონის სასტუმროში „ნაციონალთა“ სამთავრობო დელეგაციამ მეძავებთან მოწყობილი ღრიანცელით როგორ დაუფრთხო ძილი, დააჯილდოვა მიშა ლეგიონერის ორდენით, რომელიც იმ ნაპოლეონმა დააარსა, მოსკოვიდან პარიზამდე უკან მოუხედავად რომ ირბინა; მიშამაც ხომ მოკურცხლა ცხინვალიდან წითელ ხიდამდე. თუმცა დისტანცია ძალიან მცირეა, სამაგიეროდ სისწრაფეა გამაოგნებელი!** ამ ჯილდოს კი ნამდვილად იმსახურებდა ავლანეთის ავანტიურაში გვარიანად ჩაფლული ნატოს სამხედრო მანქანის ქართველი მეომრების სისხლით შეზეთვისთვის. ყბამოთქლეშილ ტელევიზიებს თუ დავუჯერებთ, მიშამ კიდევ ერთი ტიტული მიიღო. მის ტიტულებს კი რა დათვლის სა-

## პენსიონერებს — ამნისტია!

**პარლამენტმა საპენსიო ამნისტია დაამტკიცა. დღევანდელი პლენარული სხდომის დაწყებისას, პარლამენტმა მესამე მოსმენით კენჭი უყარა ამნისტიის შესახებ კანონს.** მიღებული გადაწყვეტილებით, პენსიონერებს 2011 წლის 1 ნოემბრამდე (1 აპრილის ნაცვლად) შეცდომით ზედმეტად დარიცხული პენსიის უკან დაბრუნება აღარ მოუწევთ. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა ზედმეტი თანხის დარიცხვა პენსიონერის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენას მოჰყვა. შესაბამისი თანხა ლეგალიზაციას დაექვემდებარება და მასზე არ გავრცელდება კანონის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბნრუნება კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი.

## სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოხელეები

**ინტერნეტ გაზეთ „ქიზიყის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროში ადგილობრივი ოპოზიცია ირწმუნება, რომ საჯარო მოხელეები სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებულნი და გაჭირვებულთათვის განკუთვნილ ყოველთვიურ საარსებო შემწეობას იღებენ.** „თავისუფალი საქართველოს“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული პაატა ნადირაშვილი და სპეციალისტი აკაკი ჭაღალიძე სოციალური დახმარების მიმღებთა სიაში არიან.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ხალხს ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ შეაჩერებს გაერთიანებისა და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისთვის ბრძოლაში, რამეთუ უკვე ჰყავს საოცნებო მამულიშვილი, პატიოსანი, ნიჭიერი, მართალი და შეუპოვარი ყრმა, რომელმაც უზრუნველ და ნებიერ ცხოვრებას ხალხისათვის თავდადება არჩია.**



ქართველოსა და ქართველი ხალხის დაკნინება-დაბეჩავება-გადაგვარების საქმეში.

**სამამულო ომში დაღუპულთა წმიდათაწმიდა ობელისკებს ვანდალებიც კი არ ახლებდნენ ხელს. ამათ კი ერის სიამაყე ღიმილის ბიჭების ობელისკებს ბჟარა-ბჟური აუტეხეს. ვანდალები უცხო ტომის დამპყრობლები იყვნენ. ესენი კი ქართველი ერის სხეულში ჯანმრთელ უჯრედებზე მონადირე საზარელი სიმსივნის მეტასტაზები არიან, წინაპართა მიერ დღემდე მოტანილ საამაყო ეროვნულ სიწმინდეებს რომ ურქენენ.**

სექსუალური გაუკუღმართების, გარყვნილების, უზნეობის საჯარო პროპაგანდა, ამათ მიერ ჩატარებული ქვეყნის დამაქცევარი რეფორმების წარმატებულად წარმოჩინებით ტრაბახი, ქართველი ერის გაუსაძლის გაჭირვებამდე მიყვანის ფონზე ბიუჯეტის განიავებით უამრავი შოუებითა და გასართობი ღრიანცელით თავის მოწონება; ცხინვალის სამარცხვინოდ წაგებული ავანტიურის ბრწყინვალე გამარჯვებად წარმოჩინება და ყოველივე ამის სიყალბით გაჟღენთილი ფილმის გადაღებით დაგვირგვინებას ბარონ მიუნჰაუზენის ფანტაზიაც ვერ შესწვდებოდა. ამაზეა ნათქვამი: უნამუსო ვირზე შესვეს, — ნეტა, ერთი გამაჭენაო. **თუ სინდისის ძარღვი გაგიწყდა ან შენში მომძლავრებულ უსინდისობას შეაჭამე იგი, მაშინ იჯირითე ცოდვებით გაპოხილი სიცრუით და სამოთხედ გაასაღე შენგანვე ჯოჯოხეთადქცეული დღევანდელობა.**

**ცხონებული გურამ შარაძე ჯვაროსნების ხუთჯვრიან დროშაზე ერთ ამბავში იყო, — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული იყოსო, და კიდეც გამოუძებნეს ისეთი მკვლელი, რომ ვერაფრით ვერ დაიხსომა, რომელ ქუჩაზე უნდა ეთქვა, მოვკალიო. მოვა დრო და ამ შეუპოვრად მებრძოლ მამულიშვილს ქართველი ერი წმინდანად შერაცხავს.**

ჯვაროსნებმა კი დაუნდობლობით, სისასტიკით, კაცთმოძულეობითა და ვერაგობით დასვრილი დროშის ფრიალით მეოთხე ლაშქრობა მართლმადიდებლობის დარბევას მიუძღვნეს. გამოჩენილი ფილოსოფოსი და ასტრონომი ნიკიფორ გრიგორიასი წერდა: როცა კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა აიღეს, ბიზანტიის იმპერია მძვინვარე ქარიშხალში მოხვედრილი დიდი ხომალდივით ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრა და ნამსხვრევები ხელადვე დაიტაცეს. ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტეს საფლავის გამოხსნის მიზნით დაიწყეს და მართლმადიდებლობის დარბევით დასვარეს ისედაც ცოდვიანი ხუთჯვრიანი დროშა, რომლის ცნობა იმ ჯვაროსნული დასავლეთევროპულ ხალხთა შთამომავალთაგან არავის უფიქრია. სამაგიეროდ, უძველესი მართლმადიდებელი საქართველოდან „ნაციონალები“ ამ დროშის თავაწყვეტილი ფრიალითა და „მიშა, მიშას“ კივილით ისე აცვიფრებენ ამის მაყურებელს, როგორც თავის დროზე ფაშისტები სვასტიკიანი დროშებით და „ჰაილ ჰიტლერის“ ღრიალით თავზარს სცემდნენ კაცობრიობას.

**არადა, ევროპელობაზე და ნატოში შესვლაზე გადარეულმა „ნაციონალებმა“ ლამის ქართველობაზე და ქართულ ენაზე უარი თქვან. გზაც იქით ჰქონიათ. მძლავრსა და კაცობრიობის სათავეებიდან ფესვებგადგმულ ტრადიციებს, კულტურას, ენას, უფროსი თაობისა და წინაპართა უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას ვერაფერს მოაცლიან. თვითონ კი უკვე ევროპელები არიან, ღამურად ქცეული თაგვებივით.**

საწყალმა ჟვანიამაც წაუინგლისურა, „მე ქართველი ვარ, მაშასადამე ევროპელი ვარო“ და გაგუდეს კიდეც ევროპული მეთოდით მისმა მეგობარმა ევროპელმა ღამურებმა.

უმუშევრობის, საშინელი გაჭირვების გამო სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები კი უცხოეთში არანაირ სამუშაოზე არ ამბობენ უარს, რათა აქ დარჩენილი ოჯახის წევრები შიმშილის ყბიდან იხსნან. რა გულსაკლავი და დამაღონებელი სანახავი იყო, მიშას სტრატეგიულ პარტნიორთა მიერ თურქეთიდან სარფის საბაჟომდე ამ საცოდავების ბორკილდადებული კინწისკვრით გამორეკვა. ამ დროს მიშა ბათუმის თეატრში მორიგ კონცერტს კმაყოფილებით უყურებდა და სულაც არ აწუხებდა ამ საცოდავთა მოთქმა. ეს რუსეთში რომ ჩაედინათ, მაშინ გენახათ საზღვართან მრავალათასიანი სამიტინგე ხორცის მოგროვება და ოკუპანტი რუსეთის თავაწყვეტილი ლანძღვა.

**ჯერ კი დარბის თავისმაქებართა ამალით და ყვება საქართველოს აყვავება-დაყვავებაზე და დიდ წარმატებებზე ნაცრის ქექვის დროს მოყოლილ ზღაპრებს. სინამდვილეში აბოლებს ლუკმის მიგდების მოლოდინით ნერწყვით დამთვრალ მსმენელს. ასე ირბინა ნერონმა საბერძნეთში, თავისი მსახიობური ტალანტით შეშინებული ბერძნებისგან ქება-დიდებას რომ იმკიდა, რაიმე არ ეწყინოს და უბედურება არ შეგვყაროს ამ მანიაკმაო. მლიქვნელები კი აფრთხილებდნენ, როცა სულეთში გადაბარგდები, სამყაროს ცენტრში მოთავსდი, თორემ შენი სიმძიმით შეირყევაო. ამგვარი ქებით მართლაც შერყეული რომში დაბრუნებული კატის კნუტივით ათრიეს. კალიგულამაც დაადგა ყველა ძეგლს თავისი თავი, სანამ თავიც არ დაკარგა და ტანიც.**

ამათაც ხომ ენერგიულად მილეწ-მოლეწეს, რაც წმინდა და სპეტაკი იყო. არადა, ახალი ხომ უნდა ააშენონ. აგერ, სიღნაღის შესასვლელში, მაღალ გორაზე ბრწყინვალე ამირანის ძეგლი რომ იდგა და საიდგილოდანაც ჩანდა ქართული გენის სადიდებლად, ახლა იმ მონგრეულ კვარცხლბეკზე მოუწევთ ჰალსტუხღეჭია მიშას ძეგლის დადგმა, შიშისგან გაოგნებული ცხვირით როგორ ხნავს მიწას.

**ამჟამად საქართველო და ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის დაფჩენილ ხახასთან დგას. ადრე უცხო ტომის დამპყრობლები უპირებდნენ მოსპობას. დღეს უცხოელთა დაქირავებულ მარიონეტს მწვანე შუქი აქვს ანთებული დემოკრატიის ნიღბით ქართველი ხალხის ძარცვა-გადაგვარება-დაბეჩავებისთვის.**

ქვეყნის სასიკეთოდ ვინც გაიბრძოლა, მოღალატედ მონათლეს. ბადრი პატარკაციშვილს შეეძლო განცხრომითა და უზრუნველად ცხოვრება, დაბეჩავებული ხალხის დახმარება, მაგრამ გადაწყვიტა ხალხის ხსნა და შეეწირა კიდეც „ნაციონალთა“ ღვარძლს, — რაღა ხალხს ეხმარები, ფული ჩვენ მოგვეცი და ქვეყნის ძარცვაში ხელს ნუ გვიშლიო.

ალექსანდრე ებრალიძემ გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფი მწერლების, ხელოვანებისა და მეცნიერების დახმარებისა და წახალისებისთვის ღვარძლი, ცილისწამება და მუქარა დაიმსახურა.

**ახლანდელი გაჭირვების, უიმედობისა და ქვეყნის დამაქცევართა პარპაშის პირობებში ქართველ ხალხს ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანში გაზრდილ ყრმასავით მოევლინა ბიძინა ივანიშვილი, იმედის სხივივით გაათბო ქართველთა საშინელი მომავლის მოლოდინით გათოშილი დღევანდელობა. ახლა ხალხს ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ შეაჩერებს გაერთიანებისა და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისთვის ბრძოლაში, რამეთუ უკვე ჰყავს საოცნებო მამულიშვილი, პატიოსანი, ნიჭიერი, მართალი და შეუპოვარი ყრმა, რომელმაც უზრუნველ და ნებიერ ცხოვრებას ხალხისათვის თავდადება არჩია.**

სერიოზულად შეშფოთდა ქვეყნის დამაქცევართა ხროვა და პირველი, რაც მოიფიქრეს მათმა ბოროტებით გამოტენილმა თავებმა, ბიძინა ივანიშვილს — ერის სიამაყეს და იმედის სხივს, საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს. ამგვარ თავხედობას რაფინირებული თაღლითიც კი მოერიდებოდა. ის კი ვერ მოტვინეს, რომ ბიძინა ივანიშვილს ყველა ქართველი მამულიშვილის გულში აქვს ბინა და მის მოქალაქეობას, მოღალატე მარიონეტები კი არა, ქართველი ხალხი წყვეტს.

ახლა დაიწყეს ბიძინა ივანიშვილზე კომპრომატების ძებნა, მაგრამ რა უნდა მოუჩხრიკონ სპეტაკი სინდისის, რეპუტაციის ქართველ მამულიშვილს, თუ არა ბინძური ცილისწამება. ჰოდა, რაღა მოძებნა უნდათ, ქუთაისში ხომ სამშობლოს საამაყო „ღიმილის ბიჭების“ ობელისკი ბიძინა ივანიშვილმა დაანგრია, რომლის დროსაც დედა-შვილის უმანკო სიცოცხლე ჩაიფერფლა და ამ ცოდვიან ადგილზე ქვეყნის დასაქუცმაცებლად საინდაურე პარლამენტს აშენებს. ქართული მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნების დამღუპველი რეფორმები გაატარა; დააქცია ქართული სოფელი და მოსპო მრეწველობა; შემოგვთავაზა სამარცხვინო ჰიბრიდული სიმინდი; თბილისში უცებ გააორმაგა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასი. **ჰოდა, გადააბრალეთ ბიძინა ივანიშვილს. ხალხი დაგიჯერებთ თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. საქართველოში კი ქართველი ერის გადამრჩენი ვარსკვლავი უფრო მკაფიოდ კაშკაშებს. გაფრთხილდით, თანამედროვე ბერბიჭაშვილებო! ბიძინა ივანიშვილს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს, ქართველი ხალხი უკიდურესად მკაცრი იქნება!**

ცხოვრების წაღმა დაბრუნების იმედით გამოფხიზლებული ქართველი ერის დღევანდელი განწყობილება მინდა ამ ლექსით გამოვხატო:

უფალს არ ვავიწყდებოდით,
როცა ძალიან გვიჭირდა,
ყოფნა-არყოფნის შავ დღეში
დახმარების ხელს გვიწვდიდა.

ჩვენი გოდების მოსმენით,
ეტყობა, ვერ დაიძინა,
მშველელად გამოგვიგზავნა
ივანიშვილი ბიძინა.

დავითს, ერეკლეს, ილიას
მოუხდათ თხოვნის მწარედ თქმა:
— ერის მოსპობის დემონი
საქართველოდან წაეთრას!

მამულიშვილნო, აღსდექით!
ვიხსნათ ბარი და ჩვენი მთა!
სადაც მუხთლობა იკნავლებს,
იქ შურისგება ჩვენიც თქვან!

**მწერალი გივი სომხიშვილი**
**20 ოქტომბერი 2011 წელი**



# ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში საქართველო 19 მილიონი ევროს საფინანსო დახმარებას მიიღებს

**ევროკავშირის მხარდაჭერის ეროვნული ინდიკატური პროგრამის 2010 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის საფინანსო შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი ვიცე-პრემიერ-მინისტრმა, ევროკავშირის დახმარებათა ეროვნულმა კოორდინატორმა გიორგი ბარამიძემ მოაწერა.**

ხელმოწერას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ესწრებოდნენ.



# დეპუტატები გამრავლდებიან!

**ვიდრე სრულიად საქართველო ბიძინა ივანიშვილზე მსჯელობს, საქართველოს ხელისუფლება და მასთან შეკრული ოპოზიცია ხვაშიადს ისრულებს და დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდას აპირებს.**

საქართველოს პარლამენტის ერთბაშად 83-მა წევრმა ერთი სიზმარი ნახა და საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით პარლამენტის ბიუროს მიმართა. ბიუროს წევრებსაც იგივე სიზმარი ჰქონდათ ნანახი და ინიციატივა სასწრაფოდ დაარეგისტრირეს. არადა, „რეფერენდუმის შესახებ“ კანონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ რეფერენდუმის გზით შეიძლება. მიუხედავად ამისა, „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები არც კანონს სცემენ პატივს და არც ამომრჩევლის ნებას.

ამბავი

# ოზურგეთში ქურდებმა პოლიციელს ძროხა მოჰპარეს და ჩლიქები დაუტოვეს



**რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში ძროხის ქურდები მაშინ დააკავეს, როცა ამავე სოფელში მცხოვრებ პოლიციელ კახა კილაძეს ძროხა მოჰპარეს, იქვე დაკლეს, რქები და ჩლიქები კი პატრონს დაუტოვეს და, როცა ეგონათ, სამშვიდობოს იყვნენ გასულნი, სწორედ მაშინ დაიჭირეს.**

„გურია ნიუსის“ წყაროს ინფორმაციით, დაკავებულებიდან ორი სილაურელი ძმებია, ორიც — ოზურგეთელი ყასაბი მამაშვილი, რომლებსაც მოპარული პირუტყვის ხორცი თურქეთში გადაჰქონდათ სარეალიზაციოდ.

გამოცემა სოფელ სილაურის რწმუნებულს — ზაზა მექვაბიშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, 10 ნოემბერს, ხუთშაბათს, სილაურელი ძმები ნამდვილად დააკავეს ძროხების ქურდობაზე. „ქურდებმა ბევრი ძროხა მოიპარეს, მაგრამ კახა კილაძეს მოპარეს თუ არა, არ ვიციო“, — განაცხადა მან.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთსა და უკრაინაში ქართული ახალშენების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ნათარგმნი ლიტერატურის მასობრივად წარმოშობას და გავრცელებას. რუსეთის გზითვე გავრცელდა ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურა. თარგმანების მეშვეობით ქართველი მკითხველები ეცნობიან რუსული და ევროპული მწერლობის სხვადასხვა დარგს.**

# ქართული მწერლობის კერები რუსეთსა და უკრაინაში

დასასრული. დასაწყისი იხ. №40

**განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაიოზ რექტორის ინიციატივითა და ხარჯით ქართული სტამბის მოწყობა მოზდოკში. აღნიშნული სტამბა მუშაობდა 1796-1801 წლებში სტამბის ოსტატის — რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილის თაოსნობით. მოზდოკის სტამბის გამოცემებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ოთხმა: რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი (1796), გაიოზის „გრამატიკა“ (1796-1800), მისივე „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“ (1797) და „განწესება შინაგანისა საქართველოისა მართვისა“ (1801).**

დავით გურამიშვილი



ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)



როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ლიტერატურული და მთარგმნელობით-კალიგრაფიული საქმიანობა წარმატებით იყო გაშლილი რუსეთის დანარჩენ ქართულ ახალშენებშიც. **ქართული კულტურის დაუღალავი მუშაკნი წლითიწლობით ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს მწერლობას. მათი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი ქართული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.**

ქართული ემიგრანტული მწერლობა, ძირითადად, განაგრძობდა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარსა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მაგრამ, ამასთანავე, ქართულ ლიტერატურაში ემიგრანტმა მწერლებმა შეიტანეს ბევრი ახალიც, პოეზია გაამდიდრეს შინაარსობრივად, ჟანრობრივად, გადაახალისეს მანამდე გამოყენებული პოეტური ფორმები, შემოიტანეს ახალი ლექსიკა და სხვ. ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობის დამყარება იწვევს ლიტერატურის შინაარსისა და ფორმების განახლებას. ემიგრანტთა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გავლენით ლიტერატურა იძენს ახალ თვისებებს.

**რუსეთში შექმნილი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ქართული ემიგრაცია აღმოჩნდა არასასურველ მდგომარეობაში: სამშობლოდან გადახვეწას დაემატა ნივთიერი სივიწროვეც. პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შეცვლამ ემიგრანტ მწერლებში გამოიწვია ცხოვრების უარყოფითი შეფასება. ეს მოტივი საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი მათს ლირიკულ ლექსებში.** მათი ლექსებიდან მკვეთრად მჟღავნდება იმედგაცრუებული ემიგრაციის მდგომარეობა და მათი სულიერი მღელვარება, სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობის განწყობილება. ისინი უჩივიან ამ სოფლის მუხთლობას, ცრუობას, გაუტანლობას, დაუნდობლობას. ამ გარემოებამ კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ემიგრანტთა შემოქმედებაში რომანტიზმის საწყისების გაჩენას.

ემიგრანტმა მწერლებმა ნათელი ფერებით გადმოგვცეს მათი თანადროული ცხოვრება, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. მათ თხზულებებში უკვე აშკარად შეიმჩნევა თანდათანობითი დაშორება საეკლესიო-რელიგიური ინტერესებიდან სამოქალაქო, ამქვეყნიური, ყოველდღიური ინტერესებისაკენ. ემიგრანტი მწერლები გვიხატავენ რეალისტურ-საყოფაცხოვრებო სურათებს, მათს თხზულებებში თავს იჩენს ახალი, საერო მსოფლმხედველობა.

**ემიგრანტთა ნაწერებში განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს დიდაქტიკური ელემენტი. ამ დროს ვითარდება დიდაქტიკური ლიტერატურა. ამ თხზულებებში საკმაოდ გვხვდება ჯანსაღი აზრები და განმარტებები, რომლებიც მოწმობენ მათი ავტორების დიდ განსწავლულობას.**

ემიგრანტულ ლიტერატურას ნაკლებად ახასიათებს სადევგმირო და საზღაპრო შინაარსის თემები, ან სატრფიალო-სამიჯნურო პოემები. მათი შემოქმედების საგანი ყოველდღიური ამბებია, ისინი ახლოს დგანან ცხოვრებასთან და ცხოვრების ყოველდღიური სინამდვილით სულდგმულობენ. ალბათ, ნაწილობრივ ამითაც არის გამოწვეული, რომ ემიგრანტმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ავტობიოგრაფიული ხასიათის მასალები. მეორე მხრივ, საპატიო ადგილს იჭერს მათს შემოქმედებაში ეროვნული მოტივი.

ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ რუს და ქართველ ხალხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას

„რუსეთისა და უკრაინის ქართულ კოლონიებში შექმნილ ნაწარმოებებში იგრძნობა ერთი გარკვეული კილო, სამშობლოდან იძულებითი გარდახვეწით გამოწვეული სევდა-ნაღველი, სპეციფიკური ემიგრანტული მჭმუნვარება. ამიტომაც აღნიშნული კოლონიების მწერლობას XVIII საუკუნის ემიგრანტულ ქართულ მწერლობასაც უწოდებენ“.

**ემიგრანტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურმა კილომ, მოტივმა გამოხატულება ჰპოვა შესატყვის ფორმაში.** ახალი თემების დასამუშავებლად, რომლებშიც გადმოცემული იყო პიროვნების ინტიმური გრძნობა-განწყოფილებანი, საიჭირო გახდა ლექსის ახალი სახეები, ფორმები. ვრცელი და გრძელი ლექსების ნაცვლად, თავისი განწყობილებების გადმოსაცემად, ემიგრანტი მწერლები მიმართავენ მოკლე ლირიკულ ლექსებს.

ახალი ფორმების ძიებით ემიგრანტი მწერლები ქართულ ლიტერატურას ამდიდრებენ ახალი გამომსახველობითი საშუალებებით. მართალია, ზოგჯერ ამ ლექსებში უფრო მეტია ფორმალური ვერსიფიკატორობა, ვიდრე ნამდვილი ცხოველმყოფელი პოეტური აღტყინება, ხშირად მათი ენაც შედარებით მძიმეა, მაგრამ ამ პოეტური ქმნილებებით ემიგრანტმა მწერლებმა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს ლექსის ახალი ფორმები და ჟანრები.

ემიგრანტი მწერლები მშობლიურ ლიტერატურას ამდიდრებენ თარგმანებითაც.

**რუსეთსა და უკრაინაში ქართული ახალშენების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ნათარგმნი ლიტერატურის მასობრივად წარმოშობას და გავრცელებას. რუსეთის გზითვე გავრცელდა ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურა. თარგმანების მეშვეობით ქართველი მკითხველები ეცნობიან რუსული და ევროპული მწერლობის სხვადასხვა დარგს.**

რუსულ-სლავურიდან ქართველები თარგმნიდნენ როგორც სასულიერო ძეგლებს, ისე იმ დროს რუსეთში გავრცელებულ საერო ხასიათის წიგნებსაც.

**პირველ ხანებში თარგმნილი ლიტერატურა უმთავრესად შეადგენდა მორალურ-ფილოსოფიური და დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ზნეობრივი დარიგებანი.** ამ სახის თხზულებათა თარგმანი ქართველ მკითხველს უნერგავდა ცოდნის საჭიროებას, უვითარებდა ლტოლვას განათლებისკენ. შემდეგ კი მხატვრულთან ერთად ითარგმნებოდა მეცნიერული, ტექნიკური, სამხედრო თუ სხვა სახის წიგნები და შრომები. ნათარგმნმა ლიტერატურამ ქართველ მკითხველებს გააცნო ზოგიერთი ახალი ჟანრი და მხატვრული საშუალებანი.

ზუსტ, ზედმიწევნით თარგმანთან ერთად ქართველი მთარგმნელები ხშირად გვაძლევენ ტექსტის არაზუსტ, უფრო სწორად, თავისუფალ თარგმანს. თავისი შეხედულებებისდა მიხედვით ისინი თავისებურად ცვლიდნენ, კუმშავდნენ და ავრცობდნენ თარგმანის ადგილებს, აქართულებდნენ ადამიანთა რუსულ, ეროვნულ სახეებს, ცვლიდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რუსეთის გეოგრაფიულ პუნქტებს საქართველოს ადგილმდებარეობით ასხვაფერებდნენ. ერთი სიტყვით, გვაძლევდნენ გადამუშავებულ ტექსტებს. ამით ისინი ცდილობდნენ ნაწარმოების „გადმოქართულებას“, რათა თხზულების შინაარსი უფრო გასაგები და მისაწვდომი გაეხადათ ქართველი მკითხველისთვის.

**რუსეთ-უკრაინის ქართული ახალშენები ხელს უწყობდნენ რუსი და ქართველი ხალხის ლიტერატურის ურთიერთ გაცნობას.** მთარგმნელობითი პროცესი არ იყო მხოლოდ ცალმხრივი — არა ერთი თხზულება იქნა გადათარგმნილი ქართულიდან რუსულ ენაზე. ასე, მაგალითად, ქართული ენიდან რუსულად უთარგმნიათ პოლტავაში შვედებზე ძლევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავად არჩილ მეფის მიერ საგანგებოდ დაწერილი ლექსი, „ბარამგულანდამიანი“ (მთარგმნ. სიმონ ეგნატაშვილი), ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“, მისივე „ასტრახანში“ და სხვ.

ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ რუს და ქართველ ხალხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას. მათ შეითვისეს მოწინავე რუსული კულტურის საუკეთესო ტრადიციები და ორგანულად შეუკავშირეს ის თავის მრავალსაუკუნოვან კულტურას. რუსულმა მოწინავე კულტურამ კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაზე. სწორედ ამ კულტურის ზემოქმედებით არსებობას განაგრძობს აღორძინებული ახალი ქართული თეატრი და დრამატურგია და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსდება რუსულ-სლავური ტიპის სასწავლებლები (სემინარიები).

**დასასრულ, რუსეთის ქართული ახალშენების მოღვაწეთა წარმატებითი პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობით ნიადაგი მომზადდა საქართველოს შესასვლელად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში.** „თვით ის ფაქტი, რომ რუსეთში ქართული საქმის კეთებას ხელს არავინ უშლიდა და თვით რუსულ მაღალ კულტურასთან ურთიერთობაში საქმე წინ მიდიოდა, იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთი სხვა მეზობელთაგან განსხვავებული „ქართველობისათვის“ ნაკლებ საშიში, მყუდრო და განათლებული თავშესაფარი იყო“.

**ქართული ლიტერატურის ისტორიის მასალებიდან**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**

„რუსეთისა და უკრაინის ქართულ კოლონიებში შექმნილ ნაწარმოებებში იგრძნობა ერთი გარკვეული კილო, სამშობლოდან იძულებითი გარდახვეწით გამოწვეული სევდა-ნაღველი, სპეციფიკური ემიგრანტული მჭმუნვარება

სამებელის სტამბის გამართულ მუშაობაზე ზრუნავდნენ მოსკოვში დამკვიდრებული ქართველები ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობით. ამ დროისათვის დღის წესრიგში იდგა ქართული ბიბლიის ბეჭდვის საქმე (რომლის რედაქტირება არჩილმა დაიწყო). ასევე სურდათ დაებეჭდათ სახარება, სამოციქულო, დავითნი, ჟამნი, ლოცვანი, კონდაკი, კურთხევანი, ტიპიკონი, სვინანქარი, თვენი, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი.

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველი სასულიერო მოღვაწე, მესტამბე იოსებ სამებელი (ქობულაშვილი)

**იოსებ სამებელი (1676–1750) კახეთის განათლებულ თავადურ გარემოში აღიზარდა. მისი მამა, კახეთის მდივანმწიგნობართუხუცესი თავადი თამაზ ქვაბულისძე პოეტიც იყო. იოსების პაპას, სვიმონ ქვაბულისძესაც, მდივანმწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეპყრა. იოსების ბიძაშვილი ფილიპე მღვდელი მესტამბე იყო, და — ილუმენია თინათინი. მისი ძმისწული – ავთანდილ (ათანასე) ქობულოვი, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრი იყო და შემდგომში ქართველ ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა, სადაც სეკუნდ-მაიორად მსახურობდა.**

იოსებმა მოღვაწეობა შიომღვიმის მონასტერში დაიწყო. XVII საუკუნის დასასრულს იგი მონასტრის წინამძღვარი იყო. 1705 წელს პატრიარქმა დომენტიმ იგი ეპისკოპოსად აკურთხა, ხოლო 1709 წელს მიიღო სამების ეპარქია, რომელსაც განაგებდა 1723 წლამდე. ჩოსმალების შემოსევის დროს სამების ტაძარი და ეპარქია ოსმალება აიკლეს. იოსებმა დატოვა თავისი საწმყსო, ამავე წლებში წილკნის ეპარქია და მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიიღო. წილკნის ეპარ?ქიას იგი 1729-1730 წლებამდე განაგებდა, ამ დროს კვლავ დაიძაბა მდგომარეობა საქართველოში, ოსმალებმა მოკლეს კახეთის მეფე კონსტანტინე (მამადყულიხანი) და ააოხრეს ქართლ-კახეთი. ამ არეულობის დროს წილკნის ეპარქიას დიდი ზარალი მიადგა. იოსებმა კვლავ დატოვა თავისი სამწყსო და 1731 წელს რუსეთს გაემგზავრა რათა მოწყალება შეეგროვებიმა დაზარალებული ქართული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად.

**რუსეთში იოსები 33-კაციანი ამალით გამგზავრებულა. დარიალის ხეობაში თავს დასხმიან ჩეჩენ-ლეკები, მგზავრები გაუძარცვავთ, ზოგი მათგანი დაატყვევეს, ზოგიც მოკლეს. სამებელს მოუკლეს ძმისწული კონდრატი, თვითონ იგი დაატყვევეს. 17 დღის განმავლობაში ლეკებს ჯაჭვით ჰყოლიათ დაბმული.** ამ ამბავმა როგორღაც მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფ ქართველებამდე მიაღწია. ვახტანგ VI-მ და იქ მყოფმა ქართველობამ იშუამდგომლეს მთავრობის წინაშე და გაათავისუფლეს იოსები. ტყვეობიდან გამოხსნილი სამებელი მისულა ჯვარის ციხეს, იქ დაუსაფლავებია თავისი ძმისწული და გამგზავრებულა მოსკოვს, სადაც 1732 წელს ჩააღწია. მცირე ხანს დაბინავდა ვორონეჟის მონასტერში, ვახტანგის შუამდგომლობით სინოდმა მას ჯამაგირიც დაუნიშნა. 1733წელს სამებელი მიიწვიეს ნევსკის ლავრაში გარდაცვლილ ჰერცოგ მეკლენბურგ შვერინის საფლავზე მლოცველ-მწირველად. **1734 წლის 22 მაისს იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულის ბრძანებით, იოსებ სამებელი ნოვგოროდის მიტროპოლიტის თეოფანე პროკოპოვიჩის თანაშემწედ დააწინაურეს და ამავე დროს პირველი ხარისხის იურიევის, ანუ წმინდა გიორგის მონასტრის წინამძღვრობა უბოძეს.**

ამ დროიდან შეუდგა იოსებ სამებელი საქართველოს ეკლესიისათვის სასარგებლო საქმეთა კეთებას. პირველ რიგში იგი, როგორც იმდროინდელი მრავალი მოღვაწე, პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდა ქართული სტამბის გამართვას. იოსები ცდილობდა, ქართული სტამბა მოეწყო მოსკოვში, მით უფრო, რომ ვახტანგის შემდეგ თბილისში სტამბის მუშაობა შეწყდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ ბატონიშვილსაც, მაგრამ სტამბის დაარსებასა და წიგნების ბეჭდვის საქმეს თანხის უქონლობა აბრკოლებდა. დარეჯანის სტამბა პატარა იყო და სრულებით არ კმაროდა მათი სურვილის განხორციელებისათვის. **იოსებ სამებელმა 3-4 წლის განმავლობაში თავისი სამსახურით მოახერხა საკმაო თანხის მოგროვება სტამბის დასაარსებლად და წიგნების ბეჭდვის დასაწყებად. ამ საქმის შესრულება იოსებმა მიანდო თავის ახლო ნაცნობსა და სანდო პირს, მღვდელმონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილს. მანაც 1737 წელს სამებელის ხარჯით შეიძინა დარეჯან ბატონიშვილის სტამბა, ტექნიკურად გააუმჯობესა და საკმაოდ კარგად მოწყობილი სტამბა გამართა.** სტამბის ზედამხედველობა ებარა ქრისტეფორე გურამიშვილს. იოსებს უნდოდა მოსკოვს გადასვლა, რათა სტამბისათვის ეხელმძღვანელა, მაგრამ სინოდმა არ გაათავისუფლა იმ მიზეზით, რომ ნოვგოროდის კათედრაზე ყოფილი მიტროპოლიტის (თეოფანე პროკოპოვიჩის) გარდაცვალების შემდეგ ახალი მიტროპოლიტის დანიშვნამდე მისი მოვალეობა იოსებს უნდა შეესრულებინა.




სამებელის სტამბის გამართულ მუშაობაზე ზრუნავდნენ მოსკოვში დამკვიდრებული ქართველები ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობით. ამ დროისათვის დღის წესრიგში იდგა ქართული ბიბლიის ბეჭდვის საქმე (რომლის რედაქტირება არჩილმა დაიწყო). ასევე სურდათ დაებეჭდათ სახარება, სამოციქულო, დავითნი, ჟამნი, ლოცვანი, კონდაკი, კურთხევანი, ტიპიკონი, სვინანქარი, თვენი, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი. **1739-1740 წელს ბაქარმა შეკრიბა რუსეთში მყოფი ქართველი სამღვდელოება და ერთად იმსჯელეს ქართული წიგნების ბეჭდვის საკითხებზე. ბაქარმა სამღვდელო პირებს შესთავაზა დასაბეჭდად განზრახული წიგნების რედაქტირება, ხოლო საგამომცემლო საქმე მთლიანად უნდა ჩაებარებინათ მთავარეპისკოპოს იოსებისათვის.** 1740 წელს ბაქარმა სინოდს აცნობა ქართველ სამღვდელოთა კრების გადაწყვეტილება და ითხოვა სამებელის მოსკოვში გადმოყვანა. 1740 წელსვე, სინოდის ბრძანებით, იგი მართლაც გადაიყვანეს მოსკოვის ზნამენის მონასტერში, რომლის არქიმანდრიტადაც იგი დარჩა გარდაცვალებამდე (1750).

მას შემდეგ, რაც სამებელი მოსკოვს გადმოვიდა, უპირველეს საქმედ ქართული დაბადების დაბეჭდვა იქცა. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის დასაბეჭდად სტამბა დროებით გადატანილი იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვსეხსვიატსკოეში, ანუ, როგორც თვით წიგნშია მოხსენიებული, „დაბასა სესვენწკისასა, მოსკოვის ახლოს“. იმჟამად სტამბის ოსტატები იყვნენ: ქრისტეფორე გურამიშვილი, ბაქარის კარის მღვდლები ფილიპე და დავითი. სტამბის ზედამხედველად და მეურნედ დაინიშნა ვახტანგ მეფის ყოფილი მდივანმწიგნობარი მელქისედეკ კავკასიძე. „დაბადების“ ბეჭდვაში მონაწილეობას იღებდნენ ბაქარი და ვახუშტი ბატონიშვილი. თუმცა ამ წიგნის დაბეჭდვამდე მისი სერიოზული სწორება მოუწია იოსებ სამებელს — მან ქართული ტექსტი შეუდარა ებრაულ, სირიულ, ბერძნულ და სლავურ ტექსტებს. „დაბადების“ რედაქტირება დასრულდა 1742 წლის დამლევს, მაგრამ მისი ბეჭდვა ნაწილ-ნაწილ დაიწყო და 1743 წლის 1 მაისს უკვე სრულად იყო დაბეჭდილი. ცნობილია, რომ სამებელმა კიდევ მრავალი საეკლესიო წიგნი დაბეჭდა, მაგრამ მისი სხვა გამოცემები არ შემორჩენილა. 1744 წელს სინოდის ნებართვით იოსებმა დაბეჭდა იოანე დამასკელის „მიუწევნელობისათვის ღვთისა“. 1744 წელს იგი დაახლოვებია ქართველ მისიონერს იოანე მანგლელ ეპისკოპოსს. მათი დიდი მეცადინეობით დაფუძნდა მუდმივი, განუწყვეტელი მისია ქრისტიანობის აღსადგენად კავკასიელ ხალხთა შორის. **მოსკოვში მათ ამ დიდი საქმისათვის პროექტი შეადგინეს, ეს პროექტი სამებელმა საკუთარი ხელმოწერით წარადგინა წმინდა სინოდის წინაშე. 1746 წელს სინოდმა ეს პროექტი მოიწონა. ამის შედეგად დაარსდა ე.წ. ოსეთის ქრისტიანობის აღმდგენელი კომისია, რომლსაც ჯამაგირს უხდიდნენ. კომისიაში შეიყვანეს ქართველი სამღვდელოებაც.** მისიის უფროსი იყო იოანე მანგლელი. ყიზლარში, სადაც იოანე უკანასკნელ დროს დამკვიდრდა, აშენდა სახლი მისიისათვის, გაშენდა ბაღები, გაჩნდა სათევზაო და სათიბავი ადგილები. იოსებ სამებელი ამ დროს საკმაოდ მოხუცებული იყო. 1749 წელს მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, რათა აქ გაეტარებინა უკანასკნელი წლები. ამის თაობაზე 1749 წლის ივნისში თხოვნით მიმართა სინოდს, გაეთავისუფლებიათ იგი და ნება მიეცათ ყიზლარში წასვლისა და იოანე მანგლელთან დარჩენისა „მიზეზისათვის ღრმა სიბერისა“. სინოდმა ნება დართო, მაგრამ სამებელმა 1750 წლის 3 ივლისამდე გამგზავრება ვერ მოახერხა (ამავე წლის 23 აპრილს მან აკურთხა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია). თან იახლა თავისი ბიძაშვილები არქიმანდრიტი ეფთიმე და მესტამბე მღვდელი ფილიპე, და — თინათინი (ილუმენიად ყოფილი ქართველ მეფეთა მიერ მოსკოვში დაარსებულ ნოვინის დედათა მონასტერში ) და ძმისწული — ავთანდილ ქობულოვი. იოსებმა საქართველოში ვერ ჩააღწია, 1750 წელს 1 სექტემბერს იგი სარატოვში გარდაიცვალა. თანახმად მისი ანდერძისა, დაკრძალეს ასტრახანის საკათედრო ტაძარში. მისი ქონება — მოსკოვიდან წამოღებული ქართული სტამბა და სახარება შესწირეს დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს, ერთი ვერცხლის საცეცხლური — ალავერდის ტაძარს, პირადი წიგნები კი თავისი დის, თინათინისათვის დაუტოვებია.

**დეა სვანიძე**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიწისქვეშა ცეცხლი კიდევ უნდა ენთოს 250-1000 წელი. ყოველდღიურად ასფალტზე ჩნდება ახალ-ახალი ბზარები, მიწაზე გაჩენილი ორმოები, კარგა ხანია, აღარავის უკვირს, ჰაერი მოწამლულია, მიწიდან სქელი კვამლი ამოდის, ხოლო ფერფლი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოიყაროს ციდან.**



# ქალაქი-მოჩვენება

**თურმე მოჩვენებად გადაქცევა არა მხოლოდ ადამიანის მოუსვენარ სულს შეუძლია, არამედ ქალაქსაც და ამის მიზეზი ადამიანის უდიდესი შეცდომა გახდა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ პენსილვანიის ქალაქი ცენტრალია ყვაოდა, ახლა კი იქ ციდან ფერფლი ცვივა, ჰაერი კი მოწამლულია.**



ამერიკის შტატი პენსილვანია სახელგანთქმულია მრეწველობით, მათ შორის ქვანახშირის მოპოვებით. შტატის ტერიტორიაზე ქვანახშირის მარაგი იმდენია, რომ არაერთ თაობას ეყოფა. სწორედ აქ, ანტრაციტის დიდი მარაგით ცნობილ პენსილვანიაში, XIX საუკუნეში გაშენდა ქალაქი ცენტრალია. 1841 წელს არც თუ ისე დიდ დასახლებაში, რომელსაც სახელად რორინგი ერქვა, ვინმე ჯონათან ფაუსტმა გახსნა ტავერნა „ხარის თავი“. შეიძლება ითქვას, რომ მან ცენტრალიის პირველი ქვა დადო, მაგრამ საეჭვოა, სცოდნოდა, რომ ცამეტ წელიწადში მოკრძალებული დასახლება ქალაქად იქცეოდა.

1854 წელს სამთომომპოვებელმა კომპანიამ Locust Mountain Coal and Iron Company-მა გადაწყვიტა, ტერიტორია დაებრუნებინა და იქ ინჟინერმშენებელი ალექსანდრე რია გაუშვეს. მან დააპროექტა დასახლების ქუჩები და თავის შემოქმედებას ცენტრვილი უწოდა. მაგრამ გაირკვა, რომ პენსილვანიაში ასეთი სახელწოდების ქალაქი უკვე არსებობდა და საფოსტო სამსახურთან გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად 1865 წელს დასახლებას ცენტრალია დაერქვა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ადგილმა ქალაქის სტატუსი მიიღო. გაჩნდა სკოლები, საავადმყოფოები, ეკლესიები, სასტუმროები, მაღაზიები, თეატრები, ბარები, საფოსტო განყოფილება და ბანკი.

**ქვანახშირის მოპოვება ორ ათას ადამიანს ასაქმებდა. მათი ცხოვრება მშვიდად და წყნარად მიდიოდა მანამ, სანამ 1868 წლის 17 ოქტომბერს არ მოხდა დიდი დანაშაული – ქალაქის გასასვლელთან ალექსანდრე რია მოკლეს.**

დადიოდა ხმები, რომ მკვლელობა დაკვეთილი იყო საიდუმლო საზოგადოება „მოლი მაგუაიერსის“ მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, ქალაქის ერთი დამაარსებლის სიკვდილმა არ დააკმაყოფილა და შემდეგ წლებში მას რამდენიმე მკვლელობა მოჰყვა.

უამრავი უკანონობის შემდეგ ქალაქში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ნამდვილი კოშმარი ჯერ კიდევ წინ იყო. სანამ ცხოვრება ქალაქში ჩვეულებისამებრ გრძელდებოდა, ხალხი ძველებურად ქვანახშირის მოპოვებით იყო დაკავებული.

ცხადია, ქალაქის არსებობის ერთი საუკუნის განმავლობაში აურაცხელი ნაგავი დაგროვდებოდა. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რასაც სასაფლაო „ოდდ-ფელოუზ“-ის გვერდით მდებარე ძველ მაღაროში ყრიდნენ, მოსაშორებელი იყო. 1962 წელს კი ამის მიზეზიც მოიძებნა: ახლოვდებოდა ხსოვნის დღე – აშშ-ის ნაციონალური დღესასწაული, მიძღვნილი ომში და შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცებისადმი. ნაგავის მოშორებისთვის ცენტრალიის მმართველობამ ხუთი მეხანძრე აიყვანა. ისინი უკვე შემუშავებული გეგმით მოქმედებდნენ – ნარჩენებს ცეცხლს უკიდებდნენ და ელოდნენ, სანამ დაიწვებოდა, რის შემდეგაც აქრობდნენ.





**უყურადღებო მეხანძრეებმა საქმეს თავი ვერ გაართვეს: ნაგავი მანამ იწვოდა, სანამ ცეცხლი ნახშირზე არ გადავიდა.**

ყოველ შემთხვევაში, ასეთია ოფიციალური ვერსია. ჯოან კვნიგლის წიგნში „დღე, როდესაც მიწა გასკდა: ნაციონალური მნიშვნელობის ტრაგედია“ აღწერილი ვერსიის თანახმად კი, ხანძრის გაჩენის მიზეზი, სრულიად შესაძლებელია, ვინმე გამვლელის მიერ გადაგდებული სიგარეტის ნამწვი ყოფილიყო.

60-70-იანი წლების განმავლობაში ხანძარი, მიუხედავად მისი ლიკვიდირების ყველა ცდისა, ვერ ჩააქრეს. ნამწვავმა და ნახშირმჟავა გაზის დიდმა რაოდენობამ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე დიდი გავლენა მოახდინა, ხოლო ჟანგბადის უკმარისობამ ხალხი დააავადმყოფა. ლოკალური კატასტროფა ძალზე მასშტაბური აღმოჩნდა. რამდენიმე თვითმხილველის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, მუშებს „ოდდ-ფელოუზის“ გვერდზე სანგარი უფრო ინტენსიურად რომ ეთხარათ და დღესასწაულებზე სამუშაოსთვის თავი არ აერიდებინათ, ცეცხლს ადვილად გაუმკლავდებოდნენ.

**მოსახლეობამ ქალაქის დატოვება 1969 წლის მაისში დაიწყო, ზოგს კი იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მაღაროები კვლავ ბოლავდა, მაგრამ მოქალაქეებს ათწლეულების განმავლობაში ეგონათ, რომ საშიში არაფერი ხდებოდა. იმის შესახებ, რომ ცენტრალია კატასტროფის ზღვარზე იყო, მოსახლეობამ შემთხვევით გაიგო.**

ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურის მფლობელმა ჯონ კოდინგტონმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა ბენზინის დონე მიწისქვეშა რეზერვუარში და შიგნით საცეცი ჩაყო. ამოღების შემდეგ საცეცი ძალიან ცხელი აღმოჩნდა.

ჯონს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ტემპერატურა გაზომა — თერმომეტრმა დაახლოებით 80°C უჩვენა. ეს ამბავი მალე გახმაურდა და ბოლოს და ბოლოს მოსახლეობამ შეიგნო, რომ გაცხელებულ მიწისქვეშა ქვაბზე ცხოვრობდა. ქალაქის მერია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ სიტუაციის კონტროლი არ ძალუძდა.

ორი წლის შემდეგ მომხდარმა ინციდენტმა კატასტროფაზე მთელი ქვეყნის ყურადღება გადაიტანა. 1981 წლის 14 თებერვალს 12 წლის ტოდ დომბოსკის ფეხქვეშ მიწა გასკდა — წარმოიქმნა 45 მეტრის სიღრმის ორმო. ბიჭი კინაღამ ჩავარდა — ძლივს მოასწრო ხის ფესვებზე ჩაჭიდება.

**ამ შემთხვევიდან რამდენიმე წლის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა ცენტრალიას 42 მილიონი დოლარი გამოუყო მოსახლეობის სხვა ქალაქებში გადასახლებისთვის. უმეტესობა ამ წინადადებას დათანხმდა, სხვებმა კი ყურიც არ ათხოვეს მთავრობის გაფრთხილებას და უარი თქვეს შემოთავაზებაზე. 1992 წელს შტატის გუბერნატორმა რობერტ კეისიმ მთავრობისგან კატეგორიულად მოითხოვა, საშიშროების გაზრდის გათვალისწინებით, დარჩენილი მოსახლეობის იძულებით გასახლება.**

მოსახლეები ცდილობდნენ, სასამართლოს გზით გაეპროტესტებინათ ეს გადაწყვეტილება. ისინი ეჭვობდნენ, რომ მათ იმიტომ ასახლებდნენ, რომ ანტრაციტის მოპოვების შესაძლებლობა მისცემოდათ, რომლის დიდი მარაგიც ქალაქის ქვედა ნაწილშია. ჩინოვნიკები კი აცხადებდნენ, რომ პენსილვანიის მმართველობას არასდროს ჰქონია ქვანახშირის მოპოვების უფლება და რომ არანაირი სამთომომპოვებელი კომპანია არ მოქმედებდა ამ რეგიონში. სასამართლო გუბერნატორს მიემხრო.

2002 წელს ცენტრალიის საფოსტო ინდექსი — 17927 — რეგისტრიდან გაქრა. „გზატკეცილი 61“, რომელიც ქალაქისკენ მოდიოდა, გადაკეტეს, ხოლო დასახლებული ადგილი წაშალეს პენსილვანიისა და აშშ-ის ყველა რუკიდან. ხანძართან ბრძოლა შეწყდა — ეს ფულის უაზრო ფლანგვა გამოდგა.

2010 წლისთვის ცენტრალიაში მხოლოდ ხუთი სახლიღა იყო დარჩენილი, სხვა დანარჩენი დაანგრიეს. ამ ქალაქში ახლა მხოლოდ რამდენიმე ადამიანიღა ცხოვრობს. მათ შორისაა – ქალაქის მერი. ისინი გადაჭრით ამბობენ უარს საყვარელი ქალაქის დატოვებაზე და არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ მიწისქვეშა ცეცხლი კიდევ უნდა ენთოს 250-1000 წელი. ყოველდღიურად ასფალტზე ჩნდება ახალ-ახალი ბზარები, მიწაზე გაჩენილი ორმოები, კარგა ხანია, აღარავის უკვირს, ჰაერი მოწამლულია, მიწიდან სქელი კვამლი ამოდის, ხოლო ფერფლი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოიყაროს ციდან.

**ამ ყველაფერთან ერთად ტურისტებს მოჩვენებებიც აფრთხობს. მას შემდეგ, რაც კატასტროფის შესახებ ყველა შტატმა შეიტყო, თავგადასავლების მრავალი მაძიებელი და მიტოვებული ადგილების მოყვარულები ცენტრალიის ნახვას ეშურებიან. ვისაც „გაუმართლა“, ეს მოგზაურობა სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება. აქ ტურისტებს უცნაური ხმები ესმით, ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს უთვალთვალებენ ან ეჩვენებათ, რომ კუთხეში რაღაც ფიგურა გაკრთა.**

1998 წელს სკოტ სეილორი ორ მეგობართან ერთად ცენტრალიის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად წავიდა. ქალაქში რომ საინტერესო ვერაფერი ნახეს, სასაფლაოზე წავიდნენ. ისინი ერთ გორაკთან შეჩერდნენ, რომლიდანაც ბოლი ამოდიოდა. მოულოდნელად რაღაც ხმები ჩაესმათ. თავიდან ვერ არჩევდნენ სიტყვებს, შემდეგ კი გარკვევით გაიგონეს ფრაზა, რომელიც მიწიდან ამოდიოდა „წადით აქედან“.

გორაკიდან სულ უფრო მეტი ბოლი ამოდიოდა. შეშინებული მეგობრები მანქანისკენ გაიქცნენ, ხმა კი ეწეოდათ – „რატომ, რატომ გააკეთეთ ეს?“ იმ მიდამოში არც ერთი მანქანა და ადამიანი არ ჩანდა. როდესაც სკოტი სახლში მივიდა და რუკას დახედა, მიხვდა, რომ ისინი აალების ადგილას ყოფილან.

1999 წელს ახალგაზრდა წყვილი, ლორი და ჯიმი, ცენტრალიის ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში შევიდა. მათ ძალიან უყვარდათ მსგავსი ადგილები და თავისუფალ დროს ხშირად იკვლევდნენ მიტოვებულ ნასახლარებსა და ძველ სასაფლაოებს, თანაც მოჩვენებების არ ეშინოდათ. სამსართულიან სახლში ჯიმი და ლორი მეორე სართულზე ავიდნენ და კიბის გვერდით იდგნენ.

უეცრად ხის კიბე აჭრიალდა. ახალგაზრდებმა იფიქრეს, რომ ამ სახლში ვილაც კიდევ იყო და ელოდნენ, როდის ჩამოვიდოდა მათთან კიდევ ერთი ტურისტი. ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა, მეორე სართულს რომ მოაღწია, ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. ლორიმ მესამე სართული გადაქექა, ჯიმმა კი ქვემოთა სართული გაჩხრიკა, მაგრამ სახლში ვერავინ იპოვეს.







ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მსოფლიოს ყველაზე ცუდი მოსწავლე



**დედამიწის ყველაზე ცუდი მოსწავლე ინდოეთში, რაჯასტახანის შტატში ცხოვრობს. იგი 77 წლისაა. როდესაც შივ ჩარანი 30 წლის გახდა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: სანამ დაქორწინდებოდა და შვილები ეყოლებოდა, გადაწყვიტა, საშუალო განათლება მიეღო.** პირველად შივი სკოლაში 1969 წელს მივიდა. მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა, შივი კი ყოველ წელს ცდილობს გამოცდების ჩაბარებასა და სანატრელი ატესტატის აღებას, მაგრამ ყოველი ცდა კრახით სრულდება. 2008 წელს შივმა ატესტატის აღება 38-ედ სცადა, თუმცა არც ამჯერად გაუმართლა. მან 10 საგნიდან მხოლოდ ერთის ჩაბარება და იქაც მხოლოდ მინიმალური ქულების დაგროვება შეძლო. მისი თქმით, ყველაზე მეტად მათემატიკის სწავლა უჭირს. სწორედ მას აბრალებს თავის ყველა უბედურებას. სამაგიეროდ, სიტყვა შეასრულა — მიუხედავად იმისა, რომ უკვე 77 წლისაა, ცოლად არავინ მოუყვანია, თუმცა გადაწყვეტილი აქვს, როგორც კი საშუალო განათლებას მიიღებს, მაშინვე დაოჯახდება.

# ყველაზე იდუმალი ადგილები

## ჯოჯოხეთის კარი

**უზბეკეთში მდებარე ერთ ადგილს იქაურებმა ჯოჯოხეთის კარი დაარქვეს. ის მდებარეობს პატარა ქალაქ დარვაზთან.**

ერთხელ გეოლოგები მიწას ბურღავდნენ და უცებ მიწისქვეშა გამოქვაბული იპოვეს. ეს გამოქვაბული იმდენად დიდი იყო, რომ გეოლოგები მთელი შემადგენლობით შეუდგნენ ამ ადგილის გათხრაა. არც ერთ მათგანს არ შეეძლო დაბლა ჩასვლა, რადგან ქვაბული გაზით იყო სავსე. გეოლოგებმა გადაწყვიტეს, ცეცხლი აენთოთ გამოქვაბულში, რათა მომწამვლელი აირი ზემოთ არ ამოსულიყო. მას შემდეგ ამ ადგილას ცეცხლი მუდმივად ანთია. წარმოიდგინეთ, რამდენი გაზია გამოქვაბულში, რადგან 35 წლის წინ დანთებული ცეცხლი ჯერაც არ ჩამქრალა.







## იდუმალი ხვრელები

**1980 წლის შემდეგ რუსეთის ზოგიერთ ტყეში უცნაური რამ ხდება — ხალხი ხშირად პოულობს ღრმა და ბნელ ხვრელებს.**

მსგავს რალაცებს, ძირითადად, ხშირ ტყეებში პოულობენ, ისეთ ადგილებში, სადაც მანქანით ვერ მიხვალ. ამდენად, ისეთ ხელსაწყოს ვერ მიიტან, მიწა რომ გაბურღო. თვითმხილველთა თქმით, ხვრელების გარშემო მიწა არ ყრია, რაც, წესით, მათი გათხრის შემდეგ უნდა დარჩენილიყო. ჯერჯერობით არავის აქვს პასუხი კითხვაზე — საიდან ჩნდება ეს ღრმა ხვრელები შუა ტყეში.





## ქვიშაში ჩაფლული ქალაქი

**Kolmanskop — ასე ჰქვია მოჩვენებების ქალაქს, რომელიც სამხრეთ ნამიბიაში მდებარეობს.** 1908 წელს ამ ადგილას „ბრილიანტის ციებ-ცხელება" დაიწყო, ამიტომაც ხალხი ჩამოდიოდა ნამიბიის უდაბნოში იმ იმედით, რომ უკეთესად იცხოვრებდნენ. ორ წელიწადში აქ გაშენდა ქალაქი, აშენდა სკოლები, საავადმყოფოები, კაზინოები, საცხოვრებელი სახლები. მალევე, როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრილიანტის ფასი დაეცა, დასასრულის დასაწყისი დაიწყო. 1950 წელს ქალაქი უდაბური გახდა. მის გარშემო შემოვლებული გალავანი ჩამოინგრა, ბაღები და კოხტა ქუჩები კი ქვიშით დაიფარა.

## უძველესი ლუდი

**ბალტიის ზღვის ფსკერზე უძველესი ლუდი იპოვეს. სასმელი იმდენად კარგადაა შენახული, რომ ექსპერტებმა მისი რეცეპტის გაშიფვრაც შეძლეს. ალკოჰოლური სასმელი ფინელმა ექსპერტებმა გამოიკვლიეს. სამწუხაროდ, ბოთლში ცოტა წყალი მაინც შევიდა, თუმცა ამან სითხეს ვერაფერი დააკლო.** სასმელის შემადგენლობაში შედის სვია, შაქარი და ისეთი კომპონენტები, რომლებიც მას უნიკალურ არომატს აძლევს. საფუარი კი, რომელიც თანამედროვე ლუდის მომზადებისას გამოიყენება, მასში საერთოდ არ აღმოჩნდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლუდის ცნობილი მწარმოებლები ძველისძველ რეცეპტს გამოიყენებენ.



## წაკითხვამდე გამოსაცხობი წიგნი

**ევროპულ წიგნის მაღაზიებში უცნაური კულინარიული წიგნი იყიდება. იმისათვის, რომ მისი რეცეპტების წაკითხვა შეძლოთ, საჭიროა წიგნი ელექტროღუმელში მოათავსოთ და გამოაცხოთ.**

ერთი შეხედვით, წიგნის გვერდები ცარიელია, თეთრ ფურცლებზე მხოლოდ თეფშები ჩანს. ტექსტი კი იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ წიგნს ფოლგაში გაახვევთ და ელექტროღუმელში 100 გრადუსზე გააცხელებთ. კულინარიული კრებულის ავტორების ჩანაფიქრი ასეთია — რეცეპტები მხოლოდ მათ ნახონ, ვისაც მართლაც სურს გემრიელი კერძების მომზადება.



ფურცლები თერმულად დამუშავებული საღებავებითაა შეღებილი, რომლებიც ფერს მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე იღებენ. არის კიდევ ერთი პრობლემა: კერძის მომზადება მანამ უნდა მოასწროთ, სანამ წიგნი გაცივდება, რადგან ამ შემთხვევაში, რეცეპტები და ფოტოები ისევ გაქრება.

# ყველაზე მოჩხუბარი პოლიტიკოსები

**ბრიტანულმა ყოველდღიურმა გაზეთმა The Guardian-მა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსთა ხელჩართული ჩხუბების რეიტინგი გამოაქვეყნა.**

**რეიტინგში პირველი ადგილი იტალიელმა პოლიტიკოსებმა დაიკავეს.** ლიდერები რამდენიმე დღის წინ გამოიკვეთა. ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის შესახებ კამათისას ოპოზიციური პარტიის წევრმა კლაუდიო ბარბატომ ჩრდილოეთ ლიგის წარმომადგენელ ფაბიო რანერის დაარტყა. პოლიტიკოსებმა ხელჩართული ბრძოლა გამართეს.

**სიაში მეორე ადგილი რუსმა დეპუტატებმა 2005 წელს სახელმწიფო სათათბიროში ფრაქცია „როდინასა" და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შორის გამართული ჩხუბის გამო დაიკავეს.**

რეიტინგში **მესამე ადგილზეა** ჩეხეთის ჯანდაცვის მინისტრ დევიდ რატსა და პრეზიდენტის თანაშემწე მაკერ მაჩეკოს შორის მომხდარი დაპირისპირება. **მაჩეკომ რატს** ფიზიკური შეურაცხყოფით სიტყვა შეაწყვეტინა, რასაც ხელჩართული ორთაბრძოლა მოჰყვა.

**მეოთხე ადგილი** 2009 წელს ლა-პასეში კონგრესის სხდომის დროს ბოლივიელი პოლიტიკოსების მუშტიკრივმა დაიკავა.

ყველაზე ცხელი დებატების ხუთეულს აგვირგვინებს უკრაინელი კანონმდებლების ხმაურიანი დაპირისპირება, რომელიც შარშან სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტისთვის ვადის გახანგრძლივების საკითხს უკავშირდებოდა. მაშინ სპიკერ ვლადიმერ ლიტვინს კვერცხებიც დაუშინეს. გარდა ამისა, ტიმოშენკოსა და იუშჩენკოს მხარდამჭერებმა სხდომათა დარბაზში ცრემლსადენი გაზი გაუშვეს.







# ბათუმს კვერცხების არ სჯერა

12 კვერცხის და 2 ე. წ. შლოპანცის მონუმენტი სასტუმრო „კემპინსკისა“ და „რადისონს“ შორის განათავსეს. ზოგმა ბათუმელმა ამ ქანდაკების განთავსების შესახებ სოციალურ ქსელ facebook-იდან გაიგო, გაზეთ „ბათუმელებთან“ საუბრისას აღნიშნეს, რომ მონუმეტი ფოტოშოპის შედეგად მიღებული ეგონათ და დღეს გადასამოწმებლად მივიდნენ.



2011 წლის ბიუჯეტში კონკრეტულად გაწერილი არ არის, ამ ქანდაქებისთვის რა დაიხარჯა. პროგრამის ფარგლებში „ისტორიული უბნების და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ არის მხოლოდ ერთი ზოგადი ჩანაწერი „ქანდაკებების დამზადება-დადგმის სამუშაოები“, რომლისთვისაც 328206.89 ლარია გამოყოფილი და თანხა შპს არტ-სტუდია „DOTCOMMA“-სთვისაა გადაცემული. თანხის გაცემის თარიღია 13 მაისი. პროექტის შესრულების ვადად 1 სექტემბერია მითითებული. ბათუმის საკრებულოს ოპოზიციის წევრები პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ. ზარებს არც ბათუმის მერიაში პასუხობენ.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „სახიფათოდ თქვენი“ (ასე ჰქვია ლილი ფანტოცის მონუმენტურ ნამუშევარს), რომელიც იდეალურად უხდება კვერცხებზე დადებულ „შლოპანცებს“. მონუმენტის სიგრძე 5,5 მეტრია, სიგანე — 2,30 მეტრი. თითოეული კვერცხის სიმაღლე 1,6 მეტრია, ხოლო სიგანე — 1 მეტრი. მონუმენტის დამზადებას 3 თვე დასჭირდა.

საფრანგეთიდან ლილი ფანტოცი მეგობართან ერთად ბათუმში 2009 წელს მოწვევით ჩამოვიდა და წარმოადგინა თავისი ნამუშევარი — წყვილი კედები კვერცხებზე, რომელიც ქვეყნის სახიფათო გზას აღნიშნავს. ეს მაკეტი თბილისის მერმა საკუთარ კაბინეტში განათავსა, მონუმენტი კი ბათუმის მერიამ შეუკვეთა და კედები „შლოპანცებით“ შეაცვლევინა.

## ფრაგმენტი პრეზიდენტის მოდელირებული პრესკონფერენციიდან:

ჟურნალისტი:
— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ამბობდით, რომ გაიხსნებოდა საწარმოები, ხალხი დასაქმდებოდა, განვითარდებოდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა... ჩვენ კი მივიღეთ მხოლოდ კვერცხთმშენებლობა. რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ ეს დარგი, საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას ამ გზით აპირებთ?

პრეზიდენტი:
— გმადლობთ საინტერესო შეკითხვისთვის. რა კარგი სიტყვა მოიგონეთ – „კვეცხთმშენებლობა“... მერე რა, თუკი ჯერჯერობით ვერ განვავითარეთ თქვენ მიერ ჩამოთვლილი დარგები, სამაგიეროდ, ჩვენ პირველად მსოფლიოში არნახულ წარმატებას მივაღწევთ კვერცხთმშენებლობის მიმართულებით. თქვენ იცით, რომ მე ამ მხრივ უნიკალური გამოცდილება მაქვს – ნახეთ, რამდენი კვერცხი შევქმენი ამ რვა წლის მანძილზე. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამას შევძლებდი, მაგრამ ახლა თითოეული მათგანით თავს მოიწონებდა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მთავრობა. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და მათ ვერ შევეშვებით. ჩემი შექმნილი კვერცხები ჩემი სიმდიდრეა, მე მათით ვამაყობ!

## ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი «წლის აღმოჩენად» დასახელდა



საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „ამაგდარისა“ და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭოს ინიციატივით ახლახან დედოფლისწყაროს მოსახლეობა გამოიკითხა, რის შედეგადაც სხვადასხვა ნომინაციებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცნობილი ადამიანები გამოვლინდნენ.

ნომინაციები ყოველწლიურად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებზე ნაწილდება. გამოკითხვაში გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები უკვე გადაეცათ. გამარჯვებულთა შორის დედოფლისწყაროში გამომავალ ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ მთავარი რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ დასახელდა.

„საქართველო და მსოფლიო“ ულოცავს ილია მარტყოფლიშვილს ამ წარმატებას.

## აპატიებს თუ არა მერაბიშვილის უწყება ტრაილერის მძღოლს პოლიციის შენობის დაზიანებას?

„გურია ნიუსი“ წერდა იმ სკანდალის შესახებ, რომელიც ლანჩხუთში მოხდა – ტრაილერი სამჯერ შეეჯახა პოლიციის შენობას და რომ არა წყლის საწრეტი არხი, რამაც ინერცია და დარტყმა შეანელა, ალბათ, წინა კედელი ჩამოინგრეოდა.

შემთხვევას წინ უსწრებდა მძღოლთან სამართალდამცველების შელაპარაკება, ხოლო განაწყენებულის დაშოშმინება მისი ტრაილერის სალონის ფანჯრების ჩამტვრევის შემდეგ მოხერხდა. კიდევ კარგი, ეს ამბავი ერთი თვის შემდეგ რომ არ მოხდა, როცა პოლიცია ახალ შენობაში იქნებოდა გადასული. პოლიციის ამჟამინდელი შენობა ძველია და, როგორც ჩანს, კარგი ნაშენია, ამიტომაც არ ჩამოინგრა კედელი. ტრაილერი შუშის შენობას რას დამართებდა, ადვილი წარმოსადგენია! „ძალიან კარგი ბიჭია, მშრომელი, მეგობრების მოყვარული და, შესაძლოა, სწორედ მეგობრების გამო მოუვიდა ეს ამბავი, თორემ მისი ჩხუბიც არავის ახსოვს. ალალი ბიჭია, ნასვამი იყო ეტყობა, თორემ სიფხიზლეში ასეთს არ გააკეთებდა. დაიღუპა თავი, პოლიცია ამას აპატიებს?!“ — ამბობენ დაკავებულის ნაცნობები.

## საგარეჯოში ტელევიზორის აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიწვა

საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, სახლში, სადაც სამი ადამიანი იმყოფებოდა, ტელევიზორი აფეთქდა. ცოლ-ქმარმა და ორსულმა გოგონამ სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დამწვრობა მიიღეს. დაშავებულები საგარეჯოს საავადმყოფოდან კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა.

„საავადმყოფოში სამი პაციენტი სხეულის დამწვრობით შემოიყვანეს. 25 წლის გოგონას, რომელიც 36 კვირის ორსულია, სხეულის 15% აქვს დამწვარი, 55 წლის მამაკაცს 20%, ხოლო 53 წლის ქალმა სხეულის 40%-ის დამწვრობა მიიღო. მათ ძირითადად სასუნთქი გზების, ხელისა და ფეხის ტერფების დამწვრობა აღენიშნებათ. პაციენტები ამჟამად დამწვრობის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში არიან და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით სტაბილურია“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ქირურგმა ვაჟა თევზაძემ.


მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge



## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net